

ადექსანდრე ახაფნედი

# ჩევილუსიუჩი ანეჟსია

თბილისი  
2008 წედი

## რედაქტორისაგან

საბჭოთა კავშირში არსებობდა სამი ცენტრი (ე. წ. კომისია), რომლებიც სწავლობდნენ ეროვნებათშორისი ურთიერთობის საკითხებს იმ კუთხით, თუ ვინ ვის წინააღმდეგ შეიძლება აეჯანყებინათ, როდის და რა შედეგით. ეს ცენტრები თავიანთ დასკვნებს აწვდიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის სექტორს. აქ ჯამდებოდა მონაცემები და მუშავდებოდა გადაწყვეტილებათა პროექტები. გადაწყველობას კი პოლიტბიურო ღებულობდა.

ერთ ასეთ ცენტრში გ. ტრაპეზნიკოვთან გაიარა სტაჟირება ნარკვევის ავტორმა. როგორც „არაქართველმა და მუსულმანმა“, შეძლო, ქართველთაშორის კომისიაში საინტერესო მასალების მოპოვება რესპუბლიკის კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით და ინფორმაცია საჭირო სტრუქტურებს მიაწოდა. უშედეგოდ... ხელმძღვანელობაში კარიერისტულმა ამბიციებმა ეროვნული ვალდებულებები დაჩრდილეს.

თავისი პოზიცია ავტორმა წინამდებარე ნარკვევში ნაწილობრივ გაამყარა.

წამკითხავმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ნაშრომი დაწერილია 1987წ. როგორც ეროვნებათშორისი განყოფილების გამგის წლიური სამეცნიერო ნაშრომი. იგი შესრულებულია როგორც საქართველოში ეროვნული მოძრაობის აღმავლობის ამსახველი მონოგრაფიის პირველი, შესავალი ნაწილი. ქსეროქზე გამრავლებული მიეწოდა ეროვნული მოძრაობის ლიდერებს.



**რედაქტორი და გამომცემელი:**  
**იულონ ტოლიაშვილი**  
**კომპიუტერული უზრუნველყოფა:**  
**თამარ ბუზალაძე**  
**დამატებითი დიზაინერი:**  
**კობა ბედლიძე**



## შ ე ს ა ვ ა ლ ი

ადამიანური ცხოვრების მიზანია თავისუფლება. თავისუფლების ასპექტები გლობალური მნიშვნელობის ეროვნული საკითხებია.. მას შემდეგ, რაც პირველყოფილი გვაროვნული და ტომობრივი კავშირები გენეტიკურ-ფსიქიკური ერთიანობის ეროვნულ კავშირებად ჩამოყალიბდა ბრძოლაა მიზნის მიღწევის გზა.

ეროვნება ავსებს ეკოლოგიური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემების შინაარსს. ამიტომაა მათი დარეგულირება დამოკიდებულ ეროვნული საკითხის მართებულ გადაწყვეტასთან.

ეროვნებათაშორისი ურთიერთობების პრობლემას სიმწვავეს მატებს ზღვარი თეორიულ გააზრებასა და პრაქტიკას შორის. თეორია მრავალეროვან სახელმწიფოს ანაქრონიზმად, ჩამორჩენილებად მიიჩნევა. ვ.ი. ლენინი ჯერ კიდევ 1914 წ. მიუთითებდა, რომ ეროვნული თვალთახედვით ჭრელი სახელმწიფო ჩამორჩენილობა ან გამონაკლისია. დებულების ჭეშმარიტება ცხოვრებაში დადასტურდა. დღეს მაღალცივილიზებული სახელმწიფოები მრავალეროვნული აღარაა. მრავალეროვნულობის კლასიკურ ნიმუშს სსრკ წარმოადგენს.

საბჭოთა რუსეთში, ეროვნული საკითხი მრავალ ათეული წლის მანძილზე ითვლებოდა საბოლოოდ გადაწყვეტილად. მიიჩნდა რომ 1917 წ. ოქტომბერში სათავე დაელო სამართლიანობას, ხოლო მომდევნო პერიოდში, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფმა ხალხებმა, რევოლუციური ტემპებით შეიძინეს რეალური თანასწორობის ყველა ატრიბუტი. დიდი ხნით იქნა დავიწყებული საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერება, ბელადთა ნააზრევი ცხადდებოდა ერთადერთ ჭეშმარიტებად. ასეთ დროს ძნელი არ იყო უსამართლობის სამართლიანობად, სასაცილოს სერიოზულად, უმეცრების – სიბრძნედ გასაღება.

ერის მოსახლეობა თავისი პოზიციის მიხედვით შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად. უმრავლესობას ყოველთვის წარმოადგენს მასა, რომელიც ყველაფერს ეთანხმება და ყველაფერს ამართლებს რაც მას აშინებს, მაგრამ უშუალოდ არ ეხება. მთავრობა ყოველთვის იყენებდა ამ ფსიქოლოგიურ მომენტს.



ამიტომ ღვივდება მასობრივი ფსიქოზი, აშინებენ ომის საფრთხით, იარაღდებიან მშვიდობისათვის, ასწორებენ გამოუსწორებელ შეცდომებს, ხმაურობენ და საკუთარ უნიჭო საქმიანობას ზერთულის ორეულს ანიჭებენ. შეშინებული მასა კი ყველაფერზე თანახმაა ოღონდ უარესი არ მოხდეს. მეორე კატეგორია მოწოდებულია ხელმძღვანელების უუნარობა – ენერგიულად, უნიჭობა – გენიოსობად, უმოქმედობა – შემოქმედებით წვად გაასაღონ. ამას ემსახურება ზერთული ბიუროკრატიული სამხედრო-ჩინოვნიკური აპარატი. მესამე, მცირერიცხოვანი, თავისუფალთა კატეგორია მებრძოლთა, ცილნაწამებთა და ნაწამებთაგან შედგება. ეროვნებათშორისი ურთიერთობების სამართლიანი გადაწყვეტისათვის ზრუნვა იყო და იქნება მათი ცხოვრების კრელო.

როგორც არის საზოგადოებრივი შემაღენლობა – ისეთი ეროვნებათშორისი ურთიერთობის ხასიათი და მეცნიერული გააზრების დონე.

საბჭოთა კავშირში, XX საუკუნის პირველი ნახევრის თაობა დაქირავებული მონების საზოგადოებაა. იგულისხმება პირველი ორი კატეგორია. 1956 წლის 9 მარტის ამბების შემდეგ, იწყება არსებულ სამართლიანობაში ეჭვის შეტანის პროცესი. აქ გადაჭდობილია გადმოყოლილი შიში და ეჭვი მომავლისადმი. ეს თაობა შეშინებულთა თაობაა. უძრაობის პერიოდმა აიძულა საზოგადოება ეაზროვნა კრიტიკულად. უუნარო ხელმძღვანელთა პოლიტიკურ-ლიტერატურულმა ამბიციებმა საბოლოოდ აუხილა ადამიანებს თვალი განვითარებული სოციალიზმის, მისი შესაბამისი გაფართოებული დემოკრატიის ჭეშმარიტ არსზე. მან განსაზღვრა სამართლიანთა თაობის ჩამოყალიბება.

თაობათა ამგვარი ცვლის შესაბამისად ასახავდა საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურა ეროვნებათშორისი ურთიერთობის აქტუალურ პრობლემებს.

საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურა მოძალებული პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის არტახებში გმინავდა. რუსთაველის კალამბურიდან - „შიში შეიქმნს სიყვარულსა“ - ლიტერატურა მხოლოდ სიყვარულს ხედავდა. უდიდესია თვითგვემა მორწმუნეთა.



გონებაკასტრირებული უნდა იყოს ადამიანი, რომ რწმენით აღიქვას ერთი პატრიოტული ამოუწესებელი ნაწილი სქელი მონოგრაფიები. ამ ზეგვიანურ მოსაზრებებზე იყო აგებული ახალი ისტორიული ერთობის – საბჭოთა ხალხის იდეა. მისი სანუკვარი საწყისი ეროვნულობის საერთოეროვნულზე დაყვანაში მდგომარეობდა. სამეცნიერო ლიტერატურას საცნაურად მხოლოდ ერების შერწყმა და მათი საერთო საბჭოთა (იგულისხმება რუსული) მომავალი ეზმანებოდა პერპეტუაში.

პერიოდულად ტარდებოდა მეცნიერთა „ინტერნაციონალური“ შეკრებები, რათა მონაწილეთათვის გასაგები გამხდარიყო ეროვნული ისტორიის კვლევის არა მხოლოდ ძირითადი მიმართულება, არამედ აუცილებელი დეტალებიც. არსებული ლიტერატურა იყო შედეგი შეჯიბრის, – ვინ მეტ ფაქტს იპოვიდა, ვინ უკეთ დაასაბუთებდა, ვინ მეტს გამოაქვეყნებდა ბელადთა სახელმძღვანელო დებულებების უებრო ჭეშმარიტების დადგენის მიზნით. თუ ეს ცხოვრება დიდი სცენაა, ტრაგიკომედიულია მაშინ იქ გათამაშებული სამეცნიერო სცენები. სხვანაირად ალბათ წარმოუდგენელიც იყო ტოტალიტარიზმის პირობებში, როდესაც გასაქანი მხოლოდ მეორე კატეგორიის მასიდან გამოსულ მკვლევარებს ეძლეოდათ. ისინი პარტიის ხელმძღვანელთა და არა ობიექტურობის პოზიციიდან თხზავდნენ საჭირო ლეგენდებს. ეს შეეხება ეროვნებათშორისი ურთიერთობების ყველა პრობლემას მოყოლებული ლენინური თეორიიდან, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების, სსრკ შექმნის, განვითარების, ერების შერწყმის კონცეფციით დამთავრებული. პარტიულობამ მიიყვანა კვლევა იმ დასკვნამდე, რომ ეთნოსი თუ ასი ათასს აღემატებოდა ერია, თუ არა ეროვნება; თუ ერთი რელიგიაა- ნიშნავს ერთი ერია თუ არა და არა; თუ ხელმძღვანელობას სურს – ტომობრივი კავშირი უცებ ამადლდება ერის დონემდე, თუ არა, ერიც შეიძლება გაქრეს; საჭიროების შემთხვევაში ერს შეიძლება ახალი ნიშან-თვისებაც გაუჩნდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში არსებულიც მოისპობა და ა. შ. საფუძვლიანადაა დავიწყებული კ. მარქსის დებულება, რომ პარტიის წევრი არ შეიძლება მიუკერძოებელი მკვლევარი იყოს, რადგან იგი ყოველთვის გამოდის პარტიის ბოლო გადაწყვეტილებიდან და ეძებს ფაქტებს ამ



გადაწყვეტილების გასამართლებლად.<sup>1</sup>

აღნიშნული კანონზომიერება ახასიათებს მთლიანად სოციალისტურ, საბჭოთა და ქართულ სამეცნიერო და არა მხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურას. გვარების ჩამოთვლა და ფაქტების დასახელება აუცილებლობას არ წარმოადგენს. ყველა ვინც რაიმეს აქვეყნებდა ფორმალურად მაინც იძულებული იყო ხარკი ეხადა ოფიციალური საზოგადოების. შემობრუნების მომენტებზე ნაცნობია დაინტერესებული საზოგადოებისათვის. უცნობი რჩება მხოლოდ ობიექტური რეალობა. მისი ახსნის ზოგიერთ მომენტს ეძღვნება წინამდებარე ნარკვევი.

რეალური სიტუაციის წარმოდგენამ საჭირო გახადა რევოლუციისა და საბჭოთა სახელმწიფოს ბელადთა აზრის ფართე ციტირება. ციტირების სიმრავლე სინამდვილის მრავალფეროვანი დამახინჯების პრაქტიკამ განაპირობა. საზოგადოებამ უნდა იცოდეს სიმართლე.

## დემოგრაფიული დინამიკა და დემოგრაფიული ანემისია

მრავალ ეროვან, ენოვან, რელიგიურ რესპუბლიკაში ეროვნებათშორისი ურთიერთობის ხასიათის ცოდნა ბევრადაა დამოკიდებული დემოგრაფიული დინამიკის მეცნიერულ ანალიზზე. საქართველოს სინამდვილეში მას ორი მხარე აქვს: საგარეო და საშინაო. საგარეოს თვალთახედვით აუცილებელია ცოდნა: როგორ დემოგრაფიულ გარემოში უხდებოდა და უხდება ცხოვრება რესპუბლიკის მკვიდრ მოსახლეობას; როგორი იყო დემოგრაფიული გარემოს ცვლილებები ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე; რამდენად სამართლიანად იყო გადაწყვეტილი ეროვნული საკითხი ამ გარემოში. საშინაო პირობები მოითხოვს ცოდნას: როგორია თანაფარდობა მკვიდრ და არამკვიდრ მოსახლეობას შორის; ისტორიულად როგორ ვითარდებოდა თანაფარდობა, ჰყავდა თანატომელები არა მკვიდრ მოსახლეობას თუ არა; თუ ჰყავდა

1. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზ. ტ.36 გვ. 170



უშუალო სიახლოვეს თუ არა; როგორი იყო პოლიტიკური და ეკონომიკური კულტურის დონე მკვიდრ და არამკვიდრ მოსახლეობაში; არამკვიდრი მოსახლეობა განფენილი იყო კომპაქტურად თუ არა და ა.შ.

დემოგრაფიული დინამიკა ბევრ საინტერესო, თავსატეხ და გადაუდებელ პრობლემას ქმნიდა მკვიდრ მოსახლეობაში. ასევეა დღესაც.

თუ ქართლის ცხოვრების ცნობებს ვერწმუნებით პირველი შეტყობინება ქვეყნის დემოგრაფიული შესწავლის შესახებ VII საუკუნეს განეკუთვნება. წერილობითი ინფორმაცია ასეთი, თორემ შეუძლებელია ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერ პერიოდში ინტერესი და აუცილებლობა არ ყოფილიყო იმისა, რამდენი მშრომელი და გადასახადის გადამხდელია, რამდენი მეომარია ამა თუ იმ სოფელში, ქალაქში, რეგიონში და ა.შ. საქართველოშიც იყო დემოგრაფიული შესწავლის არაერთი მცდელობა. სტატისტიკამ შემოგვიანხა სხვადასხვა პერიოდის მონაცემები.

დღევანდელ საქართველოში მრავალი მეცნიერი სწავლობს დემოგრაფიული დინამიკის საკითხს. მათ შორის აზრთა სხვადასხვაობაცაა და ერთობაც. ამ შემთხვევაში საინტერესოა ის ოპტიმალური მონაცემები, რაც საერთო ძალითაა დადგენილი.

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ცვლადი სიდიდეა. უდიდეს ციფრს იგი XI-XII სს. აღწევს. იმპერიაში მაშინ 12 მლნ-მდე მცხოვრები იგულისხმება. მათგან ქართველთა რაოდენობა 4,5-5,5 მლნ. შორის მერყეობს.

ამ პერიოდიდან მოყოლებული ხანგრძლივ ომებში გაიღია ერის ჯანი და 1801 წელს საქართველოში (დღევანდელი საქართველოს მოცულობით) სულ 622,6 ქართველი იყო დარჩენილი. რაოდენობა კატასტროფულადაა შემცირებული, მაგრამ ეს რაოდენობაც ქვეყნის მოსახლეობის 79,4% შეადგენს, ხოლო ამიერკავკასიის მოცულობით მოსახლეობის 43%. ეთნოსი, რომელმაც ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულში შექმნა სახელმწიფო გაერთიანება და ჩამოყალიბდა ერად, დასუსტებულია, შემცირებულია, მაგრამ არც ისე, რომ ვერ შეინარჩუნოს წამყვანი პოზიცია ქვეყნის შიგნით და მოქმედების არეალში.

საქართველოში ქართველების გარდა მკვიდრი მოსახლეობა



მხოლოდ აფხაზებია. აფხაზთა დემოგრაფიული წარსული, ნიკოფსიამდე (ამჟამად მდ. ნოგოფსუხოდ წოდებული) და მდ. ყუბანამდე მათი განფენილობის, ნაწილებად დაყოფის, ნაწილთა თანაფარდობის, შედგენილობის, ძველ და ახალ ელემენტთა საკითხი ჯერ კიდევ მოითხოვს თვითმყოფადობის ხანგრძლივ კვლევა-ძიებას. ასევე საინტერესოა ქართველებთან მათი თანაფარდობის, ერთობისა და სხვაობის, დემოგრაფიული ისტორია. ამ შემთხვევაში კი არსებითია, რომ 1801 წლისათვის მათი რაოდენობა 52 ათასის ფარგლებში იყო, რაც საქართველოს საერთო მოსახლეობის 6,6% შეადგენდა.

საქართველოს მოსახლეობის განსაკუთრებულ კატეგორიას წარმოადგენენ სომხები, რომელთა რაოდენობა 47 ათასს, ანუ მოსახლეობის 6% შეადგენდა. განსაკუთრებულს, რამდენადაც ამ რაოდენობაში შედის არა მხოლოდ ის მცირერიცხოვანი სომხობა, რომლებიც სხვადასხვა დროს ჩამოსახლებულან საქართველოში, არამედ უმთავრესად ის ქართველობა, რომლებმაც ისტორიული ბედისტრიალის გამო გამუსულმანებას გრიგორიანობა და სომხობა არჩია. რაც შეეხება სომხებს, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, მათი პირველი ჯგუფი ერეკლე II ჩაასახლა ალავერდისა და ახტალის მიდამოებში. ეს ტერიტორია დღეს სომხეთის შემადგენლობაშია და ამდენად ისინი 47 ათასში არ აღინიშნებიან.

რაოდენობის მხრივ შემდეგ ადგილზეა ბორჩალოს ტომის მოსახლეობა. ირანის შაჰის მიერ მდ. დებედას ხეობაში ჩამოსახლებულ ბორჩალოელებს (მათი რაოდენობა 30 ათასს, ანუ მოსახლეობის 3,8% აღწევდა), იმ დროს ბევრი არ ჰქონდათ საერთო იმ თურქულ ტომებთან, რომლებმაც ალბანეთის ტერიტორია დაიკავეს, იქ 15 სახანო შექმნეს და ერთი-მეორის მტრობაში ათენ-ალამებდნენ. ეს თურქული მოსახლეობის სახანოები, შემდეგ რუსეთის წყალობით გაერთიანდნენ, 1918 წელს შექმნეს დამოუკიდებელი ზერბაიჯანის რესპუბლიკა და 1935 წლიდან აზერბაიჯანელებად იწოდებიან. ბორჩალოს ტომი ისტორიის ყველა ასპექტით სხვა ფენომენია და დიდი შეცდომა იქნება, თუ მათ თვითმყოფადობას დაუკარგავენ და აზერბაიჯანელებში აღრევენ.





საერთო რიცხოვნობით ბორჩალოელებთან ახლოს იყო ოსების რაოდენობა 29,3 ათასი ანუ მოსახლეობის 3,7%. ოსები XIII ს. იწყებენ საქართველოს მთიანი ხეობის ათვისებას. XVIII ს. ისინი ჯანგაფილი ქსნისა და არაგვის საერისთავების ვაკეზე გამოდიან. ოსები ქართველების ისტორიული მეკავშირენი, მეგობრები და ბევრ შემთხვევაში ნათესავები, სახლებიან, როგორც კარგი მშრომელები და მეომრები. ამიტომ ქართველები მათ ხშირად უკამათოდ უთმობდნენ თავიანთ გაცლილ ტერიტორიებს. ურთიერთობის ეს ისტორია ბევრის მთქმელია და ეს უნდა იქნეს გათვალისწინებული დღევანდელი ურთიერთობის პირობებშიც, როდესაც იქმნება თეორიები სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების და მათი საერთო კუთვნილების შესახებ.

სასწაულად მცირეა რაოდენობა საქართველოს უძველესი არამკვიდრი ებრაელთა მოსახლეობისა. მათი რიცხვი 3,3 ათასია, რაც 0,4% შეადგენს მხოლოდ, შეიძლება მკვლევართა უღონობის გამო გარკვეული რაოდენობა აღურიცხავია. ყოველ შემთხვევაში ეს ციფრი გარკვეულ კითხვებს ბადებს.

კიდევ უფრო საინტერესოა, რომ სამიათასწლეული ურთიერთობის შედეგად, 1801 წელს, საქართველოში, სულ 500 ბერძენი 0,1% ირიცხებოდა. ზღვისპირეთში ციხე-ქალაქთა აღმშენებლები, მტერ-მოყვარეობის ხანგრძლივი ისტორიის მქონე ბერძენები, მხოლოდ ამ რაოდენობით შემორჩა საქართველოს.

საოცრების ზღვარზეა ფაქტი, რომ მიუხედავად მედროვე ისტორიკოსთა თავგადაკლული მტკიცებისა რუს-ქართველთა უძველესი ურთიერთობის შესახებ, 1801 წელს არც ერთი მათგანი არ გვხვდება მცხოვრებთა შორის.

ამგვარად საქართველოს (დღევანდელ ფარგლებში) მოსახლეობა 1801 წლისათვის, მეცნიერების მიერ განისაზღვრება 784,7 ათასის მოცულობით. ამ პერიოდიდან მოყოლებული დემოგრაფიული დინამიკა დიდი სისწრაფით და უცნაური მიმართულებით ვითარდება და დემოგრაფიული ანექსიის ხასიათს იძენს.

რუსეთის მთავრობის დემოგრაფიული ანექსიის პოლიტიკა ახალი კოლონიის, საქართველოს ტერიტორიაზე არ განსხ-



ვავდება იმპერიებისათვის ცნობილი გათიშე და იბატონეს სტრატეგიული პრინციპისაგან. ამ პრინციპის მოქმედების მრავალი მიმართულება იქნა გამოყენებული ბატონობის 117 წლის მანძილზე.

კოლონიზატორულ-ასიმილიატორული პოლიტიკის პირველი მიმართულება გულისხმობდა ქართველი ხალხის გათიშვას ცალკეული დიალექტების დამოუკიდებელ ენებად და ამ დიალექტზე მოლაპარაკე მოსახლეობის ცალკეულ ეროვნებად გამოცხადების გზით. ასეთი ეროვნებები იყვნენ თუშები, მეგრელები, სვანები. მეორე მიმართულება გულისხმობდა ამ ახალ ეროვნებათა ურთიერთდაპირისპირებას. მესამე მიმართულება ყველას თანაბრად ენებოდა და ითვალისწინებდა რუსული ადმინისტრაციის, რუსული ენის, კანონის დამკვიდრებას, ადგილობრივი ენის, დიალექტის სრული უგულვებლყოფის პირობებში. შემდეგი იყო ქართველებს და აფხაზებს შორის რუსების, სომხების, ბერძნების, გერმანელების და სხვათა კომპაქტური დასახლებების შექმნა. მეხუთე ნიშნავდა მკვიდრი მოსახლეობის განაპირა ტერიტორიების ჩამოცილებას და სხვა ადმინისტრაციულ ერთეულთან მიერთებას. მეექვსე მიზნად ისახავდა ქართველ-აფხაზთა და სომხების ურთიერთდაპირისპირებას. მეშვიდე მიმართულება გულისხმობდა საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებისათვის შეღავათების მიცემას, რაც ქართველებს უბიძგებდა დაწერილიყვნენ არაქართველებად. მერვე ითვალისწინებდა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და ეკონომიკურ-კულტურული იძულების წესით ქართველთა რუსეთში გადასახლებას. მეცხრე მოითხოვდა ქართველთა ეროვნული შეიარაღებული ფორმირების დაშლას, მათ გაწვევას რუსულ არმიაში და ამ გზით გარუსებას. მეათე ყველაზე ქმედითი იყო. იგი მოითხოვდა შერეული ოჯახების შექმნისათვის ხელის შეწყობას, რაც საბოლოო ანგარიშით ქართველ-აფხაზურ ოჯახებში რუსული ენის დამკვიდრებას გამოიწვევდა.

ქართველებზე მეტად დაზარალდნენ აფხაზები. უპირველეს ყოვლისა მინიმუმამდე დავიდა ქართველ-აფხაზთა ათასეულწლობით ნაშენები ერთობა. დღესაც არაა შექმნილი ამ ნათესაობისა და ძმობის ობიექტური ისტორია. არაა ახსნილი, როგორ



მოხდა რომ ისტორიის არც ერთ პერიოდში ქართველობა არ ცდილა აფხაზთა ასიმილაციას, აფხაზეთი კი განიხილავდა თავს საქართველოს სამთავროთა სრულუფლებიან წევრად. უფრო მეტი, სიძლიერის პერიოდში საქართველოსაგან გამოყოფას კი არა ცდილობდა, არამედ, მის გაერთიანებას. აფხაზთა სამეფოს შექმნა დასავლეთ საქართველოში დებულების ნათელი დადასტურებაა. ძირითადი შედეგი რუსეთის მთავრობის პოლიტიკისა იყო აფხაზთა დაპირისპირება ქართველებისადმი. მესამე შედეგი, მეორის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა: ქართველობას მოწყვეტილი აფხაზები შედარებით ადვილი დასაჩაგრავნი იყვნენ. იქ დამკვიდრდა ეროვნული და სოციალური მონობა. რუსეთის ადმინისტრაციამ დაიწყო ასიმილაციისა და განდევნის პოლიტიკის განხორციელება. ჯერ 1866 წლის წარუმატებელი აჯანყების, ხოლო შემდეგ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, აფხაზების დიდი ნაწილი იძულებული გახდა მიეტოვებინა სამშობლო და თურქეთში გადასახლებულიყო. ასე დაკარგა აფხაზებმა მოსახლეობის 2/3. მათი ადგილი სასწრაფოდ იქნა დაკავებული რუსების, უკრაინელების, სომხების მიერ. დღეს ორიოდე ტოპონიმის გარდა არაფერი მოაგონებს ადამიანს უბიხების ტომის არსებობის შესახებ. დღეს ეს კრასნოდარის მხარის ადლერ-სოჭი-ტუაფსეს სანაპირო ზოლია მხოლოდ. თვით აფხაზებს კი, კარგი ბუნებრივი მატების მიუხედავად, საუკუნეზე მეტი დასჭირდათ რაოდენობის აღსადგენად. ამიტომ, რომ 1897 წელს აფხაზთა რაოდენობა შემცირებულია 42,6 ათასამდე, რაც საქართველოს მოსახლეობის 2,2% შეადგენს მხოლოდ, 1917 წელს კი 40,4 ათასამდე, აფხაზეთის მოსახლეობის 145,6 ათასიდან.

არანაკლებ ტრაგიკული აღმოჩნდა ოსთა რუსეთისადმი მიწოდებული ბედი. რუსეთი სისტემატურად და მეთოდურად აიძულებდა ოსებს მიეტოვებინათ მამა-პაპათა მიწა და სრული ასიმილაციისაგან ხსნა სამხრეთ მეზობლებში ეპოვათ. ამით, ჯერ ერთი, სუსტდებოდა ოსების წინააღმდეგობის უნარი ჩრდილოეთ კავკასიაში და მეორე, თავიანთი შეჭრით და შერევით ქართველებში, მნიშვნელოვნათ აქვეითებდნენ მის მობილურობას, შემართებას, განსახლების ეროვნულობას. ასეთი იძულებითი ემიგრაციის



გზით ოსთა რაოდენობა საქართველოში საუკუნის ბოლოსათვის 81,5 ათასამდე გაიზარდა და მოსახლეობის 4,2% მიაღწია.

ქართველთა და სომეხთა წინააღმდეგობათა და ერთობის ისტორია 26 საუკუნეს ითვლის. იყო პერიოდები სომეხთა დომინირებისა სამხრეთ ამიერკავკასიის რეგიონში და იყო პირუკუ ლიდერობის პერიოდები. საბოლოო ანგარიშით ეს ურთიერთობანი სხვანაირად ვერ შეფასდება თუ არა ერთი ისტორიული უკუღმართობის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა. ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო ორმხრივი ასიმილაციის მომენტები, ნაწილობრივი მიგრირება და ა.შ. დღეს შეუძლებელია იმის გათვლა თუ რამდენმა სომეხმა ჰპოვა თავშესაფარი საქართველოში ან რამდენი ქართველი დამკვიდრდა სომხეთში და გასომხდა, ერთი ძირის მქონე გვარების ჩამოთვლაც კი ძალზე ბევრს ნიშნავს ამ ასპექტით.

ამ შემთხვევაში საინტერესოა არა შორეული ისტორია, არამედ დემოგრაფიული დინამიკის ის ცვლილება, რაც საქართველომ განიცადა რუსიფიკატორული პოლიტიკის წყალობით.

სომეხთა პირველი დიდი ნაკადი საქართველოში გადმოსახლებული იქნა 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ. ჩნდება ათობით სომხური სოფლები. ისინი კომპაქტურად იკავებდნენ ახალციხე-ახალქალაქის მიმდებარე ტერიტორიებს. მთელი XIX ს. მანძილზე ემიგრანტთა შემოსვლა სომხეთიდან არ შეწყვეტილა. საუკუნის ბოლოს საერთო რაოდენობამ 197 ათასს მიაღწია, რაც საერთო მოსახლეობის 10,3% შეადგენდა. მხოლოდ 1897-1902 წლებში 55 ათასი სომეხი დასახლდა საქართველოში. 1917 წლისათვის მათი რაოდენობა 280 ათასს აღწევს. თბილისი თითქმის მთლიანად სომხური ქალაქი გახდა. აქ 125 ათასი სომეხი ცხოვრობდა. ასევე ინტენსიურად დაიწყეს მათ ემიგრირებული აფხაზების ტერიტორიის დაკავება. საქართველო ერების აღრევისა და გადასახლების იმპერიულ ლაბორატორიად იქცა.

სამშობლოს მოწყვეტილი სომხებისათვის, ისევე, როგორც ყოველი დევნილი და არამკვიდრი ეროვნებისათვის, ბუნებრივია ისეთი საქმიანობით დაკავება, რაც საშუალებას მისცემს შემოსავლის წყარო და ქონება, საჭიროების შემთხვევაში, სწრაფად



შეაგროვონ და თან წაიღონ. ასეთ საქმიანობად კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში ხელოსნობა და ვაჭრობა იყო. XIX ს. საქართველოში ვაჭართა უმრავლესობას სომხები შეადგენდნენ. ამან შექმნა პირობა რათა მეფის ადმინისტრაციას სომხები ქართველებისათვის დაეპირისპირებინა, მათ შორის ურთიერთობა გაემწვავებინა და ამით მათი მომრიგებელი რუსეთის ადმინისტრაციის არსებობა გაემართლებინა.

საუკუნის ბოლოსათვის ბორჩალოელთა რაოდენობამ 81,1 ათასს მიაღწია, რაც 4,2%-ია საერთო რაოდენობისა. ბერძნების რიცხოვნობა გაიზარდა 38,5 ათასამდე, ებრაელებისა 17,2 ათასამდე, გერმანელებისა 7,4 ათასამდე.

ზრდის განსაკუთრებული ტემპებით სლავური მოსახლეობა გამოიჩინა. თუ ქვეყნის დაპყრობამდე აქ არც ერთი რუსი მოსახლე არ იყო, საუკუნის ბოლოს მათი რაოდენობა უკვე 100 ათასს აჭარბებს. 1917 წელს კი 117 ათასია. ამასთან წინასწარგანზრახულად მიმდინარეობდა მათი კომპაქტურად დასახლება. თუ გათვალისწინებული იქნა, რომ კოლონიურ პოლიტიკას, ადმინისტრაციასთან ერთად, რიგითი ადამიანებიც ახორციელებდნენ, ნათელი გახდება 1331,3 ათასი ქართველის გვერდით კოლონიზატორთა ასიათასიანი არმიის არსებობის მნიშვნელობა.

XIX ს. დასასრულს უთავბოლოდ იმატა სხვადასხვა ეროვნებათა კოლონიებმა. გაჩნდა უკრაინელები, ესტონელების, ქურთების, ლეკების და სხვათა დასახლებები. ყალიბდებოდა მრავალეროვანი, მრავალენოვანი, მრავალრელიგიური საზოგადოება. ამას ემატებოდა მოსახლეობის კულტურის, მსოფლმხედველობის, ურთიერთობის ადამიანების, ტრადიციების სრული სიჭრელე, აღრევა. სწორედ ასეთ მრავალფეროვნებას უნდა გაემართლებინა რუსული ადმინისტრაციის არსებობა და გაეადვილებინა მკვიდრი მოსახლეობის ასიმილაცია.

მკვეთრად შეიცვალა ქართველთა და არაქართველთა თანაფარდობა ასიმილატორთა სასარგებლოდ. თუ 1801 წელს ქართველები მოსახლეობის 79,4% შეადგენდნენ, საუკუნის ბოლოს მათი ხვედრითი წილი 69,4%, 1917 წელს კი 67,2% დავიდა. შემცირდა, ასევე, მეორე მკვიდრი მოსახლეობის ხვედრითი წილი. 1801 წელს 6,6%, ხოლო 1897 წელს 2,2%. ციფრები თავისთავად



მეტყველებენ ვის სასარგებლოდ ხორციელდებოდა დემოგრაფიული პოლიტიკა, რა შედეგები მოიტანა მან.

დემოგრაფიული დინამიკის ცვლილებას ემატებოდა დაჩქარებული რუსიფიკაციის პროცესი.. ამ მიზნით იქნა ჩამოყალიბებული უზარმაზარი სამხედრო ჩინოვნიკური ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც მოსახლეობის ყველა ფენას მოიცავდა და ჩაგრადა. სამართლებრივ-პოლიტიკურ ჩაგვრას ბუნებრივ სიმდიდრეთა ძარცვა ემატებოდა.

ემპაკურად იყო გათვლილი თვით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფაც. დაყოფა ხდებოდა არა ბუნებრივი – გეოგრაფიული ან ეროვნული ნიშნით, არამედ ისე, რომ თითოეულ გუბერნიამ ან მაზრაში რაც შეიძლება მეტი ეროვნების აღრევას ჰქონოდა ადგილი.

ქართველები ცხოვრობდნენ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიამ, ზაქათალისა და სოხუმის ოკრუგებში და ბათუმის ოლქში. რუსები და სომხები (რომელთა რაოდენობა განსაკუთრებით დიდი იყო) განსახლებულნი იქნენ ყველა რეგიონში. სომხები, რომელთაც ეშინოდათ თურქების მეზობლად სომხეთში დარჩენის, სიამონებით იკავებდნენ საქართველოს ტერიტორიებს.

შედეგად შეიცვალა ამიერკავკასიის მოსახლეობის თანაფარდობა. თუ ქართველები 1801 წელს მოსახლეობის რაოდენობით, სახელმწიფო ორგანიზაციით, პოლიტიკური ავტორიტეტით პირველობას მტკიცედ ინარჩუნებდნენ, საუკუნის ბოლოს მათი ხვედრითი წილი მოსახლეობაში 43%-დან დაეცა 28,8%-მდე. საუკუნის მანძილზე ცარიზმის ასიმილაციური პოლიტიკა პირველ რიგში ყველაზე ძლიერი ერის, ქართველების წინააღმდეგ იყო და შედეგად არ დააყოვნა. შეიცვალა არა მხოლოდ ძალთა თანაფარდობა, არამედ ცხოვრების წესი, ეროვნებისგაგება, შინაგანი მობილიზება, ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიზანი.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში. 1918 წლის 26 მაისიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე დემოგრაფიული დინამიკა მკვიდრი მოსახლეობის სასარგებლოდ იწყებს შემობრუნებას. ამ პროცესს ხელს უწყობს, როგორც საშინაო



სოციალურ-პოლიტიკური ასევე, და რიც შემთხვევაში უმთავრესად, საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა.

შენეღდა და პირიკუ პროცესით აღინიშნა მიგრაცია. რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობამ მკვიდრ მოსახლეობას შედარებით თავისუფალი დემოგრაფიული განვითარების შესაძლებლობა მისცა. მნიშვნელოვანია მიგრანტთა შემოსვლის აკრძალვა. შემდეგი ფაქტორი დაკავშირებულია თურქეთის მხრივ საომარი მოქმედების დაწყებასთან, თურქეთის მხრივ ოკუპაციის საფრთხის ზრდასთან და ქართველ-სომეხთა 1918 წლის დეკემბრის კომფლიქტთან, რის შედეგად დაიწყო საქართველოდან სომეხთა წასვლის პროცესი. მნიშვნელოვანი ცვლილებები იწყებოდა არაქართული წარმოშობის მუსლიმანურ მოსახლეობაში. შეწყდა ოსთა ჩამოსახლება. ორი მესამედით შემცირდა რუსთა კონტინგენტი. სტაბილური გახდა მკვიდრი ქართველი და აფხაზი ერების დემოგრაფიული მატება.

1921 წლიდან მოყოლებული დემოგრაფიული დინამიკა კვლავ მკვეთრ ცვლილებებს განიცდის. იმის გამო, რომ საბჭოთა რუსეთმა მემკვიდრეობით შეინარჩუნა ლოზუნგი: ერთი მთავრობა, ერთი რელიგია, ერთი ენა.

სასწაულებრივი დემოგრაფიული ცვლილებებია ოცეან-ოცდაათიან წლებში: ქართველობა საქართველოში უმნიშვნელოდ მატულობს, აღწევს 2173,5 ათასს, მაგრამ საერთო რაოდენობაში ზვედრითი წილი 61,4% დადის. სოციალისტური გარდაქმნის რთულმა პროცესებმა ერის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიწირა. ასევე მწარდე დაზარალდა აფხაზი ხალხი. მათი რაოდენობა 56,6 ათასია, მაგრამ ეს მოსახლეობის მხოლოდ 1,6% შეადგენს. სანაცვლოდ სტახანოვურად ჩქარდება ოსების გამრავლება და აღწევს 148,6 ათასს, ანუ 4,2%. სომეხების რაოდენობა აღის 414,2 ათასამდე, რაც მოსახლეობის 11,7%. ბერძნების რიცხვი 84,9 ათასია, რაც 2,4% შეადგენს. აზერბაიჯანელები 187,6 ათასი ხდება ე.ი. 5,3%. ებრაელები – 42,4 ათასი. მაგრამ ყოველგვარ ზღვარს სცილდება რუსების გამრავლების ტემპი. 1926 წელს 36 ათასიდან მათი რიცხვი 1939 წელს 307,8 ათასამდე აღის და 8,7% აღწევს.

დემოგრაფიული დინამიკის ასეთი ანექსიონისტური ცვლა





ომის შემდგომ პერიოდშიც გრძელდება. საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის ინტერნაციონალიზმმა, რომლის დონე ძირითადად მათგან არ განისაზღვრებოდა, შედეგად ის გამოიღო, რომ ოფიციალურად გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით 1979 წელს ჩამოყალიბდა ასეთი სურათი:

ქართველთა რაოდენობამ 3433 ათასს მიაღწია და ამით ხვედრითი წილი საერთო მოსახლეობაში (4993 ათასი) 68,8% ამაღლდა. საგრძნობლად იმატა აფხაზმა ხალხმა. მათი რიცხვი 85 ათასს გადაცდა, მაგრამ პროცენტული ოდენობით წინ ვერ წაიწია 1,7%. საერთო რაოდენობრივი ზრდის მიუხედავად პროცენტულად შემცირდა ოსების ხვედრითი წილი 160 ათასი, ანუ 3,2%, სომხები – 448 ათასი, ე.ი. 9%, აზერბაიჯანელები (ბორჩალოელები) 255 ათასი, 5,1%, ბერძნები – 95 ათასი – 1,9%, უკრაინელები 45 ათასი, 0,9% - იკლო ებრაულმა მოსახლეობამ 28 ათასი, 0,6% რუსების რიცხვი 371 ათასია, რაც 7,4% შეადგენს.

დემოგრაფიული დინამიკა ბევრად იყო დამოკიდებული ცარიზმის იძულებით, ანექსიონისტურ, ასიმილაციურ პოლიტიკაზე და საბჭოთა ხელისუფლების ინდუსტრიალიზაციის კურსზე, საინტერესოა, რომ პოლიტიკის ხასიათის გამო შედეგი არ შეცვლილა.

ეროვნებათა დემოგრაფიულ თანაფარდობაზე უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ურბანიზაციის, რესპუბლიკის შიდა ძალდატანებითი მიგრაციის მტკიცეული პროცესები. ამას ემატებოდა ცივილიზებულ ერებში დაწყებული შობადობის შემცირების ტენდენციის გავლენა. არანაკლები მნიშვნელობა შეიძინა იმ ზღვარმა, რაც გაჩნდა მოსახლეობის კულტურულ-ეკონომიკურ მოთხოვნასა და დაკმაყოფილების უაღრეს უკმარისობას შორის.

ასეთ პირობებში ქართველების თუნდაც მინიმალური გამრავლების წყაროს ძირითადად აჭარა და ნაწილობრივ სამეგრელო წარმოადგენდა. საწინააღმდეგო სურათი იყო საქართველოს მთიან რაიონებში. დაიცალა რაჭა, ხევსურეთი, მთიანი თუშეთი. მთის გაუკაცურებას ბუნებრივი პირობების სირთულესთან ერთად ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლების არასწორმა პოლი-





ტიკამ. პირველ რიგში უნდა მიეთითოს არსებულ გადასახადთა სისტემაზე. საბჭოთა ხელისუფლებამ მძიმე გადასახადები შეაწერა მთის იმ თემებსაც კი, სადაც ფეოდალიზმის დროს ეს არ იყო. ბუნებრივია ამ მდგომარეობამ გააუარესა ცხოვრების დონე. მთა დაიცალა დე ეს პროცესი დღესაც არაა შეწყვეტილი.

ქართველების გამრავლებას მნიშვნელოვნად აფერხებს სასიცოცხლო სივრცის არსებითი შეკვეცა ემიგრანტებისათვის საუკეთესო მიწების გადაცემის გამო. ცხოვრების პირობების მიხედვით არაფრით არ უტოლდება მთა სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებს, ზღვისპირა ადგილებს.

ეროვნული ზრდის დინამიკა აფხაზებს შორის დაახლოებით ისეთივეა, როგორც ქართველებში. მათი სასიცოცხლო სივრცე ისევე შეზღუდულია, როგორც ქართველების. ჩრდილო-დასავლეთ რეგიონი დიდი ხანია კრასნოდარის მხარეში შედის და იქ მკვიდრი მოსახლეობის ხსენებაც აღარაა. დარჩენილ მიწებზე დიდი სიმჭიდროვეა. ჩამოსახლებულ რუსთა, სომეხთა, ბერძენთა და სხვათა სიმრავლის გამო.

შედარებით სწრაფი ზრდა ახსიათებს სომეხ მოსახლეობას. სომხობამ შესანიშნავად გაითავისა დაკავებული ტერიტორიები და დიდი წარმატებით იყენებენ მათ სიმდიდრეს. თუ მკვიდრ მოსახლეობაში ყოველ შექმნილ ოჯახზე 1,5-2 ბავშვი მოდის, სომხურ ოჯახებში საშუალო მატება 4 ბავშვს შადგენს.

კიდევ უფრო მაღალია გამრავლების კოეფიციენტი ბორჩალოელებში (აზერბაიჯანელებში) – საშუალოდ 6 ბავშვი.

ამ მხრივ რეკორდი ქურთ მოსახლეობას ეკუთვნის, სადაც მატება საშუალოდ 7-8 ბავშვს აღწევს.

ამავე დროს, ბოლო ხანებში შეიმჩნევა საქართველოდან ემიგრაციის ტენდენცია. ამას თავისი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები განაპირობებენ. ჯერ ერთი, დემოგრაფიული ზრდის ოდენობამ მთელ რიგ რაიონებში მიაღწია იმ ზღვარს, როდესაც შეუძლებელი ხდება შრომითი რესურსების მთლიანი ათვისება. ამიტომ საშუალო ძალის ჭარბი ნაწილი დროებით ან მუდმივ საშუალოდ და საცხოვრებლად გადის რესპუბლიკის გარეთ. ეს ეხება სამხრეთ აღმოსავლეთ რაიონს. ამავე დროს საშუალო ძალის ნაკლებობაა მთიან რაიონებში, მაგრამ არამკვიდრი



მოსახლეობის წარმომადგენლები მწირ, მთიან რაიონებს გაურბიან და თუ ადგილზე დაფუძნების საშუალება არ არის, წასვლას ამჯობინებენ. მათ რა თქმა უნდა ის სიყვარული და პატრიოტიზმი ქართული მიწისა არა აქვთ, რომ მთის ხეობების მწირ მიწას შეეჭიდნენ და გაცლას ირჩევენ. იქმნება შთაბეჭდილება: არამკვიდრ მოსახლეობას რესპუბლიკის საუკეთესო მიწების ნაცვლად, რომ მთის ხეობები შესთავაზონ (მთა-თუშეთი, ხევსურეთი, რაჭა, სვანეთი, მთიანი აფხაზეთი), ისინი ალბათ საერთოდ მიატოვებდნენ ამ მეორე სამშობლოს. მეორე, მნიშვნელოვანი ფაქტორი, განათლების არსებული სისტემა. მრავლდაა სომხური, აზერბაიჯანული, რუსული, ოსური სკოლები, სადაც რესპუბლიკის სახელმწიფო ენა ფაქტობრივად არ ისწავლება. ამ სკოლების კურსდამთავრებულთა უმრავლესობა არა მხოლოდ ენობრივად, არამედ კულტურულადაც მოწყვეტილნი არიან მკვიდრ მოსახლეობას. უმაღლესი განათლება მშობლიურ ენაზე მათ მხოლოდ შესაბამის რესპუბლიკებში შეუძლიათ. მიდიან რა სასწავლებლად, შემდეგ, ხშირ შემთხვევაში, აღარ ბრუნდებიან. არ ბრუნდება ყველაზე ერუდირებული ნაწილი არამკვიდრი მოსახლეობისა. საბოლოოდ ეს ნიშნავს მათ აღზრდაზე გაწეული დანახარჯების აუნაზღაურებას, ინტელექტუალური კაპიტალის გატანას, რაც ზარალში აგდებს რესპუბლიკას. მესამე ფაქტორია ცხოვრების ნირის სხვაობა. არამკვიდრი მოსახლეობის კომპაქტური განსახლება საშუალებას აძლევს მათ აღმართონ გაუცხოების ბარიერი. ერთი მხრივ ეს მათთვის თითქოს კარგია. იცავს ასიმილაციური პროცესებისაგან, უნახავს თვითმყოფადობას. მეორე მხრივ, იწვევს არა მხოლოდ გაუცხოებას, არამედ წინააღმდეგობათა კომპლექსს და ანტაგონიზმის შესაძლებლობას შეიცავს. შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორია რუსული ენის სავალდებულობა. არამკვიდრი მოსახლეობა უარყოფს რა რესპუბლიკის სახელმწიფო ენას, მას ცვლის ეროვნებათშორისი ურთიერთობის რუსული ენით. რუსული და მშობლიური ენების ცოდნა რესპუბლიკაში საკმარისი არ არის. ვერ პოულობენ რა შემდეგ კარიერისტულ ამბიციების დაკმაყოფილების პირობებს, იძულებულნი ხდებიან გავიდნენ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. ეს ფაქტორი ასევე მოქმედებს ნიჭიერი აფხაზი სპეციალ-



ისტების რესპუბლიკურ მმართველობაში აქტიურად ჩაბმის პროცესზე. არადა ამის აუცილებლობა აშკარად იგრძნობა.

როგორც ჩანს რესპუბლიკის არამკვიდრი მოსახლეობის დემოგრაფიული ზრდის სუსტად გამოკვეთილი უარყოფითი საღლო ობიექტური პროცესია, ფაქტია, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება.

მთლიანობაში აღებული საქართველოს დემოგრაფიული დინამიკა არის ის ფაქტორი, რომლის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ლაპარაკი ეროვნებათშორისი ურთიერთობების ხასიათზე, ერების განვითარების ტენდენციებზე, თეორიაზე და პროგრამაზე ეროვნულ საკითხში. ერთი შეხედვით, მკვიდრი მოსახლეობის დემოგრაფიული დინამიკა საქართველოში შემდეგი დასკვნების შესაძლებლობას იძლევა:

- ერის რაოდენობრივი ზრდის ხანგრძლივი უარყოფითი დინამიკა იწვევს ეროვნული ორგანიზმის დასუსტებას, გადაშენების ელემენტების აღმოცენებას, ეროვნული სულის დასუსტებას, ეროვნული თვითმყოფადობის ნიშნების დეფორმაციას;

- უარყოფითი დემოგრაფიული დინამიკის დროს დასუსტებული ეროვნული ორგანიზმი შედარებით ადვილად კარგავს დამოუკიდებლობას, სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას, როგორც ცივილიზებულ სამყაროში ერის არსებობის წესს, ადვილად ემორჩილება ასიმილაციურულ განწყობას, შინაგანად ითიშება და გადაგვარების გზას ადგება. ეს პროცესები თავის მხრივ აძლიერებენ დემოგრაფიის უარყოფითი დინამიკის მოქმედებას;

- უარყოფითი დინამიკის დროს ერი ვერ უმკლავდება სხვა ერების წარმომადგენლებს, რომლებიც ცდილობენ შეავსონ ვაკუუმი და ამ მიზნით მტრული თუ მშვიდობის მოყვარე (ამით შედეგი არ იცვლება) მეთოდებით იკავებენ მის სასიცოცხლო სივრცეს;

- დადებითი დინამიკის დროს რაოდენობრივი ძლიერება გადაიზრდება თვისობრივში, თავს იჩენს ერის კონსოლიდაციის, თვითმყოფადობისკენ მისწრაფება, იღვიძებს ეროვნული სული, იწყება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ან ეროვნულ-გამაერთიანებელი მოძრაობა;

- ისტორიულად იზრდება რაოდენობრივი ძლიერების მნიშ-



ვნელობა. თვისობრივად ძლიერი ერების ნაცვლად წამყვან როლს რაოდენობრივად ძლიერი ერები იკავებენ. თვისობრივი ძლიერება ყოველთვის არ აისახება, არ გადაიზრდება რაოდენობრივში, ისევე როგორც ყოველი რაოდენობრივი ძლიერება არ იძლევა თვისობრივ ძლიერებას, მაგრამ ძირითადად ტენდენცია მოქმედებს, როგორც მსოფლიო ასევე რეგიონალური მასშტაბით;

- არა მხოლოდ დემოგრაფიული დინამიკის ცვლილებები მოქმედებენ ერის სოციალურ-პოლიტიკურ ღირებულებებზე, არამედ მიმდინარეობს პირუკუ პროცესიც. არ შეიძლება ინტერესს არ იწვევდეს დემოგრაფიული განვითარების არასტაბილურობის, ციკლური ხასიათის გამომწვევი მიზეზები. ჯერაც შესწავლას საჭიროებს იმ ფაქტორთა სისტემა, რომელიც აჩქარებს ან ანელებს დემოგრაფიული ზრდის პროცესს;

- ზოგადი დაკვირვება ნათელყოფს: 1. ეკონომიკურ ფაქტორთა დიდ მნიშვნელობას დემოგრაფიული ზრდის საქმეში. როდესაც ერის, ოჯახის მატერიალურ დაკმაყოფილებას დიდი ოდენობით სამუშაო ძალა სჭირდება მაშინ იხსნება ყოველგვარი შეზღუდვა გამრავლების გზაზე. აქედან გამომდინარე, ერმა რომელსაც გამრავლება სურს, უნდა შეუქმნას წევრებს ფართო სასიცოცხლო სივრცე. სივრცის შეზღუდვის შემთხვევაში იზღუდება გამრავლების სტიმული. 2. ისტორიულად ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკური თვითმყოფადობისათვის ბრძოლის ფაქტორი. ერის დამოუკიდებლობის მოპოვება-დაცვის ინტერესები კვლავაც რჩება დემოგრაფიული ზრდის მნიშვნელოვან სტიმულად. 3. არ შეიძლება მსოფლმხედველობის ფაქტორის უარყოფა. მხედველობაში მისაღებია როგორც ეთიკურ ღირებულებათა, ასევე რელიგიური რწმენის, კულტურული დონის საკითხები;

- დემოგრაფიული დინამიკა საზოგადოებრივად მართვადი ეროვნულ-გლობალური პროცესია. ერს სწორი პოლიტიკური ორგანიზაციის შემთხვევაში ყოველთვის შეუძლია მიზანშეწონილი ზემოქმედება მოახდინოს დინამიკის ცვლილებაზე. დინამიკის ხასიათი პოლიტიკური სისტემის ერის ინტერესების შესაბამისობასთან ყოფნის საზომია.



## თვითმყოფადობის ეროვნული აზრი და პრაქტიკა

ქართველობამ 1801 წლამდე არა მხოლოდ დემოგრაფიული სიწმინდე შემოინახა, არამედ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობაც. ერმა, რომელმაც სახელმწიფოებრივი სიძლიერე და სიმდიდრე აგრძნობინა არგონავტებს, იმ დროიდან მოყოლებული ღირსეულად ატარა დამოუკიდებლობის დროშა. ბევრჯერ ჰქონდა კრიტიკული მომენტები, ბევრი აღმაფრენა და დაცემა გამოუცდია, მაგრამ იქ სადაც მისი ასაკის ერები ქრებოდნენ, ის კვლავ წამოიმართებოდა ხოლმე. უკვე დღეს ი. ჯავახიშვილის, ს. ყაუხჩიშვილის, თ. გამყრელიძის, რ. გორდეზიანის და სხვათა მეცნიერულ ნააზრევზე დაყრდნობით ბევრი შორს მიმავალი თვალსაზრისის დამოთქმა შეიძლება. ქართველთა წარმომავლობისა და მდიდარი ისტორიის შესახებ. და არასოდეს არ ყოფილა მონა სხვისა. არ ჰქონდა ასეთი ღვთითდანიშნულება.

1801 წელს ხანგრძლივად დაიკარგა დამოუკიდებლობის ნიშანთვისებანი. ქართველებმა, რომლებიც საუკუნობით სხვას უხანგრძლივებდნენ არსებობას, საკუთარი ვერ შეინარჩუნეს. იყო ეს კანონზომიერი თუ არა?

დღეს ამ საკითხზე ახლებური თვალსაზრისი ან დავიწყებული ძველი, ფართო მსჯელობის საგანი არ გამხდარა. ურყევადაა მიჩნეული ი. სტალინის შემოთავაზებული ფორმულირება რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის ნახევრადპროგრესულობის შესახებ. უმცირესი ბოროტების კონცეფცია, შემდეგ საბოლოოდ იქნა შესწორებული ე. შევარდნაძის მიერ. მან გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავთან დაკავშირებით ზეიმის დროს, კატეგორიულად მოითხოვა შეწყვეტილიყო მსჯელობა, უმცირესი ბოროტების შესახებ. მისი აზრით ეს დაპყრობა კი არა, იყო ბედნიერება, რომელმაც ბევრს ამოუყვანა მზე ჩრდილოეთიდან.

სინამდვილის დადგენა საჭიროებს ცოდნას: იყო თუ არა საქართველოში დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის საჭირო ძალები? მოელოდა საქართველოს ირანის ან თურქეთის მხრი-



დან საბოლოო დამონება თუ არა?

ისტორიული წარსული მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ საქართველოს ყველაზე კრიზისული მდგომარეობა XVII-XVIII ს. ჰქონდა. კულმინაციას მდგომარეობამ XVIII საუკუნის პირველ მესამედში მიაღწია. რუსეთის უპირველესი მეფე-ხელმძღვანელის, მამით ქართველი პეტრე პირველისაგან მოტყუებულმა ქართველებმა კატასტროფის პირამდე მიიყვანეს ქვეყანა. მაგრამ, ერმა თავისში ნახა ძალები, რათა არა მხოლოდ დამოუკიდებლობა აღედგინა, არამედ განჯისა (ქ. კიროვაბადი) და ერევნის (ფაქტიურად სომხეთი) სახანოებიც თავის გამგებლობაში მოექცია. ასი ომის მომგები ერეკლე II იმდენად ძლიერი იყო, რომ მაშინდელი მსოფლიო მისგან გარდაუვლად მოელოდა ირანის დაპყრობას და შაჰის ტახტზე ასვლას. ირანი არ იყო იმ დროს შაჰ-აბას ბრწყინვალის დროის იმპერია. შეეძლო თუ არა საქართველოს ირანისაგან თავის დაცვა? უეჭველად შეეძლო. უფრო სწორედ, არც დასჭირდებოდა, რომ არა რუსეთის მთავრობის ლაღატი (ვინ იცის მერამდენე) და ფაქტობრივი შეთანხმება ალა-მაჰმად ხანთან. კრწანისის ტრაგედია იმდენად ქართველთა დაძაბუნების ბრალი არაა, რამდენადაც რუსთა მთავრობის ლაღტისა.

იქნებ თურქეთის მხრივ ელოდა საქართველოს განადგურება?

ისტორიული წარსული აქაც გვეუბნება, რომ საქმე ისე არ იყო, როგორც მედროვე მკვლევარები ზომავენ. ჯერ ერთი, თურქეთის იმპერია იმდენად იყო დასუსტებული, რომ საკუთარი უსაფრთხოების დაცვაზე უფრო მეტს ზრუნავდა, ვიდრე სხვების ხელში ჩაგდებაზე. მეფე ერეკლეს და მეფე სოლომონის ბრძოლები მეტყველებენ თურქეთთან დამოუკიდებლად წარმატებული ბრძოლების შესაძლებლობაზე. ამას ემატება თურქეთის მთავრობის წინადადება: თურქეთი თანახმა იყო, ერეკლეს შემოეკრიბა მთელი საქართველო, თუქეთი აღკვეთდა ლეკთა თარეშს და აძლევდა მილიონის კრედიტს, ოღონდ კი რუსეთი ამიერკავკასიაში არ შემოეშვა. მაკანნი იტყვიან თურქეთი სანდო არ იყო. ეს არაა არგუმენტი. პოლიტიკაში სანდო არავინაა. პოლიტიკა მეცნიერებაა მოტყუების შესახებ. თუ თურქეთი პირობას გადავიდოდა, რუსეთის შემოშვება ყოველთვის შეიძლებოდა. არა და



თურქეთთან შედარებით რუსეთი რით იყო სანდო?

ამ ფაქტორებს ემატება საქართველოს გაერთიანებისა და ერთობლივი მოქმედების რეალური შესაძლებლობა. იქნებ ვინმემ უარყოს, რომ გაერთიანების საკითხი მომწიფებული და შესაძლებელი იყო. შეძლებდა ერთიანი საქართველო დამოუკიდებლობის დაცვას თუ არა?

პასუხი ერთია: გააჩნია ვისგან. თუ მხედველობაშია ირანი – თავისუფლად. თუ თურქეთი – შეძლებდა. ვერ შეძლებდა მხოლოდ რუსეთისაგან.

საკითხავია, იცოდა თუ არა? ჰაი, რომ იცოდა. ამიტომ ფიქრობდნენ, რომ ჩათრევას ჩაყოლა სჯობია. ამიტომ ცდილობდნენ ტრაქტატებით თავსი დაცვას. აზიურმა რაინდობამ არ მისცა საშუალება ეგრძნოთ, რომ ევროპული რუსეთისათვის ჩაყოლა და ჩათრევა დაპყრობის მხოლოდ ორი მეთოდია. შედეგი ამით არ იცვლება. და არც შეცვლილა.

იყო ეს დაპყრობა ბოროტება თუ არა?

ამ კითხვას ძველი ბერძენი ფილოსოფოსი დიოგენე პასუხობს ზუსტად. ცნობილია: წინა აზიის დამპყრობმა, გამარჯვებულმა და გალაღებულმა ალექსანდრე მაკედონელმა კასრში მათხოვარივით შეკედლებული ბრძენის დაპყრობაც მოინდომა. ეახლა კასრთან მჯდომს და ამაყად ჰკითხა – ჩემგან რა დახმარება გსურსო. გაიწი, მზეს ნუ მიჩრდილავო – იყო უფრო მეტად ამაყი პასუხი.

თავისუფლების ფასი არაფერია. ვერავითარი სიკეთე ვერ აიწონის ერის დამოუკიდებლობის მნიშვნელობას.

ის, რაც ვერ იგრძნო ბევრმა ძველმა და ახალმა მედროვემ, შესანოშნავად გაიგო ერმა. ამიტომ იყო, რომ 1801 წელს ქართული სამეფოს გაუქმებას და აღმოსავლეთ საქართველოსათვის დამოუკიდებლობის წართმევას, უკვე 1802 წელს ერმა შეთქმულების მოწყობით და მასობრივი მღელვარებით უპასუხა. უნდა აღიარონ ჩრდილოეთიდან მზის ამოსვლის მომხრეებმა, რომ გაბედნიერებული ერი ასე არ მოიქცეოდა. ან იქნებ 1804 წლის მთიულეთის აჯანყებაც მხოლოდ სიხარულის გამოხატულება იყო? სასწაულად „უმაღურები“ აღმოჩნდნენ დასავლეთ საქართველოს მესვეურნი. ქართველების დაცვით გატაცებულ





რუსეთს მუქარა და იარაღი დასჭირდა, რათა მიეხვედრებინა, რომ „ბედნიერება“ მოჰქონდა მათთვის. რუსეთსაც კი გაუჭირდა დასავლეთ საქართველოს საბოლოო დაპყრობა, მაგრამ რაც ვერ ქნა თვით მონღოლეთმა, მეფის რუსეთმა აისრულა.<sup>1</sup>

ისტორიული წარსული მეტყველებს, რომ ქართველობას ხმალი არ ჩაუგია და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის იმედი არ გადაუწურავს. 1810 წელი იმერეთის სამეფოს დაპყრობა რუსეთის მეგობრული, განმათავისუფლებელი, უბოროტო და ჩრდილოეთიდან მზის ამოსვლის ნათელი დემონსტრაცია იყო. ერმა მას ახალი აჯანყებების სერიით უპასუხა. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ სახით კახეთის 1812-1813 წლების და იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყებებია. რამდენი მამულიშვილი შეეწირა ამ აშკარად უთანასწორო ბრძოლას, რამდენი შეიმოსა მამულისათვის დავდადებულის შარავანდედით. ბედის უკუღმართობა ერის უმაღურობა როდია. მოვა დრო და მათი სახელები გამობრწყინდება სააშკარაოზე.

საქართველოში დამპყრობლებს არასოდეს არ ურიგდებოდნენ. მოთმენა შერიგება არაა და ჩუმი დრტვინვა – თანხმობა. 1802, 1804, 1810, 1812, 1819 წლებში აჯანყებები არც მორჩილების და არც სისწრაფის გამოხატულებას არ უნდა წარმოადგენდეს. ეს მოვლენები საგულდაგულოდ დაფარული ფართო საზოგადოებისათვის, ჯერ კიდევ საჭიროებს ერთგულ მკვლევარებს და გაბედულ მამულიშვილებს. ეს მით უფრო, რომ ობიექტურ ისტორიკოსთა აზრი მიჩქმალულია, სანაცვლოდ ფართოდ ვრცელდებოდა ლაქიური შინაარსის ნააზრვეი.

აჯანყების ტაქტიკამ ერს არ გაუმართლა. რუსეთის იმპერიის აღმავლობის პერიოდში ეს შეუძლებელიც იყო. და არა მხოლოდ სამხედრო სიძლიერის გამო. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა რუსულ ემმაკობასა და მოხერხებულობას. ქართველობამ რა თქმა უნდა არ იცოდა პეტრე დიდის ნათქვამი: რუსი

1. საყოველთაო მადლობა ა. ბენდიანიშვილს, რომელმაც გაბედა და თან მოახერხა 1980 წ. გამოცემა მონოგრაფია „ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ.“. ეს წიგნი იძლევა საქართველოს დაპყრობის ობიექტურ სურათს.





ისეთი ეშმაკია, ერთი „მუჟიკი“ სამ ებრაელს ნებისმიერ მომენტში მოატყუებსო. არ იცოდა და ვერ გაფრთხილდა. იმ დროს ჯერ დაბადებული არ იყო კ. მარქსი და მისი აზრი მით უმეტეს გვიან გამოითქვა, იმის შესახებ, რომ რუსზე უფრო კარგად არავის ეხერხება წვრილმანი მევახშეობა, სპეკულაცია, ათასგავრი ოპერაციები და ა. შ. ეშმაკობა და მოხერხებულობა თავისთავად სიჭკვიანის მაჩვენებელია და ეს რუსი ხალხის დადებით თვისებად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ უცნობი ადამიანების შესახებ ამგვარი ცოდნა ალბათ XVIII-XIX სს. ქართველობას ცუდად არ წაადგებოდა.

ამ სიჭკვიანის წყალობით რუსმა ხალხმა ბევრი შეიძინა და თითქმის არაფერი დაუკარგავს, უზარმაზარი ტერიტორიები შეიერთა, მსოფლიო იმპერია შექმნა და მცირე დამთო ალიასკის გაყიდვის და ოქტომბრის გადატრიალების (რევოლუციის) ილუზიების გამო. რუსეთის იმპერია არც ამიერკავკასიას გაუშვებდა ხელიდან. წარუმატებელი აჯანყების სერიას ქართველობა უნდა დაერწმუნებინა ამაში. და დაარწმუნა. XIX ს. მეორე მეოთხედში იცვლება ბრძოლის ტაქტიკა. ქართველობა იწყებს ფართო მასშტაბის შეტქმულების მომზადებას. დაქსაქსულმა, ცალკეულ რეგონებში მოწყობილმა აჯანყებებმა საბოლოო შედეგი ვერ მოიტანა. ამიტომ საჭირო იყო სრულიად საქართველოს ერთდროული გამოსვლა.

მოსამზადებელი საქმიანობა ბევრ მომენტს გულისხმობდა. თავისუფლებისათვის ბრძოლის სწორ ტაქტიკურ ხაზს წარმოადგენდა დავით გიორგის ძე ბაგრატიონის, საერთოდ ბაგრატიონების მოთხოვნა საქართველოს სამეფოს გაუქმების უკანონობისა და მისი აღდგენის კანონზომიერების შესახებ. ეს არ იყო განწირულთა უგუნურობა. ამ მიმოწერამ ჯერ ერთი, მოწინავე საზოგადოებრიობას დაანახა ერთმორწმუნე რუსეთის მთავრობის იმპერიალისტური სახე და მეორე, გაახანგრძლივა ქართველთა იმედი და რწმენა, განამტკიცა აზრი და მოქმედება.

ახალი ტაქტიკა ფართო ხასიათის შეთქმულებას ითვალისწინებდა, რომელსაც უნდა მოემზადებინა მთლიანად საქართველოს და, შესაძლებლობის ფარგლებში, მთლიანად კავკასიელთა აჯანყება რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. შეთქმულნი ვარაუ-



დობდნენ მეზობელი და არამეზობელი ქვეყნების ძალისხმევის გამოყენებას მომავალ გენერალურ ბრძოლაში, რამეთუ დიდ ძალას დიდი შემართება სჭირდებოდა.<sup>1</sup>

შეთქმულთა შორის აზრთა სხვაობა გამარჯვების შემთხვევაში მმართველობის ფორმების შესახებ, მხოლოდ ადასტურებს საზოგადოების სისხლხსოვრულ დაინტერესებას ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში.

ქართველებს თუ რაიმე ღუპავდა და დაღუპავს, ეს საკუთარ ოჯახში აღზრდილი მოღალატეებია. მედროვეებს არავინ თესავს, ისინი თვითონ იზრდებიან. მედროვემ დაუსვა წერტილი მრავალთა მამულიშვილურ მცდელობას.

1832 წლის შეთქმულების მარცხმა მოითხოვა არსებულ ღირებულებათა კრიტიკული გადაფასება. არც ცალკეულმა აჯანყებებმა და არც შეთქმულებამ სასურველი შეეგი არ გამოიღო. საჭირო გახდა მწარე გამოცდილების ანალიზი, რათა შესაბამისი დასკვნები გაკეთებულიყო.

ერთი შეხედვით, დადგა ბედთან შერიგების პერიოდი. სინამდვილეში, ვინც შეულამაზებელ საზოგადოებრივ აზრს გაეცნობა ნახავს, რომ დამორჩილებაზე, შერიგებაზე ფიქრიც არა ყოფილა. მაგრამ იყო ახალი გზის ძიების და ახალი ბატონის ზრახვათა, ერის სასარგებლოდ გამოყენების აზრი.

მართლაც მოწინავე ქართველობას არ შეეძლო ერთი მხრივ, არ გაეთვალისწინებინა მეფის რუსეთის დიდმპყრობელური ზრახვები წინა აზიაში, მისი ინლოეთის ოკეანისა და ხმელთაშუა ზღვისაკენ სწრაფვის გეგმები და მეორე მხრივ; ის პროგრესული ცვლილებები, რაც რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში იხსებოდა. რით გაემტყუნება ქართველობას, სურვილი გამოეყენებინა რუსეთის სამხედრო ძალა სამხრეთ რეგიონების შემოსაერთებლად. ვინ იცის რამდენს და რამდენჯერ

1. 1832 წლის შეთქმულების შესახებ ღრმად, მაგრამ საკავშირო ცენზურის პოზიციების გათვალისწინებით მოთხრობილი აქვს გ. გოზალიშვილს. წინამდებარე ნარკვევის მიზანი ცალკეულ ისტორიულ ფაქტთა სიზუსტის დადგენა არა ზოგადი სურათის წარმოდგენაა.



დასინზმრებია ოლთისის ზეცა, სპერის, ართვინის ციხე-კოშკები, ოშკი, ხახული და ათასი რამ და ათიათასობით საზღვარს მიღმა დაობლებული ძველი იბერიელნი. რით არ წარმოადგენს ბრძოლის ფორმას, დამპყრობის ეროვნების და დამპყრობისადმი ოპოზიციონერთა (რუს პროგრესულ საზოგადო მოღვაწეთა) გათვითცნობიერება, ქართველთა თანამგრძობლად მათი მოქცევა. ვის უთქვამს, რომ მოწინააღმდეგის, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების უცოდინარობა წარმატების წყაროა. ვინ დაამტკიცებს, რომ რუსეთში ევროპული ცივილიზაციის ელემენტების ათვისება, რუსეთის მეშვეობით ევროპასთან დაკავშირება, შეძენილი ცოდნით საკუთარი ხალხის სამსახურში ჩადგომა, ხალხის გამოღვიძება, იდეური დარაზმვა საერთო-სახალხო განმათავისუფლებელ მოძრაობას სასიკეთოდ არ წასდგომია, პირიქით.

დღეს ი. ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოების შექმნის მხოლოდ ფაქტი, სიყმაწვილის პერიოდის სისუსტის, დაქსაქსულობის, ბოლომდე გაურკვევლობის მიუხედავად, ნიშნავს თერგდალეულთა ბრძოლის მეთოდების სწორედ გაგებას. ამავე დროს ამ საზოგადოების შევიწროება, ოფიციალური უგულებელყოფა, მასზე ცილისწამება მიანიშნებს, რომ ის ფორმები, მეთოდები, ძირითადი კრედი დღესაც ბრძოლისუნარიანი და ფასეულია. ფართო საზოგადოებრიობას ჯერაც არ მიუღია პოპულარულ მეცნიერული პასუხი, ეროვნულობის თვალთახედვით, რა იყო ილიას პროგრამა, რა გზებს ისახავდა იგი, რა განხორციელდა იქიდან და როგორ, ვინ და რა მეთოდებით იბრძოდა ილიასთან ერთად და მის შემდეგ, ვინ და რა შემატა ერის თვითმყოფადობის საქმეს.

ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ახალი ტაქტიკის შემუშავება არა ნიშნავს ძველის მექანიკურ უარყოფას. ჯერ კიდევ საჭიროებს ღრმა შესწავლას სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოტივების თანაფარდობის საკითხი, სოციალური მოძრაობის შიგნით. შესასწავლია ქართველების დამოკიდებულება შამილის ბრძოლისადმი. ამ ბრძოლის რელიგიურმა ფორმა მარ უნდა დაჩრდილოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი შინაარსი. ასევე შესასწავლია სამეგრელოსა და აფხაზეთის აჯანყების საკითხი და მათი მნიშვნელობა



საერთო ეროვნულ მოძრაობაში. ქართველი ისტორიკოსები ასევე ვალში არიან იმ მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო, ახალგაზრდულ-სტუდენტური თუ გამობრძმედილი ადამიანების საზოგადოებების, ორგანიზაციების, ცალკეული პიროვნებების წინაშე, რომლებმაც მოღვაწეობის კრედიტს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლა გაიხადეს. მხოლოდ მარქსიზმის გავრცელებისა და მარქსისტული ორგანიზაციების ისტორია დღეს უკვე საკმარისი არ არის. მით უმეტეს, რომ ჭეშმარიტი მარქსიზმი, რომელიც მეცნიერებაა და კონიუნქტურას არ ექვემდებარება, ბერმა არც მაშინ იცოდა და არც ახლა. ფსევდომარქსისტული აზრი და პრაქტიკა კი უფრო კრიტიკის ობიექტი უნდა იყოს, ვიდრე გადამეტებული ქებისა ან გინებისა.

სამწუხაროდ, გართო საზოგადოებისათვის ასევე უცნობია XX ს. დასაწყისში გამოთქმული მრავალი თვალსაზრისი, ეროვნული დამოუკიდებლობის ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის, რუსეთის იმპერიის ფედერაციული ორგანიზაციის, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე. ეროვნულ საკითხში თეორიისა და პრაქტიკის ამ პერიოდის ისტორია კვლავ მითხზოვს მოუკერძოებელ შეფასებას. ასევე საჭიროა სოციალ-ფედერალისტთა ლიდერის არჩილ ჯორჯაძის (და არა მხოლოდ მისი) თეორიული კრედიტის წარმოჩენა. ერი ვალდებულია იცოდეს ვის რა ღვაწლი და რა შეცოდება მიუძღვის მის წინაშე. არ შეიძლება ვიწროპარტიული მოსაზრებების გამო მდიდარი ისტორიული წარსულის მიჩუმება, დამახინჯება, უგულვებელყოფა. პოლიტიკა უნდა აიგოს მეცნიერებაზე დაყრდნობით და არა მეცნიერება პოლიტიკის ცვალებადობათა მიხედვით. ერი, რომელიც აყალბებს საკუთარ ისტორიას, უარყოფს საკუთარ არსებობას და აღარბებს მსოფლიო საზოგადოებრიობას.

არაფრით არ არის გამართლებული ოფიციალური კონცეფცია, რომელიც ქართველი ერის დამცველად, მისი ინტერესებისათვის მებრძოლად, მხოლოდ ბოლშევიკებს წარმოიდგენს. სად იყვნენ ისინი, როცა ფედერალისტებმა (ვ. გელოვანი) იმპერიის სახელმწიფო სათაგბიროში 1912 წელს დასვეს საქართველოსათვის პოლიტიკური ავტონომიის საკითხი, როდესაც ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ აშკარად მოუწოდა სამშობლოს



დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისაკენ.

ისტორიული წარსული ადასტურებს იმ უცელობელ ფაქტს, რომ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ რუსეთის იმპერიაში, ერთადერთ რევოლუციურ ძალას სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია წარმოადგენდა, რომელიც ეროვნული დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გამოდიოდა და ეროვნული თვითგამორკვევის მოთხოვნა ერებს შიგნით პროლეტარიატის თვითგამორკვევის უფლებამდე დაჰყავდა. ნიშანდობრივია ისიც, რომ ბევრი მეორეხარისხოვანი საკითხის გამო მამასისხლად წაკიდებულობლშევიკები და მენშევიკები ერთსულოვანნი იყვნენ.<sup>1</sup> სწორედ ილიასადმი დამოკიდებულების საკითხში გამოვლინდა ნათლად ამ ხაზით აზრთა და მოქმედებათა ერთობა.

## **ეროვნებათშორის ურთიერთობათა ჩვეთლუსიუჩი თეორია**

მრავალეროვან იმპერიაში სოციალური სამართლიენობისათვის ბრძოლა ეროვნული სამართლიანობისათვის ბრძოლის ორგანული ნაწილია. ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სოციალ-დემოკრატიული პარტია (რსდმპ, შემდეგ რკპ(ბ), ბოლოს სკკპ) გვერდს ვერ აუვლიდა ეროვნულ საკითხს. 1903 წ. მიღებულ პროგრამაში მან ასახვა ჰყოვა დებულებაში ერთა თვითგამორკვევის იდეის სახით.

თვითგამორკვევის იდეის აბსტრაქტული დებულება ერთნაირად იყო გაგებული ბოლშევიკებისა და მენშევიკების მიერ, თუმცა არ გამოირიცხებოდა ცალკეული ასპექტების ორიგინალური წაკითხვა. საქართველოში მენშევიკ „ავტონომისტთა“ ჯგუფი (ლ. დარჩიაშვილის ხელმძღვანელობით) მტკიცედ მოითხოვდა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის უფლების ცნობას. არც ბოლშევიკური ნაწილი იყო ბოლომდე ერთსულოვანი.

1. ამის წინასწარი გათვალისწინება აუცილებელია, რათა სწორედ იქნას გაგებული ნ. ჟორდანიას გაორებული პოზიცია.



ცნობილია 1917 წ. აპრილის კონფერენციაზე ფ. მახარაძის გამოსვლა, როცა თვითგამორკვევის პრინციპს აკრიტიკებს მოტივით, რომ „ამ ფორმულაში“ ნებისმიერი აზრის ჩადება შეიძლება.

სხვადასხვა დროს ეროვნული თვითმყოფადობის პრინციპის შინაარსის გამო კამათი ჰქონდათ ბოლშევიკთა თეორეტიკოსებს ვ.ი. ლენინს, ლ. ტროცკის, გ. ზინოვიევს, ნ. ბუხარინს, გ. პიატაკოვს და ა.შ. თეორეტიკოსთა დავაში პრაქტიკოსებიდან ყველაზე აქტიურად ი. სტალინი ჩაერია და არც თუ უშედეგოდ.

როგორც ბევრ სხვა საკითხში ეროვნებათმორიის ურთიერთობების ხაზითაც გადამწყვეტი იყო სწორი თეორიული დებულებების შემუშავება. ამ იდეატე რეალიზაცია შემდეგ პრაქტიკოსთა საქმე ხდებოდა. როგორც იყო თეორია – ისეთი პრაქტიკა. ამდენად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თეორიის სისწორეს, მის მეცნიერულ ღირებულებას.

მრავალეროვან რუსეთის იმპერიას ისტორიულ ბედად ერგო ვ.ი.ლენინის მიერ შემუშავებული თეორია და პარტიის პროგრამა. საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწყისი უმნიშვნელოვანესი პერიოდი, ასევე აღინიშნება ეროვნულ ურთიერთობათა დარეგულირების ლენინური პრაქტიკით. შესაბამისად, თეორიასთან ერთად დიდ ფასეულობას იძენს საკითხების გადაწყვეტის ლენინური მეთოდები.

ათეულწლების მანძილზე, ოფიციალური სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა ეროვნულ საკითხში ლენინურ თეორიას წარმოადგენდა, როგორც ერთადერთ ჭეშმარიტებას, ყოველმხრივ დასაბუთებულს და მისაღებს ყველა დროსა და ყველა ხალხისათვის. თეორიის რეალიზაციის ლენინური მეთოდი ასევე იყო მიჩნეული საკითხის ყველაზე სრულყოფილ და ჰუმანურ გადაწყვეტად.

საკითხის ობიექტური შესწავლა არაორაზროვნად მიანიშნებს ლენინური თეორიისა და პრაქტიკის მნიშვნელოვან ხარვეზებზე, მის გაორებაზე, ურთიერთდაპირისპირებაზე.

ეროვნულ საკითხში ლენინური თეორია ეყრდნობოდა იმ ისტორიულ გამოცდილებას, რაც დაგროვილი იყო რევოლუციების მიერ და იმ რწმენას, რომ რუსეთის იმპერიაში შესაძლებე-



ლია სოციალური რევოლუცია, რომელიც ამ გამოცდილების ბაზაზე საკითხის გადაწყვეტას ბოლომდე მიიყვანს.

როგორი იყო რუსეთში სოციალური რევოლუციის შესაძლებლობანი და როგორი გამოცდილება?

მაქსისტური მოძღვრების თანახმად პირველი სოციალისტური რევოლუცია მოხდება იმ ქვეყანაში, რომელიც კაპიტალისტური განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწევს. ასეთი განვითარებისათვის ჯერ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს არ მიუღწევიათ. ისინი წინსვლის ბოლოსწინა საფეხურზე არიან. ამიტომ არც კი დგას იქ რევოლუციის საკითხი. რუსეთთან დაკავშირებით მარქსიზმი მიუთითებდა ბურჟუაზიული და გამორიცხავდა სოციალისტური რევოლუციის შესაძლებლობას.

მართლაც, რა სოციალიზმზე შიძლება ლაპარაკი ქვეყანაში სადაც მოსახლეობის დაახლოებით 165 მილიონიდან, სოციალისტური ბუნების მატარებელი პროლეტარიატი მხოლოდ 1,4 მილიონს შეადგენდა. სადაც იყო საშინელი ეკონომიკური დაკულტურული ჩამორჩენილობა, „ნახევრადველური“ მდგომარეობა. სადაც უკვე გამარჯვებული რევოლუციის ბელადი იხვეწება: „გთხოვთ ხელი მოაწეროთ დეპეშას (ან ტელეფონოგრამას: რატომ არ იძლევი (4) ქვას, აგვიხსენით მიზეზები, ნუ დაუშვებთ გაჭიანურებას“ (თხზ. ტ. 45, გვ. 140), ან ასეთი, „საჭიროა დავაჩქაროთ ტომრების გაგზავნა უკრაინის სურსათის სამხედრო კომისრის ამხ. ვლადიმეროვისათვის“ (იქვე გვ. 160) და ა.შ.

რას ეფუძნებოდა ვ.ი. ლენინის ოპტიმიზმი რუსეთში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ? რუსეთის თავისებურებას – ბურჟუაზიული რევოლუციებისათვის არნახულ ძალას, ორგანიზებულობას პროლეტარიატისა და ქვეყნის „საშინელ“ ჩამორჩენილობას, რასაც თან ახლდა ბურჟუაზიის სისუსტე (თხზ. ტ. 24 გვ. 138. რუს. გამ.) კიდევ უფრო გარკვევით ამ აზრს გადმოსცემს ი. სტალინი. იგი ამტკიცებს: „ისტორიამ ცხადყო, რომ ისეთ ქვეყნებში, სადაც კაპიტალიზმი შედარებით ახალგაზრდაა, სადაც ძლიერი, კონცენტრირებული პროლეტარიატი არსებობს და სადაც ნაციონალური ბურჟუაზია სუსტია, გაცილებით უფრო ადვილია დაამხო ბურჟუაზია, ვიდრე კაპიტალიზმის კლასიკურ ქვეყნებში“. (თხზ. ტ. 5 გვ. 98). ძალიან





კარგია, ლენინური თვალსაზრისის უფრო ნათელი, კონცენტრირებული გადმოცემა თითქმის შეუძლებელია. ამ მხრივ ყველაფერი იყო გათვალისწინებული გარდა მარქსისტული შეგონებისა. ფ. ენგელსი თავის დროზე აღნიშნავდა: ადამიანი, რომელიც ამტკიცებს, რომ რევოლუციის მოხდენა ადვილია იმ ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატი მცირერიცხოვანია, მაგრამ სანაცვლოდ არც ბურჟუაზიაა ძლიერი, ჯერ კიდევ საჭიროებს სოციალიზმის ანბანის შესწავლას. (მარქსი კ. ენგელსი ფ. თხზ. ტ.18, გვ. 538 რუს. ენ.) საკითხი ნათელია, მტყუანი და მართალი ცხოვერბამ გამოაჩინა. ამიტომ ხანგრძლივი შრომის, ბრძოლის, სისხლის ფასად დეფორმირებული სოციალიზმის მეტი ვერაფერი მიიღო საზოგადოებამ.

როგორი იყო ევროპის ბურჟუაზიული რევოლუციების გამოცდილება ეროვნულ ურთიერთობათა ხაზით? რას უნდა დაფუძნებოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიისა და კერძოდ ვ.ი.ლენინის კონცეფცია?

ამოსავალ კრიტერიუმს წარმოადგენდა დებულება, რომ ერთა თვითგამორკვევის უფლება არის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისა და მოძრაობის გაკვეთილი ლოზუნგი (თხზ. ტ. 27 გვ. 441 რუს. გამოცემა). და არა მხოლოდ ზოგადი ფორმულირება „არა მარტო ერთა თვითგამორკვევის მოთხოვნა, არამედ ჩვენი დემოკრატიული პროგრამა – მინიმუმის ყველა პუნქტი წინათ, ჯერ კიდევ XVII და XVIII საუკუნეებში, წამოაყენა წვრილმა ბურჟუაზიამ“ (თხზ. ტ. 22 გვ. 178).

რამდენადაც ეს ასეა, ბუნებრივია, რუსეთის იმპერიაში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა გვერდს ვერ აუვლიდა ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარებას. ეს უფლება აისახა პარტიის პროგრამაში, მაგრამ, რა შინაარსია ამ პრიციპში ჩადებული?

„ერთა თვითგამორკვევად – ცხადებს ვ.ი.ლენინი – იგულისხმება მათი სახელმწიფოებრივი გამოყოფა უცხო ერთა კოლექტივებისაგან, იგულისხმება დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა“ (თხზ. ტ.20, გვ. 483-484, გვ. 555). მართალია კაპიტალისტური განვითარება ყველა ერს არ აღვიძებს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის (გვ. 537), მაგრამ საკ-





ითხი ძირითადად წყდება და ამდენად „... ეროვნული მშვიდობა კაპიტალიზმის დროს განხორციელებულია (რამდენადაც ის საზოგადოდ განსახორციელებელია) მხოლოდ და მხოლოდ თანმიმდევრული დემოკრატიზმის ქვეყნებში“. (ტ. 20 გვ. 32). ერთა თვითგამორკვევის განხორციელება კაპიტალიზმის დროს (ტ. 22 გვ. 174-177) ქმნის დამოუკიდებელი, დაჩქარებული განვითარების საშუალებას, როგორც ეს მოხდა აზიის ერთადერთ დამოუკიდებელ ქვეყანაში – იაპონიაში (ტ. 20 გვ. 487). საბოლოო ანგარიშით, ჯერ კიდევ კაპიტალიზმის დროს „მთელი ცივილიზებული მსოფლიოსათვის ტიპური, ნორმალურ მოვლენას... ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს“ (ტ. 20, გვ. 483). ეს იმდენად აშკარაა, რომ მსოფლიო სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აზრით „ეროვნულად აჭრელებული სახელმწიფო კი ჩამორჩენილობა ან გამონაკლისია“ (ტ. 20, გვ. 488), უფრო ნათლად ძნელია აზრის გადმოცემა: სახელმწიფოს მრავალეროვნულობა მისი ჩამორჩენილობის ნიშანი ხდება (ტ. 20 გვ. 484-485).

ამრიგად, გამოდის რომ ბურჟუაზია წამოაყენებს ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგს, უმთავრესად ახორციელებს მას, ამით ერებს უქმნის დამოუკიდებელი განვითარების პირობებს და ახორციელებს საერთო ცივილიზაციას. რამდენადაც ასეთ პროგრესს აღწევს ბურჟუაზია, პროლეტარიატს, მის პარტიას არ შეუძლია იგი არ ასახოს თავის პროგრამაში. ეს ასეც ხდება.

ამ საწყისი პოზიციის განხორციელების შემდეგ საჭიროა სოციალ-დემოკრატიამ შეიმუშაოს ეროვნული საკითხის გადაწყვეტის პროლეტარული თეორია და პროგრამა. როგორაა ამ მხრივ მდგომარეობა?

სოციალ-დემოკრატიას პირველ რიგში სჭირდება ერის ცნების გამომუშავება. ესაა კრიტერიუმი, თუ არ იცი ერის რაობა, არსი, ნიშნები, ისე შეუძლებელია მეცნიერული თვალსაზრისის შემუშავება ერისა და ეროვნების, ეროვნებისა და ეთნოსის, ეროვნულ ურთიერთობათა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის და სხვა პრობლემებზე.

მიუხედავად დიდი ძალისხმევისა მსოფლიო სოციალ-დემოკრა-



ტიამ ვერ განსაზღვრა ერის რაობა. ვ.ი. ლენინის მრავალრიცხოვან ნაშრომებში ეს საკითხი გაუშუქებულია. ეს თავის მხრივ იწვევს ეროვნულ საკითხთა პრობლემატიკის არასწორ გააზრებას. ამ თეორიულ ბაზაზე დაყრდნობით შემდეგ აღვილია ამტკიცო დაუმტკიცებელი. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს მოცულობით უზარმაზარი და შინაარსობრივად ლატაკი საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურა. ზოგიერთნი მიდიან ისეთ „სიბრძნემდე“, რომ თურქული წარმოშობის სხვადასხვა ერების არსებობა გაუმართლებელია, საჭიროა ერთიანი მუსულმანური ერის აღიარება; არანაკლებ „გენიალურია“ სხვათა მტკიცება, რომ თუ ეთნოსი რიცხობრივად 100 ათასზე ნაკლებია იგი ეროვნებას წარმოადგენს, თუ მეტი - ერს. ბევრი ცდილობს ერის საკუთარი გაგების დასაბუთებას. ქართველ მკვლევართა უმრავლესობას საკუთარი პოზიცია ამ საკითხში პრაქტიკულად არ გააჩნია. ისინი მხოლოდ იმეორებენ ან დაობენ ი. სტალინის ფორმულირების ავ-კარგიანობაზე. ზოგჯერ იმეორებენ ერთსა და იმავეს და ფიქრობენ, რომ მსჯელობა აქვთ სხვადასხვა საკითხზე (ა.შეროზია, გ. ბრეგაძე). არის ორიგინალური აზრიც (ნ. ნათაძე). საბოლოო ანგარიშით პრობლემა გადაუჭრელი რჩება.

ვ. ი. ლენინის მცდელობა ერი გაიგოს, როგორც „ეროვნული სახელმწიფო“ (თხზ. ტ. 24, გვ. 385, რუს. გამ.). არაა ბოლომდე დასაბუთებული. სახელმწიფო მისი სრული ატრიბუტებით კი არის ერის არსებობის პირობა, მაგრამ ხომ შეიძლება ერთი ერი დაიპყროს მეორემ? მაშინ სახელმწიფოებრიობა დაკარგული ერი ეროვნულობას კარგავს? ეცლება მას არსი? ალბათ, არა!

ასევე გაუმართლებელია ერთიანი სახელმწიფოს (ერთიანი ტერიტორიით ეკონომიკით) მიჩნევა ერის არსად (ტ. 25, გვ. 270, რუს. გამ.).

კიდევ უფრო ართულებს საკითხის გარკვევას ცნობილი ლკენინური დებულება, „ორი ერია თვითეულ თანამედროვე ერში“ (ტ. 20, გვ. 21). აქედან გამომდინარე რა არის ერი? ხომ არ არის იგი დაყვანილი კლასის ცნებამდე?

საყოველთაოდ აღიარებულია აზრი, რომ ერის განმარტება, მისი ყოველმხრივი დასაბუთება მოგვცა ი. სტალინმა. ამიტომ



ითვლება იგი ეროვნული საკითხის უდიდეს (ვ.ი. ლენინის შემდეგ) სპეციალისტად. ამიტომ ანდეს მას საბჭოთა პირველ მთავრობაში ეროვნებათა საქმის კომისიის თანამდებობა, ამიტომ ჩაუყენეს სათავეში კომისიას, რომელმაც საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების პირობები უნდა განესაზღვრა.

სხვებისაგან განსხვავებით ი. სტალიანის მსჯელობა გამოირჩევა ღრმა შინაგანი ლოგიკურობით, აზრის სიცხადით, ლაკონიურობით, იგი ძირითადად გამომდინარეობს ლენინური კონცეფციისგან და აკეთებს დასკვნას: „ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა“ (თხზ. ტ.2; გვ. 319). რა კარგადაა ჩამოყალიბებული, როგორაა შინაგანად შეკრული, რა იქნებოდა სიმართლეს რომ შეიცავდეს? მაგრამ ეს ასე არაა, მიუხედავად გაფრთხილების: „არც ერთი... ნიშანი, ცალკე აღებული, არ კმარა ერის განსაზღვრასათვის. უფრო მეტიც, საკმარისია არ იყოს თუნდაც ერთი ამ ნიშნთაგანი, რომ ერად აღარ დარჩეს“ (იქვე).

უნდა მიეთითოს ვ.ი. ლენინისა და ი. სტალიანის მსჯელობათა დაპირისპირებულობაზე. პირველს მიაჩნია, რომ ერი არის ეროვნული სახელმწიფო. მეორე საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკურ სფეროს საერთოდ არ ითვალისწინებს. პირველი მიიჩნევს, რომ ავსტრიელი გერმანელები ერის ნაწილია, თუმცა ცალკე აქვთ სახელმწიფო, ეკონომიკა, ტერიტორია და ალბათ კულტურაც. მეორე ფიქრობს, რომ რომელიმე ნიშნს გამოკლება ნიშნავს ერი „ერად აღარ დარჩეს“. პირველის თვალსაზრისი გაორებულია: ჯერ ამბობს, რომ ეროვნული სახელმწიფო არის ერი, შემდეგ გერმანული, ერთიანი ერისათვის შესაძლებლად თვლის სხვადასხვა სახელმწიფოთა არსებობას. მეორე თვალსაზრისიც გაორებულია: უარყოფ სახელმწიფოს მნიშვნელობას და ავერ ასაბუთებს როგორ ჩამოყალიბდება ტერიტორიის, ეკონომიკის, კულტურის ერთობა სახელმწიფოდ გაერთიანების გარეშე.

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ისტორია არ ადასტურებს არც ერთი მათგანის სრულ სისწორეს. დღესაც არსებობს ორი



გერმანული, კორეული სახელმწიფოები სხვადასხვა ტერიტორიებით, ეკონომიკით, კულტურით, მაგრამ ეს ვერ არღვევს ერის ერთიანობას. არავინ შეეცდება დაამტკიცოს ორი ქართველი, სომეხი და სხვა ერების არსებობა ი. სტალინის მიერ მოცემული ნიშნების გამო ან ვ.ი. ლენინის „ეროვნული სახელმწიფოს“ ნიშნით.

სახელმწიფოს, როგორც არსის უარყოფა არ ნიშნავს მისი მნიშვნელობის საერთო უარყოფას. ერის ერთიანობა, მისი ჩამოყალიბება, სახელმწიფოს წარმოშობასთან დაკავშირებული. ცივილიზებულ სამყაროში სახელმწიფო ერის დამოუკიდებელი არსებობის ფორმაა, სხვანაირად, ეროვნულობის გამოხატულებაა, მისი ფორმაა. ამიტომ იბრძვის ყოველი ერი დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის.

თუ ცივილიზებულ სამყაროში სახელმწიფოა ერის არსებობის ფორმა, მაშინ უნდა ითქვას, რომ ეს ტიპიური მოვლენაა, რომელიც არ გამოირიცხავს ცალკეულ პერიოდებში სახელმწიფოს გარეშე არსებობას და თუ ეს ასეა, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ სახელმწიფოში, ისევე როგორც საერთო თანაცხოვრების ფორმების გამოშუშავებისას საჭიროა გარკვეული წესის გამონახვა. ასეთი წესია ენა. იგი ერის არსს კი არ გამოხატავს, არამედ, მისი არსებობის წესს, რომელიც არ გამოირიცხავს ერის ნაწილის მიერ მისი დაკარგვის შესაძლებლობას. რაც შეეხება არსს იგი ადამიანთა გენეტიკურ-ფსიქიკური წყობის ერთობაშია. გენეტიკურ-ფსიქიკური წყობის ერთობა აიძულებს ადამიანებს, ჯგუფებს, თანაცხოვრების ჩვეული წესის, ჩვეული ფორმის დაკარგვის შემთხვევაშიც თავი ერის განუყრელ ნაწილად იგრძნოს.

დღეს მეცნიერებს შორის მუდმივი ძიება და დისკუსიაა ერის რაობის შესახებ. დასკვნა, რომ ვ.ი. ლენინმა ვერ შესძლო ერის კატეგორიის ახსნა, ხოლო ი. სტალინის ფორმულირება არაა სრულყოფილი, აიძულებს მათ იკვლიონ ჭეშმარიტება და ეროვნებათშორისი ურთიერთობების საკითხი ამით მეცნიერულ საფუძველზე დააყენონ. დასავლეთის მეცნიერებს შორის განმარტებისას ეთნოსის ნიშნები სჭარბობს, საბჭოთა მეცნიერები უპირატესობას ერთიან ტერიტორიასა და ერთიან ეკონომიკას



ანიჭებდნენ. ეკონომიკა, როგორც ცხოვრების საფუძველი თუ აყვანილი იქნა ცხოვრების ნიშნამდე, მაშინ ძნელი აღარაა მივიდეთ დასკვნამდე: საბჭოთა რუსეთს აქვს ერთი ტერიტორია, ერთი ეროვნებათშორისი ურთიერთობის ენა, ერთი სოციალისტური შინაარსის კულტურა და რაც მთავარია ეკონომიკა, რომელიც ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსს შეადგენს. რით არ საბუთდება ი. სტალინის მიერ აღნიშნული ნიშნების არებობა და ამით, ახალი ისტორიული ერთობის – საბჭოთა ხალხის, დასაწყისში, შემდეგ კი საბჭოთა ერის არსებობა? განა შეიძლება უარყოფა, რომ დაჩქარებული ტემპით ინერგება პრინციპი – ერთი სახელმწიფო, ერთი კანონი, ერთი მთავრობა, ერთი ენა?

ზოგჯერ ის რაც მისაღებია საბჭოთა მეცნიერებისათვის, არ აწყობს სხვა სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებს და იქ ავითარებენ ისეთ თვალსაზრისს, რომელიც გაამართლებდა ორი გერმანელი ერის არსებობას. ა. კოზინგი დასავლეთ გერმანიაში მიღებულ დებულებას ერთიანი გერმანელი ერის შესახებ „ფიქციად“ მიიჩნევს და ცდილობს ერის კატეგორია სახელმწიფო ერთეულის კატეგორიაზე დაიყვანოს. კიდევ უფრო მეტ საკვირველებას ჰქონდა ადგილი საბჭოთა კავშირში. ხელმძღვანელობის დადგენილებით ყალიბდებოდნენ ახალი ერები, ისპობოდნენ ძველი და ა.შ.

ერის კატეგორიის უცოდინარობა ხელს უწყობს ისეთ აღმოჩენას, როგორცაა გაბატონებული აზრი ერის ჩამოყალიბების ისტორიული საზღვრების შესახებ. ამასთან აღმოჩენის საფუძვლად მიღებულია მარქსიზმის სრულიად ჭეშმატირი დებულება, რომ ტერიტორიული დაქუცმაცების მოსაზრებას, ერის გაერთიანებას ერთი მთავრობით, კანონით, საზღვრებით (მარქსი კ.; ფ. ენგელსი. თხზ. ტ.1; გვ. 68-69, ტ.4 გვ. 428). ამ დებულებაზე დაყრდნობით ვ.ი. ლენინი აკეთებს დასკვნას, რომ ერი არის ბურჟუაზიული ეპოქის აუცილებელი ფორმა და შედეგი. ვ.ი. ლენინის დასკვნიდან გამომდინარე, ი. სტალინი მიუთითებს განვითარებადი კაპიტალიზმის პერიოდში ერების ჩამოყალიბების შესახებ. ამ ბაზაზე საბჭოთა მეცნიერები ადვილად ასაბუთებენ კაპიტალიზმამდე ერების არსებობის შეუძლებლობას. გამოდის,



რომ ბურჟუაზიულ ეპოქამდე ერი არ არსებობს და გამოირიცხება ფეოდალური ან მონათმფლობელური ერის ფაქტი. მაგრამ თუ ავიღებთ ვ.ი. ლენინის ფორმულირებას, რომ ერი არის ეროვნული სახელმწიფო, მაშინ სრულიად შესაძლებელია ფეოდალური, მონათმფლობელური ერების არსებობის აღიარება. რომელი ნიშანი აქვს დასახელებული ი. სტალინს, რომელიც უარყოფდა მონათმფლობელური ერის არსებობას? საკითხის ასეთ გაგებას მარქსისტული დებულებაც არ ეწინააღმდეგება. მაშინ საიდანაა დასკვნა, რომ კაპიტალიზმამდე ერები არ არსებობდნენ? იმ სურვილიდან ხომ არაა, რომ თუ კაპიტალიზმამდე ერები არ არსებობდნენ, მაშინ მათი დამოუკიდებელი არსებობის მოსპობა, მათი შეერთება, შერწყმა, ასიმილაცია გამართლებულია კაპიტალიზმის მოსპობის შემდეგ? ხომ არ იქნება ამით თეორიული გამართლება ახალი თეორიული ერთობის – საბჭოთა ხალხის დებულებისათვის?

მოკლე მსჯელობაც ცხადყოფს რამდენ სირთულეს ქმნის სოციალ-დემოკრატების მიერ ერის კატეგორიის გაურკვეველობა. ეს სირთულეები კიდევ უფრო მატულობენ ამ საფუძველზე, ახალ, იმპერიალიზმის სტადიაზე ერთა თვითგამორკვევის უფლების პროლეტარული გაგების სოციალ-დემოკრატიული ინტერპეტაციის დროს.

პირველ რიგში, გაძლიერებულ ინტერესით უნდა განიხილებოდეს თვითგამორკვევის უფლების აბსტრაქტული ხასიათი. თვითგამორკვევის უფლებად ბევრი რამის მიჩნევა შეიძლება. ასეთ დროს საჭირო ხდება ცოდნა იმისა, რომ ეს ორი სხვადასხვა ცნებაა. ეს სხვადასხვა განზომილებაა.

მეორე რიგში, საჭიროა ზღვარის გავლება თვითგამორკვევის უფლების, როგორც თეორიული დებულების აღიარებისა და თვითგამორკვევის პრაქტიკის მიზანშეწონილების აღიარებას შორის.

მესამე რიგში, უნდა განისაზღვროს თვითგამორკვევის პრონციპის საკითხი. საჭიროა ცოდნა, სოციალ-დემოკრატია ემხრობა კონფედერაციის, ფედერაციის თუ ავტონომიზაციის პრინციპს. რომელი მათგანის გამოყენებით ფიქრობს საკითხის მოგვარებას.

ამ პოზიციიდან, თვითგამორკვევის უფლების სოციალ-დემოკრა-



ტიული გაგება, ასეთ შინაარსს იძენს: რამდენადაც ბურჟუაზიული რევოლუციები წამოაყენებენ და შესაძლებლობის ფარგლებში ახორციელებენ ამ მოთხოვნას იმ ზომამდე, რომ მრავალეროვანი სახელმწიფოები იშლება, იქმნება დამოუკიდებელი და ეს ხდება ყველგან, გარდა ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის იმპერიებისა. ამდენად, სოციალ-დემოკრატიული (კომუნისტური) პარტიის პროგრამაში ერთა თვითგამორკვევას „ისტორიულ-ეკონომიკური თვალსაზრისით, არ შეიძლება სხვა მნიშვნელობა ჰქონდეს, თუ არა პოლიტიკური თვითგამორკვევის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, ეროვნული სახელმწიფოს შექმნის მნიშვნელობა“ (თხზ. ტ. 20 გვ. 488; ტ. 22, გვ. 177) აქედან ჩანს, რომ ვ.ი. ლენინი მართებულად საზღვრავს თვითგამორკვევის ბურჟუაზიულ პრინციპს, რომელიც კომუნისტების პროგრამული საკითხი ხდება.

თვითგამორკვევის ბურჟუაზიული პრინციპის პროლეტარულ მოთხოვნად აღიარება ობიექტური აუცილებლობით ნაკარნახევი ნაბიჯია. მუშათა სოციალ-რევოლუციური მოძრაობას არ შეუძლია გვერდი აუაროს იმ ფაქტს, რომ რუსეთში ადგილი აქვს მძლავრ ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობას, სურვილს გამოეყონ მეტროპოლიას და შექმნან დამოუკიდებელი, ერთიანი, ეროვნული სახელმწიფოები. ამიტომ და ამდენად, ვ.ი. ლენინის განსაზღვრით პარტიას პროგრამაში სჭირდება პუნქტი თვითგამორკვევის უფლების აღიარების შესახებ (თხზ. ტ.25, გვ. 269, რუს. გამ).

ვ.ი. ლენინის ამ დებულებიდან გამომდინარე, რომ თვითგამორკვევის უფლების აღიარება მდგომარეობით განპირობებული ღონისძიებაა და არა რევოლუციური რწმენა. ამიტომ იგი არ შეიძლება მიჩნეული იქნეს მნიშვნელოვან პრინციპად, რომელსაც ყოველთვის ანგარიში უნდა გაეწიოს. ეს იქნებოდა „ათჯერ“ იმის გადაჭარბება, რაც სინამდვილეში სურთ სოციალ-დემოკრატებს (თხზ. ტ. 30, გვ. 387, V, რუს. გამ). თვითგამორკვევა აღიარებული უნდა იქნეს იმდენად, რამდენადაც ცხადია, რომ იგი „მსოფლიო მოძრაობის ნაწილაკია. შესაძლებელია ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში ნაწილაკი საერთოს ეწინააღმდეგებოდეს, მაშინ იგი უნდა უკუვაგლოთ“ (თხზ. ტ. 22, გვ. 434). აზრი ნათელია:





თვითგამორკვევის უფლების აღიარება ხელს უნდა უწყობდეს საერთო პოლიტიკურ მოძრაობას, მაგრამ თუ რომელსაღე ერში იგი წინაპლანზე წამოიწევს, დაჩრდილავს სოციალისტური მოძრაობის მნიშვნელობას, მისი უკუგდება ბუნებრივად მოხდება. ეს საკითხი იმდენად ნათელია, რომ თვით კაპიტალიზმის პირობებშიც სოციალ-დემოკრატია ერთა თვითგამორკვევას კი არ მიესწრაფვის, არამედ ეწევა ასეთ აგიტაციას პოლიტიკური მოძრაობის გაერთიანება-გაძლიერების მიზნით, ერთი მხრივ, და ბურჟუაზიაზე ზემოქმედების მიზნით, მეორესი. „როცა ჩვენ ვაყენებთ ლოზუნგს: - ამბობს ვ.ი. ლენინი – თვითგამორკვევის თავისუფლება, ჩვენ მთელი აგიტაციით მოვითხოვთ მჩაგვრელებისაგან: ეცადონ შეინარჩუნონ ხელსაყრელობით, კულტურით და არა ძალადობით“ (თხზ. ტ.39, გვ. 770). ამ მიმართულებით ვ.ი. ლენინს განსაკუთრებით მოსწონს და სანიშნოდ მიაჩნია ამიერკავკასიის მთავარმართებლის ვორონცოვის მოქნილი პოლიტიკა, რომელიც კოლონიზატორულ მიზნებს აღწევდა მოტყუებით, დაყვავებით, შემოვლითი ხერხებით და არა შიშველი იძულებით.

სოციალ-დემოკრატია თავის მოღვაწეობაში უნდა ითვალისწინებდეს ვორონცოვის გამოცდილებას და თვითგამორკვევის პრინციპი უნდა აღიაროს, რამდენადაც „თავისუფალი კავშირი... ყალბი ფრაზა გამოყოფის თავისუფლების გარეშე“ (ტ.22, გვ. 174). სოციალ-დემოკრატია აღიარებს რა პრინციპს, სინამდვილეში უნდა მიესწრაფოდეს არა ცალკეული ერის თვითგამორკვევას. არა, რადგან „საჭირო არ არის ეს ვითომდა „უფლებები“ წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული იდეოლოგიის ნაშთი“... (ტ.39, გვ. 793). პარტიამ ეს ნიშანი არ უნდა გაიგოს როგორც რეალური „გამყოფის, დაქსაქსვის, წვრილ სახელმწიფოთა შექმნის“ მოთხოვნა (ტ.22, გვ. 177) პარტიამ უნდა იცოდეს, რომ სინამდვილეში „თვითგამორკვევა გულისხმობს უკლასო საზოგადოებას. გულისხმობს ერის განკერძოებულობას“... რაც პრაქტიკულად უტოლია (ტ.39 გვ. 792).

სოციალ-დემოკრატიისათვის თვითგამორკვევის უფლების აღიარება კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგია, იარაღია, რომელიც საჭირო აღარ იქნება მომავალი საზოგადოების ღროს,





რადგან პარტია მიესწრაფვის სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა გაერთიანებას და არა გათიშვას. თვითგამორკვევა გათიშვაა. ამიტომ... “ სოციალიზმშია არა თვითგამორკვევა, არამედ ერთობლივი გარკვევა“ (ტ.39 გვ. 792).

სოციალ-დემოკრატიის ფუძემდებლური აზრია მსოფლიო პროლეტარიატის გაერთიანება და არა გათიშვა, განკერძოება. ამ სტრატეგიული პოზიციიდან შეიძლება თვითგამორკვევის უფლების პარტიის პროგრამაში შეტანა. ამ პრინციპს პარტიამ უნდა შეხედოს „მუშათაკლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით“ (ტ.20 გვ. 503).

კლასობრივი ბრძოლის ინტერესები მრავალეროვან იმპერიაში მთელი სიმწვავეთ აყენებდა კლასობრივისა და ეროვნულის, ეროვნულისა და ზოგადსაკაცობრიოს დიალექტიკური თანაფარდობის საკითხს. ვ.ი. ლენინი, სოციალ-დემოკრატიული პარტია თანაფარდობის დიალექტიკას კლასობრივი, პარტიული პოზიციებიდან იხილავდნენ. ამიტომ მიაჩნდათ მისაღებად, რომ პროლეტარიატმა უნდა აღიაროს „ერთა თვითგამორკვევის, გამოყოფის უფლება, - ხოლო ამასთან ერთად... დაიცვას პროლეტარული ბრძოლისა და პროლეტარული ორგანიზაციების ერთიანობა, მათი უმჭიდროესად შედუღება, ინტერნაციონალური ერთობა,“ (ტ.20, გვ.559) გამოყოფის უფლების აღიარება ზრდის ნდობას, რწმენას ჩაგრული ერების მხრივ და ამდენად „ამცირებს „სახელმწიფოს დაშლის“ საშიშროებას“ (ტ.20 გვ.516).

ვ.ი. ლენინის მიერ საკითხი ღრმად გააზრებულია და ყოველმხრივ დასაბუთებული. მრავალეროვან სახელმწიფოში, სადაც ადგილი აქვს მძლავრ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, გვარდს ვერ აუვლი თვითგამორკვევის და გამოყოფის უფლების აღიარებას. ეს გამოიწვევს ჩაგრული ერების უნდობლობას, მათ ჩამოშორებას სოციალურ-გამანთავისუფლებელი ბრძოლისაგან, ეროვნულ ბურჟუაზიასთან მათ კონსოლიდაციას. მით უმეტეს, რომ ეროვნული ბურჟუაზია უდგას სათავეში ეროვნულ მოძრაობას. აღიარება კი ჩაგრული ერის პროლეტარიატის თვალში ერთ სიბრტყეზე აყენებს ეროვნული და სოციალური თავისუფლების საკითხს, სთიშავს მას ეროვნული ბურჟუაზიისაგან და აახლოვებს მჩაგვრელი ერის პროლეტარ-



იატთან. ამით სოციალ-დემოკრატიული პარტიის საბოლოო მიზანი უფრო ხელშესახები და ადვილად განსახორციელებელი ხდება. ეს აახლოებს მიზანს და ამცირებს მრავალეროვანი სახლემწიფოს დაშლის შესაძლებლობას.

რამდენადაც „მუშათა კლასის ინტერესები, კაპიტალიზმის წინააღმდეგ მისი ბრძოლის ინტერესები მოითხოვს ყველა ერის მუშების სრულ სოლიდარობას და უმჭიდროეს ერთობას მოითხოვს, რომელიც უნდა იყოს ეროვნების ბურჟუაზიის ნაციონალისტური პოლიტიკისადმი წინააღმდეგობის გაწევას“ (ტ.20, გვ.519), ამდენად ბურჟუაზიას უნდა წართმეოდა ინიციატივა – ყოფილყო ეროვნული საქმის წინამძღოლი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ თვითგამორკვევის აღიარება ამ საქმეს წარმატებით წაადგებოდა, მაგრამ ეს უნდა ყოფილიყო გაკეთებული ტაქტიკური მოსაზრებით, რადგან სტრატეგიული ჩანაფიქრი მოითხოვდა მართლა გამოყოფას, არამედ შერწყმას. გამორკვევის თავისუფლება „იქნება მდიდარი კულტურული ცხოვრების საფუძველი, ერთა ნებაყოფლობითი დაახლოებისა და შერწყმის პროცესის დაჩქარების საწინდარი“. (ტ.22 გვ.431). თუ „სოციალიზმის მიზანია არა მარტო მოსპოს წვრილ სახლემწიფობად კაცობრიობის დაქსაქსულობა და ერთა ყოველგვარი განცალკევებულობა, არა მარტო დაახლოოს ერები, არამედ მათი შერწყმაც მოახდინოს“ (ტ.22 გვ. 178), მაშინ პარტიას არა მხოლოდ უნდა ეღიარებინა გამორკვევის თავისუფლება, არამედ უნდა აღენიშნა კიდევ, რომ ამ უფლების თანახმად, საკითხის გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ „გამოსაყოფი ოლქის“ მმართველობის ორგანოს ან მოსახლეობას. ასეთი პოზიცია ხელს შეუწყობდა იმას, რომ ჩაგრული ერების პროლეტარიატს მხარი დაეჭირა არა საკუთარი ერის ბურჟუაზიისათვის, არამედ მჩაგვრელი ერის პროლეტარიატისათვის საკუთარი ბურჟუაზიის და ამდენად მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში. რაც შეეხება მჩაგვრელი ერის პროლეტარიატს, მისი პოზიცია თავიდანვე გულისხმობს მხარის დაჭრას, მიღებას, განხორციელებას, ყოველივეს „რაც ხელს უწყობს ეროვნულ განსხვავებათა მოსპობას... ყველაფერს, რასაც ერთა შეღუღებისაკენ მივყავართ“ (ტ.20 გვ.25)



ვ.ი. ლენინი კლასობრივისა და ეროვნულის დიალექტიკურ ერთობაში უპირატესობას კლასობრივს ანიჭებს, მიაჩნია, რომ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლაა მთავარი და „ამ ბრძოლის ინტერესებს უნდა დავუმორჩილოთ ჩვენ ნაციონალური თვითგამორკვევის მოთხოვნა“ (ტ.6 გვ.564). უფრო მეტი, „თვითგამორკვევის თავისუფლებისათვის ბრძოლის უთუო აღიარება სრულიადაც არ გვაკალდებულებს მხარი დაუჭიროთ ნაციონალური თვითგამორკვევის ყოველ მოთხოვნას. სოციალ-დემოკრატია, როგორც პროლეტარიატის პარტია, დადებით და მთავარ ამოცანად ისახავს ხელი შეუწყოს არა ხალხებისა და ერების, არამედ თვითეული ეროვნების პროლეტარიატის თვითგამორკვევას. ჩვენ ყოველთვის და უსათუოდ უნდა მივისწრაფოდეთ ყველა ეროვნების პროლეტარიატის უალრესად მჭიდროდ შეერთებისაკენ“ (ტ.6 გვ.564)

ვ.ი. ლენინი არაორაზროვნად მიუთითებს, რომ პარტიისათვის ერთა თვითგამორკვევა, გამოყოფა, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლების აღიარება, არის ლოზუნგი მიმართული ბურჟუაზიის წინააღმდეგ. სინამდვილეში პარტია ხელს უწყობს არა ერთა, არამედ ერების შიგნით პროლეტარიატის თვითგამორკვევას. „ჩვენი მხრივ – აღნიშნავს იგი – ვზრუნავთ არა ხალხთა და ერთა თვითგამორკვევისათვის, არამედ თითოეული ეროვნების პროლეტარიატის თვითგამორკვევისათვის.“ /ტ.6 გვ. 404/. ასეთი პოზიცია ვ.ი. ლენინისათვის სრულიად კანონზომიერია, რადგან ერთა თვითგამორკვევას საქმე მიჰყავდა იმპერიის დაშლისკენს, დამოუკიდებელი პატარა სახელმწიფოების აღმოცენებისაკენ, მაშინ როდესაც ყოველი ერის შიგნით პროლეტარიატის თვითგამორკვევა ხელს შეუწყობდა ერების დაახლოება, შერწყმა, „შედულებას“.

ამ ღრმა ჩანაფიქრიდან გამომდინარე პარტიას ისე უნდა აეგო თვისი იდეოლოგიურ-ორგანიზაციული მუშაობა, რომ ორივე ფრონტზე, ორივე საკითხში (ეროვნული და სოციალური) წარმატების თანაბარი შანსი ყოფილიყო, რომ ეროვნულ საკითხს ხელი კი არ შეემალა, არამედ შეეწყო სოციალურ-კლასობრივი ბრძოლის წარმატებისათვის. შესაბამისად უნდა შემუშავებულიყო პარტიის ტაქტიკა. ეს მით უფრო, რომ რუსეთის იმპერი-



ამი ჩაგრული ერების სვედრითი წილი მოსახლეობის 57% შეადგენდა. ამასთან ჩაგრულთა უმრავლესობა იმპერიის განაპირა მხარეებში ცხოვრობდა და კულტურულად რუსებზე მალლა იდგა, რის გამო მათი ჩაგვრა რუსების მხრივ „განსაკუთრებით ბარბაროსული და შუასაუკუნებრივი ხასიათით“ ხასიათდებოდა (ტ.22 გვ.188). ასეთ თავისებურ პირობებში „ჩვენ რომ აგიტაციის ღრის გამოყოფის უფლების ლოზუნგი არ წამოვაყენოთ და არ გავატაროთ, - ასკვნიდა ვ.ი. ლენინი – ჩვენ ხელს შევეუწყობთ მხაგვრელი ერის არა მარტო ბურჟუაზიას, არამედ ფეოდალებსაც და აბსოლუტიზმსაც“ (ტ.20 გვ.503). ამდენად, სოციალ-დემოკრატიისათვის მრავალეროვან რუსეთის იმპერიაში თვითგამორკვევის უფლება არა რწმენის, არამედ აუცილებლობის ძალით უნდა ყოფილიყო მიღებული. ლოზუნგის მიღება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ბრძოლას მისი განხორციელებისათვის. ლოზუნგის აღიარება ერთია, განხორციელება მეორე. უბრალოდ, განხორციელება შორეული მომავლის საქმედ ესახებოდა პარტიას, ლოზუნგი კი თავიდანვე სჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, ლოზუნგი, რომლის არ მიღება არ შეეძლო, მაინც გარკვეულ პირობებთან იქნა დაკავშირებული. თუ ერთი მხრივ „პროლეტართა შეერთების ინტერესი, მათი კლასობრივი სოლიდარობის ინტერესი მოითხოვს ერთა გამოყოფის უფლების აღიარებას“ (ტ.20 გვ.545), „მეორე მხრივ, ჩაგრულ ერთა სოციალისტები განსაკუთრებით უნდა იცავდნენ და ცხოვრებაში ატარებდნენ ჩაგრული ერის მუშათა სრულსა და შეჭველ, მათ შორის ორგანიზაციულ ერთიანობასაც მხაგვრელი ერის მუშებთან“ (ტ.22 გვ. 179). ვ.ი. ლენინი შემთხვევით როდი აკეთებს ასეთ ფორმულირებას, მხაგვრელი ერის პროლეტარიატი, მისი პარტია „აღიარებენ“ თვითგამორკვევის უფლებას, ხოლო ჩაგრული ერის პროლეტარიატი, მისი სოციალისტები უნდა „იცავდნენ და ცხოვრებაში ატარებდნენ“ შეერთების პოლიტიკას“. ერთი მხრივ აღიარებაა, მეორე მხრივ გაკეთება, ერთი მხრივ სიტყვაა, მეორე მხრივ საქმე. საკითხის ასეთ ღრმაშიანარსიან დაყენებას კარგი გააზრება სჭირდება.

იმისათვის, რათა საკითხის სხვანაირი გაშიფვრის საფუძველი არ ღარჩეს ვ.ი. ლენინი დაბეჯითებით აღნიშნავდა, რომ



მჩაგვრელი ერის პროლეტარიატი უეჭველად უნდა მოითხოვდეს „კოლონიათა და ერთა პოლიტიკური გამოყოფის თავისუფლებას“ (ტ. 22 გვ. 179). შესაბამისად, პატარა კოლონიური, ჩაგრული ერის პროლეტარები უნდა იბრძოდნენ, რათა „კერძოს ინტერესები დაუმორჩილდეს ზოგადის ინტერესებს“. ისინი ერთდროულად უნდა იყვნენ „თავისი ერის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მომხრეც და მისი მეზობელ სახელმწიფოებთან შეერთების მომხრეც“ (ტ.22 გვ.442).

საკითხის ლენინისეული გააზრება გასაგებად ადვილიცაა და ძნელიც. არის საფრთხე ადამიანმა აქ შინაგანი წინააღმდეგობა დაინახოს. ეს რომ გამოირიცხოს ვ.ი. ლენინი მიუთითებს: „ადამიანები, რომლებიც საკითხს არ ჩაჰკვირვებიათ, „წინააღმდეგობას“ ხელავენ იმაში, რომ მჩაგვრელ ერთა სოციალ-დემოკრატები დაბეჯითებით მოითხოვენ „გამოყოფის თავისუფლებას“, ხოლო ჩაგრულ ერთა სოციალ-დემოკრატები - „შეერთების თავისუფლებას“. მაგრამ... სხვა გზა... ერების შეერთებისაკენ... არ არის“ (ტ.22, გვ.442). მართლაც აზრი თითქოს აბსურდულია. მჩაგვრელი ერის წარმომადგენლები, რატომ უნდა ფიქრობდნენ ჩაგრულთა განთავისუფლებას თუ მიზნად გაერთიანება და „შედულება“ აქვთ, ან ჩაგრული ერის წარმომადგენლები რატომ უნდა იბრძოდნენ მჩაგვრელი ერის წარმომადგენლებთან გაერთიანებისათვის, როდესაც ბუნებრივი მიზანი ეროვნული და სოციალური თავისუფლება უნდა იყოს? საქმე იმაშია, რომ სოციალ-დემოკრატიის ამოცანა, კრედი, რომელიც საერთოა ყველა ქვეყნის, ერის, პროლეტარიატისათვის, ერთობრივ ბრძოლას მოითხოვს. იმის მიხედვით თუ ვის როგორ ესმის ერთობრივი ბრძოლა-საბოლოო ანგარიშით წყდება თვითგამორკვევის საკითხი.

სოციალ-დემოკრატებს და პირადად ვ.ი. ლენინს მიაჩნდა, რომ რუსეთის იმპერიის ფარგლებში სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლა საერთო საზრუნავი უნდა ყოფილიყო ყველა ერის მშრომელებისათვის და ამდენად ისინი ერთი მიზნით, ერთ ორგანიზმში უნდა ყოფილიყვნენ გაერთიანებული. და თუ ეს ასეა, მაშინ „მთელი რუსეთის მარქსისტებისა და პირველ რიგში ველიკორუსების მიერ ერთა გამოყოფის უფლების აღიარება სრულიადაც არ გამოირიცხავს ამა თუ იმ ჩაგრული ერის



მარქსისტების მხრივ გამოყოფის წინააღმდეგ ავიტაციას“ (ტ.20 გვ.556-557). შესანიშნავად მოფიქრებული ტაქტიკური ხაზია. ერთა თვითგამორკვევის უფლების უარყოფა მჩაგვრელი ერის სოციალ-დემოკრატიას არ შეუძლია, მაგრამ აღიარებს იმ პირობით თუ ერი არ მოიფიქრებს გამოყოფას. რომ მოიფიქროს და მოინდომოს?

ამისათვის რათა გასაგები გახდეს პარტიული თვალსაზრისი ეროვნულ საკითხზე, არაა საკმარისი ცოდნა, რომ ერის ცნება არ იქნა შეზღუდული და დღემდის საკითხი გაურკვეველია, რომ პარტიის პროგრამაში ასახული ერთა თვითგამორკვევის უფლება იყო იძულებითი სიტყვიერი აღიარება, რომლის პრაქტიკული რეალიზაცია არც ერთ ეტაპზე სერიოზულად ჩაფიქრებული არ ყოფილა. საჭიროა აგრეთვე ცოდნა თუ როგორ ფიქრობდნენ სოციალ-დემოკრატები მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზაციას, რა მეთოდებით ეცდებოდნენ მის განხორციელებას, რა პრინციპებს ეფუძნებოდა მათი კრედო.

## **ეროვნებათშორისი ურთიერთობის ღვინეური პრინციპები**

ერთა თვითგამორკვევის უფლების სოციალ-დემოკრატიული კრედო ის თეორიული საფუძველია, რომელზეც უნდა აგებულიყო პარტიის პროგრამა. პროგრამის ძირითადი მოთხოვნები საყოველთაოდ ცნობილია და კამათს არ იწვევს. მართლაც, როგორ შეიძლება ვინმეს მიუღებლად მოეჩვენოს თანასწორუფლებიანობის პრინციპის აღიარება. ყველა ეროვნების მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა კარგი დებულებაა, მაგრამ ერთიანი, ცენტრალიზებული, ერთეროვანი სახელმწიფოს შიგნით.

ერთა თვითგამორკვევის სხვა ასპექტი გააჩნია. ამ შემთხვევაში უნდა გაირკვეს ურთიერთობა თავის ისტორიულ ტერიტორიაზე კომპაქტურად მცხოვრებ ერებს შორის, რომელთა დაპყრობის გზით შეიქმნა რუსეთის მრავალეროვანი იმპერია. სოციალ-დემოკრატთა კრედო, ამ ხაზით თვითგამორკვევას ხედავდა, სიტყვიერად გამოყოფის უფლების აღიერება – რეალუ-



რად ამ ერების გაერთიანებაში. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: რა პრინციპებზე უნდა ყოფილიყო აგებული მომავალი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო?

მრავალეროვნულობა თავისთავად გულისხმობდა, რომ სოციალ-დემოკრატია პარტიის პროგრამაში და მომავალი სახელმწიფოს კონსტიტუციაში უეჭველად ასახავდა თვითგამორკვევის პრინციპს. იქნებოდა სპეციალური მუხლი, რომელიც ერის გამოყოფის, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლებას დაადასტურებდა. მაგრამ ეს იქნებოდა, როგორც ლოზუნგი და არა რეალური უფლება. „ნუთუ – წერს ვ.ი. ლენინი – ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარება მოითხოვს, რომ მხარი დაუჭიროთ ყოველი ერის თვითგამორკვევის ყოველ მოთხოვნას?“ (ტ.6 გვ.565).

ვ.ი. ლენინისა და პარტიის პასუხი ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი და სრულიად გარკვეულია. „თვითგამორკვევის უფლება გამონაკლისია ცენტრალიზმის ჩვენი ზოგადი წინამძღვრისა“ (ტ.19, გვ.598).

რა გამოდის აქედან, თუ არა ის, რომ პარტიის მიზანია ცენტრალიზებული, უნიტარული, მაგრამ მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნა.

მიზანი ამართლებს საშუალებას.

რა პრინციპებზე უნდა ყოფილიყო აგებული მომავალი, სოციალისტური მრავალეროვანი სახელმწიფო? იმ პრინციპებზე, რომელთა რეალიზაცია მიზანს რეალობად აქცევდა. ამ ზახით სოციალიზმის მიზანი, ვ.ი. ლენინის განსაზრვრით, შემდეგში მდგომარეობდა: „სოციალიზმის მიზანია არა მარტო მოსპოს წვრილ სახელმწიფოებად კაცობრიობის დაქსაქსულობა, არა მარტო დაახლოვოს ერები, არამედ მათი შერწყმაც მოახდინოს“ (ტ.22 გვ.178). სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მიზნის უფრო ნათელი, არაორაზროვანი გადმოცემა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ ფორმულირების შემუშავებაც არ იყო იოლი. ამ დროს ვ.ი. ლენინს ეროვნულ საკითხზე მრავალი ნაშრომი აქვს შექმნილი და დაგროვილი დიდი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე აკეთებს ასეთ დასკვნას.

მიზანი ნათელია: 1. მოისპოს წვრილი სახელმწიფო ერ-





თეულები. პატარა ერები შევიდნენ დიდი (იგივეა მრავალრიცხოვანი და არა დიდი ისტორიული წარსულით და წვლილით მსოფლიო ცივილიზაციაში) ერის შემადგენლობაში; 2. მოხდეს ერების დაახლოება, ერების შეგნით პროლეტართა თვითგამორკვევისა და კლასობრივი მდგომარეობა-მისწრაფებების ერთობის საფუძველზე; 3. განხორციელდეს დიდი მიზანი – ერების შერწყმა, ერთიანი სოციალისტური დიდი ერის ან ხალხის ჩამოყალიბების გზით.

პარტიის ასეთი მიზნიდან გამომდინარე, საჭირო იყო ისეთი პრინციპების შემუშავება, რომელიც გაითვალისწინებდა ამ ხაზით მსოფლიო გამოცდილებას, განვითარების ტენდენციებს, ასახავდა რეალურ მდგომარეობას და რომელთაც საყოველთაო მნიშვნელობა ექნებოდა. ვ.ი. ლენინი ამ პრინციპების შემუშავების დროს შემდეგი წინამძღვრიდან გამოდიოდა: „ჩვენ ვიბრძვით არსებული სახელმწიფოს ნიადაგზე, ვაერთიანებთ არსებული სახელმწიფოს ყველა ერის მუშებს, ჩვენ არ შეგვიძლია თავდაბობა ვიკისროთ ეროვნული განვითარების ამა თუ იმ გზისათვის, ჩვენი კლასობრივი მიზნისაკენ ჩვენ ყველა შესაძლებელი გზით მივდივართ“ (ტ.20, გვ.505).

გულმართალი სიტყვებია. თუ პარტიის მიზანია ერების შერწყმა, „შედუღება“, ბუნებრივია, მას არ შეუძლია იკისროს პასუხისმგებლობა ამა თუ იმ ერის განვითარების ისტორიულ ბედზე. პირიქით, პარტიამ ხელი უნდა შეუწყოს პატარა ერების ეროვნულობის დაქვეითებას, მათი საბოლოო გაერთიანების გულისათვის. ამიტომ ლოგიკური უნდა იყოს ეროვნული მეობის და ეროვნული კულტურის დაქვემდებარება საერთო საკაცობრიო სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისათვის, მსოფლიო-სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის გზაზე.

არაა საჭირო მსჯელობა, რომ უეჭველად შეაფერხებდა პარტიული მიზნის მიღწევას ეროვნული თვითგამორკვევა, ეროვნული მეობის, კულტურის განვითარება. ის რაც კარგია კერძოსათვის არა ყოფილა კარგი ზოგადისათვის. პარტია კი ვერ დაუჭერდა მხარს ზოგადის უკუგდებისა და კერძოს ინტერესების განხორციელების იდეას. „მუშათა დემოკრატიის ლოზუნგია – აღნიშნავდა ვ.ი. ლენინი – არა „ნაციონალური კულტუ-



რა“, არამედ დემოკრატიზმისა და მსოფლიო მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური კულტურა“ (ტ.19, გვ. 418-419).

სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ამ გზაზე, რა თქმა უნდა სიძნელეებიც ბევრი იყო მოსალოდნელი. არც ისე იოლად ჩანდა ერების შერწყმის აბსტრაქტული იდეის პრაქტიკული გზა. აქ საჭირო იქნებოდა ეროვნული მეობის, მისი გამოხატვის ფორმების, საშუალებების, მეთოდების დაძლევა. რომელი პატარა ერი იტყოდა უარს საკუთარ კულტურაზე, ენაზე, საზღვრებზე, ადათ-წესებზე, რელიგიაზე და ა.შ. დიას, გზა არ იყო იოლი, მაგრამ სოციალ-დემოკრატია მიზნის განხორციელებაზე, განხორციელების სირთულის გამო, უარს ვერ იტყოდა.

საკითხის გარკვეულობის მიზნით რუსეთის სოციალ-დემოკრატია თავიდანვე აყენებდა ინტერნაციონალურისა და ეროვნულის თანაფარდობის საკითხს. ამასთან, განხილვის ყოველ ეტაპზე, გადაწყვეტა ინტერნაციონალურის სასარგებლოდ ხდებოდა. ამოსავალი პრინციპი იყო ყოველ ერში ორი ერის ლენინური აზრი. სამწუხაროდ, განსჯას, კრიტიკას, არ ექვემდებარებოდა ამ ორი ერის ანტაგონიზმის კანონზომიერება. ერის, ეროვნული ისტორიის, კულტურის, მომავლის ტენდენციების ერთობის პრობლემატიკა გამოირიცხებოდა. ამის გამო იყო კატეგორიული განცხადება: „ვინც ნაციონალური კულტურის ღოზუნგს იცავს, - მისი ადგილი ნაციონალისტ მეშჩანებშია და არა მარქსისტებში“ (ტ.20, გვ.11).

ორმაგად სამწუხაროა, რომ სოციალ-დემოკრატია, ვ.ი. ლენინი არ განმარტავდნენ, როგორ შეიძლება ინტერნაციონალურის არსებობა ნაციონალურის გარეშე, როგორ წარმოედგინათ ზოგადი უკონკრეტულოდ. უფრო მეტად რთულია წარმოსადგინად ორი ერი ერთში. რას არ იზავს პარტია, თეორეტიკოსი, მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის წინ წასაწევად არც ის კატეგორიულობაა უკამათოდ მისაღები, რომლის ძალით, ვინც არ ეთანხმებოდა ვ.ი. ლენინის დებულებას ის არც მარქსისტი იყო. სად, როდის, რომელ ნაშრომში უარყო კ. მარქსმა ეროვნული კულტურის ღოზუნგი? როგორ შეიძლებოდა საკუთარი შეუმოწმებელი აზრის, სხვის ნააზრევად წარმოსახვა?

ეროვნული კულტურის უარყოფა ორგანულ კავშირშია



ეროვნული ენის სტატუსის პრობლემასთან. შეიძლება თუ არა იყო ეროვნული ენების მოქმედების, განვითარების, მნიშვნელობის ამაღლების მომხრე თუ უარყოფ ეროვნულ კულტურას? ინტერნაციონალურ კულტურას ინტერნაციონალური ენა უნდა შეესაბამებოდეს, რამეთუ ორივე კატეგორია სოციალ-დემოკრატიული პოზიციის მიხედვით აბსტრაქციაა.

როგორია პირადად ვ.ი. ლენინის თვალსაზრისი ეროვნული ენების სტატუსის შესახებ?

ურთულესი საკითხია. არა იმიტომ, რომ ძნელია ვ.ი. ლენინის შრომების წაკითხვა და გაგება.. ურთულესია თუ არ იქნა ყველაფერი კომპლექსურად შესწავლილი პიროვნება, დრო, ვითარება, რწმენა. როდის რომელი სჭარბობს? ვ.ი. ლენინი, საკითხის პირდაპირი გაგებით უაღრესად ჰუმანისტი და დემოკრატია. მისი პოზიცია ნათელია: არავითარი პრივილეგია არც ერთ ერს, არც ენას. საკმარისია სოციალ-დემოკრატიამ აღიაროს ენის პრივილეგია, ან პრიორიტეტი, რომ ეს უკვე დაუკავშირდეს ძალდატანების, პოლიციურობის იდეას. ამდენად პარტიის პროგრამაში მსგავსი გადაწყვეტილებების შეტანა აშკარად რევოლუციის ღალატი იქნებოდა.

აღნიშნული საკითხი და ასეთი მსჯელობა, პარტიის პროგრამის შესაბამისი დებულების გაგებისა და რეალიზაციის საკითხთან იყო დაკავშირებული. ვ.ი. ლენინი, ამ ჭეშმარიტებათა საყოველთაობის ასეთ ფორმულირებას იძლეოდა: არავითარი უპირატესობა, განსაკუთრებულობა ერთაშორისი ურთიერთობების საქმეში არ უნდა იყოს პროგრამული მსჯელობის საკითხი (ტ.24, გვ.118, V, რუს. გამ).

დაიხ. ასეთი პოზიცია ბოლომდე მოყვანილი არ უნდა იყოს მცდარი. კიდევ უფრო ამტკიცებს ამ მცნებას ლენინური დებულება, რომ მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოებში ერთი სახელმწიფო ენის მოთხოვნა პოლიციელობას, ძალდატანებას ნიშნავს, რატომ? მოუხსმინოთ ვ.ი. ლენინს: „რას ნიშნავს სავალდებულო სახელმწიფო ენა? პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ ველიკოროსთა ენას... თავს ახვევენ რუსეთის მთელ დანარჩენ მოსახლეობას. ყოველ სკოლაში სახელმწიფო ენის სწავლება სავალდებულო უნდა იყოს. მთელი ოფიციალ-



ური საქმის წარმოება აუცილებლად სახელმწიფო ენაზე უნდა ხორციელდებოდეს...“ (ტ.20 გვ.70). სრულიად მართლებულადაა განმარტებული. სახელმწიფო ენის სტატუსის აღიარება ნიშნავს მის იძულებით გავრცელებას სხვა ენებს შორის. ბუნებრივია, ამ პირობით, არც ერთი პატარა ერი არ დათანხმდებოდა დიდ ერთან კავშირს. ეს ჩაშლიდა მსოფლიო ფედერაციული რესპუბლიკის ნებაყოფლობის საფუძველზე შექმნის საქმეს. ეს ასეა, რადგან, ყოველი პატარა ერის „მუშათა დემოკრატიის ნაციონალური პროგრამა: სრულიად არავითარი პრივილეგია არც ერთ ერს, არც ერთ ენას ერთა პოლიტიკური თვითგამორკვევის საკითხის, ე.ი. მათი სახელმწიფოდ გამოყოფის საკითხის გადაწყვეტა სრულიად თავისუფალი დემოკრატიული გზით“ (ტ.20. გვ.7). პატარა ერების ეს პროგრამული მოთხოვნა სრულიად ეწინააღმდეგება სახელმწიფო ენად დიდი ერის ენის გამოცხადებას.

როგორ უნდა მოიქცეს ასეთ შემთხვევაში პარტია, რომ უკუაგდოს ეროვნული კულტურის, ენის ლოზუნგი და არ გადაიმტეროს პატარა ერები? ამოცანა ურთულესია.

ვ.ი. ლენინი ამ მდგომარეობიდან გამოსავალს შეძლეში ხედავს: რამდენადაც პატარა ერების დიდი მისწრაფებაა – თავისუფლება, ამდენად პარტიას არ უნდა ჰქონდეს ლოზუნგი, რომელიც მას შეზღუდავს. როდესაც პატარა ერი დაინახავს, რომ პარტიის ლოზუნგები მის სურვილებს გამოხატავს, მაშინ იგი (უფრო სწორედ ერის დემოკრატიული, პროლეტარული ნაწილი) დადგება დიდი ერის მშრომელებთან გაერთიანების პოზიციაზე. ამ გზით შექმნილ მრავალეროვან სახელმწიფოში პარტია მიაღწევს ეროვნული კულტურისა და ენის უკუგდებას ინტერნაციონალურის სასარგებლოდ.

„ერებისა და ენების სრული თანასწორუფლებიანობის ქადაგება – ამტკიცებს ვ.ი. ლენინი – გამოყოფს თითოეულ ერში მარტოოდენ თანმიმდევრულ დემოკრატიულ ელემენტებს (ე.ი. მხოლოდ პროლეტარებს), აერთიანებს მათ არა ეროვნების მიხედვით, არამედ მისწრაფებით სახელმწიფოს საერთო წყობილების ღრმა და სერიოზული გაუმჯობესებისადმი“ (ტ.20, გვ.34).

პარტიის პროგრამაში ერებისა და ენების სრული თანას-



წორუფლებიანობის ღირსებები არ უნდა იწვევდეს დიდი ერის უარყოფით ემოციებს. მან უნდა იცოდეს, რომ სხვანაირად პატარა ერებს ვერ შემოიკრებს და მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოს ვერ შექმნის. ამავე დროს დიდმა ერმა ისიც უნდა იცოდეს, რომ მის ფაქტობრივ გაბატონებულ მდგომარეობას ეს ღირსებები ვერ შეარყევენ, პირიქით, განამტკიცებენ. როგორ?

პირველ რიგში იმ ბუნებრივი მდგომარეობით, რომ „დემოკრატიული სახელმწიფოს ცივილიზებული მოქალაქენი თვითონ აძლევენ უპირატესობას უმრავლესობისათვის გასაგებ ენას“ (ტ.19, გვ.417). ვ.ი. ლენინს, ამ მიმართებით სამაგალითოდ მიაჩნია კავკასიის მეფისნაცვლის მოქმედება. იგი წინააღმდეგი იყო „ხელოვნური გარუსების“ (ტ.19, გვ.416), მიაჩნია, რომ ერთ იმპერიაში ცხოვრების, ერთი რუსული კანონის, ადმინისტრაციის და სხვა პირობებში, კავკასიელები მაინც გარუსდებიან. არ არის საჭირო ძალდატანება და არარუს მოსახლეობაში უკუერეჟიციის გამოწვევა (ტ.20, გვ.6).

მეორე რიგში, ეს გამოწვეულია ცხოვერების ობიექტური პირობებით. ერთ სახელმწიფოში, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპზე აგებულ სახელმწიფოში, ყოველდღიური ცხოვრების, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ინტერესები განსაზღვრავენ ადამიანთა მოქმედებას. ეკონომიკური იძულება, ამ თვალთახედვით, უფრო ძლიერია პოლიტიკურთან შედარებით. იგი უკუერეჟიციას არ იწვევს. ამრიგად, რუსული ენის გაბატონების შემდგომი განმტკიცება ეჭვს და დარდს არ უნდა იწვევდეს. კავკასიის მეფისნაცვლის პროგრესული გამოცდილება ადასტურებს, აღნიშნავს ვ.ი. ლენინი, რომ „ეკონომიკური აღებ-მიცემობის საჭიროება მუდამ აიძულებს ერთ სახელმწიფოში მცხოვრებ ეროვნებებს... შეისწავლონ უმრავლესობის ენა“ (ტ.20, გვ.416).

მესამე ფაქტორი, რომელიც დიდი ენის გაბატონებულ მდგომარეობას განამტკიცებს, ესაა აღზრდა-სწავლების სისტემის სწორი ორგანიზება. ამ ორგანიზაციის ამოსავალი პრინციპი ისაა, რომ თუ სახელმწიფო ენის ოფიციალური აღიარება არ შეიძლება, ეს არ გამორიცხავს დიდი ერის ენის სწავლების აუცილებლობას



პატარა ერების მიერ (ტ.48 გვ.302, V რუს. გამ).

ფაქტორის არსი ისაა, რომ ერთიან სახელმწიფოში უნდა იყოს აღზრდა-სწავლების ერთიანი სისტემა ერთი საერთო მოქმედების პროგრამით. ამ ხაზით დაუშვებელია „სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით განაწილების ქადაგება, ე.ი. პირდაპირ მავნე ქადაგება“ (ტ.20, გვ.33).

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ვ.ი. ლენინის თვალსაზრისი ერის შიგნით არამკვიდრი მოსახლეობის მიმართ. მრავალეროვან სახელმწიფოში თუ პატარა ერებისათვის ეროვნებათა მიხედვით აღზრდა-სწავლების საქმის ქადაგებაც კი მავნეა, მაშინ, ერების შიგნით, მათ ტერიტორიაზე მცხოვრები არამკვიდრი მოსახლეობის ენაზე „სასკოლო და სხვა ამგვარი საქმის გამოყოფა კი სწორედ შეინახავდა, გაამწვავებდა, გააძლიერებდა წმინდა კლერიკალიზმს და „წმინდა“ ბურჟუაზიულ შოვინიზმს“ (ტ.20, გვ.26).

დასკვნა ნათელია: სოციალისტურ მრავალეროვან სახელმწიფოში ეროვნული (ეროვნებათა მიხედვით) სკოლის შექმნა მავნე და მიუღებელია პარტიისათვის, ხოლო ერების შიგნით არამკვიდრი მოსახლეობისათვის მათ ენაზე სკოლის მოწყობა „კლერიკალიზმია“ და ამდენად დაუშვებელი.

საბოლოო დასკვნაც ნათელია: მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოში ეროვნულ კულტურასთან ერთად ეროვნული ენაც უნდა იქნეს უარყოფილი.

ასეთი ღონისძიებების ასეთი გადაწყვეტა ეროვნებათშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვანი ლენინური პრინციპებია. მაგრამ საკმარისია იმისთვის, რომ პრობლემა საბოლოოდ გადაწყვეტილად ჩაითვალოს თუ არა? ბელადის მრავალრიცხოვანი შრომების ღრმა შესწავლა ცხადყოფს, რომ არა.

ვ.ი. ლენინი კულტურის, ენის პრინციპებს უმატებს ერების ტერიტორიული საზღვრების საკითხს.

საკითხი მეტისმეტადაა ჩახლავთვითებული. ერთი მხრივ უდავოა ის, რომ პარტიას არ შეუძლია მიაღწიოს სოციალიზმის იდეალის შესრულებას ისე, თუ არ წამოაყენა პატარა ერებისათვის მისარები ლოზუნგები. „სხვადასხვა ერის მუშათა



კლასობრივი სოლიდარობა შეუძლებელია ისე, თუ არ ვცნობთ გამოყოფის უფლებას“ (ტ.39, გვ.773). ამავე დროს, პრაქტიკულად ბოლშევიკები „...მხარს არ ვუჭერთ წვრილ სახელმწიფოთა უტოპიას, არ მოვითხოვთ ყველგან და ყოველთვის „ეროვნულ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას...“ (ტ.39, გვ.773).

მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის პერსპექტივების ფონზე პატარა ერების გამოყოფა, მათი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა სინამდვილეში უტოპიაა ბელადის თვალთახედვით. ასეთ დროს სასაცილოობამდე უაზრობად უნდა გამოჩენილიყო პატარა ერების პრეტენზია – დაეცვათ მეობა, კულტურა, ენა, ისტორიულად ჩამოყალიბებულიყო საზღვრები.

ვ.ი. ლენინის თვალსაზრისის პრაქტიკული შესრულების ხაზით ძალზე დიდი სამუშაო გააკეთა მეფის რუსეთის მთავრობამ. ეს სამუშაო ეხება როგორც კულტურის, ენის, ასევე ეროვნული საზღვრების საკითხს. ი. სტალინი ადასტურებს: „ცარიზმმა განაპირა მხარეების საუკეთესო ადგილებში განზრახ დაასახლა კოლონიზატორული ელემენტები, რათა ადგილობრივი ნაციონალური მასები ცუდ რაიონებში გაეძევიებინა და ნაციონალური შუილი გაეძლიერებინა“ (ტ.4 გვ.388). დიადი მიზნის გარკვეული ნაწილი, სოციალ-დემოკრატიის დაუძინებელმა მტერმა, მეფის რუსეთმა, წარმატებით განახორციელა. რა კარგია, როცა მტერი აკეთებს მტრის გასაკეთებელს. უკეთესი მეგობრის ნატვრაც არ შეიძლება. მაგრამ დანარჩენი ნაწილი თვით სოციალ-დემოკრატიის წილად რჩებოდა. რა ქნას პარტიამ, რა ურჩიოს ბელადმა?

ვ.ი. ლენინი გამოდიოდა იმ უცილობელი ფაქტიდან, რომ პროლეტარიატის ინტერნაციონალური კლასობრივი ბრძოლის ინტერესები უფრო მზნისუნელოვანია ვიდრე პატარა ერების ყველა და მათ შორის საზღვრების საკითხი (ტ.27, გვ.439, V, რუს.გამ). ეს ფაქტორი სოციალისტებისათვის ცნობილია და ისინი რევოლუციური ბრძოლის რწმენიდან გამომდინარე იზიარებდნენ ერების დაახლოების, შერწყმის, მათ მიერ მსხვილი სახელმწიფოს შექმნის და ამდენად ეროვნული საზღვრის წაშლის იდეას (ტ.27, გვ.462, V, რუს. გამ) ამ იდეით არიან გამსჭვალული ბოლშევიკები. ისინი ყოველთვის დაიცავენ პრო-





ლეტარიატის სერთო ამოცანას და არა პატარა ერების საზღვრებს. მართლაც, თუ პარტია სერიოზულად ფიქრობს ერების „შერწყმა-შედუღებაზე“ მაშინ უნდა გაიზროს ის მომენტი, რომ ეს ერთდროულად ნიშნავს მათი სახელმწიფოებრიობის მოსპობას. აქედან გამომდინარე კი ბუნებრივია რომ „თუ არ არის სახელმწიფო, მაშინ არ არის მისი საზღვრების საკითხიც“ (ტ.22, გვ.410).

არ არის ძნელი წარმოსადგენი მთლიანი სოციალ-დემოკრატიული სურათი: რევოლუციამდე, მსოფლიო სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის შექმნამდე, პარტია კლასობრივისა და ეროვნულის დიალექტიკური თანაფარდობის საკითხში, პირველს ანიჭებს უპირატესობას. ვ.ი. ლენინი აღნიშნავს: „ჩვენ არ ვიცავთ სახელმწიფოთა არსებულ საზღვრებს...“

სახელმწიფო საზღვრების ყოველი შესაძლო შეცვლის დროს ჩვენ 1-ლ პლანზე ვაყენებთ მუშათა კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს“ (ტ.39 გვ 773).

როგორი იქნება გადაწყვეტილება რევოლუციის შემდეგ?

„ახალი ეკონომისტები“ ფიქრობენ... გამარჯვებული სოციალიზმის დემოკრატიული სახელმწიფო უსაზღვროდ იარსებებს“. /ტ.22, გვ.410/.

როგორია ბოლშევიკების პოზიცია?

რევოლუციის შემდეგ პატარა ერები გაერთიანდებიან დიდ ერად ერთ სახელმწიფოში. მათ არ ექნებათ სახელმწიფო და ამდენად საზღვრები. რაც შეეხება დიდ ერს, იგი შევა მსოფლიო ფედერაციულ რესპუბლიკაში და თუმცა იქნება დამოუკიდებელი ერთეული, სახელმწიფო საზღვრების საკითხი მისთვისაც დაკარგავს მნიშვნელობას. ბოლშევიკები მიესწრაფვიან სახელმწიფო საზღვრების სრულ მოსპობას (ტ.40, გვ.43-44, რუს. გამ). ამრიგად, ეროვნული კულტურის, ენის დაკარგვის ლენინურ პრინციპს, ემატებოდა ეროვნული საზღვრების უკუგდების პრინციპი.

ყოველივე აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი იყო საბოლოო მიზნის მისაღწევად. სურათი ასეთია: სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემთხვევაში პატარა ერები დაიწყებენ ინტერნაციონალური კულტურის განვითარებას, ინტერნაციონა-



ლური ენის ათვისებას, საზღვრები მათ არ ექნებოდათ, სახელმწიფო (ნამდვილი) ასევე, მაგრამ ხომ მაინც არ მოისპობოდნენ, არ გაქრებოდნენ ერთბაშად ეს ერები. არა და რამდენ ხანს უნდა ეცადა პარტიას ამ პროცესისათვის. ამიტომ აღნიშნული პრინციპები აუცილებელი და არასაკმარისია.

კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარე, პროლეტარიატი აჩქარებს ერების „შერწყმა-შედულების“ პროცესს. ამ ხაზით იგი დიდ პროგრესს ბურჟუაზიულ ქვეყნებში მიმდინარე ასიმილაციაში ხედავს. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ერთიმეორის გვერდით არსებობენ, ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან და ავსებენ ერების განკერძოების, გაუცხოების და დაახლოების ტენდენციები, ერების განვითარებისა და ასიმილაციის პროცესები, ამიტომ მიიჩნევენ ვ.ი. ლენინი ეროვნების განვითარებას ბურჟუაზიულ პრინციპად. მისგან განსხვავებით, „...პროლეტარიატი არა თუ არ კისრულობს თითოეული ერის ეროვნული განვითარების დაცვას, არამედ პირიქით, აფრთხილებს მასებს ამნაირი ილუზიებისაგან, იცავს კაპიტალისტური ბრუნვის უაღრესად სრულ თავისუფლებას, სიხარულით ეგებება ერთა ყოველ ასიმილაციას, გარდა ძალმომრეობითი ან პრივილეგიებზე დამყარებული ასიმილაციისა“ (ტ.20, გვ.25).

რა გამომდინარეობს ამ ფუნდამენტური თვალსაზრისიდან, თუ არა ის, რომ ასიმილაცია, ისეთი, როგორსაც მეფისნაცვალი ატარებდა კავკასიაში, არის ბოლშევიკებისათვის სამაგალითო, მისასალმებელი მოვლენა, რომელსაც ისინი სიამოვნებით გააგრძელებდნენ ძალაუფლების აღების შემდეგ. ეს უნდა ყოფილიყო ერების შედულების კატალიზატორი. ეს საერთო პრინციპი, მით უფრო საშური საქმე ჩანდა კავკასიაში, სადაც ეროვნული საკითხის პრიმა-მცოდნე ი. სტალინის მტკიცებით „არც ერთ ნაციონალურ ჯგუფს არა აქვს ნაციონალური ტერიტორიის მკვეთრად მოხაზული საზღვრები, ისინი ყველანი დაქუცმაცებულად, ერთმანეთში შერეულად ცხოვრობენ“ (ტ.4, გვ.55). დიას. მისი აზრით, არც ქართველებმა არ იციან ეროვნული საზღვრები და, ასეთ დროს, მათი ასიმილაცია არც ძნელია და არც საწყენი. აბა სხვანაირად როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ქართველები საქართველოში და რუსები იმპერიის ფარგლებში. „რა ვუყ-



ოთ – აცხადებს ი. სტალინი – მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვა რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ“ (ტ.2, გვ.377). დიდი ამბავი თუ დიალექტი და ენა ზოგჯერ ერევა, ამით არც ასიმილაციის საქმე ფუჭდება და არც ერების ლენინური „შედულების“ მიზანი.

ასიმილაციის სრული არსი და მნიშვნელობა ცხადი რომ გახდეს მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გლობალური პრობლემის შიგნით, საილუსტარციოდ ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) მაგალითია ბოლშევიკების მიერ აღებული. რა მოხდა ერთ ტერიტორიაზე, ცხოვრებამ (და მთავრობამ) ისინი წისქვილივით დაატრიალა, არია და ამერიკელ ხალხად ჩამოაყალიბა. ვ.ი. ლენინი აკეთებს დასკვნას, რომ ამერიკაში ერების „დაფქვის“ პროგრესული ასიმილაციური პროცესი განხორციელდა (ტ.24, გვ.128, რუს. გამ). აი პროგრესი.. აი, ნიმუში. იგივე სამწუხაროდ ვერ ხერხდება მეფის რუსეთში, მაგრამ რომ მოხდეს სოციალისტურ რუსეთში? მერე რა, რომ რუსეთში ყოველი ერთი საკუთარ ტერიტორიაზე ცხოვრობს, მხოლოდ აქ არიან და სხვაგან არა, მერე რა რომ მათთან ერთად მათი კულტურა, ენა დაიღუპება. სანაცვლოდ განვითარდება დიდი ინტერნაციონალური ერთი, შეიქმნება ინტერნაციონალური კულტურა, ჩამოყალიბდება ინტერნაციონალური ენა (ასეთად გადაიქცევა რუსული ენა), დადგება ინტერნაციონალური ბედნიერების ეპოქა ყოფილი პატარა ერებისათვის.

დღეს – ჭეშმარიტად დიდია კონკრეტულს მოკლებული ზოგადის კონკრეტულობა. იმდენად დიდი რომ მის გამო (თუ ფონზე), კაპიტალისტური ასიმილაცია პროგრესულ მოვლენად ჩანს. ამიტომ ამტკიცებს ვ.ი. ლენინი: „ვინც ნაციონალისტურ ცრურწმენებში არ ჩაფლულა, შუძლებელია მან კაპიტალიზმის მიერ ერების ამ ასიმილაციის პროცესში არ დაინახოს უდიდესი ისტორიული პროგრესი, სხვადასხვა მივარდნილ კუთხეთა ეროვნული დახვასებულობის დარღვევა – განსაკუთრებით რუსეთის მსგავს ჩამორჩენილ ქვეყნებში“ (ტ.20, გვ.17) საინტერესოა რა იქნებოდა რუსეთის იმპერიის „დახვასებულ“ პატარა ერებს ბელადის ეს შეფასება რომ გაეცნობიერებინათ?

ეროვნებათმორისი ურთიერთობების ლენინურ პრინციპებს



კიდევ ერთი „მარგალიტი“ უნდა მიეთვალოს ასიმილაციის სახით. იქნებ ამით ამოიწურა პრინციპების პრინციპული საკითხი? არა. ობიექტური რეალობა ცხადად მიანიშნებდა საკითხის სხვა ასპექტებზე.

თვით დაჩქარებული ასიმილაციის დროსაც, გარკვეული დროის განმავლობაში სოციალისტური სახელმწიფო უეჭველად მრავალეროვანი იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში წინა პლანზე წამოიწვედა სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის პრინციპი. რა პრინციპზე შეიძლება მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნა?

ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ სახელმწიფოებრივი ორგანიზმის აგება შეიძლება: 1. ცენტრალიზმის (ბიუროკრატიული ან დემოკრატიული) 2. ავტონომიის 3. ფედერაციის 4. კონფედერაციის პრინციპებზე. მრავალეროვან სახელმწიფოში პირველი მათგანი გამორიცხავს პატარა ერების რაიმე უფლებას. მეორე შეიცავს ურთიერთობას პრივილეგირებულ (გაბატონებულ) და დაქვემდებარებულ ერებს შორის. ამასთან დაქვემდებარებულ ერთა უფლება განიზღვრება იმით, გაბატონებული ერის ორგანიზმის მართვა ხდება ბიუროკრატიული თუ დემოკრატიული მეთოდებით. მესამე, ნიშნავს თანასწორუფლებიან ეროვნულ სახელმწიფოთა ისეთ გაერთიანებას, სადაც გაერთიანებული მართვის ინსტიტუტის გადაწყვეტილება სავალდებულოა გაერთიანების ყველა წევრისთვის. გაერთიანებული მართვის ინსტიტუტი კი მის ყველა ელემენტში მოიცავს გაერთიანების წევრთა თანაბარ წარმომადგენლობას და მართვის მორიგეობას. მეოთხე, კონფედერაციის პრინციპი გულისხმობს თანაბარუფლებიან წევრთა ისეთ გაერთიანებას, როდესაც გამაერთიანებელი ინსტიტუტის გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულო არ არის გაერთიანების წევრებისათვის.

მსოფლიო ისტორიული დაგაწყვეტილებებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ეს მოკლე, მაგრამ არსებითი დასკვნა, საბჭოთა სამეცნიერო და საცნობარო ლიტერატურისათვის ბოლომდე გაცნობიერებული არ არის. აქ უპირატესობას ანიჭებენ დასკვნებს, რომელიც გამოდის საბჭოთა კავშირის გამოცდილების თეორიული განზოგადების გზით.

ამ შემთხვევაში საინტერესოა არა ის, როგორ ესმის ეს



საკითხი ამა თუ იმ მეცნიერს, ამა თუ იმ ქვეყანაში, ან რომელი ფორმულირებაა ზუსტი და მეცნიერული. ამ შემთხვევაში საინტერესოა საბჭოთა მრავალეროვანი, დეფორმირებული სოციალიზმის ფუძემდებლის ვ.ი. ლენინის თვალსაზრისი პრინციპზე, რომელიც უნდა ყოფილიყო მიღებული და განხორციელებული.

ერთეოვანი სახელმწიფოს ორგანიზაციული პრინციპის მოკლე დახასიათება ასეთია: ბიუროკრატიული ცენტრალიზმის დროს საკანონმდებლო ორგანოების არჩევა შეიძლება ქვემოდან ზემოთ, აღმასრულებელი ორგანოებისა კი მხოლოდ ზემოდან ქვემოთ. ორივე შემთხვევაში შრომის ანაზღაურება იზრდება თანამდებობის ზრდის შესაბამისად.

დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი ასევე ორი ნაწილისაგან შედგება პოლიტიკური და ეკონომიკური. პოლიტიკური ნაწილი ნიშნავს: 1. ნებისმიერი თანამდებობის პირის არჩევითობას; 2. ამორჩეულ პირთა სრულ პასუხისმგებლობას ამომრჩეველთა წინაშე; 3. ამორჩეულთა გადაწყვეტილებების სავალდებულობას. ეკონომიკური ნაწილი ნიშნავს: 1. უმაღლესი თანამდებობის პირთა ხელფასის დაყვანას საშუალო მუშის ხელფასამდე; 2. პრივილეგიების მოსპობას წარმომადგენლობისათვის (თანამდებობის მიცემა დეპუტატისათვის, დელეგატისათვის და ა.შ.); 3. ყოველგვარი ღონისძიების აკრძალვას, რაც თანამდებობის პირის ცხოვრებას მუშის ცხოვრებისაგან გამოარჩევდა. ვ.ი. ლენინი კონცენტრირებული სახით ამ მარქსისტულ პრინციპს ასე გადმოსცემდა: „უკლებლივ ყველა თანამდებობის პირის სრული არჩევითობა, მათი ყოველგვარ გამოცვლის შესაძლებლობა, მათი ჯამაგირის დაყვანა ჩვეულებრივ „მუშის ხელფასამდე“, ეს მართივი და „თავისთავად გასაგები“ დემოკრატიული ღონისძიებანი, საკვებით აერთიანებენ რა მუშებისა და გლეხთა უმრავლესობის ინტერესებს, ამავე დროს წარმოადგენენ ხიდს, რომელსაც კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ მივყავართ“. (ტ.25, გვ.519). სადაც არა ყოფილა ეს „ხიდი“, იქ სოციალიზმიც შესაბამისი ოდენობით იქნებოდა.

ვ.ი. ლენინს ამ პრინციპზე აგებული დიდი ერების გაერთიანება მიაჩნდა სოციალიზმისაკენ წინსვლის რეალურ გზად. სამწუხაროა, რომ ამ იდეამ დაჩრდილა მრავალეროვანი ქვეყნის



სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის პრინციპის საკითხი. იმდენად დაჩრდილა, რომ თვით სოციალიზმამდელ ცივილიზაციის შიგნით კი იგი უსიტყვოდ ემხრობა ცენტრალიზაციის იდეას. „სხვა თანაბარ პირობებში, - აღნიშნავს იგი – შეგნებული პროლეტარიატი ყოველთვის დაიცავს უფრო დიდ სახელმწიფოს. იგი ყოველთვის იბრძოლებს შუასაუკუნოვანი პარტიკულარიზმის წინააღმდეგ, ყოველთვის მიესალმება რაც შეიძლება უფრო მჭიდრო ეკონომიკურ გაერთიანებას ვრცელი ტერიტორიებისას“. (ტ.20, გვ.38). ვ.ლენინი სამწუხაროდ ვერ ანგარიშობს, რომ ასე, თავისუფლად შეიძლება რუსეთის იმპერიის და დესპოტიზმის გამართლება. მისთვის არსებითია ერთი: „ცენტრალიზებული დიდი სახელმწიფო არის შუასაუკუნოებრივი დაქსაქსულობიდან მთელი მსოფლიოს მომავალი სოციალისტური ერთობისაკენ წინგადადგმული უდიდესი ისტორიული ნაბიჯი და სხვანაირად... არც შეიძლება არსებობდეს გზა სოციალიზმისაკენ“ (ტ.20, გვ.39).

საკითხის ასეთი გაგებიდან გამომდინარე, ლოგიკური ჩანს დასკვნა, რომ სოციალ-დემოკრატიები არც რევოლუციამდე და არც შემდეგ, მხარს არ დაუჭერდნენ პატარა ერებს, მათ ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას, თუ მასში საკუთარი მიზნების განხორციელების საშუალებას არ დაინახავდნენ. სხვანაირი რა აზრით შეიძლება გაგება დებულებისა, რომ „ჩვენ წვრილ სახელმწიფოთა მომხრენი არა ვართ, ჩვენ მომხრენი ვართ ყველა ქვეყნის მუშათა უმჭიდროესი კავშირისა“ (ტ.25, გვ.97).

ამრიგად, ვასაგებია, რომ პარტია აღიარებდა სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ცენტრალიზმის პრინციპს. ამასთან, არა ბიუროკრატიული, არამედ დემოკრატიული ცენტრალიზმისა. „ჩვენ ვემხრობით დემოკრატიულ ცენტრალიზმს“, ამბობდა ვ.ი. ლენინი (ტ.27, გვ.237). „... შეუწყნარებელი იქნებოდა იმის დავიწყება, რომ, როდესაც ცენტრალიზმს ვიცავთ, ჩვენ ვიცავთ მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიულ ცენტრალიზმს“ (ტ.20, გვ.39). სხვა აზრი საკითხზე არც ბელადს და არც სოციალ-დემოკრატებს არ გააჩნდა.

დემოკრატიული ცენტრალიზმი, რომელიც ერთიან ცენტრალიზებულ მმართველობას გულისხმობდა, უნივერსალურ პრინციპ-



პად იქნა მიჩნეული. სამწუხაროდ ასეთი აღიარება პრინციპისა არასოდეს არ შეცვლილა.

უნივერსალობა ნიშნავდა, რომ მრავალეროვანი ქვეყანაც ამ პრინციპზე უნდა ყოფილიყო აგებული. თეორეტიკოსის აზრით ცენტრალიზმის შეხამება დემოკრატიულობასთან სრულიად საკმარის უფლებებს მიანიჭებდა პატარა ერებს. ამ რწმენით აღნიშნავდა იგი, „დემოკრატიული ცენტრალიზმი არა თუ არ გამორიცხავს ადგილობრივ თვითმმართველობას ისეთი ოლქების ავტონომიით, რომლებიც განსხვავდებიან განსაკუთრებული სამეურნეო და საყოფაცხოვრებო პირობებით, მოსახლეობის განსაკუთრებული ეროვნულ შემადგენლობით და სხვ. არამედ, პირიქით, აუცილებლად მოითხოვს ერთსაც და მეორესაც“ (ტ20, გვ.39). მრავალმხრივად საყურადღებო ეს დასკვნა: 1. მრავალეროვან სახელმწიფოში არაა საჭირო ერთეროვანი სახელმწიფოსაგან განსხვავებული ორგანიზაციული პრინციპის მიღება. ეს უკვე გამორიცხავს პატარა ერების დიდთან თანასწორუფლებიანობას; 2. დასკვნა შეიცავს ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებას, ეს უფლება შეიძლება განიხილებოდეს ავტონომიის სახით. ესეც გამორიცხავს პატარა ერების დიდთან თანასწორობას; 3. დასკვნა ერთი მეორეს უტოლებს საოლქო და ეროვნულ ავტონომიას. ეს სრულიად ადასტურებს თანასწორუფლებიანობის ასეთი გაგების უსამართლობას.

მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზაციის ასეთი პრინციპი არ შეიძლება უკამათოდ მიეღოთ სოციალ-დემოკრატებს, თუნდაც იგი ვ.ი. ლენინისაგან ყოფილიყო წამოყენებული. ცნობილია უთანხმოება, რომელიც პარტიის თეორეტიკოსთა შორის იყო. კამათი ზოგჯერ ლანძღვის დონეს აღწევდა. ვ.ი. ლენინი ყოველთვის თავგამოდებით იცავდა თავის პოზიციას და არ ყოფილა მისგან გადახვევის არც ერთი შემთხვევა „ცენტრალიზმის მოწინააღმდეგენი – აღნიშნავდა იგი – მუდამ აყენებენ ავტონომიას და ფედერაციას, როგორც ცენტრალიზმის შემთხვევითობებთან ბრძოლის საშუალებებს. ნამდვილად კი დემოკრატიული ცენტრალიზმი სრულიადაც არ გამორიცხავს ავტონომიას, არამედ, პირიქით, გულისხმობს მის აუცილებლობას“ (ტ27, გვ.238).





ვ.ი. ლენინი არა მხოლოდ თვითონ იყო დემოკრატიული ცენტრალიზმის თავგამოდებული მოხრე, არამედ სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამულ დებულებად მის აღიარებასაც ცდილობდა. მისი აზრით ფედერაციის პრინციპი ხელს შეუწყობდა პატარა სახლემწიფოების აღმოცენებას, გადაავადებდა ერების „შედულების“ წმინდა ჩანაფიქრს. ეს კი ისეთივე უკან გადაღებული ნაბიჯი იქნებოდა მსოფლიო ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის გზაზე, როგორც ერთა თვითგამოყოფის ან კულტურულ-ეროვნული ავტონომიის იდეებია (ტ.27, გვ.438, V რუს. გამ). ეს აზრი კიდევ უფრო მართებულად მიაჩნდა ბელადს რუსეთის იმპერიასთან მიმართებაში. აქ ერების ცენტრალიზებული მართვა (ბიუროკრატიული ცენტრალიზმის პრინციპით) უკვე განხორციელებული იყო და აქედან ფედერაციაზე და დეცენტრალიზაციის სხვა ფორმაზე გადასვლა ასევე უკან დახევად ჩანდა (ტ.20, გვ.39-40).

საკითხის ასეთი დასმის დროს ძალაუბნებურად წამოიჭრება ცენტრალიზმისა და ფედერაციის თანაფარდობის შესახებ კითხვა. რომელია მაღალი ფორმა? პასუხი ალბათ იმაზეა დამოკიდებული, რომელი ერის პოზიციიდან შევხედავთ მას. თუ პატარა ერების – მაშინ ფედერაცია უფრო მისაღები ჩანს. დიდი ერის პოზიციიდან გამომდინარე უპირატესობა ცენტრალიზაციას უნდა მიენიჭოს. ვ.ი. ლენინს სულ სხვა პოზიცია გააჩნია. იგი გაძლიერდა მსოფლიო რევოლუციისა და მსოფლიო სოციალისტური რესპუბლიკის ინტერესებიდან, ამ დიადი მიზნის განხორციელება კი შეიძლება პატარა ერების ასიმილაციურ მსხვერპლსაც მოითხოვდეს. მერე რა. მიზანი ამართლებს საშუალებას. ამ მიზნის მიღწევის გზაზე ფედერაცია ორგანიზაციის დაბალი საფეხურია, ცენტრალიზაცია მაღალი. „თვითგამორკვევის აღიარება – ამბობს ვ.ი. ლენინი – არ უღრის ფედერაციის, როგორც პრინციპის, აღიარებას. შეიძლება იყო ამ პრინციპის მტკიცე მოწინააღმდეგე და დემოკრატიული ცენტრალიზმის მომხრე, მაგრამ ეროვნულ უთანასწორობასთან შედარებით უპირატესობას აძლევდნენ ფედერაციას, როგორც ერთადერთ გზას სრული დემოკრატიული ცენტრალიზმისაკენ“ (ტ.22, გვ. 177). ამიტომ იყო რსფსრ აღიარებული, როგორც დროებითი სამუშაო მოვ-



ლენა, როგორც დაბალი საფეხური. „ერთა ფედერაცია, როგორც გადასვა მშრომელების შეგნებული და უფრო მჭიდრო ერთიანობაზე“ (ტ.27, გვ. 170) ვ.ი. ლენინი ბოლომდე ხსნიდა აზრს, როცა ამბობდა რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის შესახებ: „... ამჟამად ფედერაცია, რომელიც შემოგვაქვს და შემოვირებთ სწორედ ყველაზე საიმედო ნაბიჯი იქნება რუსეთის სხვადასხვა ეროვნებათა უმტკიცესად გასაერთიანებლად-ერთიან დემოკრატიულ ცენტრალიზებულ საბჭოთა სახელმწიფოში“. (ტ.27, გვ. 238).

ასეც ხდება. რუსეთის საბჭოთა სახელმწიფო ცხადდებოდა ფედერაციულ რესპუბლიკად. რა იყო იქ მოსალოდნელი, რა რეალურ სახეს მიიღბდა ეს ფედერაცია. ამაზე პრაქტიკულად და პერპექტივაში ბევრი რამ იყო დამოკიდებული. უმთავრესი პარტიის პოზიცია გახლდათ, რომლის ბელადი ფედერაციას „ფილისტერულ იდეალად“ თვლიდა (ტ.21, გვ.114), პატარა ერების სოციალ-დემოკრატებს ასწავლიდა პროგრამიდან ამოეღოთ „ფედერაციული რესპუბლიკის მოთხოვნა“ და დასჯერებოდნენ „საერთოდ დემოკრატიული რესპუბლიკის მოთხოვნას“ (ტ.6, გვ.403), რომელიც წინააღმდეგი იყო „ნაციონალური ავტონომიის მოთხოვნისა“ და პატარა ერების წარმომადგენლებს ერთიან სახელმწიფოში მხოლოდ „პოლიტიკურ და სამოქალაქო“ თავისუფლებასა და თანასწორუფლებიანობას პირდებოდა (ტ.6, გვ 403).

რსფსრ შექმნა პრინციპული მნიშვნელობის საკითხი იყო. დასთანხმდებოდა პარტია, ბელადი პატარა ერებთან რუსების თანასწორობას თუ არა. ვ.ი. ლენინი ყოველთვის წინააღმდეგი იყო ფედერაციისა იმიტომ, რომ „ფედერაცია გულისხმობს ავტონომიურ ნაციონალურ პოლიტიკურ მთლიან ერთეულებს“ (ტრ., გვ. 403 და 642). უფრო გასაგებად „ფედერაცია არის თანასწორთა კავშირი. კავშირი, რომელიც მოითხოვს საერთო თანხმობას“. სწორედ ამიტომ, წერდა იგი ს. გ. შაუმიანს „პრინციპულად ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ფედერაციისა – ის ასუსტებს ეკონომიკურ კავშირს,ის უვარგისი ტიპია ერთი სახელმწიფოსთვის“ (ტ.19, გვ.598). ფედერაცია მისი აზრით მხოლოდ დიდ ერებს უნდა შეექმნათ. ეს იქნებოდა მსოფლიო ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა (ტ.40, გვ.47, V, რუს. გამ).



ცნობილია ვ.ი. ლენინის მიმოწერა თურქეთის რევოლუციური განახლების ბელად უსტაფა ქემალ-ათათურქთან. თავის ერთ-ერთ ტელეგრამაში ვ.ი. ლენინი არაორაზროვნად მიუთითებს, რომ საბჭოთა რუსეთი ერთა თვითგამორკვევის უფლების პრინციპის შესაბამისად ყოველ ერს აძლევს ავტონომიას შესაბამისი პოლიტიკური ფორმის შექმნის უფლებით (ტ.52, გვ.301). 1921 წელს გაგზავნილი ამ ტელეგრამიდან საინტერესოა პოზიცია, რომელიც მტკიცედ უჭერს მხარს ავტონომიზაციას. ამით განმეორებულია არაერთხელ გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ პატარა ერების დიდთან თანასწორობის გარანტია შეიძლება მხოლოდ ავტონომიით გამოიხატოს. ამავე დროს, ეს ავტონომია უნდა თავსდებოდეს დემოკრატიული ცენტრალიზმის ფარგლებში ე.ი. არ უნდა სცილდებოდეს საოლქო თვითმმართველობას. „დემოკრატიული სახელმწიფო უნდა სცნობდეს სხვადასხვა ოლქთა ავტონომიას, განსაკუთრებით ისეთი ოლქებისა და მხარეებისას, სადაც მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა შერეულია. ასეთი ავტონომია სრულიადაც არ ეწინააღმდეგება დემოკრატიულ ცენტრალიზმს; პირიქით...“ (ტ.20, გვ.267).

ვ.ი. ლენინი ავტონომიზაციის დამცველია არა იმიტომ, რომ ასეთია მისი რწმენა და მიზანი, არა. მიზანი სხვაა, რწმენაც სხვა. აქ უბრალო ანგარიში და იძულებაა. ჯერ ერთი, კაპიტალისტური განვითარების პრაქტიკამ, თუნდაც შვეიცარიის მაგალითზე, ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ისეთი სურათი შექმნა, რომლის ფონზე „...შეუძლებელია წარმოვიდგინოთ თანამედროვე მართლაც დემოკრატიული სახელმწიფო ასეთი ავტონომიის მიუნიჭებლად ყოველი ოლქისთვის, რომელიც განირჩევა რამდენადმე მაინც არსებითი სამეურნეო და საყოფაცხოვრებო თავისებურებით, მოსახლეობის განსაკუთრებული ეროვნული შემადგენლობით და სხვა“ (ტ.20, გვ.41); მეორე ფაქტორი დიდი ერის უშუალო ინტერესებს ითვალისწინებს. რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე, რუსებმა, როგორ უნდა შეინარჩუნონ სხვა ერები თუ მათ „...არ მიანიჭა რაიმე სარგებლობა, პოლიტიკური თავისუფლების, ეროვნული თანასწორუფლებიანობის, ადგილობრივი და საოლქო ავტონომიის სარგებლობა?“ (ტ.20, გვ.121).



აზრი სწორია. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდში თუ ამ პატარა ერებს საოლქო ავტონომიასაც არ შეპირდები, მაშინ მათთვის ბოლშევიკური წყობილება რით იქნება განსხვავებული მეფის რეჟიმისაგან, მაშინ ან რატომ შეწყვეტენ ბრძოლას, ან თუ მოახერხეს დამოუკიდებლობის მოპოვება, რატომ მოინდომებენ უკან რუსებთან შეერთებას; მესამე ის, რომ პარტიას არ შეუძლია რაღაც სიახლე შეიტანოს ერთა იმ ურთიერთობაში, რომელსაც ბელადი ხალხთა საპყრობილეს უწოდებს. ამიტომ, ამბობს იგი: „ჩვენ ავტონომიის მომხრე ვართ ყველა ნაწილისათვის, ჩვენ გამოყოფის უფლების მომხრე ვართ (და არა ყველას გამოყოფის მომხრე!). ავტონომია არის დემოკრატიული სახელმწიფოს მოწყობის ჩვენი გეგმა. გამოყოფა სრულიადაც არ არის ჩვენი გეგმა... საერთოდ, ჩვენ წინააღმდეგი ვართ გამოყოფისა. მაგრამ ჩვენ მომხრე ვართ გამოყოფის უფლებებისა“ ... (ტ.19, გვ.598).

ვ.ი. ლენინის თვალსაზრისი შეეხება არა მხოლოდ ეროვნულ უმცირესობას, შეეხება პატარა და საშუალო სიდიდის ერებს, რომელთა ისტორიული წარსული, კულტურა რუსეთზე მდიდარი და მნიშვნელოვანია. ასეთ დროს საოლქო ავტონომიის შეპირება არ უნდა იყოს დიდი დათმობა მსოფლიო ფედერაციული რესპუბლიკის მდიდარი ილუზიის გზაზე. რით არ არის მარგალიტი, ერების გამოყოფის უფლების აღიარების შეხამება, გამოყოფის აკრძალვასთან; საოლქო ავტონომიის ერების თავისუფლებად, საკუთარ კაცთმოყვარეობად წარმოდგენა. რაოდენ ჰუმანურად და სამართლიანად უღერს მოთხოვნა: „საჭიროა ფართო საოლქო ავტონომია“ 9რასაკვირველია, არა მარტო პოლონეთისათვის, არამედ რუსეთის ყველა ოლქისათვის“ (ტ20, გვ.45), იმ დროს, როდესაც კარგადაა გარკვეული, რომ „... „ავტონომიური“ ერი უფლებრივად „მპყრობელი“ ერის თანასწორია არა“ (თ.22, გვ.438).

კიდევ ერთი არსებითი მომენტია გასათვალისწინებელი. სოციალ-დემოკრატთა აზრით ავტონომია შეიძლება სხვადასხვა ხარისხისა ყოფილიყო. ი. სტალინი ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს: „საბჭოთა ავტონომია არ არის გაყინული და ერთხელ და სამუდამოდ მოცემული რამ, მისთვის დასაშვებია განვითარების სულ სხვადასხვა ფორმა და დონე“. (ტ.4, გვ.386).



ეს არა მხოლოდ სიტყვიერი აღიარება იყო, არამედ პრაქტიკაც. იმავე ნაშრომში აგრძელებდა რა მსჯელობას, ი. სტალინი ასე ახასიათებდა პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოღვაწეობას: „განაპირა მხარეების საოლქო ავტონომია... რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი გაჩენის პირველი დღეებიდანვე გამოაცხადა და რომელიც ამჟამად განაპირა მხარეებში ტარდება ადმინისტრაციული კომუნებისა და ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკების სახით“ (ტ.4, გვ.386).

საოლქო ავტონომია, რომელიც საბჭოთა პრაქტიკა ხდებოდა, სოციალ-დემოკრატიკა დიდი ნაწილის მიერ გაგებულ იყო, როგორც ღრობითი მოვლენა, შუალედური ეტაპი ცენტრალიზებული დიდი რესპუბლიკის შექმნის პროცესში (ტ.4, გვ.391). და ეს აზრი დიდ რევოლუციურ თეორეტიკოსებს ისე მყარად ჰქონდათ გამჯდარი, რომ ვ.ი. ლენინს უხდებოდა არარუს ბოლშევიკთა ავტონომიაზე დაყოლიება, მათი დამშვიდება იმით, რომ ამ ავტონომიას იძლევა ცენტრი და თუ საჭიროა ცენტრი გააუქმებს. ბოლოს და ბოლოს ეს ხომ ფედერაცია არაა, პატარა ერებსპოლიტიკური მართვის ფორმა არ გაუუქმდეთ. „თქვენ წინააღმდეგი ხართ ავტონომიისა. – სწერს ვ.ი. ლენინი ს. შაუმიანს – თქვენ მხარს უჭერთ მხოლოდ საოლქო თვითმმართველობას... რატომ უნდა მიეცეს ავტონომია პოლონეთს, ხოლო კავკასიას, სამხრეთსა და ურალს არა? ავტონომიის ფარგლებს ხომ ცენტრალური პარლამენტი განსაზღვრავს! ჩვენ დემოკრატიულ ცენტრალიზმს ვუჭერთ მხარს, უსათუოდ. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ფედერაციისა“ (ტ.19, გვ.597).

თუ საჭიროა საკითხის უფრო ღრმა აღქმა, შეიძლება უამრავი მასალის მოტანა ბელადის შრომებიდან, როდესაც იცავს ავტონომიზაციის (საოლქო ავტონომიის) პრინციპს ფედერაციის საპირისპიროდ. იგი ფედერაციას არანორმალურს, ანტიპარტიულს უწოდებს (ტ.49, გვ.214, V, რუს. გამ.). ფედერაციის პრინციპი მას საერთოდ „უაზრობად“ მიაჩნია. „ფედერაციის უფლება – აღნიშნავს, ერთა თანასწორობის თეორეტიკოსი – საერთოდ უაზრობაა, ვინაიდან ფედერაცია ორმხრივი ხელშეკრულებაა. მარქსისტებს არასგზით არ შეუძლიათ საზოგადოდ ფედერალიზმის დაცვა შეიტანონ... პროგრამაში, ამაზე ზედმე-



ტია ლაპარაკი“ (ტ.20, გვ.542).

რით არ არის ეს აზრი გულახდილობის მომენტის შემცველი. რა გამოდის ამ მტკიცებიდან თუ არა ის, რომ მარქსისტებს (იგულისხმება ბოლშევიკებს, რომლებიც შორს იყვნენ მარქსისტებისაგან) არ შეუძლიათ ფედერაციის პრინციპის აღიარება იმ მოტივით, რომ იგი თანასწორ მხარეთა ორმხრივ ხელშეკრულებას გულისხმობს. ამით ისიცაა ნათქვამი, რომ პარტია წინააღმდეგია ერების გათანასწოების. ასეთ შემთხვევაში მპყრობელი ერის, რუსის ინტერესები ილახება. ილახება კი?

ყველა შემთხვევაში ვ.ი. ლენინს მიაჩნია, რომ პროლეტარიატის საქმე არ არის ფედერალიზმისა და ნაციონალური ავტონომიის ქადაგება (ტ.6 გვ.4903). სრულიად გასაგებია, რომ რუსეთის იმპერიის კოლონიურ ერებს, რევოლუციის გამარჯვების შემთხვევაში არ უნდა ჰქონოდათ არც თვითგამორკვევის, გამოყოფის, არც მრაველეროვან სახელმწიფოში სრულუფლებიან წევრად დარჩენის და ფედერაციული პრინციპის გატარების იმედი (ტ.20, გვ.39). უკეთეს შემთხვევაში ისინი დროებით მიიღებდნენ საოლქო ავტონომიას, სანამ არ განხორციელდებოდა ერების „დაფქვა-ასიმილაციის“ ღია პრინციპი. მსოფლიოში რევოლუციის საწყის ეტაპზე პატარა ერების საოლქო ავტონომია იყო ეროვნებათშორისი ურთიერთობის საბჭოთა მოდელის ლენინური პრინციპი.

ამრიგად, ეროვნული კულტურის, ენის, საზღვრების ლიკვიდაციის პრინციპებს ავსებდა საოლქო ავტონომიის პრინციპი დემოკრატიული ცენტრალიზმის პირობებში. ამ პრინციპების რეალურ განხორციელებას უნდა უზრუნველყო ერთიანი, დიდი საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა, რომელიც სრულუფლებიან წევრად შევიდოდა მსოფლიო საბჭოთა ფედერაციულ რესპუბლიკაში.

„ნეტარ არიან მორწმუნენი...“

მაგრამ საკითხის სირთულე არა მხოლოდ პრინციპების ორიგინალურობაშია. ბევრი იყო დამოკიდებული იმ მეთოდებზე, რომელსაც გამოიყენებდნენ პრინციპების განხორციელების დროს. მეთოდები ვერ შეცვლიდნენ პრინციპებს, მაგრამ შეეძლოთ გაედღიერებინათ ან პირიქით შეენელებინათ სიმწვავე. მეთოდების საკითხი პრინციპული მნიშვნელობისაა.



## ეროვნებათშორისი ურთიერთობების ლენინური მეთოდები

ეროვნებათშორისი ურთიერთობების სოციალ-დემოკრატიული კრედო, მისი რევოლუციული განხორციელების ლენინური პრინციპები ბუნებრივად მოითხოვდა შესაბამისი მეთოდების შემუშავებას. მოქმედების პროგრამა თეორიული კრედოს რეალისაციის აუცილებლობით იყო განპირობებული. როგორცაა თეორია, ისეთი უნდა ყოფილიყო მოქმედების, ეროვნებათშორისი ურთიერთობების ახალი ტიპის დამყარების მეთოდები.

კრედო გულისხმობდა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოების შექმნას, სადაც დაკარგული არ იქნებოდა იმპერიის მიერ დაპყრობილი მიწები. ამასთან, ურთიერთობის ახალი ტიპი მოითხოვდა მჩაგვრელი ერის მხრივ ეროვნული თვითგამორკვევის უფლების აღიარებას, იმ პირობით, რომ ჩაგრულ ერებს უარი უნდა ეთქვათ გამოყოფაზე და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაზე.

ეროვნებათშორისი ურთიერთობების ახალი ტიპის შექმნის ლენინური პრინციპები შეესატყვისებოდნენ თეორიულ კრედოს. იმისათვის რათა ახალი ტიპის მრავალეროვანი სახელმწიფო შექმნილიყო, საჭირო ხდებოდა მათ შორის მტკიცე ყოველმხრივი კავშირი. ამიტომ პარტია, ვ.ი. ლენინი უარყოფდა კონფედერაციის, ფედერაციის პრინციპებს და ორიენტაციას ცენტრალიზებულ სახელმწიფოზე იღებდნენ სადაც სხვა ერებს ექნებოდათ საოლქო ავტონომიის უფლება.

ოქტომბრის რევოლუციის მომდევნო პერიოდში, როდესაც ყოფილი იმპერია დაიშალა და დამოუკიდებელი რესპუბლიკები აღმოცენდნენ, პარტიული კრედო და პროგრამა შეიძლება განხორციელებულიყო მხოლოდ რევოლუციური ძალადობის გზით. პარტიისათვის ეს იყო იძულებითი აუცილებლობა. სხვანაირად მრავალეროვანი სოციალისტური რესპუბლიკა ვერ შეიქმნებოდა. უარის თქმა ამ მიზანზე, ნიშნავდა მსოფლიო ფედერაციული რესპუბლიკის იდეაზე უარის თქმას, მსოფლიო რევოლუციური პროცესის მნიშვნელოვან დასუსტებას. ასეთ დროს, მსოფლიო





რევოლუციის განუხორციელებლობა ფაქტობრივად მოასწავებდა რუსეთში რევოლუციის სოციალისტური ხასიათის გადაგვარებას, მის ჩამოყვანას ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის თვისობრიობამდე. ოქტომბრის რევოლუციის იმედი მსოფლიო რევოლუციაში პროცესის აღმავლობა იყო და პარტიას არ შეეძლო უარი ეთქვა რაიმე ღონისძიებაზე, რაიმე მეთოდზე თუ ის ამ პერსპექტივას შეასუტებდა.

აქედან გამომდინარე ვ.ი. ლენინი ამუშავებდა მოქმედების ისეთ ღონისძიებებს, ისეთ მეთოდებს, რომელნიც კონკრეტულ ისტორიულ პირობებში მაქსიმალურად აახლოებდნენ სანუკვარ მიზანს – მსოფლიო სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის შექმნას, სადაც დიდი ერი, რუსეთი, თავისი შემადგენელი პატარა ერებით (საოლქო ავტონომიებით), გაერთიანდებოდა როგორც სრულყოფილებიანი წევრი.

ქვეყნის მდგომარეობა განსაზღვრავდა მოქმედების სიმკაცრეს და ვ.ი. ლენინი ითვალისწინებდა ამ აუცილებლობას.

ოფიციალური სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა ვ.ი. ლენინს წარმოადგენს, როგორც ყველაზე ჭკვიანს, მცოდნეს, გამგებს, გულკეთილს, უცოდველს, შეუმცდარს. ერთი სიტყვით იყო ნახევრად ღმერთი. მისი ასეთად წარმოსახვა საშუალებას იძლევა ხალხში შეიქმნას აზრი, რწმენა, რომ ყოველივე, რაც მისგან მომდინარეობს, მას უქმნია, უთქვამს, უფიქრია ხალხისთვისაა, ამიტომაც, რომ ყოველი საბჭოთა ლიდერი ცდილობს შეიქმნას ლენინურობის ორეული. ვ.ი. ლენინის მრავალრიცხოვან გამონათქვამებიდან ყოველთვის შეიძლება მოძებნონ ყველა სიტუაციის შესაბამისი ორიოდე ციტატი. ამ შესაძლებლობამ შეადლებინა ქვეყნის ლიდერებს თაობიდან – თაობაზე ემტკიცებინა ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები და ამასთან დარჩენილიყვნენ მტკიცე ლენინელებად.

ამავე დროს, ვ.ი. ლენინის დებულებები, რომელთა გამომზეურება ბევრს საკითხს გახდიდა ნათელს, მივიწყებული ან ღრმა არქივში გამოკეტილი იყო და დღესაც არავინ უწყის, რამდენი საბუთია სამეცნიერო ბრუნვის გარეშე. ასევე შეუძლებელი იყო მსჯელობა ვ.ი. ლენინის ხასიათის სიჯიუტეზე, სიმკაცრეზე, დაუნდობლობაზე და ა.შ. არადა თეორიულ საკითხთა განხილ-



ვის, პრაქტიკულ ღონისძიებათა შეფასების დროს ბევრი მომენტი უნდა იქნეს გათვალისწინებული, წარმოშობის ეროვნულობიდან, სოციალური მდგომარეობიდან, აღზრდის ხასიათიდან დაწყებული და ავადმყოფობის უკანასკნელი დღის ჩათვლით – ეჭვს არ იწვევს, რომ ზოგიერთ დოკუმენტს პირადი ხასიათის ან განწყობილების აშკარა დაღი აზის.

თანამედროვე პირობებში გარდაქმნის კონცეფციით შეთამაშებულმა პუბლიცისტებმა ყურადღება გაამახვილეს ვ.ი. ლენინის მეობის არც თუ სასიამოვნო ასპექტებზე. არაორაზროვნად აღინიშნა, რომ იგი არ იყო ისეთი კეთილი, როგორაც ყოველთვის ხატავდნენ. მისი იდეები და მოქმედებანი შეიცავდნენ დესპოტიზმს, სისხლისღვრის, დაუნდობლობის გარდაუვალობას. მართლაც ვინც დაკვირვებით გადახედავს ნაშრომს „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“ აღმოაჩენს აზრს, რომლის თანახმად არავითარი წინააღმდეგობა არაა საბჭოთა დემოკრატიისა და ცალკეულ ხელმძღვანელთა დიქტატორულ უფლებებს შორის. ვინც გადაათვალიერებს ცნობილ ნაშრომს „მემარცხენეობის საყმაწვილო სენი კომუნიზმში“ სასიამოვნოდ გაოცებული დარჩება აზრით, რომ საბჭოთა სახელმწიფო (როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ფორმა) უეჭველად არის კანონით შეუზღუდავი, სასტიკი, სისხლიანი ხელისუფლება.

ბელადის იდეურობა განსაზღვრავს გადაწყვეტილებათა რადიკალობას. ეს უკანასკნელი მოითხოვს მოქმედების შესაბამის მეთოდებს. ღრმად იდეური ბელადი, პირველ რიგში გადამცდარი თანაპარტიელების ჩამოხრჩობას მოითხოვს (ტ.25, გვ.53, რუს.გამ). იგი ასევე მოუწოდებს „უფრო მკაცრად ვდევნოთ და დახვრებით დავსაჯოთ ტყუილუბრალოდ დამბუხებულები“ (ტ.42, გვ.101). მოითხოვს აპარატის მუშაკთა, ამ „იდიოტების“, მოლაყბების ციხეში დალაპობას (ტ.45, გვ.613), უცხოელ მოქალაქეთა „საკონცენტრაციო ბანაკში“ მოთავსებას, მათი შემდგომი გადაცვლის მიზნით (ტ.44, გვ.225), კულაკობის (ბოლოს და ბოლოს უნდა ითქვას, რომ მარქსისტული გრადაციის მიხედვით ევროპელ კულაკებს რუსეთში მხოლოდ მემამულენი უტოლდებოდნენ, ხოლო რუსი კულაკები სინამდვილეში საშუალო შეძლების გლეხები იყვნენ), დაუნდობელ განადგურებას „რაც შეიძლება



მალე და რაც შეიძლება ენერგიულად“ (ტ.44, გვ.422). ბელადის აზრის სიმკაცრე როგორც ჩანს, არავის სტოვებდა ყურადღების გარეშე. რად ღირს ასეთი ფაქტი: „უნდა დაძაბოთ მთელი ძალ-რონე – მიუთითებს იგი – შეადგინოთ ღიქტატორთა სამეული... დაუყოვნებლივ მოაწყოთ მასობრივი ტერორი, დახვრიტოთ და გაიყვანოთ ასობით მეძავი, რომლებიც ათრობენ ჯარისკაცებს, ყოფილ ოფიცრებს და ა.შ.“ (ტ.44, გვ.94). კარგი წარმოსადგენი კია მეძავებთან მებრძოლი ბელადი, უფრო არსებითია, რომ იგი საფუძველს უყრიდა ავადღნობილი სამეულების, საკონცენტრაციო ბანაკების განუკითხაობის სისტემას.

ვი. ლენინის აზრის სიმკაცრე სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აღიარებულ ავტორიტეტებსაც არ ინდობს. ბევრ მათგანს იგი რბილად ფარისებლებს უწოდებს (ტ.22, გვ.444), ზოგს საბოტაჟიორებს და იდოტებს (ტ.45, გვ.80), სასაცილოებს, უაზროებს (ტ.20, გვ.494), მათხოვრებს (ტ.45, გვ.99) და ა.შ. მიმართვის განუკითხაობის საილუსტრაციოდ, მისი ვმაიაკოვსკთან დაკავშირებული ბარათი ავ. ლუნაჩარსკის: „როგორ არა გრცხვენიათ, რომ ხმა მიეცით მაიაკოვსკის... გამოცემას... აბლაუბდაა, სისულელე, აშკარა სისულელე და პრეტენზიულობა...“

ლუნაჩარსკი გაიწკებლოს ფუტურიზმისათვის“ (ტ.45, გვ.123).

ასევე ჰუმანურია იგი, როცა მოითხოვს საკონცენტრაციო ბანაკის შექმნას დაყ ველა არასასურველი პირის იქ მოთავსებას (ტ.41, გვ.433, რუს. გამ.) რეკვიზიციას, ქონების კონფისკაციას, უცხოელთა ბინებიდან გამოყრას და ა.შ. (ტ.43, გვ.256, რუს.გამ).

ყოველივეს შემდეგ არ იქნება უცნაური თუ ასეთივე პრინციპულობა ეროვნებათშორისი ურთერთობების სფეროშიც გამოვლინდება. ამ მიმართულებით ორი ძირითადი ხაზი აღინიშნება: 1. როცა ობიექტური აუცილებლობა მოითხოვს ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მოქმედებას (მსჯელობას) და 2. როცა შეიძლება გულახდილი მსჯელობა.

პირველი მიმართულებით საკითხი ჯერ კიდევ მოითხოვს მკვლევართა დიდ ყურადღებას, მეორე მიმართულებით სამწუხაროდ, ლიტერატურა ჯერ არ არსებობს. არა და როგორ არ



შეიძლება მკვლევარები, საკითხით დაინტერესებული ადამიანები სპეციალურად აშუქებდნენ ისეთ სიტუაციებს, რომელიც უეჭველად მიუთითებენ ლენინური აზრის სიმკაცრეზე ეროვნებათშორისი ურთიერთობის ხაზით. ასეთი მრავალი წყარო არსებობს.

საბჭოთა შუაზიელი მეცნიერები ბევრს მუშაობენ მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის, მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის საკითხებზე, მაგრამ გამორჩეული გულმოდგინებით გვერდს უვლიან იმ ფაქტს, რომ ვ.ი. ლენინი მათ „ტუზემცებს“ უწოდებდა. ვერ ამჩნევენ?

ვ.ი. ლენინი 1919 წ. 19.XII დეკემბით შ.ხ. ელიავასადმი სწერს, ისეთი მუშაობის გაშლის აუცილებლობაზე, რომელიც „ტუზემცებს“ (ქართულ თარგმანში გამოთქმა შეცვლილია – მკვიდრი მოსახლეობით) ჩაუნერგავს რწმენას, რომ „საბჭოთა ადამიანები არ შეიძლება იყვნენ იმპერიალისტები, იმპერიალისტური ჩვევებიც კი არ შეიძლება ჰქონდეთ“ (ტ.44, გვ.310). ადამიანმა ამასთან უნდა წარმოადგინოს სიტუაცია, რომელიც მკვიდრ მოსახლეობას აფიქრებინებდა, რომ ბოლშევიკების პოლიტიკა ძველის გაგრძელებაა, აქ არაფერი არ შეცვლილა.

ამგვარი ფიქრების საფუძველი მოსახლეობას მართლაც ჰქონდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ კოლონიებში რუსი მუშებიც თავს კოლონიზატორებად გრძნობდნენ და ადგილობრივ მოსახლეობას ბატონკაცურად ექცეოდნენ (ტ.41, გვ.433, რუს. გამ). რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ მ. ტომსკი ვ.ი. ლენინის დახასიათებით ასევეა გაუღენთილი კოლონიზატორული იდეებით. იგი 5/4 კოლონიზატორია (ტ.53, გვ.259, რუს. გამ.) და სწორედ მას აგზავნიან ხელმძღვანელად შუა აზიაში. რას მოიმიქმედებდა იგი ტაშკენტში? მით უმეტეს, თუ მას მიიჩნევდნენ აღმოსავლეთში „მსოფლიო პოლიტიკის“ გამტარებლად, აქებდნენ და ამავე დროს თხოვდნენ ყველაფერი მოემიქმედა, ოღონდ რევოლუციური რუსეთისათვის რაც შეიძლება მეტი სურსათი გაეგზავნა. მაგალითად ასე: დამშეულ ტაშკენტში ემოვნა და მოსკოვისათვის გაეგზავნა 9 მლნ. ცხვარი. თან მოქცეულიყო ფრთხილად, ბრძნულად და არ შეეღაზა რუსეთის „მსოფლიო პოლიტიკა“, აღმოსავლეთში (ტ.53, გვ.104-1-5, რუს. ამგ.).



ამავე დროს სერიოზულ ამოცანად დგებოდა მუსულმანი მოსახლეობის დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთისადმი. ამიტომ მიუთითებდა ბელადი, ა.იოფეს, რომ ძალზე აუცილებელია, მნიშვნელოვანია „ტუზმცების“ ნდობის მოპოვება, მათი გულის მონადირება (ტ.53, გვ.190, რუს. გამ.).

ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ყველაფერი ეს ერთა თვით-გამორკვევის ფარგლებში და მისი აუცილებლობით იყო „ნაკარნახევი“. ყოველივე არარუსი მოსახლეობის ინტერესებს „ემსახურებოდა“. ასეთსავე მზრუნველობას იჩენდა ვ.ი. ლენინი სხვა ერების მიმართაც. სხვა რა მოტივით უნდა აიხსნას მისი საყვედური ს. შაუმიანისადმი, როდესაც მან ცალკეულ მომენტში თავისი სამშობლოს ინტერესებისათვის რაღაც სასარგებლო ბრძანა. ბელადი მას პირდაპირ საყვედურობს. როგორ არა გრცხვენია შენ (ს.შაუმიანს), რუს მარქსისტს იღვე „სომხური საქათმის“ თვალსაზრისზე (ტ.48, გვ.302, რუს. გამ.). თუ შუაზიელები „ტუზმცები“ არიან, სომხეთი რით არ არის „საქათმე“? ბელადის ბრძნულ ნათქვამს გაგება სჭირდება.

იქნებ ყოფილი იმპერიის სხვა რეგიონებისდმი დამოკიდებულება შეესატყვისება ერთა თვითგამორკვევის დიად მიზანს? შეესატყვისება მხოლოდ ისე, როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიას ესმოდა. ამ მხრივ ვ.ი. ლენინი გამონაკლისი ვერ იქნებოდა.

ამიტომ, რომ იგი ჯერ კიდევ 1918 წელსაყენებდა საკითხს: უკრაინელი გლეხები (ლატაკები) არიან რუსეთთან შეერთების მომხრენი თუ არა? (ტ.50, გვ.232, რუს. გამ.). ოქტომბრის გადატრიალებისთანავე დაწყებული კოლონიების გამოყოფის პროცესი დამთავრებული იყო. ისმოდა საკითხი მათი შემოკრების შესახებ. ამ მხრივ უკრაინას უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამდენად გასაგები უნდა იყოს, ვ.ი. ლენინის ინტერესი. მაგრამ ინტერესით ხომ ვერ შემოიფარგლებოდა საკითხი. რა გასაკვირია, რომ სიტყვას საქმე მოჰყვებოდა. ეს მხოლოდ ინტელიგენტებს სჩვევიათ ერწმუნონ სიტყვას და სიტყვა საქმედ ჩათვალონ. ბოლშევიკები კი მოქმედების ხალხი იყო. მოქმედების აუცილებლობამ განაპირობა ვ.ი. ლენინის გადაწყვეტილება: „ჯერ უკრაინა ავიღოთ ბოლომდე, ხოლო თურქესტანი მოიც-



დის, გაუძღვებს გაჭირვებას“ (ტ.44, გვ.306).

ისტორიის, გეოგრაფიის სახალხო მეურნეობის დიდი სპეციალისტობა როდია საჭირო, რათა მიხვდეს ადამიანი, რატომ ანიჭებს ვ.ი. ლენინი ესოდენ დიდ მნიშვნელობას უკრაინის ალებას. უკრაინის ბოლომდე ალება ბოლშევიკების მსოფლიო პოლიტიკისათვის გაცილებით მეტს ნიშნავდა სხვა რეგიონებთან შედარებით. ამასთან, თუ თურქესტანს (იმ პერიოდის შუა აზიას) უფრო მეტად გაუჭირდებოდა, არც ეს იყო სადარდებელი. მეტად გაჭირვებული, მეტი თვინიერია.

უკრაინის მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო, რომ საბჭოთა უკრაინელი მკვლევარები დღესაც ვერ იცლიან იმის გასაგებად, რატომ მიაჩნდა ვ.ი. ლენინს სურსათის სახალხო კომისარიატის საქმეებში უკრაინის დამოუკიდებლობა „სრულიად დაუშვებლად“ (ტ.45, გვ.43-44). ვერც ის გამოუთვლიათ მეცნიერებს, თუ რას ნიშნავდა უკრაინიდან სურსათის სამი მეოთხედის რუსეთში გაზიდვა და უკრაინელებისათვის მათი პროდუქტის მხოლოდ ერთი მეოთხედის დატოვება (ტ.45, გვ.57). საკმაოდ ძნელია ერთბაშად გაარკვიოს ადამიანმა მ. ფრუნზესათვის გაგზავნილი დეპეშის შინაარსი: „ჩვენი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია შევავროვოთ უკრაინაში 200-300 მილიონი ფუთი.

ამისათვის მთავარია მარილი. სულ მთლად წამოვიღოთ, ჯარის სამმაგი კორდონი შემოვარტყათ მოპოვების ყველა ადგილს, არც ერთი გირვანქა არ გაუშვათ, არავის მოვაპარვინოთ.

... თქვენ მარილის მთავარსარდალი ხართ“ (ტ.45, გვ.132).

არაა საჭირო გრძელი კომენტარები. საკმარისია მიეთითოს, რომ 1921 წ. უკრაინა ჯერ კიდევ სრულიად დამოუკიდებელ, რუსეთთან ხელშეკრულებით დაკავშირებულ, საბჭოთა რესპუბლიკას წარმოადგენს. თუ ასეთი დიდი, დამოუკიდებელი სახელმწიფოსადმი დამოკიდება ამგვარია, რა იქნებოდა რსფსრ შემავალი ერების წილად? ასეთ დროს რას უნდა ნიშნავდეს სოციალ-დემოკრატიის ერთა თვითგამორკვევის უფლება მოქმედებაში?

ნიშანდობრივია ის ფაქტი, რომ რიგ შემთხვევებში ვ.ი. ლენინი არც მალავს რევოლუციური ძალაუფლების იძულებით გავრცელების შესახებ. ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხე-



ლისუფლების გამარჯვებასთან დაკავშირებით, იგი გ. ორჯონიკიძეს აფრთხილებს: ვთხოვ იმოქმედო ფრთხილად. განსაკუთრებით დაღესტანში შესვლის დროს. იქ საზეიმო ვითარებაში უჩვენეთ ჩვენი სიმპათიები მუსულმანებისადმი, მათი ავტონომიისადმი და ა.შ. (ტ.27, გვ.256, რუს.გამ.). ჩრდილო კავკასიაში ისევე, როგორც მთლიანად იმპერიაში, რომ სოციალისტური რევოლუციის მატერიალური პირობები არ იყო ეს ცხადია. უცხადესია, რომ არავითარ სოციალისტურ რევოლუციაზე დაღესტანში ფიქრიც არ შეიძლებოდა. ამიტომ ბუნებრივია, ამ მხარეში საბჭოთა ხელისუფლებას მხოლოდ იძულების, ძალდატანების მეთოდებით შეეძლო წარმატების მიღწევა.

თუ ყველა რეგიონში ერთნაირი იყო საბჭოთა ხელისუფლების გავრცელებისა და დამკვიდრების მეთოდები, როგორი უნდა ყოფილიყო კავკასიაში?

კავკასია და განსაკუთრებით ამიერკავკასია საბჭოთა ხელისუფლების მსოფლიო პოლიტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ეს ხელშესახები მაშინ გახდა, როდესაც დასავლეთში რევოლუციური ლაშქრობა 1920 წელს მარცხით დამთავრდა. ამის გამო ი. სტალინი არაორაზროვნად აღნიშნავდა: „ორში ერთი: ან ჩვენ იმპერიალიზმის ღრმა ზურგს – აღმოსავლეთის კოლონიურ და ნახევრად-კოლონიურ ქვეყნებს ავამოქმედებთ, გავაერთიანებთ და ამით დავაჩქარებთ იმპერიალიზმის დაცემას, ან ჩვენ აქ საქმე ჩაგვეშლება, და ამით გავამაგრებთ იმპერიალისმს...“ (ტ.5, გვ.263). ეჭვის შეტანა, რომ ი. სტალინი იმ დროს პარტიის ხელმძღვანელობის საქმის კურსში იყო, არ შეიძლება. არა და მასზე უფრო კარგად, ლოგიკურად, ლაკონიურად საკითხის არსს არავინ არ გადმოსცემდა. თეორეტიკოსები, ინტელიგენტები იფარგლებოდნენ ზოგადსაჭირო, ზოგადაუცილებელი და საერთოდ ღრმად ზოგადი გამოთქმებით. პრაქტიკოსებს შორის ყველაზე მეტად თეორეტიკოსი და თეორეტიკოსებს შორის ყველაზე უფრო პრაქტიკოსი ი. სტალინი ხშირად უფრო მეტი სიმართლის მთქმელია. ამ შემთხვევაში იგი გადმოსცემს ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობის ძირითად აზრს.

მართლაც 1920 წ. დადგა შემორუნების (აღმოსავლეთისკენ) მომენტი. ვისაც ოდნავ მაინც რაღაცა გაეგება სოციალის-





ტური რევოლუციის მარქსისტულ თეორიაში, მან იცის, რევოლუციის სამი ასპექტის შესახებ. ამავე დროს, რუსეთის იმპერიასთან დაკავშირებით მან იცის ისიც, რომ მარქსიზმის თანახმად აქ სოციალისტურ რევოლუციას შეიძლება გაემარჯვა იმ შემთხვევაში, თუ ევროპაში მოხდებოდა სოციალიზმის დამყარება, ევროპის სოციალიზმი დაეხმარებოდა ჩამორჩენილ რუსეთს და მხოლოდ ამის შემდეგ, მრავალი გარდამავალი პერიოდების გავლით იგი შეძლებდა სოციალიზმამდე მისვლას.

ევროპაში სოციალისტური რევოლუციის გავრცელების ცდა 1920 წელს მარცხით დამთავრდა. ბოლშევიკურმა პარტიამ მთელი ყურადღება აღმოსავლეთს მიაპყრო. ი. სტალინის აზრი ამ პოლიტიკის გამოხატულებას წარმოადგენდა.

ამ დროისათვის იმპერიის უმეტეს ტერიტორიაზე უკვე საბჭოთა ხელისუფლება არსებობდა. უახლოესი პერიოდის ამოცანად იდგა ამ ტერიტორიების შემომტკიცება დასავლეთში (ტ.20, გვ.22) და აღმოსავლეთში (ტ.51, გვ.40; ტ.50, გვ.63, რუს. გამ.). პარტია აბსოლუტურად წინაარმდეგი იყო ყოფილი იმპერიის დაშლის, თვითგამორკვევის საფუძველზე პატარა დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღმოცენების, მსოფლიო სოციალისტური რევოლუციური პროცესიდან მათი გათიშვის. ენებოდა რა პარტიის პოლიტიკას, ი. სტალინი აღნიშნავდა „ჩვენ წინააღმდეგნი ვართ რუსეთისაგან განაპირა მხარეების გამოყოფისა, ვინაიდან ამ შემთხვევაში გამოყოფა ნიშნავს იმპერიალისტურ მონობას განაპირა მხარეებისათვის, რუსეთის რევოლუციური ძლიერების შესუსტებას, იმპერიალიზმის პოზიციების გაძლიერებას“ (ტ.4, გვ.406). ეს განცხადება ნიშანდობლივია და პასუხი იმ გააფთრებულ კრიტიკაზე, რასაც ემიგრირებული რუსული საზოგადოება და ქვეყნის შიგნით ოპოზიცია აწარმოებდა პარტიის წინააღმდეგ. რუსული საზოგადოების დიდ ძალებს იმდენად ძალაუფლების, წყობილების ხასიათის საკითხი არ აწუხებდათ, რამდენადაც იმპერიის ტერიტორიების დაქუცმაცების, დაკარგვის საფრთხე. 1917 წელს ფინეთის დამოუკიდებლობის აღიარებამ ბევრად გაართულა ბოლშევიკური ხელისუფლების მდგომარეობა. დაიწყო ცილისწამება პარტიის ხელმძღვანელი ბირთვის წინააღმდეგ, სადაც თეორეტიკოსთა უმეტესობას ებრაელები და პრაქტიკოსთა დიდ



რაოდენობას კავკასიელები წარმოადგენდნენ. კამპანია ყოფილი იმპერიის ტერიტორიების დარიგების, დაკარგვის შესახებ ამ არარუს ხელმძღვანელებს მძიმე მდგომარეობაში ავლენდა. ამიტომ, რევოლუციისა და რუსეთის საქმის ერთგულება (ხელისუფლების შემადგენლობაში დარჩენის სურვილი), მათ უკარნახებდა ებრძოლათ განაპირა მხარეების შემოსაერთებლად. თუ ეს ეხება არარუს რევოლუციონერებს, შეიძლება აღამიანმა წარმოიდგინოს რუსი ხელმძღვანელების განწყობილება. იმდენად მძლავრი იყო მათი დიდმცრობელი შოვინისტური მისწრაფება, რომ მისი უგულვებელყოფა საკმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენდა. ასეთ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში პარტია, ვ.ი. ლენინი ვერ შეურიგდებოდა კავკასიის სრულ დამოუკიდებლობას.

1920 წელს საბჭოთა რუსეთმა მოიცალა კავკასიისათვის და დღის წესრიგში დადგა იქ მსოფლიო რევოლუციური პროცესის გავრცელების საკითხი. გავრცელების მეთოდი ობიექტურ პირობებზე იყო დამოკიდებული. მატერიალური პირობები სოციალიზმისა კავკასიაში ისევე არ იყო, როგორც მთლიან იმპერიაში. ბოლშევიკურ პარტიას გარკვეული გავლენა მხოლოდ ბაქოში ჰქონდა. ასეთ დროს მოქმედების მეთოდი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ რევოლუციური ანექსია. საკითხი ასე იდგა: რევოლუციური რუსეთი ან შემოიერთებდა ყოფილი იმპერიის ტერიტორიებს ან შეუძლებელს გახდიდა საბჭოთა ხელისუფლების არსებობას. პარტიის ხელმძღვანელობას კარგად ესმოდათ, რომ „ცენტრალური რუსეთისა და მისი განაპირა მხარეების დახმარების გარეშე შეუძლებელია რევოლუციის გამარჯვება, შეუძლებელია რუსეთის განთავისუფლება იმპერიალიზმის ბრჭყალებისაგან. ცენტრალური რუსეთი, მსოფლიო რევოლუციის ეს კერა, - აცხადებდა ი. სტალინი - დიდხანს ვერ გასძლებდა, თუ მას არ დაეხმარებოდა ნელაქალით, სათბობით, სასურსათო პროდუქტებით მდიდარი განაპირა მხარეები“ (ტ.4, გვ.382). რევოლუციური რუსეთისათვის საკითხი ასე იდგა: „ვინ მოიკიდებს ფეხს კავკასიაში, ვინ ისარგებლებს ნავთითა და აზიის სიღრმეში მიმავალი უარესად მნიშვნელოვანი გზებით, რევოლუცია თუ ანტანტა, - ეს არის მთელი საკითხი“, მართლაც „რევოლუციისათვის კავკასიის დიდი მნიშვნელობა გან-



ისაზღვრება არა მარტო იმით, რომ იგი ნედლეულია, სათბობისა და სურსათის წყაროა, არამედ მისი მდებარეობითაც ევროპასა და აზიას შუა, კერძოდ, რუსეთსა და თურქეთს შუა, აგრეთვე უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური სტრატეგიული გზების არსებობით (ბათუმი-ბაქო, ბათუმი-თავრიზი, ბათუმი-თავრიზი-აზრუმი)(ტ.4, გვ.444). ისტალინის ამ სიტყვებში ნათლადაა გადმოცემული პარტიის პოლიტიკის დასაბუთება, გამართლება და გაგება. ნათელი უნდა იყოს, რომ საბჭოთა რუსეთი ვერ მოითმენდა თავის გვერდით დამოუკიდებელი რპუბლიკების არსებობას კავკასიაში.

პარტიის მიერ ყველაფერი გათვლილი იყო ბრძნულად და ლოგიკურად. ცხადია „ჩრდილო კავკასიის გარეშე ბაქოს აღება და მისი განმტკიცება აბსურდია“ (გ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები ტ.1 თბ.1957, გვ.85). ამიტომ ბოლშევიკები მთელ მცდელობას ჩრდილო კავკასიის აღებას ანდომებდნენ. როცა მიზანი მიღწეული იქნა, დღის წესრიგში დაისვა ბაქოს „აღების“ საკითხი. როგორც ჩანს ვ.ი. ლენინისაგან განსხვავებით ი. სტალინი, გ. ორჯონიკიძე არა მალავენ ჭეშმარიტებას, ბელადის ეშმაკობა მათ არ მოსდგამთ. ამიტომ პრაქტიკოსი გ. ორჯონიკიძე ამაყად აცხადებს: „ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის შემდეგ პარტიის წინაშე დადგა ამოცანა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა ამიერკავკასიაშიც“ (იქვე გვ.240-262) ან ასე: „წითელმა არმიამ რომელიც აქ მოვიდა აზერბაიჯანელი ამხანაგების, ზერბაიჯანის კომუნისტების, აზერბაიჯანის პირველი რეკომის მოწოდებისამებრ, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შემოსვლის პირველ დღესვე აიძულა საძაგელი მუსავატისტური მთავრობა, კაპიტულაცია მოეხდინა“ (იქვე გვ.145). ასე მოკლედ და არსებითადაა დახასიათებული აზერბაიჯანში საბჭოთა წყობილების დამყარების (1920 წლის აპრილი სოციალისტური „რევოლუციის“) მთელი ისტორია.

ასეთსავე გულახდილობის სტილში გამოთქვამს აზრს ი. სტალინი. რკპ (ბ) X ყრილობაზე, უპასუხა რა გ.ჩიჩერინს აღნიშნა: „იგი ძალიან ბევრს ლაპარაკობს ნაციონალურ თვითგამორკვევაზე, რომელიც მართლაც, ფუჭ ლოზუნგად გადაიქცა... რომ ამ ლოზუნგს უკვე ორი წელია გამოვეთხოვეთ. ეს ლოზ-



უნგი ჩვენ აღარ გვაქვს პროგრამაში...“ ერთა თვითგამორკვევის უფლება პარტიამ შეცვალა „ხალხთა სახელმწიფოებრივი გამოყოფის უფლებით“, რომელიც ასევე მტკიცედ „რევოლუციურ ლოზუნგს წარმოადგენს“. (ტ.5, გვ.45-46). ლოზუნგების გვერდით პარტიას ჰქონდა რეალური პროგრამა – მოთხოვნა „განაპირა მხარეების გამოყოფის მოთხოვნა რევოლუციის ახლანდელ სტადიაში უაღრესად კონტრრევოლუციურია“ (ტ.4, გვ.385).

ი. სტალინის ამ გამონათქვამებიდან აშკარა ხდება ბოლშევიკური პარტიის ნამდვილი მისწრაფება, რომელიც აბსოლუტურად ემთხვევა სოციალ-დემოკრატიულ კრელოს: ერთა თვითგამორკვევის, გამოყოფის უფლების აღიარება არ ნიშნავს მისი განხორციელებისათვის ზრუნვას. პირიქით, ამ ლოზუნგების გამოყენებით უნდა მოხერხდეს არარუსი ერების შემომტკიცება. ი. სტალინი პარტიის თეორეტიკოსის აზრს კავკასიური პირდაპირობით შიშველი სახით გადმოსცემს.

პრაქტიკოსებისაგან განსხვავებით თეორეტიკოსი ყოველთვის ირჩევს სასურველ ფორმას. არ აუხეშებს, არ ამიშვლებს იდეას, არ ხდის მას საყოველთაოდ გასაგებად. ასე მაგალითად, როდესაც 1917 წლის მიწურულში დამფუძნებელი კრების მოწვევის საკითხი პრაქტიკულად დაისვა, ვ.ი. ლენინმა კი არ გააკრიტიკა ეს მოთხოვნა, არა, უბრალოდ შესთავაზა პარტიას, ხალხს, წამოეყენებინათ ლოზუნგი - „მშრომელი ხალხი მოითხოვს, რომ დამფუძნებელმა კრებამ ცნოს საბჭოთა ხელისუფლება და საბჭოთა მთავრობა“ (ტ.42, გვ.8). არ დაუსვია კითხვა: თუ დამფუძნებელმა კრებამ ცნო ახალი ხელისუფლება, მთავრობა, მისი დეკრეტები, მაშინ რაღა დამფუძნებელი კრებაა? არა. მხოლოდ შესთავაზა ლოზუნგი. დიანაც ჭკვიანურია. მეორე მაგალითი: 1920 წლის ზაფხულში ა.ს. სერაფიმოვიჩმა წერილით შეატყობინა ფაქტები გ. ორჯონიკიძის არა რევოლუციური, მაგრამ გ. ორჯონიკიძისათვის საერთოდ დამახასიათებელი მოქმედების შესახებ. ვ.ი. ლენინმა ეს ფაქტები შეატყობინა გ. ორჯონიკიძესა და ჰკითხა „რა არის მართალი და რა არ არის მართალი?“ თან სთხოვა ი. არმანდის და მისი ვაჟიშვილის სანატორიუმში მოწყობა. გ. ორჯონიკიძემ თხოვნა შეუსრულა და ბრალდება უარყო. ი.არმანდის მოწყობით ნასიამოვნები თეორეტიკოსი აცხ-



ადებს – არ შეიძლება გ. ორჯონიკიძე ტყუოდეს.

თეორეტიკოსისათვის დამახასიათებელი სტილი, ბუნებრივია, ეროვნებათშორისი ურთიერთობების სფეროშიც – იჩენს თავს. იგი არ უარყოფს თვითგამორკვევის უფლებას. უბრალოდ ამტკიცებს: „ერთი ქვეყნის დემოკრატიის ინტერესები უნდა დავემორჩილოთ რამდენიმე და ყველა ქვეყნის დემოკრატიის ინტერესებს“ (ტ.22, გვ.439). ამ დებულებიდან ორი დასკვნა მანაც გამომდინარეობს: 1. თუ მართლა დემოკრატიულია რამდენიმე ქვეყანა, მათი ინტერესები არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ერთი მართლა დემოკრატიული ქვეყნის ინტერესებს; 2. ამ დებულების გამოყენებით შეიძლება გამართლებული იქნეს ნებისმიერი სახელმწიფოთაშორისი ქმედება. შეიძლება გამართლება მოეძებნოს ანექსიას, მით უფრო თუ ის რევოლუციურია.

რაც შეეხება მოქმედების მეთოდებს, იგი საერთოა, განსაზღვრული ცენტრიდან და გულისხმობს კანონით შეუზღუდავი მოქმედებით, ძალადობით, დაყვავებით, დაპირებით, მაკიაველის ხელოვნების სრული გამოყენებით, რუსეთის იმპერიის ტერიტორიების შემოკრებას, მათ მოქცევას ერთიან ცენტრალიზებულ საბჭოთა რესპუბლიკაში. პარტიის ლიდერთა თანახმად, მხოლოდ ეს მისცემდა ქვეყანას საშუალებას გამხდარიყო მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ბაზა, საყრდენი და ხელი შეეწყო მსოფლიო ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შექმნისათვის.

კავკასიას ამ პროცესებში უნდა შეესრულებინა დიდმნიშვნელოვანი როლი. კავკასია გამოდიოდა როგორც კარიბჭე რევოლუციურ თურქეთთან და ირანთან მიმართებაში. იგი ამავე დროს განიხილებოდა როგორც ერთიანი სამეურნეო-ეკონომიური ერთეული, რომელსაც ევალებოდა მსოფლიო რევოლუციის ბაზის უზრუნველყოფა სათბობით, ნედლეულით, რესურსებით. იგი ასევე შეიძლებოდა გამხდარიყო საფარველი კაპიტალისტურ სამყაროსთან ომისა და მშვიდობის ურთიერთობაში. ამიტომ კავკასია რევოლუციური განახლების გარეშე ვერ დარჩებოდა. მოქმედების ის ლენინური მეთოდები, რაც გამოსცადეს სხვა რეგიონებში, სრულად უნდა ესინჯა მთლიანად კავკასიას და კერძოდ საქართველოს.



## ქვეყნის უმცირესობების საქართველოში

საქართველოში არ არსებობდა სოციალიზმის დამყარების ობიექტური და სუბიექტური წინამძღვრები. არ იყო მატერიალური პირობები, არ იყო ძლიერი მუშათა კლასი, არ იყო მნიშვნელოვანი ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაცია.

საბჭოთა მეცნიერები ათეულობით წლების მანძილზე მსოფლიოს მოჰფენდნენ რუსეთის იმპერიის სამრეწველო აყვავებულობის, საქართველოს მოწინავე პოზიციების, საქართველოს მუშათა მრავალრიცხოვნების, მუშათა და გლეხთა ბოლშევიკების გარშემო დარაზმულობის და ათასი სხვა „გლობალური“ პრობლემის შესახებ, იწერებოდა მონოგრაფიები, იზრდებოდა რაოდენობა სამრეწველო საწარმოთა, დაქირავებული მუშათა კლასის, მათი შეგნებულობის, ბოლშევიკურობის შესახებ და ა.შ. ის ვინც თვალს გაადევნებს ყველა ამ მონაცემის ზრდის ტენდენციას მონოგრაფიიდან სტატიებში და პირუკუ, გაცეხებული დარჩება მკვლევართა მაღალსტატობით, გონივრულობით, საქმეში ჩახედულობით. ყველა ეს საკითხი ცალკე ანალიზის ობიექტია.

ობიექტურად კი საქართველოს სამრეწველო პოტენციალი სასაცილოობის დონემდე იყო, სამრეწველო პროლეტარიატი მოსახლეობის ერთ პროცენტს არ აღემატებოდა, ხოლო ბოლშევიკთა გავლენა იმდენად იყო დიდი, რომ სამრეწველო ცენტრში, თბილისში მათი რაოდენობა 1911 წელს, გ. ორჯონიკიძის მტკიცებით, 85 კაცს აღწევდა. მთლიანად საქართველოში, მკვლევართა დიდი მონღომების მიუხედავად რიცხვი 10 ათასს ვერ გადაამეტეს.

კავკასიის მასშტაბით ბოლშევიკთა გავლენა, ძალა მხოლოდ ბაქოში იგრძნობოდა, ამიტომ იყო აქ ქართველ ბოლშევიკთა ცენტრი. აქ შეიქმნა 1915 წელს, ოქტომბერში რსდმპ აზერკავკასიის ბიურო. აქ მიმდინარეობდა მთელი ძირითადი საქმიანობა. აქ იყო რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი განლაგებული გ. ორჯონიკიძის მეთაურობით. აქ წარმოებდა მოსამზადებელი საქმიანობა საქართველოში ლენინური ეროვნული თეორიის



რეალიზაციისათვის.

საკუთრივ საქართველოში საუკუნის დასაწყისში ერთადერთ მძლავრ მოძრაობას ეროვნულ-განმათავისუფლებელი წარმოადგენდა. მასთან თანაფარდობაში სოციალური საკითხი მეორეხარისხოვნად გამოიყურებოდა და მასაც ეროვნული იერი ჰქონდა და მიღებული. იმპერიაში, მკვეთრად დაპირისპირებული კელიკორუსული შოვინიზმი და ჩაგრულთა ნაციონალიზმი, უნიადაგოს ხდიდა ქართველ ბოლშევიკთა მისწრაფებას, სოციალური ბაზა შეექმნათ მრავალეროვანი მომავალი სოციალისტური ცენტრალიზებული სახელმწიფოს თვალსაზრისისთვის. ავტონომიის პრინციპი, რომელიც ლოზუნგად და არა განსახორციელებლად იყო წამოყენებული, ქართველ ბოლშევიკთა უარყოფით რეაქციას აწყდებოდა. ბოლშევიკ-თეორეტიკოს ა. წულუკიძეს მიაჩნდა, რომ ავტონომიის პრინციპის აღიარებაც კი ზიანის გარდა შედეგს არ იძლეოდა. რეალიზაციის შემთხვევაში ქართველები ეროვნული სახელმწიფოს ორგანიზაციას დაიწყებდნენ და სოციალური საკითხი ამით უკუგდებული იქნებოდა. მეორე თეორეტიკოს-ბოლშევიკი ფ. მახარაძე პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების სამრეკლოდან ეროვნული საკითხის შორეული მომავლისათვის გადადებს მითხვოდა. ეროვნული მოძრაობა მხოლოდ აფერხებდა სოციალური მოძრაობის გაქანებას.

ბოლშევიკები სწორედ გებულობდნენ ვ.ი. ლენინის იდეას მრავალეროვანი ცენტრალიზებული სოციალისტური რესპუბლიკის უპირატესობათა შესახებ. ეს ამორებდა მათ საკუთარი ერისაგან, რომელიც მკვეთრად მოხაზული ეროვნული დამოუკიდებლობის პოზიციაზე იდგა და იბრძოდა.

ეს გარკვეულად ამორებდა ერს მენშევიკებისგანაც, რომლებიც მართალია თვითგამორკვევის პრინციპს იზიარებდნენ, მაგრამ საოლქო ავტონომიის უფლების ფარგლებში, მენშევიკებს ვერ წარმოედგინათ რუსეთისაგან საქართველოს მოწყვეტა.

ეს აახლოებდა მენშევიკებს ბოლშევიკებთან და ამორებდა ორივეს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ მამულიშვილებს. თვალსაზრისთა ეს სხვაობა ზოგჯერ ტერორისტულ პრაქტიკაში გამოიხატებოდა. ესეც ერის ტრაგედია იყო.

რუსეთის იმპერიაში თებერვლის რევოლუციამ მძლავრი





სტიმული მისცა სოციალური და ეროვნული მოძრაობის მომხრეებს. სოციალურმა საკითხმა იმძლავრა. კონკრეტულ-ისტორიულმა ვითარებამ ინება მემარცხენე რადიკალების მისვლა ხელისუფლების სათავეში. ბოლშევიკურმა პარტიამ შექმნა საბჭოთა მთავრობა. დაიწყო სოციალურ-კლასობრივი და ეროვნული ერთიანი ფორმის სწრაფი დაშლა-ურთიერთდაპირისპირება.

1917 წლის ნოემბერში დროებითი მთავრობის სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი კავკასიაში – საგანგებო კომიტეტი იძულებული გახდა ადგილი დაეთმო კავკასიის ერების ერთობლივი მართვის ახალი ორგანო – ამიერკავკასიის კომისარიატისათვის.

კომისარიატი შექმნილი იქნა ქართველი, სომხური და თურქული (ამჟამინდელი აზერბაიჯანელი) მოსახლეობის გავლენიანი პარტიებისაგან ე. გეგეჭკორის თავმჯდომარეობით.

კავკასიის მართვის ახალი ორგანო მიჩნეული იქნა დროებით ღონისძიებად, სანამ რუსეთში ბოლშევიკური სახელმწიფო გადატრიალებით გამოწვეული არეულობა არ ჩაცხრებოდა. ამ ეტაპზე გავლენიანი პარტიები 1917 წელს მაისში არჩეული დამფუძნებელი კრების მოწვევის მოიმედენი იყვნენ.

ბოლშევიკებმა დამფუძნებელი კრების მრავალრიცხოვან მორწმუნეთა ოცნებას 1918 წლის 5 იანვარს სამუდამო წერტილი დაუსვეს. ამავე დროს შინაგანი ვითარების გამო განაპირა გუბერნიებისათვის ვერ მოიცალეს და დაიწყო დეკოლონიზაციის სწრაფი პროცესი. ეს იყო ვითარებით გამოწვეული, და არა თვითგამორკვევის პრინციპის შეგნებული განხორციელების შედეგი.

თვითდინებას მინდობილმა კავკასიის პარტიებმა დამფუძნებელი კრების დეპუტატებისაგან სრულიად კავკასიის სეიმი შექმნეს. 1918 წლის 15 თებერვალს სეიმი მუშაობას შეუდგა. წამოყენებული იქნა რუსეთისაგან გამოყოფის მოთხოვნა. სოციალ-დემოკრატიული კრელოს ერთგულმა ბოლშევიკებმა უარყვეს ასეთი პოზიცია. მათი ოცნება კვლავ ცენტრალიზებული სოციალისტური რესპუბლიკა იყო. მენშევიკები (მათ შორის ნ. ჟორდანიას) ყოყმანობდნენ. მათი კრელო საოლქო ავტონომია რუსეთის ფარგლებში, ვერ ეგუებოდა ბედის მიერ ნაჩუქარ სრულ დამოუკიდებლობას.

პრაქტიკამ კორექტივი შეიტანა ეროვნული საკითხის გადა-



წყვეტის თეორიულ გააზრებაში. პრაქტიკამ ინება კავკასიის ჩამოცილება რუსეთისაგან.

სეიმის მიერ შექმნილმა მთავრობამ (თავმჯდომარე ჯერ ე. გეგეჭკორი) საქმეს თავი ვერ მოაბა და არც შეეძლო რაიმე გაეკეთებინა. განთავისუფლებული ერების წინაშე პირველ რიგში ეროვნული მეობის, სახელმწიფოებრიობის, საზღვრების საკითხი იდგა. მეფის მთავრობის მიერ კავკასიის გუბერნიებად და მაზრებად ისეთი დაყოფა, რომელიც ერების ურთიერთობას გაართულებდა, სავალალო შედეგებს ითვალისწინებდა. საკვირველი არ არის, რომ კავკასიელთა ერთობას ვერც ა. ჩხენკელის მთავრობა და ვერც რუსეთისაგან დამოუკიდებელი დემოკრატიულ-ფედერაციული რესპუბლიკის დეკლარაციამ უშველა. ფედერაციაში შემავალი ყოველი ერი ფაქტობრივად თვითგამორკვევის საკითხით იყო დაკავებული.

თუ საქართველო და სომხეთი ცდილობდნენ თავიდან აცილებინათ თურქეთის ექსპანსია, ზერბაიჯანი პირიქით თურქეთის პროტექტორატს მიესწრაფოდა. მოძმეთა დახმარების მოიძებნე აზერბაიჯანმა ფაქტობრივად უღალატა ფედერაციას და ასეთ პირობებში 1918 წლის 26 მაისს დილით სეიმი დაშლილად გამოცხადდა. საღამოთი კი მას მოჰყვა ცნობა საქართველოს დამოუკიდებელი, მუდმივი ნეიტრალიტეტის მქონე, დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შესახებ.

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ნ. ყორღანის ხელმძღვანელობით შეუდგა ქვეყნის საშინაო და საგარეო პრობლემების გადაწყვეტას. სამწუხაროდ საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურა რესპუბლიკის მთავრობის ამ პროგრამას ან არ განიხილავდა ან როგორც წესი – დამახინჯებული სახით. საიდუმლოს არ წარმოადგენდა ის სიძნელებები, რაც ა. ბენდიანიშვილსა და განსაკუთრებით უ. სიღამონიძეს შეხვდათ შესაძლებლობის ფარგლებში გაწეული ობიექტური ხასიათის გამოკვლევებისათვის. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გაიგივება საგინებლად მიჩნეულ – მენშევიკურ მთავრობასთან. მთავრობის საშინაო პოლიტიკა შეფასებული იყო, როგორც ანტიმეშური, ფეოდალური ორიენტაციის, მიმართული მშრომელთა წინააღმ-



დეგ. საგარეო პოლიტიკა გამცემლურად, ერის ღალატის ტოლფასად იყო, მიჩნეული. თითქოს, მთავრობას ერთი ოცნება ჰქონდა, როგორ მიეყვანა ქვეყანა გერმანელი ან ინგლისელი ოკუპანტებისათვის. ცილისწამება იქმამდე მივიდა, რომ მკვლევარები ერთი-მეორეს ეჯიბრებოდნენ საკუთარი ერის, ისტორიის, მეობის გინებაში. ღალატი სწორედ ეს არის. ამ ავ ტრადიციას სათავე დაუდო საქართველოს „განმათავისუფლებელი“ შვილის გ. ორჯონიკიძის „მეცნიერულმა“ დასკვნამ: „საქართველომ თავისი „დამოუკიდებლობა“ მიიღო „სულთანის ფაშებისაგან... ამიერკავკასიის რესპუბლიკის „დამოუკიდებლობა“ ნაკარნახევი იყო თურქეთის ფაშების მიერ“ (სტატიები და სიტყვები ტ.1, გვ.260-261). მას გარკვეული „საბუთებიც“ მოეპოვება ნათქვამის დასამტკიცებლად. კერძოდ, საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ მოითხოვა ტყვეების დაბრუნება და ყაზბეგიდან გატაცებული მასალების დაბრუნება. მაგრამ ეს ხომ ღალატია. „უნდა განვაცხადოთ, - ასკვნის ეროვნული გრძნობებით გულაჩუყებული - რომ მოლაპარაკება შეიძლება წარმოებდეს მხოლოდ თერგის ოლქისა და თბილისის გუბერნიის ურთერთდამოკიდებულების თვალსაზრისით“. (იქვე გვ.53-54). საჯაროობის კურსმა შესაძლებელი გახადა გარკვეული ოდენობით მაინც დაწყებულიყო სიმართლის კვლევა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანმოკლე, მაგრამ უაღრესად რთული და ღრმაშინაარსიანი ისტორიიდან. ერის ისტორიის ეს პერიოდი აბსოლუტურად ხელახალ გააზრებას საჭიროებს.

ნარკვევის მიზანი სცილდება დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობისა და საშინაო ცხოვრების ანალიზს. სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების გარდაქმნის პროგრამა ცალკე კვლევის ობიექტია. რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მითითებით მოწყობილი აჯანყებანი გაგრა-გუდაუთში, სამეგრელოში, ღუმეთში, ოსეთში, სხვა ქვეყნის წინააღმდეგ მოწყობილ აქტებს ისევე ჩამოგავს, როგორც მშრომელთა გამიზნულ მოძრაობას ბოლშევიკების ხელმძღვანელობით. ამიტომ ეს ისტორიაც ცალკე უნდა იქნეს შესწავლილი.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტიდან ცხადია, რომ



მენშევიკური პარტია სოციალ-დემოკრატიული კრელოს ერთ-გული რჩებოდა. იგი მდგომარეობის მოთხოვნამ აიძულა დასთანხმებოდა რუსეთისაგან საქართველოს მოწყვეტას და არა რწმენამ. ეს მომენტი საერთოდ იგრძნობოდა მთავრობის და კერძოდ ნ. ჟორდანიას საქმიანობაში. ამიტომ იყო, რომ ერთი მხრივ ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ აღნიშნა მენშევიკების პოლიტიკური მოუძწიფებლობა, მერყეობა ეროვნული მეობის დაცვის საქმეში და მეორე მხრივ, ვ.ი. ლენინი ს.გ. შაუმიანს ურჩევდა შეეკრათ „ბლოკი ჟორდანიასთან“. იგი ასევე წინააღმდეგი არ იყო ნ. ჟორდანიასთან თანამშრომლობის. ერთ პარტიაში დიხანს ყოფნის, ცოდნის გამოცდილება ასეთი დასკვნების საშუალებას იძლეოდა. მით უმეტეს, რომ ნ. ჟორდანიას სამთავრობო პროგრამა საბოლოო ანგარიშით სოციალიზმის დამყარებას ითვალისწინებდა.

ყოველივეს მიუხედავად ერთი რამ ცხადია, 1917 წლის ნოემბრიდან იწყება საქართველოს რუსეთისაგან რადიკალური გამოყოფის პროცესი და 1918 წლის 26 მაისის აქტით, იგი ჩამოყალიბდა, როგორც სუვერენული, მუდმივი ნეიტრალიტეტის მქონე სახელმწიფო. მის შიგნით დაიწყო სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების ეროვნულ ნიადაგზე გარდაქმნის პროცესი, რაც სამართლებრივად განმტკიცებული იქნა 1920 წლის აპრილში მიღებული დემოკრატიული რესპუბლიკის შესატყვისი კონსტიტუციით.

მხოლოდ იმისათვის, რათა უარყოფილი იქნეს აზრი, თითქოს ე.წ. მენშევიკური მთავრობის დროს, დაიწყო მემამულური ურთიერთობის აღდგენის პროცესი, უნდა მიეთითოს, რომ სინამდვილეში სულ სხვა საფუძველი დაელო დამოუკიდებელ ცხოვრებას. კონსტიტუცია სპობდა წოდებრივ სხვაობას, აცხადებდა მოქალაქეთა სრულ თანასწორობას მიუხედავად ეროვნებისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური მრწამსისა. ასევე ცხადდებოდა პოლიტიკური კავშირების შექმნის, სიტყვის, დემონსტრაციის, გაფიცვის თავისუფლება. სამუშაო დღე იფარგლებოდა 8 საათით, იკრძალებოდა მოზარდთა შრომის გამოყენება. მართალია რესპუბლიკის აგებას საფუძვლად ფედერაციის პრინციპი არ დასდებია, მაგრამ ავტონომიის უფლება რეალურად ენიჭებოდა ზაქათალის, აფხაზეთის, აჭარის რეგიონებს. არამკვიდრი



რეგიონის კომპაქტურად მცხოვრებლებს საშუალება ეძლეოდათ სწავლა-აღზრდის, კულტურული საქმიანობის ეროვნულ ენაზე ორგანიზებისა და ა.შ.

ჩამოთვლილი ღონისძიებანი ნათლად მეტყველებენ საქართველოს მთავრობის დემოკრატიულ ხასიათზე. ამ მიმართულებით ბოლშევიკური მთავრობა უფრო შორს არც წასულა და ვერც წავიდა. თუ მოხდება შედარება მოქმედების მეთოდების თვალთახედვით, მაშინ აშკარა უპირატესობა საქართველოს მთავრობის მხარესაა, რომელმაც უარყო ტერორი, საკონცენტრაციო ბანაკების, მასობრივი დახვრეტების პოლიტიკა.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ყველაზე დიდი სიძნელებები შეექმნა საგარეო პოლიტიკური ურთიერთობის ხაზით. რესპუბლიკამ ვერ მოასწრო ჩამოყალიბება, რომ უკვე განიცადა თურქეთის ექსპანსია. 1918 წლის გაზაფხულზე თურქეთის წარმატება განაპირობა რუსული ჯარის დაშლამ და ეროვნული ჯარების არ არსებობამ. ამიტომ იყო საქართველო იძულებული მიემართა უცხო ქვეყნების დახმარებისათვის.

იმ რთულ ვითარებაში დემოკრატიულ საქართველოს არჩევანის საშუალება არა ჰქონდა. იმპერიის სამხრეთით ფრონტის მოშლა ნიშნავდა კავკასიის ხალხების მიტოვებას ბედის ანაბარად. ეს რომ ყოფილიყო XVII ს. საქართველო მოახერხებდა თავდაცვას. საუკუნოვანი ბატონობის მანძილზე მეფის რუსეთმა ერს თავისი შეიარაღებული ძალების ორგანიზაციის უფლება წაართვა. ქართველებს მხოლოდ რუსულ ჯარში სამსახურის საშუალება და ვალდებულება ეკისრათ. ესეც, როგორც ასიმილაციის ფორმა და არა საჭიროება. ამიტომ 1918 წელს სხვა გამოსავალი, თუ არა ავტორიტეტიანი მფარველის მოძებნა, პრაქტიკულად არ არსებობდა. თურქეთის საფრთხეს თუ დაემატება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის აუცილებლობა ნიკოფსიდიდან<sup>1</sup> კახის რაიონის ჩათვლით, ლარსიდან ლორე, ალავერდის, ანტალას ხაზის გათვალისწინებით, ცხადი გახდება, თუ

1. ნიკოფსია – ადრეული ლაია, რომელიც პომპეუსმა ნიკოფსიად გადაწვინა, მდებარეობდა ტუაფსედან დაახლოებით 20 კმ. ჩრდილოეთით



რა უმწეო მდგომარეობაში ჩააგდო ქართველობა რუსმა დიდ-მპყრობელურმა პოლიტიკამ და ამ ფონზე ორი გერმანული ბატალიონის სიმბოლური შემოსვლა საქართველოში არც მათ ჩათვლებათ ქვეყნის ოკუპაციად და არც დემოკრატიულ მთავრობას – ქვეყნის დაღატად. იმ მკვლევარებს, რომლებიც ასეთ თვალსაზრისს ავითარებდნენ ბევრად ურჩევნიათ პარალელი გაავლონ რუსეთის საქართველოს სამეფოში შემოსვლის ისტორიასა და ამ დროებით ფაქტს შორის და დასკვნები ისე გააკეთონ.

1918 წლის 26 მაისიდან ობიექტური, რეალური მსჯელობა შეიძლება საბჭოთა რუსეთისა და დემოკრატიული საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებზე. რაოდენ სამწუხაროა, რომ ეს არ გაიზიარა საბჭოთა მთავრობამ იმ დროს და არ იზიარებენ მკვლევარები დღემდე. რეალობის უგულვებელყოფამ გამოიწვია, ის, რომ დემოკრატიულ საქართველოს არ სცნობდა თავისუფლებისა და თანასწორობისათვის მებრძოლი საბჭოთა რუსეთი და მუდმივად ომით ემუქრებოდა (და ეომებოდა) ძველი წყობილების მოტრფიალე დენიკინის დროებითი მთავრობა.

ამ მდგომარეობას უნდა დაემძიმებინა ქვეყნის შიდა გარდაქმნის პროცესი, გარდა ამისა საქართველოს კონფლიქტური სიტუაცია ჰქონდა ზერბაიჯანის რესპუბლიკასთან ზაქათალას ოლქის გამო და სამხედრო კონფლიქტი სასომხეთთან მდ. დებედას ხეობის ქვედა ნაწილის გამო.

1918 წლის ნოემბერ-დეკემბერში ქართველ-სომეხთა კონფლიქტს მოჰყვა ინგლისის ჩარევა და საბოლოო ანგარიშით საკითხის მშვიდობიანი მოგვარება. გადაწყდა ლორე-ახტალა-ალავერდის ზოლი ნეიტრალურ ზონად გამოეცხადებინათ. ორ პატარა და მუდამ კეთილმეზობლურად მცხოვრებ ერს არ ჰქონდა უფლება ურთერთკონფლიქტში ეხარჯათ ადამიანთა სიცოცხლე. პირველი რიგის ამოცანას ეროვნულ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცება წარმოადგენდა. მით უმეტეს, რომ საბჭოთა მთავრობა არ უშვებდა თვალყურის არედან საქართველოს. სამოქალაქო და ინტერვენტებთან ომში ჩაბმული საბჭოთა მთავრობა არა მხოლოდ უწყობდა ხელს ბოლშე-



ვიკებს მოეწყოთ ამბოხებანი საქართველოში, არამედ შეიარაღებულ დახმარებასაც აღუთქვამდა მათ. საკმარისი იყო სომხეთთან კონფლიქტის გამო გართულებულიყო რესპუბლიკის მდგომარეობა, რომ საბჭოთა რუსეთმა მოამზადა კასპიის ზღვის სახელმწიფო ფლოტილია (ტ.44, გვ.142-143).

როგორც კი გაჩნდა შესაძლებლობა მაშინვე იქნა მიღებული კურსი კავკასიის რესპუბლიკების და კერძოდ საქართველოს გასაბჭოებისა და რუსეთთან შეერთების შესახებ. მთელი ამ ხნის მანძილზე არ შეუწყვეტია მოქმედება პარტიის ამიერკავკასიის ორგანიზაციას. იგი ამზადებდა ამბოხებებს სხვადასხვა რეგიონებში და ფაქტობრივად ერეოდა სუვერენულ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ბევრს ცდილობდა მიეღწია სუვერენული უფლებების ცნობისათვის. საერთაშორისო აღიარება არა პრესტიჟული, არამედ სასიცოცხლო მოთხოვნილება იყო. აღიარების შემთხვევაში რესპუბლიკა მიიღებდა მსოფლიო საზოგადოების მხარდაჭერას. ეს გააძნელებდა მეზობელ სახელმწიფოთა აგრესიულ მოქმედებას, გარკვეულად დაიცავდა პატარა ნეიტრალურ სახელმწიფოს. დიდი მცდელობის მიუხედავად დიდი სახელმწიფოთა მხრივ აღიარებას 1920 წლამდე საშველი არ დაადგა.

1920 წელს დასავლეთის სახელმწიფოებმა მიაქციეს ყურადღება საქართველოს საკითხს. რესპუბლიკა იმ დროს თავის ტერიტორიებად განიხილავდა ნიკოფსიდან, ამჟამად მდ. ნოგოფსუხოდან და ტუაფსედან მოყოლებული ზაქათალას ოლქს, სამხრეთით კი ყარსის, ოლთისის, სპერის, არტაანის, ტრაპიზონის მიმდებარე ტერიტორიების ჩათვლით. რესპუბლიკას ამ დროს ყურადღება საბჭოთა რუსეთმაც მიაქცია.

საბჭოთა რუსეთის პრეტენზიები საქართველოს მიმართ აშკარა ხდებოდა. ეს განსაკუთრებით ნათელი შეიქმნა რკპ(ბ) კავკასიის სამხრეთ კომიტეტის თხოვნის შემდეგ, წითელი არმიის მეშვეობით დაემყარებინათ საბჭოთა წყობილება ამიერკავკასიაში.

დემოკრატიული საქართველოს მთავრობამ სცადა საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის მშვიდობიანი მოგვარება. 1920 წლის 14 აპრილს საქართველომ შესაბამისი ნოტით მიმართა რუსეთს.





ამ უკანასკნელს ჯერ კიდევ გადასაწყვეტი ჰქონდა ყირიმში გამაგრებული ვრანგელის განდევნის საკითხი. ამავე დროს ჯერ არ იყო ამოწურული დასავლეთ ევროპაში სოციალისტური რევოლუციის გავრცელების შესაძლებლობის ილუზია. მწვავედ იდგა პოლონეთის საკითხი. საბჭოთა ხელმძღვანელობა ვერც ფინეთს ელეოდა საბოლოო ანგარიშით. ასეთ დროს დროებითი სასურველი ზავის დადება საქართველოსთან სრულიად მისაღები ჩანდა. ამასთან საჭირო იყო მსოფლიოს თვალში თავისუფლების მოყვარე და მშვიდობის მსურველი სახელმწიფოს პრესტიჟის შენარჩუნება. ამიტომ საქართველოს თხოვნას დადებითად უპასუხეს. თან მიიღეს გადაწყვეტილება მოლაპარაკების საქმე გაეჭიანურებინათ. მზადდებოდა კავკასიის გასაბჭოების საკითხი.

ყოველივედან გამომდინარე გრ. ურატაძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი მოლაპარაკებაზე, რუსეთში მიიღეს, მაგრამ როსტოვში გააჩერეს კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს, სინამდვილეში ს. ორჯონიკიძის, განკარგულებით. აღნიშნული ფაქტის გამო მოხდა აზრთა გაზიარება ვ.ი. ლენინსა და გ. ორჯონიკიძეს შორის. ვ.ი. ლენინმა დეპეშით შეატყობინა: „შეგიძლიათ თქვენი სახელით აცნობოთ ბატონ ურატაძეს, რომ მთავრობა მოსკოვში მისი ჩამოსვლის წინააღმდეგი არ არის, ამასთან სავსებით გეთანხმებით, რომ საჭირო არ არის როსტოვიდან მოსკოვში მისი ჩამოსვლის დაჩქარება, რის გამო თვითონ დანიშნეთ თქვენი შეხედულებისამებრ მისი წამოსვლის დღე“ (ტ.44, გვ.366).

კომენტარი საჭირო არ არის. საბჭოთა მთავრობას, რომ გულწრფელად სდომებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა, მასთან კეთილმეზობლური ურთიერთობა გრ. ურატაძეს არ დააკავებდნენ, ამდენ დაბრკოლებას არ შეუქმნიდნენ. ჭეშმარიტად მამულის მსურველ სიყვარულმა შეაძლებინა დესპანს ჩასულიყო მოსკოვში და მოლაპარაკება ეწარმოებინა.

გ. ორჯონიკიძე, რომელსაც ასე უდროოდ დაუძვრა გრ. ურატაძე, ატყობინებდა ვ.ი. ლენინს, რომ პრაქტიკულად ყველაფერი მზადაა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. საჭირო იყო მოლაპარაკების გაჭიანურება 10 დღით,



ერთი კვირით მაინც. აზერბაიჯანში აპრილის „რევოლუციის“ გამარჯვების შემდეგ, ეს ამოცანა მას ადვილად შესასრულებლად მიაჩნდა. ვ.ი. ლენინი ყოყმანობდა. ემინოდა საერთაშორისო მდგომარეობის გართულების. გარკვეული იყო მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების რეაქცია, რევოლუციური თურქეთის რეაგირება, აზიაში რევოლუციური პროცესების გავრცელების მოსალოდნელი შედეგი. გ. ორჯონიკიძემ გაბედა და გადაწყვიტა საქართველოს ტერიტორიის დაკავება. რევოლუციური ანექსია იწყებოდა. მდგომარეობის ანალიზმა მოითხოვა მისი შეჩერება. ვ.ი. ლენინი ი. სტალინთან მოთათბირების შემდეგ საქართველოსთან ზავის სასარგებლოდ გადაიხარა. გ. ორჯონიკიძეს 1920 წ. 5 მაისს სასწრაფოდ დეპეშა გაეგზავნა. „ცენტრალური კომიტეტი გავალბებთ გამოიყვანოთ ნაწილები საქართველოს ფარგლებიდან საზღვარზე და თავი შეიკავოთ საქართველოზე შეტევისაგან.“

თბილისთან მოლაპარაკების შემდეგ ცხადია, რომ საქართველოსთან ზავი გამორიცხული არ არის“ (ტ35, გვ.474).

დრო საქართველოს დამოუკიდებლობის სასარგებლოდ მუშაობდა. ვერ შესრულდა ბოლომდე 1919 წლის მაისში რკპ(ბ) სამხარეო კომიტეტის დადგენილების რეალიზაცია ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მთავრობების დამხობისა და საბჭოთა წყობილების დამყარების შესახებ. ვერ შესრულდა მიუხედავად იმისა, რომ ეს პლატფორმა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს მიერ იყო მოწონებული. სოციალისტური რევოლუციის კავკასიური პროცესი აზერბაიჯანის ფარგლებში შეჩერდა.

აკრძალვის მიუხედავად გ. ორჯონიკიძე – ს. კიროვმა ადებულ კურსს ვერ უღალატეს. მათ ვ.ი. ლენინს აცნობეს საქართველოში სულ ადვილია საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება, რომ საქართველო აგრესიას მიმართავს საბჭოთა ზერბაიჯანის წინააღმდეგ – პასუხად მიღებული იქნა ვ.ი. ლენინის დეპეშა: „ეს ძირეულად ეწინააღმდეგება ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას. შეიძლება დამღუპველი შედეგები მოჰყვეს. ცენტრალური კომიტეტი არავითარ შემთხვევაში არ დართავს ნებას. კატეგორიულად მოვითხოვთ გადაწყვეტილების შესრულების“



შეჩერებას და გაუქმებას“ (ტ.44, გვ.373).

1920 წლის 7 მაისს გაგზავნილმა ამ დეკრეტმა, ხელმოწერილმა ვ.ი. ლენინისა და ლ.დ. ტროცკის მიერ, იხსნა საქართველოს ანექსიისაგან, ხოლო რუსეთი აშკარა აგრესორის ტიტულისაგან. იმავე დღეს რუსეთ-საქართველოს შორის ლ. კარახანისა და გრ. ურატაძის ხელმოწერით დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება.

ხელშეკრულების პირველი მუხლი ცნობდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და უარს ამბობდა მის მიმართ ყოველგვარ პრეტენზიასა და წინაპირობაზე. „რუსეთი – აღნიშნულია ხელშეკრულების ტექსტში – ყოველი პირობის გარეშე სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას“. ეს იყო ხელშეკრულების გადამწყვეტი მუხლი. საბჭოთა რუსეთი, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, არა მხოლოდ ცნობდა დემოკრატიული საქართველოს სუვერენობას, არამედ უარს აცხადებდა მის საშინაო საქმეებში ჩარევაზე. ამასთან აღიარებდა, რომ ასეთ ჩარევას ადრე ადგილი არ ჰქონდა. „რუსეთი ვალდებულია ხდის თავს ხელი აიღოს საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევაზე“. მცირე მუხლის ასეთი ფორმულირება ნათელს ჰფენს საკითხს თუ სინამდვილეში ვინ მიმართავდა აგრესიულ მოქმედებას საქართველო თუ რუსეთი. ფარდა ეხდება გ. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის ცილისმწამებლურ განცხადებას საქართველოს აგრესიული მოქმედების შესახებ საბჭოთა აზერბაიჯანისა და ამდენად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. თუმცა ისედაც ცხადია, რომ რუსეთ-საქართველოს ძალთა თანაფარდობა ვერ იქნებოდა მეორის მხარეს და მისი მხრიდან ვერ ექნებოდა ადგილი მუქარას და მოქმედებას.

ხელშეკრულება საქართველოს ართმევდა ჩრდილოეთ ტერიტორიებს ადლერ-სოჭი-ტუაფსეს მიდამოებით. საზღვარი წესდებოდა მდინარე ფსოუს გასწვრივ. ასეთი პირობით, საბჭოთა რუსეთი თავს დენიკინის მთავრობის მემკვიდრედ აცხადებდა. აღნიშნული ტერიტორიები ხომ დენიკინმა წაგლიჯა 1919 წელს საქართველოს.

იკმაყოფილებდა რა საკუთარ მოთხოვნილებას, საბჭოთა რუსეთი დანარჩენ ტერიტორიებზე პრეტენზიას აღარ აცხადებ-



და. ზაქათაღას ოლქი მთლიანად შენარჩუნებული იქნა საქართველოს შემადგენლობაში.

მეტად მნიშვნელოვანია ხელშეკრულების მეექვსე მუხლი, რომლის ძალითაც რუსეთი კისრულობდა ვალდებულებას არ ეწარმოებინა საქართველოს წინააღმდეგ მოქმედება და არ დაეშვა თავის ტერიტორიაზე ორგანიზაცია ან ადამიანთა ჯგუფები განწყობილი საქართველოს წინააღმდეგ. „რუსეთი – ნათქვამია ხელშეკრულებაში – ვალდებულია არ მისცეს უფლება მის ტერიტორიაზე ყოფნისა და მოქმედებისა... იმ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც თავის მიზნად საქართველოს მთავრობის დამხობა ექნებათ დასახული“. ასეთი ჯგუფები რუსეთს არც მოკავშირე სახელმწიფოთა ტერიტორიაზე არ უნდა დაეშვა. მუხლი შესანიშნავია. მის თანახმად რუსეთში უნდა გაუქმებულიყო პარტიის ის ორგანიზაცია რომელიც კავკასიის საქმეთა გადაწყვეტას გულისხმობდა, უნდა გაძევებული ყოფილიყვნენ საქართველოდან გაქცეული ბოლშევიკები, რომელნიც დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და ა.შ. რა იქნებოდა ხელშეკრულებებს რომ ასრულებდნენ?

ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკას შორის გაფორმდა ძალიან სერიოზულ ვითარებაში, მაგრამ სერიოზულად მისთვის არასოდეს შეუხედავთ. საბჭოთა მთავრობა მას მიიჩნევდა ფორმალურ და დროებით მოვლენად. ამიტომ არ შეუწყვეტია სოციალისტური რევოლუციის საქართველოზე გავრცელების მცდელობა.

ხელშეკრულების დადებიდან ერთი თვის შემდეგ, 1920 წლის 18 ივნისს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილებას ჩრდილოეთ კავკასიის საკითხთან დაკავშირებით. დადგენილების თანახმად ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს შემადგენლობიდან უნდა გამოეყოთ მუდმივმოქმედი კოლეგია, რომლის მოქმედების არეალი მთლიანად ამიერკავკასია იქნებოდა. კოლეგიას ამიერკავკასიის რესპუბლიკების და თურქეთის საკითხები გ. ორჯონიკიძის მონაწილეობით უნდა გადაეწყვიტა.

ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ დაისვას რამდენიმე შეკითხვა. თუ არსებობენ (და სცნობენ)



ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოები, სადაც შექმნილია კომუნისტური პარტიები, რაღა საჭიროა რკპ(ბ) სამხარეო კომიტეტი, დამატებით კოლეგია და ა.შ. ? რა უფლება აქვს გ. ორჯონიკიძეს გადაწყვიტოს დამოუკიდებელი სომხეთის, საქართველოს და განსაკუთრებით თურქეთის საკითხები? რკპ(ბ) უყურებს ხელშეკრულებას საქართველოსთან, როგორც სახელმწიფოთა შორის შეთანხმებას?

დარწმუნებით შეიძლება ითქვას რომ არა.

ხელშეკრულების თანახმად დემოკრატიული მთავრობა აძლედა თავისუფლებას ქართველს ბოლშევიკებს. იმავე თვეში შეიქმნა საქართველოს კომუნისტური პარტია. ერთი თვის შემდეგ 1920 წლის 30 ივნისს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულმა ბიურომ დაამტკიცა მისი არსებობა და მიანიჭა საოლქო პარტორგანიზაციის უფლება. დამოუკიდებელი ქვეყნის კომუნისტური პარტია დაუქვემდებარეს კავკასიის ბიუროს. რატომ, რა უფლებით, რომელი ხელშეკრულების საფუძველზე?

მიუხედავად ხელშეკრულებისა საქართველოს მთავრობა გრძნობდა საფრთხეს ჩრდილოეთიდან. საბჭოთა რუსეთის „მშვიდობისმოყვარე“ პოლიტიკა იძლეოდა ამის საფუძველს. საქართველოს მთავრობა გამოსავალს ხედავდა ინგლისელთა დაინტერესება-მოზიდვაში. თანახმა იყო ბათუმში ინგლისელები შემოეშვა. ეს იყო ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დიალოგი. მიუხედავად ამისა რუსეთი ომის მუქარით ცდილობდა ამ დაახლოების ჩაშლას. რატომ? ვ.ი. ლენინი ატყობინებდა გ. ჩიჩერინს: „თუ საკითხი დგას მშვიდობა თუ ომი, იგი უნდა დაუკავშირდეს ბათუმსა და საქართველოს“ (ტ.45, გვ.10). სუვერენულ სახელმწიფოს აქვს თუ არა უფლება დადოს მისთვის მისაღები გარიგება?

ვ.ი. ლენინის დავალებით შეიქმნა „რსფსრ სქემატური ადმინისტრაციული რუკა“. 1920 წლის დეკემბრის 21 ვ.ი. ლენინი სასკომსაბჭოს საქმეთა მმართველობას სთხოვს დაინახოს „ახლანდელი საზღვრები“. ახლანდელ საზღვრებში შესულია ამ დროს ჯერ კიდევ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა. რატომ?

ამ კითხვაზე გარკვეულ პასუხს იძლევა საბჭოთა რუსეთის



ხელმძღვანელობის საქმეებში ღრმად ჩახედული ი. სტალინი. იგი წერს: „ეგრეთწოდებული დამოუკიდებელი საქართველო, სომხეთის, პოლონეთის, ფინეთის და სხვ. ეგრეთწოდებული დამოუკიდებლობა მხოლოდ მაცდური მოჩვენებაა. რომელიც ფარავს ამ, უკაცრავად პასუხია, სახელმწიფოების სრულ დამოკიდებულებას იმპერიალისტთა ამა თუ იმ ჯგუფისაგან“ (ტ.4, გვ.384-385). როგორც ჩანს ი. სტალინის პატარა სახელმწიფოების დამოუკიდებლობა ფიქტად მიაჩნია. სინამდვილეში ისინი ან საბჭოთა რუსეთმა უნდა „გაანთავისუფლოს“ ან გარდაუვლად მოექცევიან იმპერიალისტთა გავლენის ქვეშ. ი. სტალინის აზრით ოპტიმალური გამოსავალი მაინც პირველი ვარიანტია. ამიტომ მიმდინარეობს აზრთა ინტენსიური გაცვლა პარტიის ლიდერებს შორის, ამიტომც დიდი ხნის მსოფლიოს სოციალისტური რესოლუციის ორბიტაში მოაქციონ დიდი და პატარა ერები.

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის საკითხი თეორიულად უკვე გადაწყვეტილი იყო. მისი პრაქტიკული განხორციელება შეფერხდა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ძალით. შეფერხდა, მაგრამ არ მოიხსნა დღის წესრიგიდან. უფრო მეტი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი ყოველთვის თვლიდა საქართველოს კომპარტიას თავის საოლქო ორგანიზაციად, ყოველთვის განიხილავდა მის ტერიტორიას თავის შემადგენლობაში, არასოდეს არ ცნობდა რესპუბლიკის სუვერენიტეტს.

ასეთი პოზიციის მიუხედავად საქართველოს სუვერენიტეტის ბოლომდე უგულვებელყოფა ვერ ხერხდებოდა. საკმაო დრო დასჭირდა ამ საკითხის გადაწყვეტას. თუ თვითგამორკვევის უფლების პარტიული გაგების თანახმად საჭირო იყო ბაქო-ბათუმის ეკონომიკური, სამხედრო, რევოლუციური ხაზის რუსეთთან შეერთება, პრაქტიკულად ბათუმში ინგლისელთა პროტექტორატის, ხოლო სასომხეთში თურქეთის პროტექტორატის საფრთხე რეალურად არსებობდა.

ბათუმის საკითხი გ. ჩიჩერინმა მოაგვარა. ინგლისელებმა საერთოდ მიატოვეს საქართველო და ბოლოს, უნიჭოდ ცნეს რუსეთის პრეტენზიები მის მიმართ. იგივე ჩაიდინეს შეერთებულმა შტატებმა. რაც შეეხება სომხეთს, აქ მდგომარეობა



ძალზე გართულდა. 1920 წლის შემოდგომაზე თურქეთ-სომხეთის ომს მოჰყვა ალექსანდროპოლის ზავი. ზავი დაიდო 2 დეკემბერს. ხელშეკრულება ითვალისწინებდა სომხეთის გამოცხადებას თურქეთის პროტექტორატად. ქემალისტური, რევოლუციური თურქეთი თავის მფარველობას ახვევდა თავს რევოლუციური რუსეთისაგან დამფრთხალ სასომხეთს. ორივე რევოლუციურ ბელნიერებას პირდებოდა. საკითხს, ღლეები კი არა, საათები წყვეტდა. და მოხდა მოსახლენი. უსწრაფესი ტემპით სასომხეთში, არ არსებული მშორმელთა საბჭოების ბაზაზე აღმოცენდა სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკა. ქემალისტურ რევოლუციას ლენინურმა აჯობა. აზრის თუ არმიეს სიძლიერით?

კავკასიაში გადასაწყვეტი რჩებოდა საქართველოს საკითხი.

საბჭოთა მთავრობისა და პარტიის ხელმძღვანელობაში გულდასმით მუშავდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიული ბედის საკითხი. 1919 წელს ჯერ რკპ(ბ) სამხარეო კომიტეტის, შემდეგ კი ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს გადაწყვეტილების მიუხედავად მისი რეალიზაცია ვერც 1920 წლის აპრილ-მაისში, ვერც ნოემბერ-დეკემბერში ვერ მოხერხდა. ერთი მხრივ საერთაშორისო ვითარება, მეორე მხრივ საქართველოს მთავრობის პოლიტიკა საკითხის სასურველი გადაწყვეტის საშუალებას არ იძლეოდა. საქართველოს ბოლშევიკების მიერ ორგანიზებული ამბოხებანი სისუსტის გამო მიზანს ვერ აღწევდა, აშკარა სამხედრო ექსპანსიის საფუძველი კი არ არსებობდა.

საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობამ, საქართველოსთან დაკავშირებით, ფრთხილი ტაქტიკის პოლიტიკა ირჩია. თვეების მანძილზე გულდასმით მუშავდებოდა რევოლუციური ანექსიის ოპტიმალური ვარიანტი.

საწყის პერიოდში მისღებად ჩანდა საქართველოს აგრესორად გამოცხადების და აგრესორის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის გაშლის საკითხი. საბელნიეროდ მეფის რუსეთის პირობებში საზღვრების, ეროვნების მიზანდასახული აღრევა ბევრ ტერიტორიულ და ეროვნებათშორისი ურთიერთობების პრობლემებს ქმნიდა კავკასიაში და კერძოდ საქართველოში. ამას ემატებოდა აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, შემდეგ კი სომხეთიდან





ემიგრირებულთა მნიშვნელოვანი კონტიგენტი, რომლებიც ოცნებობდნენ ძველი ურთიერთობის აღდგენაზე სამშობლოში. და არა მხოლოდ ოცნებობდნენ. ყოველივე, გაერთიანებული საქართველოს მთავრობის სიფრთხილესთან, რუსეთთან ცუდ კონტაქტებთან, დასავლეთთან კავშირის სურვილთან, იძლეოდა მისი აგრესორად გამოცხადების გარკვეულ საფუძველს. გ. ორჯონიკიძე და ს. კიროვი არაორაზროვნად ლაპარაკობდნენ საქართველოს აგრესიულობაზე საბჭოთა აზერბაიჯანისა და საბჭოთა რუსეთის მიმართ. შესაბამისად მიმდინარეობდა აზრთა გაცვლა ვ.ი. ლენინის, ლ. ტროცკის და ი. სტალინის შორის ამიერკავკასიაში თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების შესახებ, საქართველოს მხრივ მოსალოდნელი აგრესიის მოგერიების მიზნით.

საქართველოს აგრესიულობამ იმდენად შეაშფოთა საბჭოთა რუსეთი, რომ ვ.ი. ლენინი იძულებულია სპეციალურად იზრუნოს მშვიდობის შენარჩუნების საკითხზე. ქვეყანა, რომელსაც ვერაფერი დააკლო მსოფლიოს 14 უძიერესმა კატიპალისტურმა სახელმწიფომ, კრთის მრისხანე საქართველოს მოსალოდნელი აგრესიის გაფიქრებაზე. ვ.ი. ლენინი მოითხოვს ბაქოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას, განსაკუთრებული ზომების მიღებას (ტ.52, გვ.9, რუს. გამ.). სპეციალურ შეტყობინებას უგზავნის ლ. ტროცკის, ხოლო ი. სტალინს სთხოვს ჩავიდეს მოსკოვში მთლიანად კავკასიის საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობის მისაღებად. პარალელურად კვლავ მოითხოვს დამატებითი ჯარების გადაყვანას აზერბაიჯანში (ტ.52, გვ.14-15. რუს. გამ). ერთი კვირის შემდეგ, 1920 წლის 27 ნოემბერს კვლავ უბრუნდება ამ საკითხს და მიუთითებს, რომ საქართველოს, სომხეთის, თურქეთის, ირანის წინააღმდეგ ლაშქრობა ამ ეტაპზე არ უნდა იყოს უშუალო მიზანი. ამ სახელმწიფოებთან მიმართებაში შემრიგებლური პოლიტიკა უნდა განხორციელდეს. ამავე დროს მოითხოვს აზერბაიჯანში 7 დივიზიის დამატებით გადაყვანას (ტ.42, გვ.47, რუს. გამ.). ამ წყაროებიდან ცხადი ხდება, რომ კავკასიაში აგრესიის საფრთხე მართლაც არსებობდა, აგრამ ვინ ვის ემუქრებოდა?

შეძლო საქართველოს დამუქრებოდა რუსეთს?



იქნებ გ. ორჯონიკიძის ერთი ნათქვამია საიდუმლოს გასაღები? ხომ ცნობილია, რომ იგი ითვლებოდა რუსეთის მთავრობის და პარტიის უმაღლეს წარმომადგენლად კავკასიაში, მას უნდა გადაეწვიტა აქ ყველა საკითხი. სწორედ ამ კრიტიკულ პერიოდში, 1920 წლის 17 დეკემბერს იგი წერს: „კავკასიის ფრონტი არა თუ კვლავ რჩება აქტიურ ფრონტად, არამედ მისი მნიშვნელობა ათასჯერ მეტია, ვიდრე ოდესმე. მეტიც, კავკასიის ფრონტი მსოფლიო მნიშვნელობის ხასიათის მნიშვნელობას იძენს. კავკასიისაკენ მიპყრობილი ანტანტას თვალი. აქ არის ბათუმი... აქ არის ანტანტის მამაბებელი მლიქვნელი მენშევიკური საქართველო... აქ არის წითელი ბაქო მისი დაუშრეტელი ნავთობის მარაგით... ვინ იქნება ბაქოს ნავთობის მფლობელი - აზერბაიჯანისა და რუსეთის მუშები და გლეხები თუ ძველი მეპარტონეები - კაპიტალისტები“ (სტატიები და სიტყვები, ტ.1, გვ.177).

საბჭოთა რუსეთისათვის მართლაც სულერთი ვერ იქნებოდა კავკასიის ერთიანი ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული რეგიონის კუთვნილების საკითხი. ბაქოს ნავთობი არა მხოლოდ სასიცოცხლო – სათბობის წყარო იყო, არამედ ევროპის ბაზრის მოპოვების საშუალებაც. საქართველოს და ბათუმის კერძოდ, მოწყვეტა რუსეთისაგან ართულებდა ნავთობის ექსპორტის შესაძლებლობას. ბაქო-ბათუმის ხაზი ერთ მეპარტონეს უნდა კუთვნიებოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აგრესორად გამოცხადების გარდა მისი რევოლუციური ანექსიის სხვა ვარიანტებიც მუშავდებოდა. ფართო გასავალი მიეცა საქართველოში ეკონომიკური კრახის ვერსიას.

ეს მით უფრო მოსახერხებელი იყო, რომ თვით მთავრობის მეთაური ნ. ჟორდანიას არაერთგზის მიუთითებდა ეკონომიკურ სიძნელებზე, კრახზე, კრიზისზე და ა.შ. სინამდვილეში როგორი იყო მდგომარეობა? მეფის მთავრობის პოლიტიკა საქართველოს განიხილავდა, როგორც ნედლეულის წყაროს, გასაღების ბაზარს და სრულებითაც არ ფიქრობდა მისი შესაძლებლობების განვითარებაზე. მეტროპოლის ეკონომიკაზე დამოკიდებულ საქართველოს, ბუნებრივია, ძალზედ გაუჭირდა. 1918-1919 წწ. მდგომარეობა კატასტროფული იყო. 1920 წელს დაისახა გან-



ვითარების სტაბილიზაციის პერსპექტივა. ახალგაზრდა, პატარა რესპუბლიკა იწყებდა ფეხზე დოგმას. გარკვეულად მოგვარების პერპექტივა დაისახა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სფეროშიც. უშედეგო ამბოხებების შემდეგ, რომელიც მცირერიცხოვანი, მასებზე გავლენას მოკლებული, ბოლშევიკური ორგანიზაციის ინიციატივით წარმოებდა, ქვეყანა იწყებდა მდგომარეობის სტაბილიზაციას. ასეთ დროს ვ.ი. ლენინის თვალსაზრისი, რომ საქართველოს „კატასტროფის პირასაა“ (ტ.42, გვ.126, რუს.გამ.) – გარკვეულ დასაბუთებას საჭიროებს. დაზუსტებას მოითხოვს I. სტალინის დებულებაც: „საქართველო ამჟამად თავის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის“ (ტ.4, გვ.447). 1920 წლის 30 ნოემბერს ნათქვამი ეს აზრი, ხომ არაა სასომხეთში მოპოვებული გამარჯვების ანარეკლი? ასეა თუ ისე, რკპ(ბ) ხელმძღვანელობა მაინც ამუშავებს საქართველოში კრახის, აქ რევოლუციური პროლეტარიატის ძღვევამოსილი გამოსვლის ვერსიას.

მესამე ვერსია საკუთრივ ვ.ი. ლენინის პრიორიტეტია. მისი არსი, მოკლედ, შემდეგში მდგომარეობს. საქართველო-სომხეთის 1918 წლის დეკემბრის შეთანხმებით შექმნილ ნეიტრალურ ზონაში მცხოვრებლებს ემუქრებათ ზოცვა-ჟღეჯის საფრთხე. საფრთხე შეიძლება მოდიოდეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში თავშეფარებული თეთრგავრდიელებისაგან. თუ ეს საფრთხე რეალობად გადაიქცა საჭირო განდება ნეიტრალური ზონის უიარაღო მშრომელების დაცვა. ვინ უნდა იკისროს ეს, თუ არა მსოფლიო მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლმა საბჭოთა რუსეთმა? და თუ დაიწყო კონფლიქტი, როგორ განვითარდება იგი, ამის წინასწარი ვარიანტი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შესაძლო ვერსიების გათვლის დროს ვ.ი. ლენინი, ამასთან, საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობის კონკრეტულ მდგომარეობას ითვალისწინებდა. მას არ შეეძლო გაეზიარებინა გ. ორჯონიკიძის, ს. კიროვის და სხვათა რევოლუციური ჟინი, რაც შეიძლება ძალე, რაც შეიძლება ბევრი ერი ეზიარებინა მსოფლიო რევოლუციური პროცესისათვის. კრაკოვთან და ვარშავასთან



მიღებულ გაკვეთილს გაცნობიერება სჭირდებოდა. კონკტერულად საქართველოს საკითხთან დაკავშირებით, იგი თავშეკავებისაკენ, ზომიერებისაკენ მოუწოდებდა. რა მოხდება უახლოეს მომავალში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ამის შესახებ თვით ალაჰმაც არაფერი იცის. მაგრამ, იყო მისი დასკვნა: თუ თავშეკავებით ვიქნებით, ჩვენ იქ რისკის გარეშეც რაღაცას შევიძინებთ (ტ.42, გვ.126, რუს.გამ.). ვ.ი. ლენინი არ იძლევა იმის ახსნას თუ რა შეიძლება საბჭოთა რუსეთს შეეძინა საქართველოში. ალბათ არ იყო საჭირო. ისედაც ცხადია რას უმიზნებდნენ და რა შეიძინეს კავკასიაში. მოსალოდნელი იყო პროცესის გაგრძელება.

1920 წელი მოლოდინში მიიღია. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არ მიეცა საშუალება მშვიდად მიეხედა საშინაო-ეკონომიკური და სამართლებრივ-პოლიტიკური საკითხებისათვის. მშვიდობის მოყვარე უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ინიციატორი საბჭოთა რუსეთი მისგან შეუწელებლ ყურადღებას და უზომო სახსრებს მოითხოვდა. კრიზისის დასასრული ახლოვდებოდა.

1921 წლის 26 იანვარს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სპეციალურად განიხილეს საქართველოსთან დამოკიდებულების საკითხი. ვ.ი. ლენინმა პლენუმის პოზიცია სამ პუნქტად ჩამოაყალიბა: 1. დაევალოს საგარეო საქმეთა კომისარიატს გააჭიანუროს ურთიერთობის გაწვევტა საქართველოსთან, 2. დაზუსტდეს რამდენად არის კავკასიის ფრონტის ნაწილები მზად საქართველოსთან ომისათვის. 3. მიეცე დირექტივა რევოლუციურ სამხედრო საბჭოს და კავკასიის ფრონტის ხელმძღვანელობას მოემზადნონ საქართველოსთან ომისათვის. გააძლიერონ ჯარების გადაყვანა კავკასიაში (ტ.54, გვ.437, რუს. გამ.).

რკპ(ბ) ხელმძღვანელობის ეს გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება საბჭოთა მთავრობის სტრატეგიულ ხაზს კავკასიაში, მაგრამ ამკარას ხდის სინამდვილეში ვინ ემზადება აგრესიისთვის, ვის ემუქრებიან აგრესიით, რა ძალები უპირისპირდებიან ერთი-მეორეს კავკასიაში. თუ გათვალისწინებული იქნება ის გადაწყვეტილება რაც მიღებული იქნა რკპ(ბ) ხელმძღვანელი



ორგანოების მიერ საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ, იქ საბჭოთა წყობილების, დამყარების მიზნით, ამ კითხვებზე პასუხი რთული აღარ იქნება. მაგრამ თუ საჯაროობისა და დემოკრატიზაციის მიმდინარე პროცესი გამოამზეურებს თუნდაც ვ.ი. ლენინის, ი. სტალინის, ლ. ტროცკის, გ. ორჯონიკიძის ზოგიერთ ლოკუმენტს სასაკითხს ნათელი კიდევ მეტად მოეფინება.

ერთი რამ ცხადია. აგრესია გულმოდგინედ იქნა მომზადებული. სამხედრო თვალსაზრისით ძალთა თანაფარდობა აშკარად აგრესორის მხარესაა. სხვა ამბავია, რომ დამუშავებული ვერსიებიდან, რომელი უნდა იქნეს გამოყენებული – საბოლოო პასუხი არაა. უფრო ზუსტად ერთი აზრი ამ საკითხზე არ არსებობდა. კიდევ უფრო ზუსტად – თვით ვ.ი. ლენინს არა აქვს ერთიანი, ბოლომდე გააზრებული გადაწყვეტილება. ნერვიულობს და ერთი მეორეში ურევს ვერსიებს.

ვერსიებს ურევენ ის საბჭოთა ოსტორიკოსებიც, რომლებიც საქართველოში სოციალისტური რევოლუციის „ბრწყინვალე“ განვითარებას აღწერენ. უსუსურია ადამიანი როდესაც ცრუობს. არა აქვს მნიშვნელობა რა თანამდებობის, სპეციალობისაა და რა ოსტატობით ცრუობს.

არ არის ერთიანი აზრი 1921 წლის 12 თებერვალს სად „დაიწყო“ სოციალისტური რევოლუცია, რა პირობები იყო, მომწიფებული ამისთვის, რა ძალები იბრძოდნენ. სოციალიზმისთვის ბრძოლა საქართველოში თავიდანვე განწირული უნდა ყოფილიყო. არ იყო მატერიალური პირობები, არ იყო პროლეტარიატი არ იყო პარტია. ვის უნდა ებრძოლა და რისთვის?

ვერსია, რომ ნეიტრალური ზონის მოსახლეობას ემუქრებოდა თეთრგვარდიული დარბევა და საჭირო იყო მათი დაცვა, - არც სოციალისტური რევოლუციის გარდაუვალობაზე და არც საქართველოს საზღვრებში რუსული ჯარის შემოსვლაზე, სასარგებლოს არაფერს ამბობს.

ვერსია, რომ დუხაბორებით დასახლებულ სოფელ ვორონცოვკაში მოხდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და დამცველებთან ჩხუბი რევოლუციაში გადაიზარდა, რევოლუციის მომწიფებულობის, მისი გარდაუვალობის სასარგებლოდ ვერაფერს



ლაპარაკობს.

ვარიანტების სიმრავლე კარგია ჭადრაკის თამაშისას. ცხ-ოვრება და მეცნიერება გარკვეულობას მოითხოვს. რა უნდა თქვან მომავალმა თაობებმა, თუ ამ რევოლუციის უშუალო მოთავე მოწმე, შემაფასებელი გ. ორჯონიკიძე ერთხელ ამბობს ასე: „ბორჩალოს მაზრის მშრომელთა აჯანყებამ გრანდიოზული მასშტაბი მიიღო და თვით საქართველოს ტერიტორიაზე გადავიდა” (სტატიები და სიტყვები, ტ. 1 გვ. 181) რა გამოდის? აჯანყება საქართველოში არ დაწყებულა. იგი შემდეგ გავრცელდა. მეორეგან იგი ამტკიცებს: „კომუნისტური პარტიის მიერ დარაზმულმა ლორის გლეხობამ მოაწყო აჯანყება მისთვის საძულველი მენშევიკური უღლის წინააღმდეგობა” (გვ.245) დასკვნა ასეთია: რევოლუცია დაიწყო საქართველოს ტერიტორიაზე (ამ შემთხვევაში საჭირო არაა კვლევა რამდენად შეეფერება „ლორის გლეხთა აჯანყება”, მისი სოციალისტური ბუნება, მისწრაფებანი მარქისიტული მეცნიერების დასკვნებს). არსებითაა ერთი, დაიწყო რევოლუცია თუ არა, დაიწყო საქართველოში თუ მისი ფარგლების გარეთ?

იქნებ ფ. მახარაძის ვერსიაა მართალი? იგი ამაყად ამტკიცებდა: „დიახ, ჩვენ არ ვმალავთ, პირიქით, სიამაყით ვამბობთ, რომ ჩვენ აქ შემოვიყვანეთ წითელი ჯარი ჩვენი ნებასურვილით მოვიდნენ საქართველოში წითელ-არმიელები. ჩვენ მოუძღვოდით მათ” (თხზ. კრებული. ტ. IV, გვ. 213. ტფ. 1924). მთავარია იმის გარკვევა სიმართლეს ამბობს... თუ არა? რა არის „საამაყო” ეს თავიდანვე ცხადია.

იქნებ ვ. ი. ლენინის ვერსია უფრო სიზუსტეს შეიცავს?

ამ ვერსიასთანაა ორგანულად დაკავშირებული მეორე საკითხი, სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაში მტკიცებდაა დამკვიდრებული აზრი, რომ საქართველოში სოციალისტური რევოლუციის მონაწილეებმა 1921 წლის 16 თებერვალს შექმნეს საქართველოს რევოლუციური კომიტეტი (რეკომი). რეკომმა დახმარებისთვის მიმართა ვ.ი. ლენინს. 17 თებერვალს დაიწყო საერთო შეტევა. აღმოსავლეთიდან შემოვიდა XI არმია. IX არმიის ნაწილები მოიწვედნენ ჩრდილოეთიდან, ერთდროულმა შეტევამ განაპირობა საერთო წარმატე-



ბა. 25 თებერვალს აღებული იქნა დედაქალაქი. „რევოლუციამ“ გაიმარჯვა.

სხვა ოფიციალური ვერსიი ამ საკითხებზე არ არსებოს.

საინტერესოა როგორ შეესაბამება ამ მტკიცებას ვ.ი. ლენინის 14 და 15 თებერვლის დებეშები IX არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოსადმი, საქართველოს წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლისა და თბილისის აღების შესახებ? ვ.ი. ლენინმა წინასწარ იცოდა რომ 16 თებერვალს შეიქმნებოდა რევკომი და იგი სამხედრო დახმარებას მოითხოვდა?

ვინ იცის?

ფაქტი ასეთია და ამასთან, საქართველოში რევოლუციის ორი ვერსიიია მოცემული. ერთი 14, მეორე, 15 თებერვალს.

14 თებერვალს ვ.ი. ლენინი აგზავნის ასეთ დებეშას: „ცეკა მზადაა ნება დართოს და დაიკავოს თბილისი საერთაშორისო ნორმების დაცვით და იმ პირობით, რომ მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ყველა წევრი ყველა მონაცემის სერიოზული განხილვის შემდეგ წარმატების გარანტიას მოგვცემს“ (ტ.45,გვ.50). ვ.ი. ლენინის თხზულებათა იმავე ტომის შენიშვნები 777 გვ. აღნიშნულია, რომ საქართველოს მშრომელთა აჯანყება დაიწყო თებერვალს ღამე. მშრომელებმა სთხოვეს რუსეთის მთავრობას დახმარება.

ამრიგად გამოდის: 1. რევოლუციი დაიწყო საქართველოს საზღვრებში, 2. დაიწყო არა 12 არამედ 11 თებერვალს, ვ.ვ დახმარება ვ.ი. ლენინის სთხოვეს მშრომელებმა და რა რევკომმა, როგორც მკვლევარები ამტკიცებენ. 4. თხოვნა იყო 12 და 13 თებერვალს, რადგან რკპ (გ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოასწრო საკითხის განხილვა და 14 თებერვალს უკვე ნება დართო თავის არმიას ემოქმედნა, 5. რუსულ არმიას ნება დაერთო, არა აჯანყებულთა დაცვისა არამედ სუვერენული სახელმწიფოს დაპყრობის. ეს არაა ერთი და იგივე.

გ. ორჯონიკიძე ადასტურებს იმ აზრს, რომ სამხედრო დახმარებისთვის თხოვნა გაგზავნეს მშრომელებმა ჯერ კიდევ რევკომის შექმნამდე. 17 თებერვალს იგი აქლნიშნავდა: „საქართველოს წითელმა აჯანყებულებმა დახმარებისთვის მიმართეს ძმურ წითელ არმიას, რომელიც დაუყოვნებლივ გამოეხმარა მათ მო-





წოდებას, და ახლა წითელი ნიაღვარი უახლოვდება თბილისს... თბილისს საათები დათვლილია... საქართველო შემოვა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ოჯახში” (სტატიები და სიტყვები ტ.1, გვ. 186). ამ ორი ბელადის ორ დებულებაში საერთო ისაა, რომ თხოვნა გაგზავნა არა რეკომმა არამედ მშრომელებმა. სამწუხაროა, რომ არავისთვის არაა ცნობილი რა თხოვნა იყო, ვისი შედეგინილი, ვისი სახელით, რას ითხოვდნენ ამ არ არსებული დოკუმენტით. დანარჩენში დებულებანი ერთი მეორეს არ შეესატყვისება. პირველი ვარიანტით თხოვნით მიმართეს ვ.ი. ლენინს. მეორე ვარიანტით თხოვნა იყო XI არმიის მისამართით, პირველი ვარიანტით პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა თხოვნა და მიიღო გადაწყვეტილება. მეორე ვარიანტით, არმიამ დაუყოვნებლივ აღმოუჩინა აჯანყებულებს დახმარება, არ შეატყობინა მთავრობას, არ დაელოდა ნებართვას.

და ბოლოს ორივე ვარიანტისთვის საერთოა, რომ რუსეთის შეიარაღებული ჯარები ომის გამოუცხადებლად ვერაულოდ დაესხნენ თავს თავისუფლების მოყვარე, თავისი ორიენტაციით სოციალისტურ, სუსტ, სუვერენულ რესპუბლიკას და დაიპყრეს იგი.

ვ.ი. ლენინის მიერ 14 თებერვალს წამოყენებული ვერსია საქართველოს აჯანყებულთათვის დახმარების შესახებ, იცვებდა 15 თებერვლის დოკუმენტში. „ცეკას მიაჩნია, რომღ მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ოპერაციები ნეიტრალური ზონის აჯანყებულთა ადგილობრივი დაცვაა თეთრგვარდიელთა მხრივ მოსალოდნელი განადგურებისაგან. ანგარიში გაუწიეთ თქვენი ოპერაციის ამ პოლიტიკურ ხასიათს ყველა თქვენს საჯარო გამოსვლაში. რა თქმა უნდა, ჩვენ მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოსაგან მოველით ენერგიულ და სწრაფ მოქმედებას, რომელიც იმასაც კი არ მოერიდება, რომ თბილისი აიღოს, თუ ეს საჭირო იქნა სამხედრო მოსაზრებებით ნეიტრალური ზონის ნამდვილი დაცვისათვის ახალი თავდასხმისაგან”. (ტ.45,გვ.50-51).

14 თებერვლის დოკუმენტში მსჯელობაა აჯანყებულთა დახმარებაზე არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში. 15 თებერვლის დოკუმენტში უკვე ნეიტრალური ზონის დაცვაზე თეთრგვარდიელთა მხრივ განადგურებისაგან. ე. ი. ამ შემთხ-



ვევაში არაა მოწოდება დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ. დოკუმენტი ხაზს უსვამს დაცვას და არა შეტევას.

კიდევ ერთი მომენტი, აჯანყებულთა ბრძოლა არსებული მთავრობის წინააღმდეგ და, მეორე ვარიანტით, დაცვა თეთრგვარდიელებისაგან უნდა დამთავრებულიყო თბილისის ადებით, ძალაუფლების გადასვლით აჯანყებულთა დამხმარე ან დამცველი რუსული არმიის ხელში. იცვლება მოტივაცია, მაგრამ, არ იცვება მიზანი – საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარება.

და კიდევ ერთი არსებითი მომენტი.

ნეიტრალური ზონა რომელიც 1918 წელს დეკემბერში შეიქმნა, შერეულ ქართულ-სომხური ადმინისტრაციას ექვემდებარებოდა. ლორე, ახტალა, ალავერდის მიმდებარე ტერიტორიები, სადაც პირველი სომხური მოსახლეობა XVIII ს ბოლოს ერეკლე II თაოსნობით გამოჩნდა XX საუკუნის დასაწყისში სადაო გახდა ამ ორ მოძმე ერს შორის. ეს ტერიტორიები ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა ინგლისის ინიციატივით, რომელიც ამ კონფლიქტში სომხეთს უჭერდა მხარს. 1920 წლის ნოემბერში, სომხეთ-თურქეთის საომარ მოქმედებასთან და საფრთხესთან დაკავშირებით, ნეიტრალური ზონა ანტანტამ სცნო საქართველოს ტერიტორიად.

საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა საბჭოთა რუსეთმა. სომხეთში საბჭოთა წყობილების შემდეგ, მისთვის სულერთი როდი იყო ვის რა ეკუთვნის. ეროვნულ ნიადაგზე ამ ზონაში იყო უკმაყოფილების საფუძველი. ეროვნულ და არა სოციალურ ნიადაგზე. აქ, ისევე, როგორც მთლიანად საქართველოში ამ დროს სოციალისტურ რევოლუციაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. ამის გამო, ხო მარ შეიცვალა მოტივაცია 15 თებერვალს წინა დღესთან შედარებით?

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ამით არაფერი არ შეცვლილა. სავალალო შედეგი იყო საბჭოთა რუსეთის XI და IX არმიების შეთანხმებული მოქმედებით საქართველოს რევოლუციური ანექსია. ბორჩალოს მაზრის არ არსებული პროლეტარიატის, არ არსებული სოციალისტური რევოლუციური გამოსვლა, მონღომებით აიტაცა საქართველოს



არ არსებული კომუნისტური პარტიის მიერ დარაზმულმა საქართველოს არ არსებულმა პროლეტარიატმა და საქართველოში არ არსებული საბჭოთა ძალაუფლება დაამყარა.

არა ნაკლები საოცრება გრძელდება ამ მოვლენების კვალდაკვალ. ოფიციალური ვერსიის თანახმად, 1921 წლის 25 თებერვალს გ. ორჯონიკიძემ ვ.ი. ლენინს დეპეშით აცნობა თბილისის აღების ფაქტი. 28 თებერვალს ვ.ი. ლენინი ერთ-ერთ მოხსენებაში ამ აგრესიას ასე ხსნის: „მესამე საერთაშორისო საკითხია კავკასიის ამბები, იქ ამ ბოლო დროს დიდი მასშტაბის ამბები მოხდა, რომლებიც დაწვრილებით ჯერ არ ვიცით, მაგრამ, რომელთააზრი ის არის, რომ ჩვენ დიდი ომის მიჯნაზე ვიმყოფებით. სომხეთის და საქართველოს შეტაკებას არ შეეძლო ჩვენ არ აველეკვებინეთ, და ამ ამბებმა გამოიწვიეს ის, რომ სომხეთის ბურჟუაზიის მზაკვრობა ჩვენ წინააღმდეგ, დღემდე მაინც, მის წინააღმდეგ შებრუნდა და შებრუნდა ისე, რომ თბილისში, უკანასკნელი ცნობებით, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის შემოწმებული, საბჭოთა ხელისუფლება აღმოჩნდა“ (ტ.32 გვ. 175-176).

რა სიბრძნე გამომდინარეობს ამ ნათქვამიდან? პირველ რიგში ის, რომ ე.ი. ლენინი საქმის კურსში არ არის, კავკასიაში მიმდინარე მოვლენები მან ბოლომდე არ იცის, ყოველივე მას უშუალოდ არ ეხება. მეორე ის, რომ კავკასიაში მიმდინარე პროცესი არის სომხეთსა და საქართველოს ომის შედეგი. ე.ი. საბჭოთა სომხეთისა და დემოკრატიული საქართველოს ომის შედეგი. (სამწუხაროა, რომ საბჭოთა ისტორიკოსებს დღემდე არ აუსახავთ ეს არარსებული ომი). მესამეა ის, რომ საქართველო – სომხეთს ამ ომში (თუნდაც, რომ ყოფილიყო ასეთი, ორი სუვერენული რესპუბლიკის ომში რუსეთის ჯარები, რატომ უნდა ყოფილიყვნენ მონაწილენი? (ამ შემთხვევაში არსებითია, რომ ე.ი. ლენინი აღიარებს რუსული ჯარის მონაწილეობას). მეოთხე სიბრძნე იმაშია, რომ ომი რაღაცა ძალებით აჯანყებად ქცეულა და თანაც ვის წინააღმდეგ?

სომხეთის ბურჟუაზიის მზაკვრობის საპასუხოდ თბილისში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ე.ი. ბრძოლა იყო არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, არამედ სომხეთის ბურ-



ქუთაისის წინააღმდეგ. მაგრამ სომხეთის ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლას (და არა სომეხი ბურჟუაზიის, რომელიც მრავლად იყო თბილისში), უნდა მოჰყოლოდა ერევნის აღება (რაც უკვე მოხდა 1920 წლის ნოემბრის ბოლოს) და არა თბილისისა, რომელშიც საქართველოს დედაქალაქი იყო და არა სასომხეთის.

იმავე მოხსენებაში ვ.ი. ლენინი კვლავ უბრუნდება თავდაპირველ ვერსიას საქართველოს აგრესიულობის შესახებ და აღნიშნავს: „...ქართველი მენშევიკები ეყრდნობიან არა მშრომელ მასებს, არამედ თავიანთი ქვეყნის კაპიტალისტებს, ეს კაპიტალისტები კი შარს ეძებენ, რათა საომარი მოქმედება დაიწყონ, მაგრამ ჩვენ სამი წელია ერთი ვარაუდით ვცხოვრობთ... ესაა ვარაუდი მშრომელი მასებისა.“ (ტ.32,გვ.177). სრულიად გასაკვირია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა რესპუბლიკა არსებობის სამი წლის ნამძილზე „შარს“ ეძებდა რათა ომი დაეწყო საბჭოთა რუსეთთან და მხოლოდ რუსეთის მთავრობის, ხალხის დიდმა მოთმინებამ ააცილა ქვეყანას აგრესია. ამავე დროს საქართველოს მშრომელებმაც არ გაუმტყუნეს იმედი ბელადს და საბოლოო შედეგად, ნაცვლად იმისა, რომ საქართველო (ეს უძლიერესი სახელმწიფო) დასხმოდა თავს (პატარა, სუსტ) რუსეთს, რუსმა ჯარმა დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში (აი, რა კარგია, როდესაც ქვეყანა პატარაა და სუსტი).

სიბრძნეს ბელადის ნაწერებში რა გამოლევს, მაგრამ თუ ობიექტურად განიხილება საკითხი ცხადი უნდა გახდეს, რომ პარტიას არასოდეს არ უფიქრია იმპერიის ტერიტორიების დაშლა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. სხვებთან ერთად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა იყო არა პარტიის პოლიტიკის შედეგი, არამედ იმ მძიმე ვითარებისა, რაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მოჰყვა რუსეთში. პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად ვ.ი. ლენინი განიხილავდა რა საქართველოს რუსეთის შემადგენელ ნაწილად, ყოველთვის მზად იყო მოეხდინა მისი უკან დაბრუნება. შესაბამისი ოფიციალური გადაწყვეტილება მიღებული იქნა ჯერ კიდევ 1918 წ. შემდეგ 1919 და 1920 წლებში. ამ დროს მანძილზე ქვეყნის შიდა და



საერთაშორისო ვითარება არ იძლეოდა ჩანაფიქრის განხორციელების საშუალებას. 1921 წლის თებერვალში კი იყო საქართველოს გამო ანტანტის ქვეყნებთან მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების საფრთხე. ამიტომ აღნიშნავდა ვ.ი. ლენინი „ომის მიჯნაზე“ ყოფნის შესახებ. საბოლოოდ ყველაფერი კეთილად დამთავრდა – საბჭოთა რუსეთისთვის. საქართველოს ანექსიამ მხოლოდ სიტყვიერი ომი გამოიწვია.

განსაკუთრებით აქტიურობდნენ ამ მხრივ რუსი მენშევიკები, მეორე ინტერნაციონალის პარტიები, ისინი ბოლშევიკებს ბრალს სდებდნენ ერთა თვითგამორკვევის პრინციპიდან გადახვევაში, რასაც საქართველოს დაპყრობა მოჰყვა.

ევროპის სოციალისტების ეს სიტყვიერი ომი ეფუძნება ერთა თვითგამორკვევის ლენინური კონცეფციის უცოდინარობას ერთი მხრივ, და მათ თეორეტიკობას, პრაქტიკისაგან, პოლიტიკისაგან მოწყვეტას, მეორე მხრივ, მათგან განსხვავებით ბოლშევიკები პრაქტიკული მოქმედების ხალხია. მაგალითად: იმ დროს, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ჯერ კიდევ ქვეყანაში იყო, მოსკოვში ბოლშევიკები აწარმოებდნენ თურქებთან მოლაპარაკებას და ბათუმის ოლქის ავტონომიური სტატუსზე უთანხმდებოდნენ (ტ. 52 გვ.375 რუს. გამ).

ვ.ი. ლენინი, ბოლშევიკები, ბუნებრივია, უყურადღებოდ ვერც ევროპაში გაშლილ ანტირუსულ, ანტისაბჭოურ, სიტყვიერ ომს დატოვებდნენ. საქართველოს გასაბჭოება ევროპისთვის, სოციალისტებისათვის სჩანდა დაპყრობად, თორემ ვ.ი. ლენინი მას სულ პარამეტრებით ზომავდა. მისთვის ეს იყო მსოფლიო რევოლუციური პროცესის ერთი პატარა სხვა ეპიზოდი. ვისი ბრალია, სხვანაირად მსოფლიო ფედერალური საბჭოთა რესპუბლიკა ვერ შეიქმნებოდა. ხომ არ შეიძლებოდა უსაშველოდ ლოდინი ვინ, როდის მოიფიქრებდა ამ რესპუბლიკაში გაერთიანებას. რაც შეეხება უძღური თეორეტიკოს-მენშევიკების მიერ დაწყებულ აგიტაციას ბოლშევიკების წინააღმდეგ, აქ კონტრპროპაგანდის ნაცადი მეთოდი სრულად საკმარისი ჩანდა. ამიტომ დაევალა ლ. ტროცკის დაეწყო გააფთრებული ცოფიანი შეტევა მენშევიკების წინააღმდეგ საქართველოს გამო (ტ. 45, გვ. 550).

მდგომარეობის სირთულემ მოითხოვა საქართველოში „სო-



ცილისტური” რევოლუციის წარმოდგენა ისეთი კურსით, რომელიც ბოლომდე მშვიდობის მოყვარეს, გარეშე მეთავლყურის და არა მონაწილის როლში გამოიყვანდა საბჭოთა რუსეთს. სრულიადაც არ იყო საკმარისი საბჭოთა საქართველოს და კავკასიის ხელმძღვანელთა ბოლომდე გაუაზრებელი განცხადებები, რომლებიც საბჭოთა რუსეთს პასუხისმგებლობას ვერ ააცილებდნენ. რად ღირდა მ. ორახელაშვილის, ფ. მახარაძის, გ. ორჯონიკიძის და სხვათა განცხადებები. ვის დაარწმუნებდა საბჭოთა რუსეთის მშვიდობის მოყვარე პოზიციაში გ. ორჯონიკიძის განცხადება: „ამაოდ იყვირებენ მენშევიკები საქართველოს დაპყრობაზე, მისი დამოუკიდებლობისა და თავისთავადობის მოსპობაზე, ქართველი მუშებისა და გლეხების დამოუკიდებლობასა და თავისთავადობას არავინ თავს არ ღასხმია და არც ფიქრობს დაესხას“... (სტატიები და სიტყვები, ტ. 1 გვ. 217). ბავშვობაა. უარყოფს რუსის ჯარის მიერ არა საქართველოს დაპყრობის ფაქტს, არამედ ქართველი მუშების და გლეხების დამონების აზრს.

რამდენად ძნელი უნდა ყოფილიყო ვ.ი. ლენინის მდგომარეობა თუ მას უწევდა ყველა წვრილმანის განხილვა და თვით საბჭოთა რუსეთისათვის ალიბის მოფიქრებაც კი. ამის შესახებ დეპეშით ატყობინებდა გ. ორჯონიკიძეს: „საზღვარგარეთ გააფთებულ აგიტაციას ეწვეიან რსფს რესპუბლიკის წინააღმდეგ საქართველოს რეკომმა დაიწყოს სერიოზული კონტრ აგიტაცია, რომელშიც უნდა აღინიშნოს, ჯერ ერთი, რსფს რესპუბლიკის მშვიდობისმყოფელური როლი, მეორე – საქართველოს მუშათა და გლეხთა და არმიელთა მასების აქტიური და ინიციატივიანი როლი, მასებისა, რომლებმაც დაამსხვრიეს საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობა, და, მესამეა ზერბაიჯანის და სომხეთის საბჭოთა მთავრობების როლი, რომლებმაც მხარი დაუჭირეს როგორც სომეხ და თათარ, ისე ქართველ აჯანყებულებს თავდაცვის მიზნით საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობის აგრესიული ნაბიჯების წინააღმდეგ” (ტ.45, გვ.106).

ვ.ი. ლენინს უყვარდა გამოთქმა პოლემიკის დროს: აი კიდევ ერთი მარგალიტი. ეს ჭეშმარიტი „მარგალიტია” საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური ანექსიის



გამართლების საქმეში. ერთი შეხედვით დავიწყებულია ვერსია საქართველოს, როგორც აგრესორის შესახებ, რომლის წინაშე საბჭოთა რუსეთი სამი წლის მანძილზე კანკალებდა. შემდეგ რუსეთს დაემატა ზერბაიჯანი და ბოლოს სომხეთი. ვ.ი. ლენინი ბევრჯერ მოითხოვდა შეიარაღების გაზრდას, დივიზიების გადაყვანას კავკასიაში, მაგრამ აგრესორის (საქართველოს) წინაშე შიში მაინც ვერ მოიხსნა. დავიწყებულია ის ვერსიაც, რომლის მიხედვით ნეიტრალური ზონის მოსახლეობას არ არსებული თეთრგვარდიული საფრთხე ემუქრებოდა და საჭირო იყო რუსული ჯარით მათი დაცვა. დავიწყებულია ვერსია საქართველოს ავტონომიური კრახის შესახებ. უკუგდებულია საქართველო-სომხეთის 1921 წლის იანვარ-თებერვლის არ არსებული ომის, მითიურ აჯანყებაში გადაზრდის ვერსია, არც ისაა გამოყენებული, რომლის თანახმად სასომხეთის ბურჟუაზიის მზაკვრობამ მიიყვანა წითელი არმია თბილისში (შეიძლება დადგინდა ის ფაქტი, რომ სამომხეთის ბურჟუაზია ჯერ კიდევ 1920 წლის 29 ნოემბერს, სასწაულებრივად სწრაფად იქნა დასჯილი სასომხეთის არ არსებული პროლეტარიატის მიერ მოხდენილი სოციალისტური რევოლუციის დროს). ბოლოს მოხსნილია ის ვერსიაც, რომელიც რუსული ჯარის საქართველოში ლაშქრობის მონაწილეობას აღიარებდა. სინამდვილეში ეს ერთი შეხედვითაა. მარგალიტი იმიტომაც ასეთი, რომ იგი ყველა მეპატრონეს აკმაყოფილებს. ვ.ი. ლენინის მარგალიტი ადრე გამოთქმულ ვერსიებს შეიცავს და უარყოფს. მიზანი ერთია: ვინც რა უნდა თქვას, ვინც გნებავთ მონაწილეა და თუ გნებავთ დამნაშავეც საქართველოს ანექსიის საქმეში, საბჭოთა რუსეთის გარდა. ეს შეგონება გ. ორჯონიკიძის და ძმათა მისთა მისამართით აუცილებელი იყო რამე თუ კავკასიელი ბოლშევიკები თავს იწონებდნენ იმით, რომ წინ მოუძღოდნენ რუს ჯარს.

იმავე დღეს მიეცა გ. ორჯონიკიძეს ახალი დირექტივა. იგი გადაუდებელ ამოცანად სახავდა ამიერკავკასიის ეკონომიკური შერწყმის გაძლიერებას. დამთავრდა საქართველოს დიდი ცენტრალიზებული საბჭოთა რესპუბლიკის შემადგენლობაში გაერთიანების პირველი პოლიტიკური ანექსიის ეტაპი, დაიწყო მეორე, ეკონომიკური ანექსია, რომელსაც მესამე ეტაპი, იდეურ-





კულტურული ანექსია უნდა მოჰყოლოდა.

პირველი ეტაპის უშაულო შედეგები ამართლებდა ლენინური თავშეკავებულობის, სიფრთხილის მიზანშეწონილობას. ქართველი ერის უკურეაქცია არ იყო რევოლუციით გაბედნიერებულთა განწყობის შესაფერისი. ყოველივე მოწმობდა რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობის პოლიტიკურ მოუძწიფებლობას, რათა გაეგოთ საბჭოური გამოცდილების ყველა სიკეთე. ამ განწყობილების შესახებ ფ. მახარაძე ცენტრის ინფორმაციას აწვდიდა და თან სთხოვდა: რესპუბლიკაში შექმნილი სამხედრო-პოლიციური მდგომარეობა სასურველს ხდის რუსეთის რწმუნებულთა მოვლინების შეწყვეტას. 1921 წლის 14 მარტს მცირე სახკომსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის ძალით, სახალხო კომისარიატებს ეკრძალებოდათ საქართველოში რწმუნებულების გაგზავნა. ვ.ი. ლენინი მიუთითებდა: „გაკატაროთ გაგზავნის აკრძალვა (მცირე საბჭოს ნებადაურთველად), ხოლო ნებართვა გავცეთ უდიდესი სიფრთხილით”. (ტ. 45, გვ. 67)

ასეთ სიტუაციაში ცხადია, ეკონომიკური ანექსიის დაჩქარებული ტემპები შეიძლება საქმისთვის საზიანო ყოფილიყო. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა შეიარაღებული ძალების შენახვის, მომარაგების კრიზისული მდგომარეობა. ვ.ი. ლენინი ჯერ კიდევ 1920 წლის თებერვალში მიმართავდა ი. სმილგასა და გ. ორჯონიკიძეს და მოითხოვდა რევოლუციური ენერგიით მოქმედებას, რათა კავკასიის ფრონტზე ჯარების მდგომარეობა გაეუმჯობესებინათ (ტ. 44, გვ. 336-237).

ამის შემდეგ ვერც ზერბაიჯანის და ვერც სომხეთის გასაბჭოებამ ჯარის საერთო მდგომარეობა ვერ გამოაკეთა. ჯერ ერთი, დამშეულ მოსახლეობას მათი გამოკვეთა უძძიძდა და მეორე ის, რომ ჯარი აქ უცხო მხარეში გრძნობდა თავს (ამის შესახებ გ. ორჯონიკიძე სპეციალურად აღნიშნავდა საბჭოთა ხელმძღვანელობის გასაგებად (სტატიები და სიტყვები ტ. 1. გვ. 178). 1920 წლის 17 დეკემბრის ამ ორჯონიკიძისეული შეტყობინებიდან ცხადი ხდება, რომ XI არმიამ ამიერკავკასიაში ყველა რესურსი მოსახლეობიდან ამოწურა, ქვეყანა დაამშია და ხალხისათვის სრულიად უცხო ძალად იქცა. მომწიფდა საკ-



ითხი, როდესაც ან უკან, რუსეთში უნდა გაეყვანათ არმია, ან მისთვის ახალი არსებობის არეალი მიეცათ.

როგორც ჩანს, გამოსავალი მოიძებნა საქართველოს ხარჯზე. ქვეყანა, თუმცა საქართველოს დემოკრატიული მთავრობის განცხადებით ეკონომიკური კრახის პირას იყო, მაინც შედარებით მდიდარი ჩანდა და არმიის გამო საკვებად საკმაო მარაგის მქონე. ამიტომ მიმართავდა ვ.ი. ლენინი გ. ორჯონიკიძეს: „ჩვენ მივიღეთ ნარიმანოვის, ბურათ-ბადეს და სერებროვსკის სასოწარკვეთილი დეპეშა. ისინი სამარტლიანად არნიშნავენ, რომ სრულიად შეუძლებელია მეთერთმეტე არმიის დაბრუნება დამშეულ და გაძარცვულ აზერბაიჯანში. მიიღეთ უაღრესად ენერგიული ზომები, რათა ეს არმნია დატოვებული იქნეს საქართველოში და რაღაც უნდა დაჯდეს, დაჩქარდეთ პურის ჩამოტანა უცხოეთიდან საქართველოს კონცენსიებზე, მარგანეცზე და სხვა. გაცვლით“ (ტ. 45, გვ. 83-84).

საკითხის ასეთი გადაწყვეტის თანახმა იყვნენ მ. კალინინი, ლ. კამენევი, ვ. მოლოტოვი. თავი შეიკავა ლ. ტროცკიმ. მეთერთმეტე არმიას, რომელმაც მოასწრო ზერბაიჯანის გაძარცვა: (სომხეთში გასაძარცი არაფერი იყო, იქ ისედაც 600 000 დამშეული ლტოლვილი აფარებდა თავს), ახალი ულუფა მიართვეს საქართველოს სახით. ისტორიულად არმიები ყოველთვის დაპყრობილთა ძარცვით ცხოვრობდნენ.

საერთო პოლიტიკურ სიტუაციაასთან ერთად, არმიის შესანახი ხარკიც ამძიმებდა საქართველოს მდგომარეობას. ასეთ დროს დაჩქარებული ეკონომიკური ანექსია მიზანშეწონილი არ იყო, მაგრამ რა ექნა თვითონაც დაქცეულ და დამშეულ რუსეთს?

რუსული საბჭოთა პოლიტიკა, არ უნდა ყოფილიყო ძველი პოლიტიკის გაგრძელება. იდეურად თვით რუსეთში ჰქონდა ბრძოლა გამოცხადებული ყოველივე ძველს (ცნობილი პროლეტკულტელები ბურჯუაზიული რკინიგზების აყრას და მათ ნაცვლად წითელი, ბოლშევიკური ლიანდაგების დაგება მოითხოვდნენ. ასეთ სიტუაციაში ცხადია, საგინებელი უნდა გამხდარიყო ყველაფერი, რაც დამოუკიდებელ საქართველოსთან იყო დაკავშირებული. ვ.ი. ლენინი მოითხოვდა გ. ორჯონიკიძისაგან: „გულმოდგინედ აგროვეთ მასალები საქართველოს მენშევიკური



მთავრობის წინააღმდეგ და თან ჩამოიტანეთ მოსკოვში პლენუმზე” (ტ. 45.გვ. 106).

როგორც იყო მოძღვარი ისეთი ჰყავდა მრევლი.

მაგრამ ყოველივე მეორეხარისხოვანია იმ ძირითად ამოცანასთან შეფარდებით, რომელიც მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ციტადელის წინაშე ეკისრა ციდა საქართველოს. „საქართველო-აღნიშნავდა ბელადი – უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც რუსეთის საგარეო ვაჭრობის საფარი”. (ტ. 45.პვ. 119-120).

ღიახ, ბაქოს ნავთობისთვის საზღვარგარეთ გზის მიცემის გარდა, ახლო აღმოსავლეთთან მეკავშირის (გზების მიმცემის) გარდა, საერთო მძიმე გადამხდელის გარდა, რუსეთის არმიის შემნახველის გარდა, უთვალავი ლტოლვილების შემფარებლის გარდა, საქართველოს რუსეთის საფარის როლიც ეკისრებოდა. ხომ არ იყო ძალაზე ბევრი კრახის პირას მისული პატარა ქვეყნისთვის? არა, რადგან სხვები უფრო მათხოვრულ მდგომარეობაში იყვნენ.

რა ბედნიერების მომტანი უნდა ყოფილიყო ასეთ ქვეყანაში ექსპორტირებული სოციალისტური რევოლუცია? პირველი ის, რომ ამდენი ფუნქციების (ძარცვის) საფასურად საქართველოს „სურსათისა და სათბობისათვის 19 21 წელს. არც ერთი გროში მეტი”. (ტ. 45 გვ. 120). მეორე ის, რომ რესპუბლიკის ფინანსები (რომელიც დემოკრატიულმა მთავრობამ დააგროვა) უნდა განსაბჭოებულიყო და ყველას სამსახურში ჩამდგარიყო. ვ.ი. ლენინი უდებებდა გ. ორჯონიკიძეს: „მიღებული ცნობების მიხედვით, საქართველოში დარჩენილია საქართველოს სახელმწიფო ბანკი კვალიფიციურ მოსამსახურეთა მთელი შტაბით და უცხოეთის წარმომადგენლობათა ანაბარებით... გადავაქციოთ იგი მთელი ამიერკავკასიის ბანკად ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიურ გაერთიანებასთან დაკავშირებით, რის პროექტიც მუშავდება” (ტ. 45, გვ. 105-106).

რა მოკლე დასკვნები გამომდინარეობს ამ დებუებიდან?

1. საქართველოს დემოკრატიული მთავრობა ატარებდა სწორ, ერის ინტერესების შესაბამის პოლიტიკას და შეძლო რესპუბლიკის ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება.



2. ამ მიმართულებით საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურაში გატარებული თვალსაზრისი მცდარია.

3. დემოკრატიულ მთავრობას იძულებით ემიგრირების დროს არ გაუძარცვია საკუთარი ხალხი.

4. ამ მიმართულებით საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურაში გატარებული თვალსაზრისი მცდარია.

5. ვ.ი. ლენინის, პარტიის გადაწყვეტილებით საჭირო იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკური შერწყმა, რასაც შემდეგ უნდა მოჰყოლოდა პოლიტიკური და იდეური. ეს იდეა გაერთიანების, ფედერაციის შესახებ იყო შემუშავებული ხელმძღვანელობის მიერ და არ მოდიოდა რესპუბლიკებიდან.

6. ამ მიმართულებით საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურაში გატარებული თვალსაზრისი მცდარია.

მესამე ის, რომ საქართველოს მიერ ცივილიზებულ ევროპასთან დამყარებული კონტაქტები, დადებული კონცესიები გამოყენებული უნდა ყოფილიყო საბჭოთა რუსეთის ინტერესების შესაბამისად, ვ.ი. ლენინი მიუთითებდა გ. ორჯონიკიძეს: „ძალიან გთხოვთ უადრესად სერიოზული ყურადღება მიაქციოთ... საკითხს არმიისა და საქართველოს კონცესიების შესახებ. საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ზოგიერთ კონცესია დადო მთელი ძალ-ღონით უნდა ეცადოთ გაანახლოთ ეს ძველი კონცესიები, რაც შეიძლება მალე და ყოველწლიურად შეეცადოთ, რომ დაიდოს ახლები, რათა კონცესიების სანაცვლოდ სურსათი ვიშოვოთ” /ტ.45, გვ. 84/.

მეოთხე ის, რომ საქართველო უნდა გამხდარიყო ბაქოს ნავთობის გადაზიდვის გზა, ამ გზით შემოეტანათ საჭირო ტექნიკა რუსეთის მრეწველობის აღდგენისათვის. ვ.ი. ლენინი წერდა ა. სერებროვსკის: „ახლა, როცა გვაქვს ბათუმი, მთელი ძალებით უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება სწრაფად გადავცვალოთ საზღვარგარეთ ნავთობი და ნავთი მოწყობილობაზე განვითარებული, სოციალისტური წყობილებისათვის მომწიფებული რუსეთი, რომელმაც ბედნიერება მოუტანა ჩამორჩენილ კავკასიას, აღიარებდა „ჩვენ აქედან ვერ დაგეხმარებით, თვითონაც ღარიბები ვართ. თქვენ უნდა დაგვეხმაროთ” (ტ. 45. გვ. 87-88).

მეხუთე ის, რომ საქართველო კვლავ უნდა გადაქცეულიყო



რუსეთის (ამუამად უკვე საბჭოთა) დანამატად. უნდა დუქვემდე-ბარებოდა ცენტრის დუქტატს. ამიტომ იყო, რომ XI არმიის შემოსვლას საქართველოში მოჰყვა ანტიქართული განწყობილების და დონისძიებების მკვეთრი ზრდა, როგორც რესპუბლიკის გარეთ, ასევე შიგნით ძალების მხრივ. დაუწესდა კონტროლი რესპუბლიკის ყოველ მნიშვნელოვან და უმნიშვნელო ფუნქციას. (ტ. 53, გვ. 154 რუს. გამ.) ტ. 45, გვ. 107).

1921 წლის რევოლუციური ანექსიის უმთავრესი და უპირველესი შედეგი იყო ეროვნული თვითმყოფადობის, შინაგანი პოტენციის გამოვლენის, ცივილიზაციის გზაზე სწრაფი წინსვლის შესაძლებლობების დაკარგვა.

### **ეროვნებათაშორისი ურთიერთობების საბჭოთა მოდელი**

ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ახალი ტიპის შემუშავება თეორიულად დამთავრებული იყო. მაგრამ თეორია საკითხის დარეგულირების ერთი მხარეა მხოლოდ. პრაქტიკა, როგორც ჭეშმარიტების საზომი, ამოწმებს თეორიის მეცნიერულობას და რევოლუციურობას, შეაქვს კორექტივები, ზოგჯერ უარყოფს კიდევ.

დინური თეორიის მიხედვით, მწიფდებოდა მსოფლიო რევოლუცია. მას უნდა მოჰყოლოდა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა. მის შემადგენლობაში საბჭოთა რუსეთი შევიდოდა სრულუფლებიან წევრად.

მრავალეროვანი საბჭოთა რუსეთი საშინაო საკითხებს თვითონ გადაწყვეტდა. მთლიანად რესპუბლიკა იქნებოდა ერთიანი, აგებული დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპზე. ეს პრინციპი პატარა ერებისათვის დასაშვებად მიიჩნეოდა საოლქო ავტონომიის უფლება. ასე გაგრძელდებოდა, სანამ ერების „დაფქვა-ასიმილაციის“ პროცესი არ შექმნიდა ერთიან ინტერნაციონალურ ერს, ინტერნაციონალურ კულტურით, ერთ, საზღვრებით (იგულისხმება რუსული).

მრავალეროვანი საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა პრაქტიკულად 1918 წლიდან დაიწყო რსფსრ შემადგენლობაში გაერთიანდა ყოფილი იმპერიის დიდი ტერიტორია. 1920 წლის ბო-



ლოს ძირითადად დამთავრებული იყო იმპერიის ძველი მიწების შემოერთება. 1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიული, ნეიტრალური რესპუბლიკის რევოლუციური ანექსიით ტერიტორიების შემომატება დამთავრდა. საბჭოთა რუსეთმა დიდი ზარალი განიცადა, მაგრამ რაც შეინარჩუნა, ხელახლა მოიპოვა, ის პლანეტის 1/6 უტოლდებოდა. საჭირო იყო ამ ტერიტორიაზე, ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ერების ჩათვლით, შექმნილიყო ეროვნებათშორისი ურთიერთობების საბჭოთა მოდელი.

მოდელის შექმნის პირველი ეტაპი დაკავშირებული იყო ძალადობასთან. დღეს უკვე შეუძლებელია იმ ფაქტის დაფარვა, რომ საბჭოთა რესპუბლიკების აღმოცენების გარანტიას წითელი არმია წარმოადგენდა. ამის შემდეგ დგება მეორე, გარდამავალი ეტაპი, როდესაც არსებობს რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა (მოკლებული ფედერაციის ნიშნებს, ეროვნული ავტონომიის ნიშნებს), სუსტად გამოსახული საოლქო ავტონომიით დამ ის გვერდით არსებობენ საბჭოთა რესპუბლიკები ეროვნული ავტონომიის უფლებით და არ არსებობს ამ მდგომარეობის სამართლებრივი, საკანონმდებლო გამართლება. ასეთი ვითარების განხგრძობა შეიძლება გადაიზარდოს ფედერაციის მოთხოვნაში თუ დროით არ იქნა საკითხი გადაწყვეტილი. როგორც უკვე თეორიულად გააზრებულია და რწმენის დონემდე დასული პარტიის ხელმძღვანელთა შორის.

ერთი არსებითი მომენტის გათვალისწინებაა საჭირო. ესაა საერთაშორისო ვითარება. კაპიტალისტური სამყარო ჯერ კიდევ არც ცნობს ამ გაურკვეველი სისტემის ქვეყანას, მაგრამ არც იმს აპირებს მასთან საბჭოთა რესპუბლიკა, თავის მხრივ, არ კარგავს მსოფლიო რევოლუციის განვითარების იმედებს, ყოველ შემთხვევაში აზიის კონტინენტზე მაინც პარტიის თეორეტიკოსთათვის საიდუმლო როდია ის მარქსისტული დებულება, რომ რუსეთს დამოუკიდებლად, ცივილიზებული, სოციალისტური ევროპის დაუნმარებლად, არავითარი სოციალიზმის შექმნა არ შეუძლია.

მრავალთა შორის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებაა საჭირო. იგი დაკავშირებულია ქვეყნის საშინაო მდგომარეობასთან. მათხოვრობის, მასობრივი შიმშილის პირას



მყოფ ქვეყანას სჭირდებოდა ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლა. მუშათა და გლეხთა გამოსვლებმა საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ, ერთი მხრივ, და ლ. ტროცკის დასაბუთებამ, მეორე, დაარწმუნა ვ.ი. ლენინი ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლის აუცილებლობაში. და თუ, ჯერ კიდევ 1920 წლის დასასრულს ბელადი წერდა: „ფულიდან უფულო პროლექტბაგცვლაზე გადასვლა უდავოა.“

ეს გადასვლა წარმატებით რომ დამთავრდეს, საჭიროა განხორციელდეს პროლექტბაგცვლა (არა საქონელგაცვლა)” (ტ. 45. გვ. 16), რამდენიმე თვის შემდეგ უკვე რკპ (ბ) X ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება „ნეპ“-ის შესახებ. არაა საჭირო ამ ისტორიის გადმოცემა, ახსნა რა არის მისი თავდაპირველი არსი, როგორი შინაარსი მიიღო ერთი წლის შემდეგ, როგორია ვ.ი. ლენინის დამოკიდებულება მისადმი და ა.შ. არსებითია, რომ მან სათავე დაუდო რესპუბლიკის, შემდეგ კი კავშირის შემობრუნებას ფულად-სასაქონლო ურთიერთობისკენ. ამიტომაც, რომ ვ.ი. ლენინი ლ. ტროცკისადმი წერილში ასე ახასიათებს ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ახალ ურთიერთობებს: ტერმინი „სახელმწიფო კაპიტალიზმი“... თეორიულად ერთადერთი სწორი ტერმინია და აუცილებელია, რომ ვაიძულოთ უმოქმედო კომუნისტები, შეიგნონ, რომ ახალი პოლიტიკა სერიოზულად წარმოებს... სახელმწიფო კაპიტალიზმი იმ სახელმწიფოში, სადაც პროლეტარული ხელისუფლებაა, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ როგორც შეზღუდული დროითაც, გავრცელების სფეროთიც, თავისი გამოყენების პირობებითაც, მასზე ზედამხედველობის წესითაც და ა.შ.” (ტ. 45, გვ. 532-533).

ბევრი ფაქტორის გათვალისწინებაა საჭირო საბჭოთა მოდელის გაგების თვალთახედვითაც და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ასპექტითაც. საბჭოთა რუსეთი მაშინ ცდილობდა საქართველოში სოციალიზმის შემოტანას, როცა თვითონ სახელმწიფო კაპიტალიზმის რელსებზე იწყებდა ჰადასვლას. რამდენად შეძლებდა ასეთი ქვეყანა, ეროვნებათშორისი ურთიერთობის ასეთი თეორიის პირობებში სამართლიანობასა და თანასწორობის პრინციპის განხორციელებას? შეიძლებოდა თუ არ მეგობრობაზე, თანასწორობაზე, სა-





მართლიანობაზე ოცნება რევოლუციური ანექსიის პირობებში?  
ვნახოთ.

საბჭოთა საქართველოს პირველი ღონისძიება ეროვნებათ-  
შორის ურთიერთობის საქმეში იყო რეკომის 1921 წლის 16  
თებერვლის მოწოდება. აქ პირდაპირ იყო გაცხადებული, რომ  
ყოფილი შულავერის მხარის მოსახლეობა თვითონ აირჩევს,  
ვის დაუკავშიროს ბედი სომხეთს, აზერბაიჯანს თუ დარჩეს  
საქართველოს შემადგენლობაში. ეს იყო დიდი ბოლშევიკების  
გ. ორჯონიკიძის, ა. გეგეჭკორის, ფ. მახარაძის, მ. ორახელაშვი-  
ლის და სხვათა წარმატებით აღტყინების მემარცხენე გადაწ-  
ყვეტილება. მათ, როგორც იქნა, მოახერხეს XI არმიის მეშვე-  
ობით საქართველოს ანექსიის დაწყება, პირად მტერ-მოყვარესთან  
ანგარიშის გასწორება, ძალაუფლების მოპოვება და იყვნენ მი-  
ზანთან ახლოს. ამავე დროს, ვ.ი. ლენინისაგან იცოდნენ, რომ  
საზღვრებს, ეროვნულ კუთვნილებას აღარა აქვს აზრი, მალე  
ყველანი ილუზიურ რესპუბლიკაში იცხოვრებენ. ბორჩალოელების  
უკან დევნის დრო არ იყო. ამ ქართველი ბედოვლათური ინ-  
ტერნაციონალიზმის საბოლოო შედეგები ცნობილია. არავინ  
დაინტერესდა ტერიტორიების ოსტორიული კუთვნილებით.  
საფიქრალი მომავალს დაუტოვეს.

1921 წლის 21 მაისს რსფსრ და ანექსირებულ საქართვე-  
ლოს შორის დაიდო მუშურ-გლეხური სამოკავშირო ხელშეკ-  
რულება. იგი აცხადებდა ორივე მხარის დამოუკიდებლობასა და  
სუვერენობას, ამყარებდა სამხედრო და სამეურნეო კავშირებს.  
თითქოს სრული თანასწორობაა. მაგრამ, ბევრი იყო თავიდანვე  
საფრთხილო: 1. საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს ნიშნავდა  
საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო გადამწყვეტი ხმის  
უფლებით. ასეთი დანიშვნა არ იყო ორმხრივი, 2. საქართველო-  
ში შესანახად რჩებოდა XI არმია, 3. დაისვა საქართველოში  
რუსეთიდან ლტოლვილების შემოყვანის საკითხი, 4. საბჭოთა  
რუსეთი სრულ ცენტროლს უწევდა საქართველოში უცხოურ  
კონცესიებს, 5. საქართველოს ყველა საკითხის გადაწყვეტა  
ევალებოდა გ. ორჯონიკიძეს და ა.შ. ეს იმას ნიშნავს, რომ  
გამოცხადებული თანასწორობა მხოლოდ გამოცხადებული იყო.  
თავიდანვე ერთი იყო სიტყვა, მეორე საქმე.



ანექსიური აღტყინებით თავბრუდახვევამ იმ პერიოდში ბევრი სამომავლო პრობლემა შექმნა ეროვნებათშორისი ურთიერთობის საზოგადოებაში. ეს შეეხება როგორც მკვიდრი, ასევე არამკვიდრი მოსახლეობის პერსპექტივების, ტერიტორიული სივრცის საკითხს. ამასთან ბევრი საკითხი წყდებოდა ყოველგვარი ობიექტური, მეცნიერული შეფასებების გათვალისწინების გარეშე. მხედველობაში უფრო მეტად პიარად, სუბიექტურ ფაქტებს იღებდნენ. შედეგებმა არ დააყოვნა. ფ. მანარაძე, რომელიც ამყობს იმით, რომ ჯარს მოუძღოდა წინ, რომელიც მეტ საბჭოურ პატრიოტულ კორინტელს ატრიალებდა, გამორკვევის შემდეგ აღიარებდა: „ამხანაგებო... აქ ლაპარაკობენ დამოუკიდებელ, თავისუფალ საბჭოთა რესპუბლიკების შესახებ... ყველასათვის ნათელი და ამკარაა, თუ როგორია ეს დამოუკიდებლობა. ჩვენ ზომ ერთი პარტია გვაქვს ერთი ცენტრალური ორგანო, რომელიც... ასე რომ ლაპარაკი ამ შემთხვევაში დამოუკიდებლობაზე ეს მეტი მეტად გაუგებარი დებულებაა თავისთავად” (თხზ. კრებული ტ. IV, გვ. 279). თავისთავად ასეთი სიტყვა რკპ (ბ) XII ყრილობაზე, გაბედული და დაგვიანებულია. უფრო მეტად სჭარბობდა (და დღემდე ბევრს აშინებს) დემაგოგიური განცხადებები იმის შესახებ, რომ პატარა რესპუბლიკებს დამოუკიდებელი არსებობა არ შეუძლიათ. ტრაგიკომედიები, თეატრალურ სცენარზე მეტი, ისტორიამ იცის. საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობამ, ბოლშევიკებმა ყველაფერი იკადრეს ოლონდ ნეიტრალური დემოკრატიული საქართველოს ანექსია მოეხდინათ. მოახდინეს მისი განთავისუფლების ლოზუნგით. შემდეგ კი მისი დაცვის ლოზუნგით გაამართლეს დამოუკიდებლობის წართმევა. „... უეჭველია – აყალიბებდა ალიბს ი. სტალინი – რომ საბჭოთა საქართველოს სრულიად განმარტობით არსებობა... საბჭოთა ქვეყნებისადმი კაპიტალისტური სახელმწიფოების ამკარად მტრული დამოკიდებულების გამო, - წარმოუდგენელია როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ისე მეურნეობრივი განვითარების თვალსაზრისითაც.” (ტ. 5. გვ. 102), რუსული არმიის ძლიერებაზე დამყარებული დემაგოგია სხდომებზე დაუძინებელთა ტაშით ფასდებოდა. ი. სტალინს კი ისიც არ ენაღვლებოდა, რომ საქართველოში საბჭოების სისტემა არც თებერვლამდე



იყო და არც 1921 წ. 13 ივლისს, როცა ამას წარმოთქვამდა. არსი სულ სხვა რაიმეშია. იქმნებოდა უდიდესი უნიტარული სახელმწიფო, ფეხზე დგებოდა უძლიერესი დიქტატორი.

რევოლუციურმა აღტყინებამ ბოლშევიკურ კადრებს რეალიზმის გრძნობა წაართვა. გ. ორჯონიკიძის ზოგი ბიოგრაფი ამტკიცებს: ყმაწვილობისას, ქუთაისში, ახალგაზრდულ არეულობაში მიიღო მონაწილეობა, რისთვისაც იგი საგუბერნიო ციხეში ჩასვეს. ყმაწვილმა გ. ორჯონიკიძემ აქ ღრმად შეისწავლა მარქსიზმი. ეტყობა ამ ღრმა ცოდნის წყალობით გახდა ისე მტკიცე ინტერნაციონალისტი, რომ ვერ მოისვენა სანამ საქართველოს ანექსია არ განხორციელდა. შემდეგ კი ინტერნაციონალიზმით დოპინგირებულმა გადაწყვიტა ყველასთვის პატივი ეცა საქართველოს ხარჯზე. ამ ხაზით მას ძალზე მოსწონდა ნ. ნარიშკინის დეკლარაცია, ზანგეზური, ნახჭევანი, ყარაბაღის სომხეთისთვის გადაცემის შესახებ. მათ შორის სხვაობა ისაა, რომ ნარიშკინმა ყველაფერი გადათქვა და აზერბაიჯანმა ყველაფერი უკან დაიბრუნა. საქართველომ კი...

1921 წელს შეიქმნა გაორებული მდგომარეობა. საბჭოთა რუსეთმა დაიბრუნა ყოფილი იმპერიის კოლონიები. დაიბრუნა მაგრამ ბოლომდე ვერ შემოიმტკიცა. პატარა ერები თავის მხრივ ცდილობდნენ გაერკვიათ ანექსიით მონიჭებული „ბედნიერების“ ხარისხი. ვ.ი. ლენინი, რუსები ქვეყანას განიხილავდნენ როგორც მრავალეროვან სახელმწიფოს „ერთიანი ეროვნული ცენტრი -ველიკორუსული“ (ტ. 20, გვ. 498). ეს თანაბრად შეეხება, როგორც იმპერიას, ასევე საბჭოთა რუსეთს.

ი. სტალინი გამოხატავდა რა ცენტრის საერთო თვალსაზრისს, აღნიშნავდა: „... განაპირა მხარეები უფრო ნაკლებ არიან განვითარებულნი (ანდა სრულებით არ არიან განვითარებული) სამრეწველო და სამხედრო მხრივ, ვიდრე ცენტრალური რუსეთი, რის გამო მათ არ ძალუძთ დაიცვან თავიანთი დამოუკიდებელი არსებობა ცენტრალური რუსეთს არ ძალუძს შეინარჩუნოს თავისი სამხედრო-სამეურნეო ძლიერება განაპირა მხარეების მიერ სათბობ-ნედლეულით და სურსათით დახმარების გაუწევლად.“ (ტ. 5 გვ. 124.)

ძნელი დასაჯერებელია, რომ საბჭოთა რუსეთს პატარა ერების



დაცვა აინტერესებდა, როდესაც ანექსიას ახორციელებდა. უფრო მართებული უნდა იყოს, რომ სამხედრო სამეურნეო ძლიერების შენარჩუნების მიზნით, სათბობ-ნელეულისა და სურსათის იაფი წყაროების მიღების მიზნით, ახორციელებდა ყოველივეს.

საბჭოთა რუსეთმა ჯერ კიდევ 1921 წლის დასაწყისში დასვა იმ დროს არსებული საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების საკითხი. ი. სტალინი 10 თებერვალს ამტკიცებდა: „...ნაციონალურ რესპუბლიკებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ თავისი არსებობის დაცვა და იმპერიალიზმის შეერთებულ ძალებზე გამარჯვება, თუ ისინი მჭიდრო სახელმწიფოებრივ კაბშირად გაერთიანდებიან“ (ტ. 5 გვ. 23).

მთელი წლის მანძილზე მიმდინარეობდა ინტენსიური ახსნა-განმარტებითი და სამხედრო-სამეურნეო მოსამზადებელი მუშაობა რესპუბლიკათა გაერთიანების სასარგებლოდ.

წლის მანძილზე საქართველომ საკმაო ცოდნა მიიღო საბჭოთა გამოცდილების გაზიარების ხაზით. დაიწყო გამოფხიზლების პროცესი ბოლშევიკურ ხელმძღვანელობაში. ყველაფერმა გამოხატულება ჰპოვა 1922 წლის 2 თებერვალს მიღებულ საბჭოთა საქართველოს პირველ კონსტიტუციაში.

ეს კონსტიტუცია, პირველ ყოვლისა, ანგარიშს უწევდა შექმნის ისტორიულ ვითარებას. საბჭოთა მთავრობის გავლენით, როგორც ყველა სხვა პატარა ერი, საქართველოც გამოთქამდა გულმხურვალე სურვილს, შესულიყო ერთიან საერთაშორისო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში პარტია ვერ ტოვებდა მსოფლიო რესპუბლიკის მიღწევის ილუზიას. პატარა ერს უნდა ეცეკვა დიდის დაკრულზე. კონსტიტუციის მეთხე მუხლი ამ მხრივ სასაცილოცაა და სატირალიც.

კიდევ უფრო ილუზორულია ქართველების სურვილი, რაღაცნაირად შეინარჩუნონ სუვერენიტეტი. არეული პერიოდის კანონზომიერებამ განაპირობა მეხუთე მუხლის მიღება. დღევანდელ პირობებში ამაზე ოცნებაც არ შეიძლება. მუხლში აღნიშნულია, რომ საქართველო სუვერენული სახელმწიფოა და არ დაუმეგებს სხვა ერების თანასწორუფლებიან მფლობელობას საკუთარ ტერიტორიაზე. კონსტიტუციის პროექტის შემდგენელნი, მიმღებნი ან ვერ გრძნობდნენ რეალურ მდგომარეობას, ან ეს



მუხლი ბრძოლის საშუალებად მიაჩნდათ. ალბათ ერთიც და მეორეც ერთდროულად.

ფაქტი ამით არ იცვლება, ქართველი ერი ამ კონსტიტუციით მტკიცედ აცხადებდა, რომ მის ისტორიულ ტერიტორიაზე ყველაფერი მისი საკუთრებაა და ვერ მოითმენს სხვის მიერ ამ უფლების ხელყოფას.

კიდევ უფრო შორს მიდიოდა მეექვსე მუხლი. იგი აცხადებდა რესპუბლიკის ფარგლებში ქართულს ერთადერთ სახელმწიფო ენად. ამავე დროს არ იზღუდებოდა საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა უფლებები.

იყო ეროვნებათშორისო ურთიერთობების საბჭოთა მოდელის მოსამზადებელი პერიოდი. პატარა ერებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ საბჭოთა პროგრესის მთელი სიკეთე.

რკპ(ბ) X ყრილობაზე დაისვა საკითხი იმპერიისგან მოწყვეტილი ეროვნული სახელმწიფოების ბედის შესახებ. ყრილობის რეზოლუციების მეხუთე პუნქტში აღინიშნა, რომ მათ დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლიათ, შესაბამისად აღებული იქნა კურსი მათი მტკიცედ გაერთიანებისთვის. ნიმუშად და საბაზო საყრდენად მიიჩნიეს რსფსრ. იყო აზრი რსფსრ შემადგენლობაში ახლად შექმნილი ეროვნული რესპუბლიკების შესვლის შესახებ. იყო სხვა აზრიც, უმაღლეს ხელმძღვანელთა და მმართველობის აპარატის ნაწილი ფიქრობდა რომ რესპუბლიკები უნდა ძველებურად შეერთებოდნენ რუსეთს და ძველი პრინციპით მომხდარიყო ქვეყნის დაყოფა.

აზრთა სხვაობა შედეგს არ ცვლიდა. პარტიის თეორეტიკოსები ფედერაციას განიხილავდნენ, როგორც შუალედურ, გარდამავალ ფორმას სრული ცენტრალიზაციის გზაზე. ამიტომ ფედერაცია უნდა ყოფილიყო არა თანასწორ წევრთა ერთობა, არამედ რუსეთის შემადგენლობაში რესპუბლიკათა (პატარა ერების) საოლქო ავტონომიის საფუძველზე გაერთიანება.

მეორე თვალსაზრისის მიმდევრები არ თვლიდნენ საჭიროდ ყოველგვარ პოლიტიკურ კლოუნადას. მათი აზრით, თავიდანვე, მხოლოდ ცენტრალიზებულ გაერთიანებას შეეძლო რეალური წარმატების უზრუნველყოფა მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის გზაზე. ამ შემთხვევაში აბსოლუტურად ემთხვეოდა



პოზიციები ბოლშევიკებისა იმ შოვინისტ მოხელეებისას, რომლებიც ავსევდენ სახელმწიფო სამოხელაო აპარატს. მათ შესახებ ი. სტალინი ამბობდა: „ზოგიერთ ამხანაგთა შორის გვრცელდება პროექტი, რომ აღდგენილ იქნას ძველი გუბერნიები (თბილისის, ბაქოს, ერევნისა) ამიერკავკასიის ერთი მთავრობის მეთაურებით, ჩემი აზრით უტოპია, ამასთან უტოპია რეაქციული” (ტ. 5 გვ. 105) .

ყურადსაღებია ორი მომენტი: 1. 1921 წელს იყო ამიერკავკასიის ფაქტობრივი გაერთიანების პროექტი ერთი მთავრობით, ერთი ენით, ერთი ჯარით. რატომ? პასუხი არ არის ადვილი მოსაძებნი. იქნებ ვ.ი. ლენინის დებულება იძლევა ახსნას. იგი წერს: „შოვინიზმი შოვინიზმადვე რჩება, როგორც ნაციონალური მარკისაც უნდა იყოს და პაციფისტური ყაიღის რანაირი ფრაზებითაც უნდა იმოსებოდეს იგი „ (ტ. 22 გვ. 227). შეიძლება ასეც იყო, მით უმეტეს, რომ არაერთხელ უთქვია სინანულით: რუსეთის ჩამორჩენილობისა და უკულტურობის გამო, ვერ შეძლეს ძველი სახელმწიფო აპარატის მუშაკთა შეცვლა ახლით, ძველმა კადრებმა ახალი ქურჩი მიისხეს, პარტიის წევრობის ბილეთებიც იშოვეს, მაგრამ ბუნება ვერ შეიცვალეს. ამიტომ ხშირად აპარატი კი არ ეკუთვნოდა მთავრობას, არამედ პირიქით. 2. საბჭოთა რუსეთი იძულებული იყო იმ კონკრეტულ- ისტორიულ პირობებში ემოქმენდა, რომელიც იმპერიამ დაუტოვა. იმპერიაში მტკიცედ იყო ჩამოყალიბებული კავკასიის, როგორც ერთიანი ეკონომიკური რაიონის აზრი. მისი უკუგდება იოლი არ იყო. შეიძლება ყველაზე მართებული პასუხი მოცემული იყოს ს. მ. კიროვის მოხსენებაში საქართველოს პროფკავშირების პლენიუმზე („პრავდა გრუზი“, 1921 წ. 7 დეკემბერი №231) იგი აღნიშნავს: რსფსრ სულ ერთი როდია, როგორ მივლენ მასთან კავკასიის რესპუბლიკები რიგ-რიგობით, ცალ-ცალკე თუ ერთად. ერთად ნიშნავს საბჭოურადაც, ინტერნაციონალურადაც და, რაც მთავარია, მოსკოვისათვის უფრო მომგებიანია. ხო მარ არისე ს უკანასკნელი არგუმენტი კავკასიის რესპუბლიკების მომავალი „ფედერაციის“ საფუძველთა – საფუძველი? მით უმეტეს, რომ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს რეზოლუცია ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის შესახებ იმეორებს



იგივე აზრს. 1921 წლის 3 ნოემბერს, მიღებული ეს გადაწყვეტილება უნდა განიხილებოდეს როგორც რკპ(ბ) X ყრილობის რეზოლუციების შესრულების მიმდინარეობა. უფრო მეტი, პარტიული და საბჭოთა ორგანოების შესაბამის საქმიანობას უშუალო ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევდა პოლიტბიურო და პირადად ვ.ი. ლენინი. იგი ქმნიდა ყველა ძირითადი დოკუმენტის პროექტს, მოითხოვდა და ამოწმებდა ამ მიმართულებით საქმიანობას. ჯერ კიდევ 1921 წლის 28 ნოემბერს (მაშინ სსრკ შექმნის შორეული მოსამზადებელი მუშაობა წარმოებდა. კავკასიის რესპუბლიკები მხოლოდ „სამეგობრო“ ხელშეკრულებით იყვნენ დაკავშირებული რუსეთთან და სრულიად დამოუკიდებლად ითვლებოდნენ) ვ.ი. ლენინი უგზავნის ი. სტალინს პოლიტბიუროს დადგენილების პროექტს ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ.

ბევრი საკითხია ჰაერში გამოკიდებული. საარქივო მასალათა მიუწვდომლობა ბევრ მომენტს ხდის საიდუმლოდ და ხელს უწყობს ფალსიფიცირებული თვალსაზრისის გავრცელებას.

ბევრი საკითხი სწორი პასუხის საფუძველს იძლევა. მათ შორის, ეჭვს არ იწვევს, საბჭოთა ხელმძღვანელობის მისწრაფება თავის დიქტატს დაუმორჩილონ ფორმალურად დამოუკიდებელი რესპუბლიკები. ამ დიქტატმა განაპირობა რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის სრული გაუქმება და ურთიერთობის გამწვავება ცენტრსა და პერიფერიებს შორის. რამდენად მძიმე უნდა ყოფილიყო პატარა საქართველოს მდგომარეობა თუ უკრაინაში საქმე მივიდა ყოველგვარი ადგილობრივი თვითმმართველობის გაუქმებამდე. საბჭოთა უკრაინაში დადგა რესპუბლიკური სტატუსის საკითხი. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო იძულებული გახდა 1922 წლის 11 მაისს მიეღო სპეციალური დადგენილება. ამ დოკუმენტის ძალით მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული ყოველი ღონისძიება, რომელიც უკრაინის რესპუბლიკის პრაქტიკულად ლიკვიდაციას მოასწავებდა.

სახელმძღვანელო დოკუმენტმა საქმეს ვერ უშველა. ვერც უშველიდა, რამეთუ აკრძალვის გადაწყვეტილებას ღებულობდა ორგანო, რომელიც თვითონ არღვევდა რესპუბლიკის სუვერენიტეტს.





უკრაინის რესპუბლიკის მოთხოვნა რსფსრ სამართლებრივი ურთიერთობის დამყარების შესახებ საჭიროების მიხედვით იქნა განხილული. პოლიტიკურად შექმნა კომისია მ. ფრუნზეს ხელმძღვანელობით. კომისიის პროექტი მოისმინეს 10 აგვისტოს სხდომაზე. შეიმუშავეს აზრი, პროექტიდან გამომდინარე, შეთანხმების პირობების ყველა რესპუბლიკაზე გავრცელების შესახებ. მაგრამ მანამდე 1 აგვისტოს სხდომაზე, პოლიტიკურად მიიღო გადაწყვეტილება სპეციალური კომისიის ორგანიზაციის თაობაზე. კომისიას უნდა მოემზადებინა საკითხი ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე განსახილველად. იგი შეეხებოდა რსფსრ და „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკების ურთიერთობის ხასიათს.

უკრაინის საკითხის პარალელურად, ივლისში კავკასიის პარტორგანიზაციამ გ. ორჯონიკიძის მეშვეობით, ცალკე დასვა ასეთი ურთიერთობის დარეგულირების აუცილებლობის საკითხი. იგივე მოხდა ბელორუსიაში. ისმის კითხვა: ერთდროულად მომწიფდა რესპუბლიკათა რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების საკითხი თუ მომწიფება და საკითხის დასმა ნაკარნახევი იყო ხელმძღვანელი ამხანაგების მიერ? რომ ცხადია: რესპუბლიკები რომ რეალურად დამოუკიდებელნი ყოფილიყვნენ, ისინი უბრალოდ ურთიერთობას გაწყვეტდნენ რუსეთთან. ახლა კი უკრაინას რესპუბლიკის ნიშანს სახეს ართმევენ და ის მხოლოდ ჩივის იმასთან, ვინც ამას სჩადის, ხომ არ არის საკითხის ახსნა ი. სტალინის შემდეგ დებულებაში: „კამპანია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების გაერთიანებისთვის უკვე სამი-ოთხი თვის წინათ დაიწყო. ინიციატივა იკისრეს აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკებმა, შემდეგ მათ შეუერთდნენ უკრაინისა და ბელორუსიის რესპუბლიკები“ (ტ. გვ. 160). დღეს არა. იქნებ ოდესმე საბჭოთა არქივებმა მოგვცენ შესაძლებლობა გაირკვეს, რას ნიშნავდა კავკასიის რესპუბლიკების მიერ გაერთიანება ის ინიციატივის „კისრება“?

პრინციპი ძველია: ყველაფერი რაც შეეხება ეროვნებათშორის ურთიერთობებს და იწვევს პატარა ერების უფლებათა შელახვას, შეიძლება დავშირებული იქნეს ყველა რესპუბლიკასთან, რუსეთის გარდა. ამ შემთხვევაშიც ინიციატივა არ უკავშირდ-



ება რსფსრ. ყველა დაიტერესებულია რუსეთთან შეერთებით, რუსეთის გარდა.

ფაქტი ერთია, დაგეგმილი პროცესი წარმართა ისე, რომ პარტიის საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობა „იძულებულია“ მოისმინოს პატარა ერების თხოვნა გაერთიანების შესახებ და 11 აგვისტოს შექმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის საკითხს, შეიმუშავებს პროექტს და მომავალ პლენუმს წარმოუდგენს განსახილველად. ამ დღეს კომისია დაამტკიცეს ასეთი შემაღველობით: სტალინი, კუიბიშევი, რაკოვსკი, ორჯონიკიძე, სოკოლნიკოვი და რესპუბლიკათა წარმომადგენლები აზერბაიჯანიდან - აგამალი ოღლი, სომხეთიდან - მისანიკოვი, უკრაინიდან პეტროვსკი, ბელორუსიიდან - ჩერვიაკოვი, საქართველოდან - მდივანი.

შეიქმნა სპეციალური კომისია მისი მიზანია რესპუბლიკების რუსეთთან გაერთიანების ფორმის მოძებნა და არა იმ საჩივრების, სურვილების განხილვა, რომელიც დაიცავდა პატარა ერებს შოვინისტრიურ ხელყოფისაგან. გამდის: ერთია რესპუბლიკების სურვილი, სულ სხვა პარტიის პასუხი.

ყურადღებას იქცევს კომისიის შემაღველობა. აქ არ არის არც ერთი თეორეტიკოსი, ეროვნული საკითხის არც ერთი სპეციალისტი, ი. სტალინის გარდა. პოლიტიკოსთა წევრები, რომლებიც ყველა მნიშვნელოვანი (და უმნიშვნელო) საკითხის კურსში არიან, ამ ყველაზე არსებითი საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობას არ ღებულობენ. შემთხვევითია? იქნებ საკითხი იმდენად ნათელი იყო, პოზიცია იმდენად საერთო, რომ პროექტის დამუშავებისათვის დროის დაკარგვა არ ღირდა? ვინ იცის. ყოველ შემთხვევაში ცხადია, ი. სტალინი ამ დროს არ იყო ისეთი ფიგურა, რომელიც თავის ნებაზე გადაწყვეტდა ყველაფერს. პოლიტიკოსთა თანხმობა იმ ეტაპზე განმსაზღვრელი ფაქტორია.

კომისიაში თეორიულ საკითხს სჯიან პრაქტიკოსები. რა იციან მათ. თეორიულად ეროვნებათშორისი ურთიერთობების შესახებ? ი. სტალინს, კომისიის წევრთაგან ერთადერთ სპეციალისტს, რა შეხედულებები აქვს ვ.ი. ლენინის თვალსაზრისისაგან განსხვავებული?



მათ იციან: 1. ერთა თვითგამორკვევის უფლება არის ლოზუნგი, სინამდვილეში უნდა იბრძოლონ პატარა ერების შეკავშირებისთვის დიდი ერის (რუსების) გარშემო. 2. პატარა ერები რუსეთის შემადგენლობაში უნდა გაერთიანდნენ საოლქო ავტონომიების უფლებით. 3. დიდი ერის სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას ქმნის დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპზე და ეს პრინციპი მოქმედებს ეროვნებათშორისი ურთიერთობის სფეროშიც. 4. პატარა ერების დიდ ერთან გაერთიანების დროს მიღწეული უნდა იქნეს მაქსიმალური ცენტრალიზაცია, რადგან ფედერაცია არის მხოლოდ გარდამავალი საფეხური ცენტრალიზმზე. 5. საოლქო ავტონომიის უფლების მქონე პატარა ერებს არ ექნებათ სახელმწიფო ენა, ეროვნული კულტურა, ეროვნული საზღვრები, ეროვნული ჯარი, ფული.

ამ ძირითად ლენინურ პრინციპებზე რა პროექტის მომზადება შეიძლება? იქნებ კომისიას უფლება ჰქონდა, უკუეგდო ლენინის თეორია და სულ სხვა პრინციპები შეემუშავებინა? ვის, რა ცოდნის ბაზაზე?

კომისიას არჩევანი არ ჰქონდა. სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის პრინციპებიდან: კონფედერაცია, ფედერაცია, ავტონომიზაცია, ცენტრალიზაცია, ვი ლენინმა უპირატესობა უკანასკნელს მიანიჭა. ამიტომ კომისიის მიერ შექმნილი პროექტი დაეფუძნებოდა ცენტრალიზაციას. რამდენადაც ცენტრალიზმი დემოკრატიულ საწყისს ითვალისწინებდა, ამ ფარგლებში გაითვალისწინებდა ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმას ეროვნულ-ტერიტორიული გაერთიანების სახით.

სხვანაირად წარმოდგენაც ძნელია.

კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი არც იყო სხვანაირი. იგი ითვალისწინებდა რესპუბლიკის შესვლას რსფსრ შემადგენლობაში ავტონომიის უფლებით.

ავტონომიზაციის პროექტი განსახილველად გადაეცა „დამოუკიდებელ“ საბჭოთა რესპუბლიკებს. იგი მოიწონეს აზერბაიჯანსა და სომხეთის რესპუბლიკათა ხელმძღვანელებმა. მოიწონა პარტიის სამხარეო კომიტეტმა.

1922 წლის 15 სექტემბერს რკპ (ბ) საქართველოს ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ნაადრევად მი-



ინჩია ავტონომიზაცია. განსაკუთრებული რეაქცია გამოიწვია ამიერკავკასიის ფედერაციის წინადადებაში.

„შესანიშნავი“ დოკუმენტია ეს პროექტი. იგი ითვალისწინებდა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას და ამ ფედერაციის ავტონომიის უფლებით შევლას რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში.

23 და 24 სექტემბერს კომისიამ მოიწონა ავტონომიზაციის პროექტი დამტკიცებული იქნა პროექტის დასაბუთება ი. სტალინის ავტორობით. ვინ რა იცოდა, ვის რა უფლება ჰქონდა, ვის რა უნდა ეთქვა. ერთადერთი კომისიაში საქართველოს წარმომადგენელი იყო ბ. მდივანი პროექტის წინააღმდეგი. მერე და რა?

კომისიის რეზოლუციაში რსფსრ დამოუკიდებელ რესპუბლიკებთან ურთიერთობის საკითხის გამო, ჩაიწერა, რომ მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი საბჭოთა რესპუბლიკების (უკრაინა, ბელორუსია, ზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო) ფორმალური შესვლა რსფსრ შემადგენლობაში. ამასთან დაკავშირებით რსფსრ ხელმძღვანელ ორგანოთა გადაწყვეტილება ამ რესპუბლიკებისათვის სავალდებულო უნდა გახდეს.

საკითხის უფრო დემოკრატიული გადაწყვეტა დიქტატურამ არ იცის. დამოუკიდებელი რესპუბლიკები ნებაყოფლობით, ფორმალურად შედიან რსფსრ შემადგენლობაში და მიუხედავად ფორმალურობისა უკანასკნელის გადაწყვეტილებანი სავალდებულო ხდება ყველასათვის. ასეთ დროს თუ რამე არის ფორმალური ეს უეჭველად რესპუბლიკათა დამოუკიდებლობაა.

კომისიის მიერ მოწონებული პროექტი ცნობილია ი. სტალინის ავტონომიზაციის პროექტად. ასეა ეს? სად იყო პოლიტიკური, ვ. ი. ლენინი, ბელადი, რომელიც ათჯერ მაინც კითხულობდა ი. არმანდისა და მისი ვაჟის სანატორიუმში მოწყობის საკითხს, ყურადღების გარეშე დატოვებდა საბჭოთა რესპუბლიკათა რსფსრ შემადგენლობაში მოწყობის საკითხს? უეჭველია, არა. თუ ვერწმუნებით ვ.ი. ლენინის, ლ.ბ. კამენევისადმი მიწერილ 26 სექტემბრის წერილს (სადაც იგი ლაპარაკობს რესპუბლიკათა რსფსრ შემადგენლობაში ფორმალური შესვლის ნაცვლად, რსფსრ ფორმალური გაერთიანების შესახებ ევროპისა და აზიის



საკავშირო რესპუბლიკად) შენიშვნას, აგვისტოს-სექტემბრის მანძილზე იგი გულისყურით ეპყრობოდა რესპუბლიკათა გაერთიანების (ე.ი. კომისიის მუშაობის) საქმეს და რესპუბლიკათა 9 წარმომადგენელიც მიიღო ამ საკითხთან დაკავშირებით. უფრო მეტი. იგი ახასიათებს ბ. მდივანს, როგორც დამოუკიდებლობის მოპოვება-შენარჩუნების საქმეში ეჭვმიტანილს.

ღიას, თავიდანვე საეჭვონი იყვნენ ქართველები. მათ რატომღაც ყოველთვის საქართველოს დამოუკიდებლობა სურდათ. თვით უკრაინის ხელმძღვანელობამ შეიგნო რუსეთთან გაერთიანების სიკეთე (აბა სხვა რა გზა ჰქონდათ) და 3 ოქტომბერს, თუმცა გამოთქვა ურაცოფითი დამოკიდებულება ავტონომიზაციისადმი, მაგრამ იმ პირობით თუ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი მაინც მოითხოვდა, წინააღმდეგობა არ გაეწიათ. ყველა მიხვდა, ქართველობის გარდა, საიდან ამოდის საბჭოური მზე.

ვ.ი. ლენინი არა მხოლოდ იყო კომისიის მუშაობის საქმის კურსში, არამედ იცოდა ყველა საწინააღმდეგო მოსაზრება და როგორც მის პოლიტიკურ გამოცდილებას შეეფერებოდა, დროულად ჩაერია კამათში. 25 და 26 სექტემბერს იგი ესაუბრა გ. სოკოლნიკოვს, ი. სტალინს, გ. ორჯონიკიძეს, მ. ოკუჯავას, კ. ცინცაძეს, ლ. დუმბაძეს. მიიღო გადაწყვეტილება ახალი პროექტის შემუშავების აუცილებლობაზე.

ახალი პროექტი დამუშავდა ძალზე მოკლე დროში და 6 ოქტომბერს გამოქვეყნდა განსახილველად.

რა არსებითი სხვაობაა ი. სტალინისა და ვ.ი. ლენინის პროექტებს შორის?

პირველი პროექტი ითვალისწინებდა საბჭოთა რესპუბლიკების ფორმალურ შესვლას რსფსრ შემადგენლობაში. მეორე გულისხმობდა ყველა რესპუბლიკის, რსფსრ ჩათვლით ფორმალურ გაერთიანებას ევროპისა და აზიის საკავშირო სახელმწიფოში.

სხვაობა ერთი შეხედვით კოლოსალურია, ამის შესახებ არაერთხელ თქმულა და დაწერილა. საკითხის უფრო ახლოს განხილვის დროს აღმოჩნდება, რომ ასე არაა, რომ შეცვლილია ფორმა და არა შინაარსი.

საბჭოთა რესპუბლიკათა გაერთიანების ახალი პროექტი შექმნილი იყო არა რესპუბლიკათა, მათი მოსახლეობის ინიცია-



ტვივით და მონაწილეობით, არამედ პარტიისა და საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობის საერთო აზრით და ქმედებით.

საბჭოთა რესპუბლიკათა გაერთიანების ახალი პროექტი შექმნილი იყო თეორეტიკოსის მიერ, რომელიც მთელი შეგნებული ცხოვრებისა და ბრძოლის მანძილზე, იყო რეალური თვითგამორკვევის, დიდ და პატარა ერთა თანასწორობის წინააღმდეგი და პატარა ერთა „დაფეკვა-ასიმილაცია“ დიდ ერთან „შედულების“ მომხრე. 1922 წლის სექტემბრის ერთ კვირაში დადგებოდა სხვა თვალსაზრისზე, უარყოფდა წლების ნაფიქრალს, გაიმსჭვალეობდა სხვა რწმენით?

მეორე პროექტი (ისევე, როგორც პირველი) არ იძლეოდა ახსნას – რას ნიშნავს რესპუბლიკათა ფორმალური გაერთიანება?

მეორე პროექტი არ უარყოფდა სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპს, არ იძლეოდა ახსნას სხვა რა პრინციპი უნდა დადებოდა საფუძვლად ამ „ფორმალურ“ გაერთიანებას.

ვი. ლენინი არც პროექტში და არც სხვა რომელსაჲმე დოკუმენტში არ ამბობს, რომ რესპუბლიკათა გაერთიანება ნიშნავს სრულფულებიანი ფედერაციის შექმნას. სიტყვა ფედერაცია, საერთოდ, ამოგდებულია ყველა შესაბამის მასალაში. გამონაკლისს შეადგენს ი. სტალინი. იგი წერს: „საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაცია წარმოადგენს სახელმწიფოებრივი კავშირის იმ საძიებელ ფორმას, რომლის ცოცხალ განსახიერებას წარმოადგენს სახელმწიფოებრივი კავშირის იმ საძიებელ ფორმას, რომლის ცოცხალ განსახიერებას წარმოადგენს რსფსრ“ (ტ.5 გვ. 41). ცნობილია, რსფსრ არ იყო ფედერაციული გაერთიანება ტერმინის პირდაპირი გაგებით. იგი არ გულისხმობდა თანასწორთა ერთობას. ასეთი ფედერაცია ეროვნულ ავტონომიზაციასაც კი გაურბოდა. ბუნებრივია, მისი განმეორება ახალ, ფართო ვარიანტში, რესპუბლიკებს სასიკეთოს ვერაფერს მოუტანდა.

პროექტი ითვალისწინებდა რსფსრ ხელმძღვანელი ორგანოების ავტომატურად ახალი გაერთიანების ხელმძღვანელ ორგანოებად გადაქცევას. ეს ეხება როგორც პარტიულ, ასევე საბჭოთა ორგანოებს. იმ ზომამდე, რომ თვით რსფსრ ერთპალა-



ტიანი (კავშირების) უმაღლესი საბჭო ახალ გაერთიანების უმაღლესი საბჭოდ უნდა გადაქცეულიყო. ერთადერთი რაც ვ.ი. ლენინმა ცვლილება დასახა (გამოთქმულია ლ. კამენევ-ისადმი 6.X. 1922 წ. წერილში), ესაა მოთხოვნა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში (უმაღლესი საბჭოს პრესიდიუმში) რესპუბლიკის წარმომადგენლები მორიგეობით ყოფილიყვნენ თავმჯდომარედ. საინტერესოა, რომ ეს არაარსებითი წინადადება კი არ იქნა მიღებული.

ცნობილია, როგორი რეაქცია გამოიწვია ე.წ დამოუკიდებლობის მადიებლის ბ. მდივანის პოზიციამ, რა მკვახე, დამამტკიცებელი პასუხი გასცა ვ.ი. ლენინმა ასევე ჯიუტ დამოუკიდებლებს კ. ცინცაძესა და ს. ქავთარაძეს, თვით იდეაც კი, რომ საქართველოს უშუალოდ (და არა ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით) შესულიყო ახალ გაერთიანებაში, დიდ მკრეხელობად იქნა მიჩნეული. არავინ არ უპასუხა „დამოუკიდებელი“ საბჭოთა რესპუბლიკის მესვეურებს, რატომ უნდა გაერთიანებულიყვნენ ფედერაციაში, რომელიც შემდეგ მოხვდებოდა გაერთიანებაში.

ამ პერიოდის ბევრი დოკუმენტი (რომელთა შესახებ ცნობილია, რომ არსებობს არქივებში, ზოგიერთის არსებობაზე კი არსებული მიმოწერა მეტყველებს) დღემდე უცნობია. ამიტომ ძნელია სრულფასოვანი ანალიზი, მაგრამ რაც არის, მიუთითებს იმაზე, რომ შინაარსობრივად, საბჭოთა რესპუბლიკების რეალური უფლებების მხრივ ორ პროექტს შორის სხვაობა არ არის.

ვ.ი. ლენინის მიერ შექმნილი პროექტის განხილვის და მის საფუძველზე რესპუბლიკათა გაერთიანების მიზნით, ოქტომბრის პლენუმმა შექმნა სპეციალური კომისია ი. სტალინის მეთაურობით. ი. სტალინის პროექტი, შედგენილი რსფსრ პოზიციებიდან დაწუნებული იქნა, თვით ვ.ი. ლენინი მოეპყრა მას ნეგატიურად, ახალი პროექტის რეალიზაცია კი კვლავ მას დაევალა. რატომ? დაილია ხელმძღვანელი, ორგანიზატორი, მცოდნე და ა.შ. ქვეყანაში? როგორ შეეძლო ი. სტალინს უცებ გარდაქმნილიყო და საკუთარი რწმენის საპირისპირო პროექტი არ შეესრულებინა საკუთარი რწმენის შესბამისად?

ბევრი კითხვის შემცველი ბევრი საკითხია.





ფაქტია ის, რომ სპეციალურმა კომისიამ, ი.სტალინის ხელმძღვანელობით, დიდი მუშაობა გასწია, რათა შეექმნა ის კონსტიტუციური საფუძვლები, რომლებზეც მოხდებოდა რესპუბლიკათა გაერთიანება. ძირითადი მუხლები შემუშავებული იქნა და პოლიტბიუროს წარედგინა განსახილველად. დიას. ასეც ხდება, როდესაც ი. სტალინმა შეიმუშავა გაერთიანების პროექტი, არ გააცნო იგი პოლიტბიუროს, ვ.ი. ლენინს, ისე მოაწონებინა კომისიას, დაუგზავნა რესპუბლიკებს და ა.შ. ერთი სიტყვით შექმნილი პოლიტბიუროს იგნორირება. ამ შემთხვევაში. ვ.ი. ლენინის პროექტის მიხედვით რამდენიმე მუხლი შეადგინა და მაშინვე პოლიტბიუროს მოახსენა. სადაა ჭეშმარიტება?

პოლიტბიურომ განიხილა კონსტიტუციური საფუძვლები, მოიწონა და გადაუგზავნა რესპუბლიკებს. ლოგიკურია, რადგან პოლიტბიუროს (ამ შემთხვევაში) უმაღლესი პარტიული მუშაორგანო. ამასთან, ხელმძღვანელი პარტიული ორგანო (კომისიის მეშვეობით) ღირექტიულად მოითხოვდა რესპუბლიკების პარტორგანიზაციათა ცენტრალური კომიტეტებისაგან ამ საფუძვლების მიღებას საბჭოების ყრილობებზე.

ბევრი რამ იყო და არის უაღრესად საინტერესო რესპუბლიკათა გაერთიანების ისტორიაში. ჯერ იყო და გაერთიანების ინიციატივა „იკისრეს“ ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა. შემდეგ საჭირო გახდა სპეციალური ღირექტივა ზვიდან, რათა გაერთიანების პრინციპები ენთუზიაზმით მიეღოთ ქვემოდან. კიდევ უფრო საინტერესოა ვ.ი. ლენინის მოთხოვნა – ორ-სამ კვირაში ისეთი აგიტაცია გაეწიათ მასებში, რომ კავკასიის პატარა ერებს დიდი ენთუზიაზმით, საკუთარი თაოსნობით მიეღოთ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის იდეა. რატომაც არა?

ლენინური პროექტის თანახმად წარმოებულმა მუშაობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. უკვე ნოემბრის ბოლოს მოხდა „გარდატეხა“ მასების განწყობაში. დეკემბრის დასაწყისში ავტონომიურმა და რესპუბლიკურმა გაერთიანებებმა დაიწყეს ხელმძღვანელი ორგანოების მიერ ღირექტირებული წინადადებების „განხილვა“ და ერთსულოვანი მოწონება ტამის დონეზე.

ი. სტალინი ანალიზს უკეთებდა რა რესპუბლიკათა შექმნისა და გაერთიანების პროცესს, აღნიშნავდა მის პერიოდებს.



მისი აზრით გამაერთიანებელი მოძრაობა დაიწყო 1918 წელს. პროცესი მეორე ფაზაში შევიდა 1921 წლის დასასრულსა და მომდევნო წლის დასაწყისში. 1922 წლის ბოლო აღინიშნა, მესამე დამამთავრებელი ფაზით (ტ.5, გვ. 154).

ამრიგად, 1922 წლის დეკემბერი პარტიული დირექტივების ტრიუმფალური მოწონების პერიოდია.

10-13 დეკემბერს მიღებული იქნა ამიერკავკასიის საბჭოების პირველი ყრილობის რეზოლუციები სსრკ შექმნის შესახებ და ფედერაციის კონსტიტუცია.

კონსტიტუციის მეორე მუხლი ხაზს უსვამს ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შექმნის ფაქტს. ფედერაცია ამ შემთხვევაში რსფსრ პრინციპით შეიქმნა. ამან გამოიწვია გარკვეული უთანასწორობა რესპუბლიკებს შორის და დატოვა უთანხმოებისა და უნდობლობის საფუძველი. ფერედაციაში ყოველ რესპუბლიკას ერთი ხმა კი არ ჰქონდა, როგორც უნდა ყოფილიყო თანასწორობის შემთხვევაში, არამედ დელეგატთა რაოდენობის მიხედვით. ასეთ დროს აზერბაიჯანს მეტი ხმა აღმოაჩნდა, ვიდრე საქართველოს და უკანასკნელს მეტი, ვიდრე სასომხეთს. ამავე დროს დატოვებული იქნა ვარიანტი. რესპუბლიკა თუ მონინდომებდა, შეძლებდა ავტონომიური გაერთიანებების შემნას, გაზრდიდა თავის წარმომადგენლობას, ფედერაციის უმაღლეს ორგანოში. ამ მიზნით ხომ არ შექმნეს 1922 წლის აპრილში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი? აღსანიშნავია, რომ თუ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შესახებ ნათქვამია, რომ შეიქმნა ფედერაცია, რეზოლუციაში სსრკ შესახებ არაა აღნიშნული, რომ ეს ფედერაციული გაერთიანება იქნება. იგივეა განმეორებული ყველა სხვა რესპუბლიკების რეზოლუციებში. თავის მხრივ არც ვ.ი. ლენინი, არც ერთ წერილში, ტელეგრამაში და ა.შ. არ ამბობს ფედერაციის შესახებ. 10 დეკემბერს სპეციალური წერილი გაუგზავნა უკრაინის საბჭოების VII ყრილობას, რომელიც იხილავდა გაერთიანების საკითხს – არც ერთი სიტყვა ფედერაციაზე.

არ არის გასაკვირი, ფედერაცია, როგორც იყო ანტიპატიური, ანტიმარქსისტული სიტყვა, ასევე დარჩა ბოლომდე მისთვის.

დეკემბრის მეორე ნახევარში, საქმის პირველი ნახევარი



მომთავრებული იყო. საბჭოთა რესპუბლიკებმა მოიწონეს ფორმალური გაერთიანების საკითხი ისე, რომ არ დაუსვიათ კითხვა რას მისცემდა მათ ეს ფორმალური გაერთიანება, რატომ ფორმალური, რა პრინციპზე, ხო მარ სჯობს დამოუკიდებლად ყოფნა და სხვა. ყოველ შემთხვევაში ამ ისტორიის ამსახველი მასალების კრებულები და სამეცნიერო ლიტერატურა ოპოზიციის არსებობაზე, ბრძოლაზე არაფერს ამბობს.

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ეროვნული საკითხის დიადი მოძღვარი შესანიშნავად გრძნობს ერთა თვითგამორკვევის მნიშვნელობას. „თვითგამორკვევის უფლება – ამბობს ი. სტალინი – ე. ი. ერს შეუძლია მოეწყოს თავისი სურვილისამებრ. მას უფლება აქვს მოაწყოს თავისი ცხოვრება ავტონომიის საფუძველზე. მას უფლება აქვს ფედერაციული ურთიერთობა დაამყაროს სხვა ერებთან. მას უფლება აქვს სავსებით გამოიყოს. ერი სუვერენულია და ყველა ერი თანასწორუფლებიანია“ (ტ.2, გვ.334). კარგადაა ნათქვამი. ლოგიკურად, ყველასათვის გასაგებად. გარდა საკუთარი თავისა, ვ.ი. ლენინისა, პარტიის ხელმძღვანელობისა, ყველასი, ვინც წყვეტს ერის ბედს. ამიტომ შეიქმნა შესანიშნავი პაროდიის თეორია, ამიტომ დაამუშავა საოლქო ავტონომიის პროექტი, ამიტომ ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის ფედერაცია ქართველი ერის წინააღმდეგობის მიუხედავად, ამიტომ სიტყვიერადაც არავინ ახსენა, რომ რესპუბლიკათა საერთო გაერთიანება ფედერაცია იქნებოდა.

იქნებ იმიტომ მოხდა ეს რომ კავკასიელები არ წარმოადგენენ სრულფასოვან ერებს? იქნებ ისინი სხვანაირ მოპყრობას ვერც გაიგებდნენ ჩამორჩენილობის გამო? შეიძლება. იქნებ ამიტომ აღნიშნავდა ი. სტალინი შემდეგს: „ნაციონალური საკითხი კავკასიაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ დაგვიანებული ერები და სხვა ხალხები უმაღლესი კულტურის კალაპოტში მოვაქციოთ... კავკასიის საოლქო ავტონომია სწორედ ამიტომ არის მისაღები“ (ტ.2, გვ.378).

ნებისმიერი მიხვედბა აქ რა უმაღლესი კულტურაა ავტორის მიერ ჩაქსოვილი, რა აზრია, საკითხის რა ღრმა ცოდნა. დიახ. კავკასიელები, კერძოდ ქართველები, რუსებთან შედარებით დაგვიანებული ერია. ეს ქართველები იყვნენ ველურები,



როდესაც რუსები კულტურის მსოფლიო ნიმუშებს ქმნიდნენ. პეტრე იბერი, იოანე პეტრიწი, გიორგი ათონელი, ჩახრუხაძე, რუსთაველი და ამგვარები რა სახსენებელია იმ დროის რუსეთის არ არსებული მსოფლიო მნიშვნელობის კულტურის ფონზე. ასეა ეს. აბა სხვა რომელი ქართველი დაინტერესებულა იმით მეგრელები, აჭარლები, სვანები, რომ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე (არა დიალექტზე) ხალხებია. (ტ.2, გვ.377), ასე იცის ეროვნული საკითხის ზედმეტად ღრმა ცოდნა.

ამიტომ, უმაღლესი (რუსული რა თქმა უნდა) კულტურის არტახებში მოქცეული პატარა ერები დღემდე საოლქო ავტონომიის შემყურენი არიან.

პატარა ერებმა დიდი ენთუზიაზმით მიაკვლიეს არარჩეული დელეგაციები მოსკოვს, სადაც საბჭოების ახალი გაერთიანების პირველი ყრილობა უნდა ჩატარებულიყო.

1922 წლის 30 დეკემბერს ტაშით დაინგრა ქვეყანა. თუ ავრორას გასროლამ ზამთრის სასახლე აიღო. დელეგაციათა ტაშს საბჭოთა რესპუბლიკების მოჩვენებითი დამოუკიდებლობა რით ვერ უნდა მოესპო?

დარბაზში 2215 დელეგატი იყო სულ. აქედან 1667 გადამწყვეტი ხმის უფლებით დანარჩენი სათათბირო. უკრაინას 354 გადამწყვეტი ხმა ჰქონდა, ბელორუსიას 23, ამიერკავკასიის ფედერაციას 73, ხოლო რიგით წევრს რსფსრ – 1217. ასეთი იყო თანასწორუფლებიანობა და თანასწორხმოვანება. ასეც გადაწყდა გადასაწყვეტი.

საბჭოების პირველმა ყრილობამ მიიღო პირველი დეკლარაცია და ხელშეკრულება სსრკ შექმნის შესახებ.

დეკლარაცია ასე ასაბუთებდა გაერთიანების აუცილებლობას: საბჭოთა ხელისუფლების აგებულება, მისი ინტერნაციონალური ბუნება, უბიძგებს საბჭოთა ხელისუფლების მშრომელ მასებს ერთ სოციალისტურ ოჯახად გაერთიანებისაკენ. არავითარი პროექტები, ინიციატივის „კისრება“, არავითარი დირექტივები. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების ინტერნაციონალური ბუნება. როგორ არ დასხცებდნენ დელეგატები ხანგრძლივ ტაშს. სამწუხაროა, რომ ევროპის ერებმა ვერ გაიგეს ეს დ ავერ მოახერხეს რუსეთის უმაღლესი კულტურის კალაპოტში მო-



ქცევა. საცოდავები.

ყრილობის მიერ მიღებული ხელშეკრულება, ასევე გულმოდგინედ უვლის გვერდს პრინციპს, რომელზეც უკვე გაერთიანდნენ „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკები. სანაცვლოდ დეტალურადაა ჩამოთვლილი გაერთიანების ძალით რა ფუნქციები გადადის საკავშირო ხელმძღვანელი ორგანოების ხელში. ასევე ნათლადაა გამოკვეთილი რესპუბლიკათა უფლება-მოვალეობანი.

მართველობის საკავშირო ორგანოების ფუნქციების ჩამოთვლა შეუძლებელია. ძალზედ მძიმე ტვირთი მოეხსნათ რესპუბლიკებს და დაეწერა საკავშირო ხელმძღვანელობას. ყველა ოდნავ მაინც მნიშვნელოვანი საკითხი ცენტრში უნდა განხილულიყო და გადაწყვეტილიყო. მაგრამ რას არ იზამდა და იკისრებდა უმაღლესი კულტურის ერი და ხელმძღვანელობა დაგვიანებული ერების საერთო კალაპოტში მოქცევის ღრმად ინტერნაციონალური მისწრაფების გამო.

რესპუბლიკების ფუნქციები, სანაცვლოდ ძალზედ გამარტივდა. რა სჯობს ამას. რესპუბლიკას შეეძლო მოცემულ ვადაში შეესრულებინა ცენტრის გადაწყვეტილება. ასე მაგალითად: ფინანსების, შრომის, საშინაო საქმეების, იუსტიციის, კონტროლის, განათლების, ჯანდაცვის, სოცურუნველყოფის, მიწათსარგებლობის, სამეურნეო საქმიანობის ხაზით იქმნებოდა საკავშირო კომისარიატები (სამინისტროები – დღევანდელი გაგებით), რომლებსაც რესპუბლიკური შესაბამისი კომისარიატები დაექვემდებარებოდა. საკავშირო მიიღებდა გადაწყვეტილებას, რესპუბლიკური შეასრულებდა. სულ იოლია. ფიქრიც არ იყო საჭირო. ხოლო რაც შეეხება საგარეო, სამხედრო დაგეგმვის, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის, საგარეო ვაჭრობის საქმეებს, საერთოდ აცილებდნენ რესპუბლიკებს. არც ფიქრი იყო საჭირო, არც მოქმედება. რა სჯობია, წამოწევი და ითვალე ბუზები.

ასეთი იოლი და კარგი ცხოვრება მოუტანა გაერთიანებამ ანექსირებულ ერებს. დააფასებენ? ვისთვის დაუფასებიათ სიკეთე?

პირველი ეჭვი იმავე 30 დეკემბერს გამოითქვა. პირველი ბზარი უმაღლესი კულტურის საერთო კალაპოტის სამართლიანობაში იმ საღამოს გაჩნდა. ყველაზე კარგი და საინტერესოა, რომ ეჭვი გაერთიანების მართებულობაში და ბზარი



მის სამართლიანობაში შეიტანა ვ.ი. ლენინმა. აშკარაა და დაუჯერებელი...

ვინც ოდნავ მაინც იცის ვ.ი. ლენინის თეორიული შემოქმედების შესახებ, იცის მისი ერთ-ერთი უკანასკნელი ნაშრომი, „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „ავტონომიზაციის“ შესახებ“. ავადმყოფმა ნაშრომი 30 და 31 დეკემბერს უკარნახა პირად მდივანს.

პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს სათაური. ეროვნებათა საკითხი რატომ ავტონომიზაციას დაუკავშირა? ხომ შეეძლო ეთქვა ფედერაციის შესახებ? ან კონფედერაციის შესახებ? ხომ არ არის აქ აზრი, რომ ეროვნებათა საკითხი იმ უამად ( და დღემდე) ავტონომიზაციის პრინციპზე აქცენტით წყდებოდა?

ეს ჯერ კიდევ არაა დასაბუთება. ეს საკითხის დაყენება მხოლოდ. ნაშრომი იწყება ასე: „მე მგონი, ძალიან დამნაშავე ვარ რუსეთის მუშების წინაშე იმისათვის, რომ საკმაოდ ენერგიულად და საკმაოდ მკვეთრად არ ჩავერიე ყბადაღებულ საკითხებში ავტონომიზაციის შესახებ, რომელსაც ოფიციალურად, მგონი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საკითხი ეწოდება“ (ტ.36, გვ.688). რაზეა აქ საუბარი თუ არა იმაზე, რომ ავტონომიზაციას ოფიციალურად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საკითხი ეწოდება. რა გამოდის აქედან, თუ არა ის რომ უარყო რა რესპუბლიკების მიერ გაკრიტიკებული ავტონომიზაციის სტალინისეული პროექტი ვ.ი. ლენინმა შეიმუშავა ახალი პროექტი, რომელიც ასევე, ავტონომიზაციას ისახავდა მიზნად. თუ ფორმა შეცვლილი იყო, მისი პროექტი შინაარსს უცვლელს ტოვებდა. შესაბამისად მთელი კამპანია გაერთიანების შესახებ, ფაქტობრივად პატარა ერების (საბჭოთა რესპუბლიკების) რუსეთისადმი ავტონომიურ დაქვემდებარებას ისახავდა მიზნად. სწორედ ამიტომ ყველა დოკუმენტში საგულდაგულიდ არის გვერდავლილი რესპუბლიკათა გაერთიანების პრინციპის საკითხი. კარგად იცოდნენ და ვ.ი. ლენინმაც იცოდა, რომ ასეთი პოლიტიკური მანევრის გარეშე პატარა ერებს გაერთიანებაზე ვერ დაიყოლიებდნენ. სიმართლე დაიმალა, მშრომელი მასები (რომლებმაც რა თქმა უნდა თეორია და აქედან გამომდინარე ჭეშმარიტება, არც იცოდნენ და



ტყუილს ვერც მიხვდებოდნენ) გაბითურებულნი დარჩნენ, ინტერნაციონალური ძმობის, თანასწორობის ნაცვლად, ეროვნული დამცირების, ჩაგვრის ახალი ტიპი მიიღეს. არის ეს ლალატი, დანაშაული რევოლუციონერის, კომუნისტის, თეორეტიკოსის მხრივ თუ არა? არის. ამიტომ აღიარებს და სწუხს საკუთარ დანაშაულზე ავადმყოფი, აღსარების მომენტში მყოფი ბელადი.

დანაშაულს აღიარებს, მნაგრამ იქვე იწყებს თავის მართლებას. პიროვნების, რევოლუციონერის, მოაზროვნის დუალიზმი აქაც იჩენს თავს და საერთოდ იშვიათია, ადამიანმა დანაშაული აღიაროს და თავის მართლება არ მიაყოლოს. თავდაცვის ინსტიქტი ღრმად და ძლიერადაა ჩადებული ადამიანში. ვ.ი. ლენინი ასე გამოდის მდგომარეობიდან: „ზაფხულში როდესაც ეს საკითხი წამოიჭრა, მე ავად ვიყავი, ხოლო შემდეგ შემოდგომაზე მეტისმეტი იმედები დავამყარე ჩემს გამოჯანმრთელებაზე და იმაზე, რომ ოქტომბერსა და დეკემბრის პლენუმები მომცემდნენ შესაძლებლობას ჩავერუელიყავი ამ საკითხში. ამავე დროს კი მე ვერ დავესწარი... და ამრიგად საკითხი თითქმის სავსებით უყურადღებოდ დამრჩა“ (ტ.36, გვ.688).

ვ.ი. ლენინის ამ მსჯელობიდან მრავალასპექტოვანი დასკვნები შეიძლება გაკეთდეს. ერთი შეხედვით ყველაფერი კარგად არის გათვლილი. ბელადი ავადმყოფობდა, საქმეს მოსწყდა, რესპუბლიკათა ავტონომიზაციის პრინციპით გაერთიანების საკითხი მის გარეშე გადაწყდა. ავადმყოფს, საქმეში ჩაუხედავს სამღერავი არ ეთქმის, როგორც იტყვიან არ ცოდნა არ ცოდვაა. მეორე მხრივ, ცნობილი, რომ მთელი აგვისტო-სექტემბრის მანძილზე იგი დიდ ინტერესს იჩენდა საკითხისადმი, ხვდებოდა რესპუბლიკათა წარმომადგენლებს. სწორედ იმ ავადმყოფობის დროს იჩენდა დიდ აქტიურობას საკითხისადმი. მესამე მხრივ რა საიდუმლოა, საბჭოთა მეცნიერება ამით ამაცობს, რომ სსრკ შექმნის სტალინური პროექტი დაწუნებული იქნა, ვ.ი. ლენინმა თვითონ შეიმუშავა ახალი პროექტი, მის მიხედვით მოხდა გაერთიანება და ამიტომ არის ასე მაღალ დონეზე გადაწყვეტილი ეროვნული საკითხი. ახლა გამოდის, რომ ვ.ი. ლენინმა ამის შესახებ არაფერი არ იცოდა? თუ დეკემბრის იმ საღამოს დაავიწყდა? ან იქნებ ისეთი ავადმყოფი იყო, რომ ანგარიშს





ველად უწევდა მოვლენებს?

რა საინტერესოა ცხოვრება საზოგადოებაში, სადაც ყველაფერი საიდუმლოებითაა მოცული.

ასეა თუ ისე ვ.ი. ლენინი აცხადებს, რომ ავტონომიზაცია, რომელსაც ოფიციალურად სსრკ შექმნა ეწოდება არის დანაშაული მშრომლების წინაშე, რომელშიც მას ბრალი (პირდაპირი) არ მიუძღვის, მაგრამ პოლიტიკოსებს არც სხვა წევრები ჩანან გარეული ამ საქმეში და გამოდის, რომ ი. სტალის გარდა სსრკ შექმნის არსი არც ვინმემ იცოდა და არც ვინმე განხორციელებაში მონაწილეობდა.

„მე მხოლოდ ის მოვასწარი, - აგრძელებს ალიბს ბელადი - რომ ვესაუბრე ამხ. ბერუნიანს... რაც მაცნობა ამხ. ბერუნიანს, რომელიც სათავეში ედგა ცენტრალური კომიტეტის მიერ ქართული ინციდენტის „გამოსაკვლევად“ გაგზავნილ კომისიას, მე მხოლოდ დიდი საშიშროება დავინახე. თუ საქმე იქამდე მივიდა, რომ ორჯონიკიძემ შეტოპა და ფიზიკურ ძალადობას მიმართა... შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა ჭკობში ჩავცვივდით ჩვენ ეტყობა „ავტონომიზაციის“ მთელი ეს წამოწყება სრულიად არასწორი და უღრო იყო“ (ტ.36, გვ.688-689).

წყაროთა სიმრავლიდან ცნობილი ფაქტია, რომ გ. ორჯონიკიძემ, ცდილობდა რა სწრაფად მოეგვარებინა სსრკ შექმნის ლენინური პროექტის „მოწონება“ კავკასიაში, დარწმუნების ჩვეულ ხერხს მიმართა. თეორიული მომზადება, საკითხის ხასიათის სხვა მეთოდს არ ექვემდებარებოდა თუ არა მაუზერის ტარით ქართველი ამხანაგებისათვის ახსნა-განმარტების მიცემას. ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შექმნა, რაც დაუინებოთ მოითხოვა ბელადმა, შესრულებას საჭიროებდა. სხვა არგუმენტებით ავტონომიზაციის პრინციპს, რუსეთის უმაღლესი კულტურის კალაპოტში მოქცევას, უგუნურ, უკულტურო ქართველებს ვერ დაუსაბუთებდი. ამ შემთხვევაში არსებითია ავტონომიზაციის საფუძველზე სსრკ შექმნის სიმცდარის აღიარება ბელადის მიერ.

ინტერესს მოკლებული არ არის აგრეთვე ავტონომიზაციის აუცილებლობის დასაბუთებულობის მეცნიერულობა. ძირითადი არგუმენტია - „ამბობენ“. ვ.ი. ლენინი წერს: „ამბობენ აპარატის ერთიანობა იყო საჭირო. საიდან გამომდინარეობდა ეს აზრი?



სწორედ რუსეთის იმ აპარატიდან ზომ არა, რომელიც... ჩვენ მიერ ცარიზმისაგანაა გადმოღებული და რომელსაც მხოლოდ ოღნავ აქვს წაცხებული საბჭოთა მირონი“ (ტ.36, გვ.89).

ისტორიის სცენაზე გათამაშებულ ტრაგიკომედიულზე ტრაგიკომედიულს უ. შექსპირი ვერ მოიგონებდა. შეუძლებელია წარმოდგენა იმ მილიონობით ადამიანებისა, ერების მდგომარეობისა, რომლებსაც მაუზერის ალერსით აბავენ საოლქო ავტონომიის ბაგაზე, უდიდესი არგუმენტის ძალით ამბობენ.

ბრძენი ხალხი იტყვი: ზოგი ჭირი მარგებელიაო. კარგია ავადმყოფობა როცა შეიძლება მას ამოეფარო. ავტონომიზაციის სიკეთე ვიუღაცას უნდა დაბრალებს. ესეც ადამიანის ბუნებაა: როცა წარმატებაა საქმეში, ყველა პირველობას იჩემებს, როცა წარუმატებლობა, სხვას ადანაშაულებს. ამ შემთხვევაში ბელადს ავიწყდება თავისი ეჭვები. ბ. მდივანის მიმართ, გაბოროტება კ. ცინცადისა და ს. ქავთარაძის მიმართ (ტ.45, გვ.722), ავიწყდება როგორ ავალბდა ამიერკავკასიაში საჩქაროდ აგიტაციური წესით დაეთანხმებინათ ხალხი ფედერაციის სარგებლიანობაზე, ავიწყდება როგორ გამოსთხოვა ი. სტალინმა ამ საქმისათვის ცოტა მეტი დრო და ა.შ. 30 დეკემბერს სალამოს, განერვიულებულს ავტონომიზაციის ბედით, მიაჩნია, რომ „... აქ საბელისწერო როლი შეასრულეს სტალინის აჩქარებულობამ და ადმინისტრატორულმა გატაცებამ, აგრეთვე მისმა გაბოროტებამ ყბადაღებული „სოციალ-ნაციონალიზმის“ წინააღმდეგ“. (ტ.36, გვ.690).

არც ეს ფაქტორია ყურადღების გარეშე დასატოვებელი, მაგრამ არსებითია არა პიროვნების ხასიათი, არამედ იმ თეორიისა და იმ პროექტისა, რომლებმაც განაპირობეს პატარა ერების რევოლუციური ანექსია და ორპირული ავტონომიზაცია.

ლენინს აწუხებს არა მხოლოდ ავტონომიზაციის ის პროცესი, რომელიც იმ სალამოს სსრკ შექმნით დაგვირგვინდა. არამედ ისიც თუ რა იქნება მომავალში. „ასეთ პირობებში – აღნიშნავს იგი – ძალიან ბუნებრივია, რომ „კავშირიდან გასვლის თავისუფლება“, რითაც ჩვენ თავს ვიმართლებთ, ფარატიანა ქალაღდი აღმოჩნდება, რომელიც ვერ შეიძლებს დაიცვას რუსეთის სხვა ტომელების იმ ჭეშმარიტად რუსი კაცის, ველიკორუსი შოვინ-



ისტის, არსებითად, ნაძირალისა და მოძალადის თავდასხმისაგან, როგორც არის ტიპური რუსი ბიუროკრატი“ (ტ.36, გვ. 689). რა იქნებოდა, დალოცვილს, ჯერ ამ ფქტორზე ეფიქრა და შემდეგ ანექსია – ავტონომიზაციაზე და არა პირიქით. უფრო მეტი. განიცდის, რა საკითხის მოუგვარებლობას, დარწმუნებულია რომ პატარა ერები ავტონომიზაციის კაბალაში გახვია და მაინც, ნაშრომზე კარნახის გაგრძელების დროს, 31 დეკემბერს სსრკ დაშლას კი არა განმტკიცებას მოითხოვს (ტ.36, გვ. 693-694). ესეც მარგალიტი დუალიზმისა.

სსრკ შექმნა, მიუხედავად ყველა უარყოფითი ასპექტისა, დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო. მან საფუძველი დაუდო ეროვნებათშორისი ურთიერთობის საბჭოთა მოდელს. მოდელის შესახებ დასაბუთებული დასკვნა, მისი არსებობის ხანგრძლივი ისტორიის ანალიზის საფუძველზე შეიძლება მხოლოდ. ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა აქვს დიდი ერის პატარა ერებისადმი დამოკიდებულების იმ ხასიათს, რომელიც ოციან წლებში იწყებდა საბოლოო ფორმირებას.

სსრკ შექმნა საზოგადოების სხვადასხვა ფენებმა და ერებმა, მსოფლიო საზოგადოების სხვადასხვა წრეებმა თავისებურად მიიღეს და შეაფასეს. ბევრი იყო მსჯელობა რუსეთის იმპერიის კოლონიური სისტემის აღდგენის შესახებ. ახალი ტიპის კოლონიალიზმის შესახებ. იყო აზრი თანასწორობისა და თავისუფლების შესახებაც. ახალი გაერთიანების შიგნით ასევე გაორებული იყო აზრი. იყვნენ დარწმუნებულნი ხალხთა თანასწორობის, ერების თანასწორუფლებიანობის დამყარებაში. იყვნენ დამწუხრებულნი.

დიდი ერის ის დიდი ნაწილი, რომელიც მმართველობის ძველი აპარატიდან ახალში დარჩა მემკვიდრეობით, სსრკ შექმნას უყურებდა, როგორც ძველ ურთიერთობათა აღდგენას ახალი ფორმით, როგორც „ტუზმეცებისა“ და „საქათმის“ ხალხის უმაღლესი კულტურის კალაპოტში მიქცევის პირველ ნაბიჯს. რუსული შოვინიზმის გაძლიერება აშკრა იყო. ი. სტალინი მიუთითებდა: „ძველის მემკვიდრეობის ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი რომ ცენტრში და ადგილობრივ მომუშავე საბჭოთა მოხელეების თვალსაჩინო ნაწილი



რესპუბლიკების კავშირს უყურებს არა როგორც თანასწორუფლებიან სახელმწიფოებრივ ერთეულ კავშირს, რომელიც მოწოდებულია, უზრუნველყოს ნაციონალური რესპუბლიკების თავისუფალი განვითარება, არამედ როგორც ნაბიჯს ამ რესპუბლიკების ლიკვიდაციისაკენ, როგორც ე.წ. „ერთიანი განუყოფელის“ შექმნის დასაწყისს“ (ტ.5, გვ.208–209).

საბჭოთა ჩინოვნიკურ ბიუროკრატიულმა აპარატმა სწრაფად აუღო ალლო სიტუაციას. უამრავი რევოლუციურ-კომუნისტური ხაზის იქით მათ ნათლად გაარჩიეს პრაქტიკული ჭეშმარიტება. რევოლუციის საწყის ეტაპზე საბჭოთა რუსეთმა დაკარგა ყველა კოლონია, მეორე ეტაპზე მოახერხა და კვლავ შემოიკრიფა ისინი გარშემო. არ გამოვიდა, თორემ იყო რევოლუციური თურქეთისა და ირანის დაახლოების მცდელობაც. და განა ცოტა ენერგია მონხარდა პოლონეთის დაბრუნებისათვის ბრძოლას? მესამე ეტაპზე განხორციელდა პატარა ერების მოჩვენებითი დამოუკიდებლობის გაუქმება. ყოველივეს გარდა, მან დამშვიდება შეიტანა დიდმპყრიბელური განწყობის მქონე მმართველ წრეებში. არადა ისინი ცოტანი როფი იყვნენ. ი. სტალინი აღნიშნავდა მათ შესახებ: „... წარმოშობით რუსი პარტიული მუშაკების მრავალრიცხოვანი კადრების არსებობამ... წარმოშვა ჩვენს პარტიაში გადახრა ნაციონალურ თავისებურებათა და ნაციონალური ენის სათანადოდ შეუფასებლობისაკენ პარტიულ მუშაობაში, ქედმაღლურ-ათვალისწინებითი დამოკიდებულება ამ თავისებურებათადმი, გადახრა ველიკორუსული შოვინიზმისაკენ.“ (ტ.5, გვ.212).

ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ძველი ხასიათის აღდგენის იმედებმა ფრთა შეასხეს შოვინისტურ განწყობილებას. ყოველივე მათ სასარგებლოდ მეტყველებდა. თუ საბჭოთა კავშირის შექმნამდე პატარა ერები ფორმალურად მაინც დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკებს ქმნიდნენ, ახლა ეს მოისპო. რესპუბლიკათა მთავრობა (პარტიული ხელმძღვანელობა ყოველთვის ექვემდებარებოდა) საბოლოოდ დაექვემდებარა ცენტრს. ცენტრის მთავრობა დაერქვა ადრე მხოლოდ საბჭოთა რუსეთის მთავრობას. რუსული ენა თანდათან იბრუნებდა დაკარგულ პოზიციებს. პატარა ერების ყველა მნიშვნელოვანი საკ-



ითხის გადაწყვეტა კვლავ რუს მოხელეთა ფუნქცია ხდებოდა. რუსის ჯარი იცავდა კვლავ ყველგან მშვიდობას. ახლად შექმნილ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში კვლავ ერთი პალატა იყო. არა რესპუბლიკათა თანაბარი წარმომადგენლობისაგან შემდგარი, როგორც იქნებოდა ერთა თანასწორობის ფედერაციული პრინციპის დროს, არამედ მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. აქ კი ამკარა უპირატესობა ველიკორუსების მხარეს იყო. ცენტრალური ხელისუფლების და ადგილობრივი ორგანოების ფუნქციითა განიჯვნის დროს რესპუბლიკებს ოლქის უფლებებიც არ დაუტოვეს. იყო თუ არა საფუძველი სიამაყისათვის. დიდი ბედენა არ იყო თუ ზედმეტად რბილი, ლიბერალი ნიკოლოზ II ნაცვლად, შედარებით უგვარი, მაგრამ მაგარი პოლიტიკოსი და რკინისებული დისციპლინის ბელადი მოვიდა. ფაქტია, რომ შერყეული იმპერიის ნაცვლად, ახალი, მტკიცე, თანამედროვე ჟღერადობის კავშირი მომავლისადმი იმედით ავსებდა დიდ ერს.

შოვინისტური იდეების გამოცოცხლებას უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა, პატარა ერების უკუ რეაქცია. ეროვნული საკითხი ჯერ მოგვარებული არ იყო და უკვე გამწვავებას იწყებდა. საჭირო იყო სასწრაფო ღონისძიებანი. ავტონომიზაცია მართლაც ნაადრევი აღმოჩნდა. სტალინი რკპ(ბ) XII ყრილობაზე ასეთ დასკვნას აკეთებდა შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით. „... ჩვენ უნდა დავძლიოთ... სამი ძირითადი ფაქტორი, რომელნიც აფერხებენ გაერთიანებას: ველუკორუსული შოვინიზმი, ერების ფაქტიური უთანასწორობა და ადგილობრივი ნაციონალიზმი“ (ტ.5, გვ. 285).

მან წამოაყენა წინადადება საოლქო ავტონომიიდან ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიაზე გადასვლის სასარგებლოდ. საამისო გამოცდილება ქვეყანაში უკვე იყო.

ჯერ კიდევ 1918 წელს რსფსრ კონსტიტუციური პროექტის დამუშავების დროს კომისიის წევრებს შორის წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა ამ საკითხთან დაკავშირებით. კომისია ი. სვერდლოვის ხელმძღვანელობით წინააღმდეგობის წინაშე აღმოჩნდა. ნ. ბუხარინი კომისიის შემადგენლობაში ფაქტიურად არ მონაწილეობდა. მ. ლაცისი, გ. გურვიჩი, ა. ბერდნიკოვი



საკითხს ათავს ვერ ართმევდნენ, მ. რეისნერი ქვეყნის სამეურნეო დაყოფისა და მათი ფედერაციული გაერთიანების იდეას ავითარებდა. ი. სტალინმა შეძლო და აპრილში კომისიის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა. სწორედ მაშინ დაასაბუთა ქვეყნის ეროვნულ-ტერიტორიული დაყოფის პრინციპის მიზანშეწონილობა. მისმა წინადადებას გაიმარჯვა.

სსრკ შექმნის დროს იგივე საკითხი განმეორდა. ერთპალატიანი სისტემა დაფუძნებული მოსახლეობის რაოდენობაზე, გამორიცხავდა პატარა ერების უფლებას, უკუაგდებდა ერთა თანასწორობის იდეას. ეს იყო მრავალრიცხოვანი რუსი ერის პოზიციის გამტკიცება. ეს იწვევდა პატარა ერების უკმაყოფილებას. ამიტომ, უკვე, 1923 წლის 13 იანვარს შეიქმნა სპეციალური კონსტიტუციური კომისია. გამოძღვრებულა რესპუბლიკათა ავტონომიზაციასთან დაკავშირებული წინააღმდეგობანი. უკრაინისა და საქართველოს რესპუბლიკები ილაშქრებდნენ დიდმპყრობელური შოვინიზმის წინააღმდეგ. იგრძნობოდა, რომ საქმე რესპუბლიკათა ლიკვიდაციისაკენ მიდიოდა.

მდგომარეობის გამწვავებასთან დაკავშირებით რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 23-24 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება ორპალატიანი სისტემაზე გადასვლის შესახებ. დამატებით იქმნებოდა ეროვნებათა წარმომადგენლობის პალატა. ამით სურდათ გარკვეული ძალთა ბალანსირება მოეხდინათ, დაეკმაყოფილებინათ შოვინისტური მისწრაფება და პატარა ერთა თანასწორობის სურვილი. საბოლოო ანგარიშით ორპალატიანობის კომპრომისული ფორმა რკპ(ბ) XII ყრილობაზე იქნა მოწონებული. ქვეყანა დამშვიდდა დროებით. დროებით...

1923 წლის 27 აპრილს შეიქმნა გაფართოებული საკონსტიტუციო კომისია. დაიწყო რთული, ფრთხილი, მოზომილი ფორმულირებების გამოძერწვის ხანგრძლივი პროცესი. საჭირო იყო ორი „მეგობრულად“ ანტაგონისტური ძალის მოთოკვა და მათი ურთიერთობის დარეგულირება. პროექტის საბოლოო ვარიანტი 1924 წლის 31 იანვარს, მწუხარე ბრწყინვალეების ვითარებაში, მიიღო სსრკ საბჭოების II ყრილობამ. დამტკიცდა სოციალიზმის მშენებლობის კონსტიტუცია.

კონსტიტუციაში განმეორებულია სსრკ შექმნის დროს მიღე-



ბული დეკლარაცია. მიუხედავად იმისა, რომ ი. სტალინმა XII ყრილობაზე სსრკ ფედერაციულ გაერთიანებად მოიხსენია, კონსტიტუციაში ამ დებულებამ კვლავ ვერ ჰპოვა ასახვა. შენარჩუნებული იქნა ორპალატიანი სისტემა, რაც ერთა თანასწორობის პროცესის სრულ უზღუდებელყოფას მოასწავებდა. ნაცვლად იმისა, რომ ყოფილიყო მხოლოდ ეროვნებათა პალატა, რესპუბლიკათა თანასწორი წარმომადგენლობით, რათა ყოველ რესპუბლიკას ერთი ხმა ჰქონოდა, დამტკიცებულ იქნა ორი პალატა. კავშირების საბჭო ფაქტობრივად რესპუბლიკათა (ერეების) მოთოკვის ინსტრუმენტი ხდებოდა. კონსტიტუცია ამტკიცებდა ცენტრალიზმის პრინციპს. ყველა ოდნავ მაინც მნიშვნელოვანი საკითხი საკავშირო მთავრობის გადასაწყვეტი ხდებოდა. თვით ცალკეული წარმოების საქმესაც ცენტრი განაგებდა. რესპუბლიკას კონსტიტუციის მიხედვით ეძლეოდა საოლქო ავტონომიის უფლება. ესეც ქაღალდზე, ხოლო რა იქნებოდა ცხოვრებაში ამას დრო გამოავლენდა. და გამოავლინა კიდევ...

ამ პერიოდიდან მოყოლებული, არც ერთ კონსტიტუციას არ უცდია დაკანონებული უსამართლობის ლიკვიდაცია. ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, პარტიის ყოველი ყრილობა, უმაღლესი საბჭოს ყოველი სესია „აფართოებდა“ დემოკრატიულ უფლებებს, „სრულყოფდა“ ეროვნებათშორისი ურთიერთობების ხასიათს, მაგრამ მხოლოდ ქაღალდზე, მხოლოდ სიტყვით. ეს იყო ხალხების, ერების აბუჩად აგდება და სრული დამონება. ამ ხანით კონსტიტუციების მუხლების სპეციალური ანალიზიც კი არ არის საჭირო. უფრო მეტი, თუ 1922 წლის 28 თებერვალს კონსტიტუციით ქართველი ერი უარყოფდა სხვა ერის თანაბარ უფლებებს მის მიწაზე, სიმიდრეზე, წიაღისეულზე, მომდევნო კონსტიტუციები ერს ამ უფლებასაც არ უტოვებდნენ. იგივე მოხდა სახელმწიფო ენის მიმართ. თავდაპირველად რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ქართული ითვლებოდა. მომდევნო კონსტიტუციაში მას რუსული დაემატა. 1978 წლის კონსტიტუციაში კი ყველა სხვა ენასთან ერთად ქართულის შეტანას ბრძოლა დასჭირდა. უაღრესად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ პატარა ერები. მაგალითისათვის საკმარისია მიეთითოს სსრკ უმაღლესი საბჭოს მიერ 1944 წლის 1 თებერვალს მიღებულ





კანონზე.

კანონის თანახმად თავდაცვის სახალხო კომისარიატის საკავშიროდან, საკავშირო-რესპუბლიკურ კომისარიატად (სამინისტროდ) უნდა გადაქცეულიყო. კანონი მიიღეს, მაგრამ არც ერთ რესპუბლიკაში არ შექმნილა თავდაცვის სახელმწიფო კომისარიატი, არც ერთ რესპუბლიკას თავდაცვის მინისტრი არ ღირსებია. და ეს იყო არა მხოლოდ სტალინის დროს...

ერის დამონება ყოველთვის იწვევს უკურეაქციას.

ქართველი ერი არასოდეს დამორჩილებია ბედს, არსებული საშუალებით, და შესაძლებელი ფორმებით ყოველთვის აგრძელებდა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. ამის დამადასტურებელია 1924 წელს მასობრივი აჯანყების მოწყობის ცდა, 1927 წლის მოვლენები, 30-იან წლებში, თუ ვინმე მართლა მიზეზიანად იქნა რეპრესირებული, ეროვნულ დამოუკიდებლობაზე მეოცნებე ხალხი იყო. იგივე დებულებას ადასტურებს 40-იან წლებში თბილისის უნივერსიტეტში გათამაშებული ტრაგედია. 1956 წლის 9 მარტის გენოციდს კავშირის ისტორიაში ბადალი არ მოეძებნება სისასტიკით, სისხლსი ოდენობით, საკავშირო და სრულიად სოციალისტური სამყაროს მასშტაბით ეს იყო სოციალისტური დესპოტიზმის დასასრულსის დასაწყისი. ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის არ შეწყვეტილა არც მომდევნო პერიოდში. თუნდაც კობა ჩაგელიშვილის ჯგუფის მოღვაწეობაა მისი დასტური. სამოცდაათიანი წლები აღინიშნება ზვიად გამსახურდიას ჯგუფის ბრძოლის ასპარეზზე გამსვლით.

ბოლო დროს ახალი სტიმული მიეცა ეროვნებათშორისი ურთიერთობების მეცნიერული გააზრების, მისი შემდგომი სრულყოფის საკითხებს. წამოყენებული იქნა მრავალი პრობლემა, ახლებური შეფასება მოითხოვა ისტორიული წარსულის ბევრმა საკვანძო მომენტმა. რაც ყველაზე მეტად აღსანიშნავია, აზრის პლურალიზმმა წამოსწია ეროვნული მეობის საკითხი, პირველად გახდა შესაძლებელი მისი შედარებით თავისუფალი განხილვა, პირველად მიეცა ერს საშუალება განესაზღვრა საკუთარი განვითარების მოთხოვნები. განსაკუთრებული არ არის, რომ ამ მოძრაობამ დემონსტრაციებზე გამოიყვანა ათასობით ადამიანი. მათ შორის საქართველოში თვითმყოფადობის იდეა ინტენსი-



ურად ეძებს თეორიული და ორგანიზაციული გამოხატვის ფორმებს. საზოგადოებას არ უნდა უკვირდეს კავშირის, „პარტიების, ჯგუფების სიმრავლე. აზრი ეძებს გამოსავალს, აზრი იბრძვის. იბრძვის თეორიის სფეროში, სტიქიური ორგანიზების გზით. არის ასეთი ეტაპი, ზოგჯერ წარმატების, ხშირად წარუმატებლობის, სისხლის, დარბევის და გენოციდის.” ამ ეტაპს, ამ მოვლენებს სპეციალური კვლევა და ყოველმხრივი ანალიზი სჭირდება. უიმისოდ გაძნელება სწორი დასკვნების გაკეთება.

სამომავლოდ საზოგადოებამ უნდა გაითვალისწინოს ფ. ენგელსის მიერ დადგენილი კანონზომიერება: პირველი ეტაპი ამა თუ იმ წყობის მოძველების და შეცვლის აუცილებლობისა არის ის, როცა ხალხი მიხვდება, რომ არსებული არ არის ისეთი სამართლიანი, როგორადაც მას მმართველები სახავენ. მეორე ეტაპი ხასიათდება ხალხის ყრუ უკმაყოფილების ასახვით უტოპიურ მოსაზრებებში (თეორიებში) და პარალელური სტიქიური ბრძოლით. მესამე ეტაპი, ამ საფუძველზე, ქმნის მეცნიერულ პროგრამას და იწყებს გადამწყვეტ ორგანიზებულ ბრძოლას.

საზოგადოებრივი პროგრესის დაჩქარების კვალობაზე სწრაფად ხდება ეტაპის ცვლა...

## მოკლე დასკვნები და ამოცანები

1. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორია, შეერთების ხასიათი, მეფის მთავრობის პოლიტიკა დაპყრობილ ქვეყანაში, ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ამ ურთიერთობას არასოდეს არა ჰქონია მეგობრული დამხარების ხასიათი. რუსეთის მმართველობა ყოველთვის ცდილობდა საქართველოს გამოყენებას საკუთარი მიზნებისათვის, ხოლო, როცა შესაძლებლად ჩათვალა, დაიპყრო და გადააქცია რიგით კოლონიად.

სოციალ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პოლიტიკა, რომელსაც მეფის მთავრობა ახორციელებდა საქართველოში, მიმართული იყო ერის გათიშვა, ექსპლოატაცია, ასიმილაციისაკენ. მის გაგებაში შედიოდა საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის ლიკვიდაცია, რაც ნაწილობრივ მოახერხა კიდეც, უცხოტომელთა კო-



მპაქტურად ჩამოსახლების, სასიცოცხლო სივრცის წართმევის. გარუსების გზით. დემოგრაფიულმა ანექსიამ მნიშვნელოვნად შეაფერხა საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის საერთო განვითარება, ერთი-მეორეს მეტად გადაჰკიდა მისი ცალკეული ნაწილები.

საქართველოს რევოლუციური ანექსიის შემდეგ ეს პოლიტიკა არსებითად არ შეცვლილა. დღევანდელი დემოგრაფიული სურათი, ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის დონე, დამოკიდებულება ქართველებსა და აფხაზებს შორის, მკვიდრ და არამკვიდრ მოსახლეობას შორის, ამის ნათელი დადასტურებაა.

2. მეფის რუსეთის პერიოდში არ ჰქონდა დანდობა თვით რუს ხალხს, მას უწევდნენ სასტიკ ექსპლუატაციას და არა რუს ერებს მით უმეტეს არ დაინდობდნენ. იმპერიაში ერთი-მეორეს ერწყმოდა სოციალური და ეროვნული ჩაგვრა. მრავალრიცხოვანი რუსი ერი სოციალური ჩაგვრისგან განთავისუფლების გარეშე შეუძლებელი იყო მცირე რიცხოვანი მოსახლეობის ჩაგვრის მოსპობა...

3. რუსეთის იმპერიაში XX ს. დასაწყისში მწიფდებოდა ანტიფეოდალური დემოკრატიული რევოლუცია. ამ რევოლუციის სოციალური მიზნების გადაწყვეტასთან დაკავშირებული იყო დაპყრობილი ერების მისწრაფების განხორციელება. მათ შორის მძლავრ რაზმს წარმოადგენდა ქართველობა, რომელსაც არასოდეს არ შეუწყვეტია ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

4. რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ პარტიათა შორის ყველაზე რადიკალური პროგრამით გამოდიოდნენ სოციალ-დემოკრატები და ესერები. სოციალ-დემოკრატთა თეორიისა და პროგრამის ანალიზი ცხადყოფს რომ მათ თავიდანვე მტკიცედ დაიკავეს პოზიცია, რომლის მიხედვით ეროვნულ საკითხებში.

ა. პარტია იყო პატარა ერებისთვის თვითგამორკვევის ლოზუნგის მომხრე, მაგრამ ამ ლოზუნგის თვითგამორკვევის პრაქტიკული განხორციელების წინააღმდეგი.

ბ. პარტია, იბრძოდა პატარა ერების დიდ ერთან (რუსებთან) შერწყმის, „შედულებისთვის“, მათი „დაფქვა-ასიმი-



ლაცისთვის“.

გ. რევოლუციის გამარჯვების შემდეგ პატარა ერებს არ ექნებოდათ ენა, ეროვნული საზღვრები, სახელმწიფოებრივობა ეროვნული კულტურა.ეს დააჩქარებდა მათ ასიმილაციას და შედეგად ჩამოყალიბდებოდა ინტერნაციონალური ხალხი (როგორც ეს მოხდა ამერიკაში), ინტერნაციონალური ენით, კულტურით, მისწრაფებით; დ. ინტერნაციონალური ხალხის ჩამოყალიბების პროცესის დაჩქარების მიზნით პატარა ერების სახელმწიფოებრიობის მოსწრაფება დაკმაყოფილდებოდა მათთვის მხოლოდ საოქლო ავტონომიის უფლების მიცემის გზით.

ე. ინტერნაციონალური ხალხი შექმნიდა ცენტრალიზებულ დიდ სახელმწიფოს,რომელის ფედერაციული პრინციპის საფუძველზე გაერთიანდებოდა ასეთსავე სახელმწიფოებთან და ამ გზით ჩამოყალიბდებოდა მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკა.

5. სოციალ-დემოკრატიებმა რუსეთში ვერ შეძლეს გამოემუშავებინათ სწორი პოზიცია ეროვნულ საკითხში, ერის სწორი გაგება და ვერ შექმნეს ეროვნული საკითხის გადაწყვეტის თეორიული საფუძველი.

6. მემარცხენე-ექსტრემისტულმა გატაცებამ, გლობალური, სოციალური და ეროვნული პრობლემების გარკვევის საქმეში განსაზღვრა სოციალ-დემოკრატთა (ბოლშევიკთა) მარცხი ჩანაფიქრის განხორციელების დროს. სოციალური საკითხის მოუგვარებლობამ არ მისცა ეროვნულ საკითხს მართებული დარეგულირების დარეგულირება.

7. მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის მოხდენის ცდა 1920 წელს პოლონეთში მარცხით დამთავრდა. ბოლშევიკებმა აქცენტები აზიის დიდ სახელმწიფოზე აიღეს. ასეთ დროს ამარლდა საქართველოს საერთო მნიშვნელობა. ნოემბრის ბოლოს სომხეთის გასაბჭოების შემდეგ პრაქტიკულად დაისვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სნექსიის საკითხი.

8. ვ.ი. ლენინის მიმოწერა პარტიისა და XI არმიის ხელმძღვანელობასთან ნათელს ხდის საქართველოს ანექსიის მომზადების მთელ პროცესს, რაც 1921 წლის 12 თებერვალს დაიწყო კიდეც. ისტორიული დოკუმენტების ანალიზი, ადასტურებს საბჭოთა რუსეთის მხრივ საერთაშორისო სამართლის



ნორმების უხეში დარღვევის, ნეიტრალური, დემოკრატიული სახელმწიფოს წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესიის დაწყების, მისი სრული ანექსიის ფაქტს.

საბჭოთა რუსეთმა 1920 7 მაისს საქართველოს რესპუბლიკა სცნო დამოუკიდებელ, დემოკრატიულ, ნეიტრალურ სახელმწიფოდ. აღიარა მისი სრული სუვერენობა, უარი თქვა მის წინააღმდეგ ყოველგვარ პრეტენზიებზე, დალო პირობა მის შინაგან საქმეებში ჩაურევლობაზე, მასთან ურთიერთ მეგობრობის ხელშეკრულება გააფორმა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების ყველა ნორმის თანახმად. ამის შემდეგ უმიზეზოდ, ომის გამოუცხადებლად, ჯარების შეყვანა და ნეიტრალური რესპუბლიკის დაპყრობა ვერ შეფასდება სხვანაირად თუ არა აშკარა აგრესია და ქვეყნის რევოლუციური ანექსია.

9. დაპყრობილ საქართველოში, ისევე როგორც არასასურველ საბჭოთა რესპიბლიკებში საბჭოთა რუსეთის მთავრობამ დაამყარა თავისი სამხედრო რეჟიმი, დასვა რენეგატური ხელმძღვანელობა, დაიწყო მისი ხალხისა და ბუნებრივი სიმდიდრის შეხედულებებისამებრ გამოყენება. რევოლუციური წესით მოამზადა პირობები და 1922 წლის დეკემბერს ფორმალურად დამოუკიდებელი რესპუბლიკები გააერთიანა, ერთიან ცენტრალურ ხელმძღვანელობაში საოლქო ავტონომიის უფლებით.

10. დემოგრაფიული, სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკურ-კულტურული, ეკოლოგიური, ეროვნული პოლიტიკა, რომელიც საბჭოთა წყობილების მანძილზე გრძელდება, სხვანაირად ვერ შეფასდება თუ არა არარუსი ერების უუფლებლობა, გაუცხოება, გათიშვა, ასიმილაცია.

გარდაქმნის პროცესმა შესაძლებელი გახადა რეფორმირებული სოციალიზმის დემოკრატიის, ინტერნაციონალური ერთობის შედარებით ობიექტური ანალიზი და მდგომარეობის გამოსწორების მინისთ სადღეისო ამოცანების გამოკვეთა.

საერთო ამოცანები: ა. სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრების სფეროში დამკვიდრებული ბიუროკრატიული ცენტრალიზმის პრინციპიდან დემოკრატიულ პრინციპზე გადასვლა. ეს ნიშნავს – ქვეყანაში ნებისმიერი თანამდებობის პირის სრულ არჩევითობას, მათი ნებისმიერ დროს გამოცვლის შესაძლებლობას;



უმაღლესი თანამდებობის პირთა ხელფასების დაყვანას საშუალო მუშის ხელფასამდე; ყოველგვარი ღონისძიების მოსპობას, რაც მათ ცხოვრებას მუშის ცხოვრებისაგან გამოარჩევდა (სახელმწიფოს სპეცსახლები, აგარაკები, მანქანები, მომარაგება, მოგზაურობა მსოფლიოში და ა.შ.) წარმომადგენლობით ორგანოებში არჩეულ პირთათვის მუშის საშუალო ხელფასის ოდენობის თანხების გაცემა, მათთვის იმპერატიული მანდატეს დაწესება.

ბ. ეროვნებათშორის ურთიერთობაში რესპუბლიკების გადაყვანა საოლქო ავტონომიის ოფლებიდან სრულ თანასწორობაზე, სსრკ ჩამოყალიბება ფედერაციის პრინციპის საფუძველზე. ფედერაცია, თანასწორთა კავშირი მოითხოვს: უმაღლესი საბჭოს ერთპალატიან სისტემას, სადაც რესპუბლიკათა თანაბარი, წარმომადგენლობა იქნება (ერთი რესპუბლიკა – ერთი ხმა); სმოკავშირო ორგანოებში (პრეზიდიუმი, მინისტრთა საბჭო, პროფსაბჭო) რესპუბლიკათა თანაბარ წარმომადგენლობას და მორიგეობით ხელმძღვანელობას; რესპუბლიკათა სუვერენობას საშინაო საქმეებში.

რესპუბლიკის ამოცანებია: ა. ქართველი ერის კონსოლიდაციის გაძლიერება, მისი ჰორიზონტალური და ვერტიკალური სტრატეგიის მოცვით, მათი საარსებო სივრცის სწორი დარეგულირება.

ბ. გაუცხოების ბარიერის გადალახვა, აფხაზეთთან ურთიერთობაში, მეცნიერების, ლიტერატორების, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეობის, მშრომელი კოლექტივების ღია დიალოგის გზით, ყოველგვარი შუამავლები, აპეკუნების გვერდის ავლით. აფხაზ ორგანიზატორთა ფართო მოზიდვა რესპუბლიკური საქმეების ხელმძღვანელობაში.

გ. ოსებს შორის გავრცელებული, სამხრეთი და ჩრდილოელი ოსების გაერთიანების თეორიის არსში გარკვევა და მისდამი ნათელი პოზიციის გამომუშავება.

დ. სომხეთთან მტკიცე, ძმური ურთიერთობის ფონზე, ახალქალაქ - ბოგდანოვკის რეგიონებში და აფხაზეთში მცხოვრები სომხების პირობების შესწავლა, მათი ორგანიზაციული ერთეულების შექმნის ტენდენციების დადგენა;

ე. საქართველოს სამხრეთ – აღმოსავლეთ რეგიონებში



მცხოვრები ბორჩალოს ტომის მდიდარი ისტორიული წარსულის კვლევა, მათი თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ხელის შეწყობა, იდეურ-კულტურული დონის ამაღლება;

ვ. საქართველოს უძველესი მაცხოვრებლების ებრაელებისათვის მაქსიმალური ხელიშეწყობის პირობების შექმნა;

ზ. უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე, საქართველოში დასახლებული ეროვნებების ფართო დაინტერესება საეთო ქართული და საერთო რესპუბლიკური კულტურით, სამეურნეო ცხოვრებით, განვითარების პერსპექტივით.



## შინაარსი

1. შესავალი-----	3
2. დემოგრაფიული დინამიკა და დემოგრაფიული ანექსია -----	6
3. თვითმყოფადობის ეროვნული აზრი და პრაქტიკა -----	21
4 ეროვნებათშორის ურთიერთობათა რეკოლუციური თეორია -----	29
5. ეროვნებათშორისი ურთიერთობის ლენინური პრინციპები -----	46
6. ეროვნებათშორისი ურთიერთობების ლენინური მეთოდები -----	68
7. ეროვნებათშორისი ურთიერთობების პრაქტიკა საქართველოში -----	80
8. ეროვნებათშორისი ურთიერთობების საბჭოთა მოდელი -----	115
9. მოკლე დასკვნები და ამოცანები -----	147